„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება.“

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
მ ო ა მ ბ ე

NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

№19

თბილისი - TBILISI
2020

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ ხონელიძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **როინ მეტრეველი** –საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ნათელა ვასაძე** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, **ავთანდილ ასათიანი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, **გიორგი სოსიაშვილი** საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, **ლიუდმილა ბეჟენარუ** - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), **სერგეი ბოგდანოვი** - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), **რაფაელ გუსმან-ტირადო** - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), **დენ დევიდსონი** - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), **იან კე** - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), **ვენტა კოცერე** - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, **ირენა კუდლინსკა** - ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი), **კლავდია ლასორსა** - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს – პროფესორი (იტალია), **სვეტლანა ტერ-მინასოვა** - მოსკოვის მ. ლომოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ასათიანი - მთავარი რედაქტორი
ნათელა მაღლაკელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე
მარინე აროშიძე, რევაზ ბალანჩივაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, როზა გაბეჩავა, ლია მენთეშაშვილი, ნათელა მოსიაშვილი, ლამარა ქადაგიძე, ინდირა ძაგანია.

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal `Moambe of the Georgian Academy of Education Sciences~is issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

Editorial Board:

Zurab Khonelidze - Head of the Editorial Board, President of the Georgian Academy of Education Sciences, rector of Sokhumi State University, **Roin Metreveli** – Vise-president of the Science Academy of Georgia, **Natela Vasadze** – Honored president of the Georgian Academy of Education Sciences, **Avtandil Asatiani** – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, **Giorgi Sosiashvili** - Vice- President of the Academy of Educational Sciences of Georgia, rector of Gori State Teaching University, **Ludmila Bezhenaru** – Professor at IAS University (Romania), **Sergey Bogdanov** – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), **Rafael Gusman-Tirado** – Professor at Granada University (Spain), **Dan Davidson** – President of the American Councils for International Education (USA), **Yan Ke** – Professor at Guanjo University (China), **Claudia Lasorsa** – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), **Svetlana Ter-Minasova** – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia's United Association of Teachers.

Editors:

Avtandil Asatiani – editor in chief

Natela Maghlakelidze – deputy editor in chief

Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Natela Mosiasvili, Imer Basiladze, Luba Bibileishvili, Roza Gabechava, Lamara Kadagidze, Indira Dzagania.

დიდი

ქართველი განმანათლებლების -

აკაკი წერეთლის

და

იაკობ გოგებაშვილის

დაბადებიდან

180 წელი შესრულდა

აკაკი ზოიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ
აბუსერისძის უნივერსიტეტის განათლების
სპეციალობის პროგრამების ხელმძღვანელი,
პროფესორი

აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი - 180
ბურჯნი მამულისა

მშობლიური საქართველო იყო ორი ბუმბერაზი თანამოსანგრის აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სალოცავი ხატი, მისი ნათელი მერმისისათვის ბრძოლის, შრომის, შემოქმედების, ურთიერთთანადგომისა და მეგობრობის სათავე და ყველა შენაკადი.

„თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ“, - ამბობდა სულმნათი აკაკი. „ჩემი სიცოცხლე, მთელი ჩემი ძალები და ცოდნა ეკუთვნის ჩემს სამშობლოს“, - აღნიშნავდა დიდი იაკობი. ისინი თავად იძლეოდნენ სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულისა და მისთვის თავდადების ნათელ მაგალითს. გულის ტკივილამდე განიცდიდნენ ხატი მამულის მწარე ხვედრს, ეროვნულ და სოციალურ უსამართლობას. რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა, ამიტომ ტლანქი ხელი უმეცრების მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა, - აღნიშნავდა ერის სულიერი მეუფე ი.ჭავჭავაძე. ამიტომ იყო, რომ ი.გოგებაშვილი გალომებული ებრძოდა სახალხო სკოლაში ცარიზმის მოხელეთა მიერ დედაენის შევიწროებისა და განდევნის ყოველ ცდას. დედაენა ძირითადად ეროვნულ ძალას, ეროვნების ბურჯს წარმოადგენს, ამბობდა იგი და გადაჭრით მოითხოვდა დედა ენას კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ოჯახსა და სკოლაში. ეს მძლავრი ძარღვი იაკობის სამოქმედო პროგრამისა და მისი უკომპრომისო საბრძოლო შემართება ძალზე ხიბლავდა აკაკის, რამეთუ როგორც იაკობს, ასევე მასაც ბრძოლა ხალხის მდიდარი და უტყუარი განძის, ქართული ენისათვის მიაჩნდა ბრძოლად ქართველი ერის არსებობისათვის, სწორედ ბრძოლის ეს გზა ერთი მიზნისაკენ წარმართავდა აკაკისა და იაკობის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და უანგარო მეგობრობის გრძნობით ადუღაბებდა.

როგორც პროფესორი უშანგი ობოლაძე შენიშნავდა, ამ ორ დიდებულ ადამიანს შორის ასე რიგად ურღვევ მეგობრულ კავშირს მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ისიც, რომ აკაკიცა და იაკობიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარტოხელანი იყვნენ. თუმცა აკაკის ცოლიც ჰყავდა და შვილიც – ალექსი, მაგრამ ოჯახური სიამტკბილობა არ ჰქონდა. აკაკიმ ვერ დაიყოლია თავისი მეუღლე, ნებიერი და თავისუფალი ხასიათის მქონე ნატალია, საქართველოში გადმოსულიყო საცხოვრებლად. იგი ალექსისთან ერთად ძირითადად რუსეთში იყო დაფუძნე-

ბული. დიდი მგოსანი კი მარტოხელა კაცის მძიმე ცხოვრებით ცხოვრობდა თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ხან ნათესავებთან და ახლო მეგობ-რებთან ათენებდა და აღამებდა, ხან სასტუმროებში. რაც შეეხება მუდმივ სახელ-მწიფო თუ სხვა სახის სამსახურს, ამაზე აკაკიმ თავიდანვე კატეგორიული უარი თქვა იმ მოტივით, რომ ეს მას ხელს შეუშლიდა თავისუფლად მიჰყოლოდა საკუთარი მრწამსის, გონებისა და გულის კარნახის აღსრულებას, ხელს შეუშლიდა, შეენარჩუნებინა მოქმედების თავისუფლება.

ალბათ აკაკი წერეთლის აღნიშნული მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში იაკობს, როცა წერდა:

აკაკის თავისი ცხოვრების გზაზე თურმე ბევრი მაცდური სირინოზი ხვდებოდა. ერთი მათგანი ჩინ-მედლებსა და უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდებოდა მგოსანს, ჰპირდებოდა დიდ წინსვლას ბიუროკრატიული კიბის მაღალ საფეხურზე, მეორე კიდევ ოქრო ვერცხლის მთებს სთავაზობდა, თუ მგოსანი კაპიტალისტთა ბანაკს შეუერთდებოდა. აკაკიმ ორთავეს ფიცხლავ ზურგი აბრუნა და მწუხარე, ფერმიხდილ სირინოზს მიუგდო ყური, რომელიც ჩასჩურჩულებდა: „მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრული, გაღარიბებული, უკიდურესად შევიწროე-ბული სამშობლოსი. თუ შენ საოცარ ნიჭს შესწირავ შენს უბედურ სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე: შენ არ მოგაკლდება არც შიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტვლე და არც სხვაგვარი ტანჯვა-წვალება. მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელი შენი ერის მხურვალე და უაღრეს სიყვარულს“. სწორედ ეს ეკლიანი გზა აირჩია აკაკიმ, შეუდრეკელი გულით გაჰყვა მას და სამშობლოს აყვავებას, აღდგენას უანგაროდ და შეუსვენებლად ემსახურებაო, დაასკვნიდა იაკობი.

ცხოვრების ასეთივე გზას ადგა თავად იაკობიც, არც მან ათხოვა ყური მაცდურ სირინოზს და მწუხარე სირინოზის მიერ ნაჩვენებ ნარ-ეკლიან გზას გაჰყვა. თბილისის სასულიერო სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ იაკობი, როგორც პირველი მოსწავლე, სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. სწავლას მოწყურებულმა ჭაბუკმა ვერ აიტანა კიევის ჰავა. ამიტომ იგი მეორე კურსის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. იაკობი თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ ამავე სასწავლებლის ზედამხედველად მუშაობდა.

ღრმად ერუდირებული, გონებანათელი, შემოქმედი პედაგოგი შეუპოვრად შეებრძოლა სასწავლებელში გამეფებულ არაადამიანურ რეჟიმს. მან ახალი სიო შეიტანა სკოლის ცხოვრებაში, გამოაცოცხლა იგი. ამიტომ იყო, რომ აღიარებასთან და სიყვარულთან ერთად არაერთი თავდასხმა ხვდა წილად. დაავადმყოფებულმა, სასწავლებლიდან უსამართლოდ დათხოვნილმა, გრნობააფორიაქებულმა ი.გოგებაშვილმა აუტანელი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით

თვითმკვლელობა გადწყვიტა. მან მტკვრის ტალღებს მისცა თავი, მაგრამ საბედნიეროდ გადაარჩინეს. „ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმაროო“, - თქვა მან და ერთი წამით აღარ გადაუხვევია ამ მიზნისაგან. დედაენა, სამშობლო, მამულიშვილთა აღზრდა - ეს იყო მისი საფიქრალი და საზრუნავი. ამ მიზნით იყო მისი აზრი და გონება გართული. იქიდან გამოუცალკევებელი თავისი პირადი „მე“ თითქოს არ გააჩნდა. მამულზე ზრუნვა იყო მისთვის ცოლ-შვილიც, ოჯახიც, გართობაც, პირადი ბედნიერებაც, სიმდიდ-რეც, სიღარიბეც. იგი დაკარგულად თვლიდა ყოველ წამსაც კი, რომელიც სამშობ-ლოს კეთილდღეობისთვის არ ჰქონდა გამოყენებული.

ალბათ ეს პარალელებიც იყო ერთ-ერთი საფუძველი აკაკისა და იაკობის ურყევი მეგობრობისა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის მათი უკომპრომისო ბრძოლისა.

ერის ბუმბერაზი შვილების - აკაკისა და იაკობის - შემოქმედებითი თანამშრომლობა განსაკუთრებული შარავანდედით შემოსა ქართველი ხალხის ეროვნული გენიის გამონაშუქმა მარგალიტმა, უკვდავმა ქმნილებამ, ანაბანის სახელმძღვანელოების შედევრმა „დედა ენამ“. „დედა ენა“ არა მარტო წერა-კითხვის სწორუპოვარი სახელმძღვანელოა, არამედ ჩვენი ხალხური შემოქმედებისა და კლასიკური საბავშვო მწერლობის მარგალიტების ხელთუქმნელი საუნჯეც. ი. გოგებაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების სათანადო ნიმუშებს თვითონვე აგროვებდა და ხალხსავე უბრუნებდა თავისი სახელმძღვანელოებით. მას სწამდა, რომ ხალხური სიტყვიერება აცნობს ბავშვს მშობელი ერის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, წვრთნის მის გონებას და აკეთილშობილებს ზნეობას. ამიტომ ხალხურ პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს სწავლებაშიო. იგი თავისი ფართო, ღრმა განსწავლულობითა და სიბრძნით ხვეწდა, ამუშავებდა და სრულ-ყოფდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ისე შეჰქონდა ,,დედა ენასა” და ,,ბუნების კარის” ვარდნაბამ ფურცლებზე.

ბავშვთა გულის მესაიდუმლე, ხელოვანი პედაგოგი, არამარტო თვით ამოწმებდა და ალამაზებდა „დედა ენაში“ შესატან ყოველ სიტყვასა და გამოთქმას, არამედ სხვებსაც იშველიებდა. „ვთხოვე აკაკის ჩაეცმია მისთვის თავისებური პოეტური ტანისამოსი. მანაც დაუზარებლად ამისრულა თხოვნა. ზოგი ძლიერ შესცვალა, ზოგი უფრო ნაკლებად“, - აღნიშნავდა იაკობი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ი.გოგებაშვილი ზოგჯერ საქართველოს უგვირგვინო მეფის, ლექსის უბადლო ოსტატის, ა.წერეთლის მიერ რედაქტირებულ ნიმუშებსაც ასწორებდა.

„რაც შეეხება აკაკის, - წერდა იაკობი - მას რუსულიდან როდი გადაუ-თარგმნია... ლექსები, ესენი ჩვენ მიერ თარგმნილი, ჩვენ ამოვწერეთ „დედა ენითგან“ გავუგზავნეთ აკაკის და ვთხოვეთ თავისებურად მათი რედაქცია. მანაც შეასრულა თხოვნა და გამოგზავნა თავისი ხელნაწერი, თეთრად გადაწერილი, რომელიც

დღემდის დაცული გვაქვს, მაგრამ ეს ხელნაწერი ჩვენ ხელუხლებლად ვერ დავბეჭდეთ. მასში თანახმად პედაგოგიურის მოთხოვნილებისა და ბავშვის ფსიქიკისა, ჩვენ მოვახდინეთ შიგა და შიგ ზოგიერთი ცვლილებანი... ძალიან ვეცადენით, ყოველი ჩვენს მიერ მოხდენილი ცვლილება ყოფილიყო აკაკისებური. ჩვენს წადილს სავსებით მივაღწიეთ, პედაგოგიური მოთხოვნილებაც დავაკმაყოფილეთ და აკაკის ლექსის ღირსებაც დავიცავით". ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ ეს ლექსები, შეტანილია აკაკის თხზულებათა ცალკე გამოცემაში არა ისე, როგორც მის ხელნაწერებშია, არამედ რა სახითაც „დედა ენაშია" დაწერილი.

იაკობი ყოველთვის დიდი დამფასებელი და თაყვანისმცემელი იყო აკაკის უბადლო ღვთაებრივი ნიჭისა. იგი გრძნობდა პოეტის მხატვრული ქმნილებების ხიბლს და დიდ აღმზრდელობითს მუხტს. სულმნათი იაკობი აკაკის პოეზიას მაღალი მთის გულიდან გამომავალ ანკარა წყაროს ადარებდა, ხოლო თვით ა. წერეთელი საქართველოდ ჰყავდა წარმოდგენილი. „აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენი სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა", - აღნიშნავდა დიდი ერისკაცი. როდესაც შენიშნავდა თეთრად გაბადრულ, დინჯად მომავალ სასიქადულო მგოსანს, თვალებგაბრწყინებული წამოიძახებდა: „აგერ გამოჩნდა ქართველი ერის მშვენიერება, ქართული პოეზიის ფეხადგმული იალბუზიო" (ჟურ. „სკოლა და ცხოვრება," N1, 1990:54).

ასე მაღალ შეფასებას აძლევდა იაკობი ბუმბერაზ მგოსანს, ა.წერეთელს, ამოტომაც დიდი ადგილი დაუთმო თავისი სახელმძღვანელოებში პოეტის უკვდავ შედევრებს.

1908 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საქართველოს უგვირგვინო მეფის აკაკი წერეთლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავი. იუბილე გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულად იქცა. საიუბელეო კომიტეტს გიორგი ყაზბეგთან ერთად სათავეში იაკობ გოგებაშვილი ედგა. საიუბილეო საღამოზე პირველი მისასალმებელი სიტყვაც იაკობმა წარმოთქვა. იგი განსაკუთრებულად მოეფერა, მოესიყვარულა სასიქადულო მგოსანს. მოკრძალება, თანადგომა და პატივისცემა გამოხატა მისდამი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იაკობ გოგებაშვილი არა მარტო აკაკის დიდი მამულიშვილობის, მისი უმწიკლო ღვაწლის და კოლოსალური შემოქმედების აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი იყო, არამედ იგი დიდად ზრუნავდა პოეტის ჯანმრთელობაზე და სათანადო მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. სტატიაში „ნაციონალური საჩუქარი" იაკობი წერს, რომ ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა დაჟინებით ითხოვს ნაციონალური საჩუქრის შემოღებას საქართველოში. რამდენიმე დღის წინათ ავად გახდა მთავარი მამულიშვილი და დიდი პოეტი საქართველოისა აკაკი. მისი სრული მორჩენა ითხოვს სამაგალითო მოვლას. ოთხი

ქართველი ექიმი თავს დასტრიალებს და დღე-ღამე უდარაჯებს ძვირფასს ავადმყოფსა.

ავადმყოფობა უმთავრესად არის შედეგი უკიდურესის ნივთიერი გაჭირვებისა. ექიმების აზრით, ჩვენის მხცოვანის მგოსნის სრული მორჩენისათვის საჭიროა არამარტო სამაგალითო მოვლა, არამედ წყლებზე გაგზავნა. ეს კი მოითხოვს ბლომად ფულსა, რომელსაც სრულიად მოკლებულია აკაკი“.

იაკობი ყურადღებას ამახვილებდა ორ გარემოებაზე, რომელიც მისი აზრით კარგად უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს: პირველი ისაა, რომ აკაკის პოეტური ნიჭი და სიძლიერე კალმისა დღემდინ იოტისოდენადაც არ შემცირებულა, თუმცა იგი სამოცდამეხუთე წელში გადადგა და არაერთს უკვდავ ქმნილებას აჩუქებს კიდევ თავის საყვარელ სამშობლოს, თუ სენსა და მოუსვენრობას თავითგან ავაშორებთ. მეორეც ისაა, რომ იმისთანა მაღალი და თავისებური ნიჭი, რომლითაც უხვად დაჯილდოვებულია აკაკი, თვით ევროპულ ერებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა და ვინ იცის, ეღირსება თუ არა ქართველებს მეორე აკაკი შემდეგ საქართველოში. . .

დიაღ, საქართველოს წმინდა მოვალეობას შეადგენს დააარსოს თანხა აკაკისა, მოითხოვს დიდი ერისკაცი. თავად კი ამ თანხის სასარგებლოდ გადადო ასი მანეთი. ამასთან ვალდებულება აიღო ყოველ თვეში გადაეხადა თითო თუმანი. ხოლო ანდერძში შეიტანა: აკაკის ყოველ წელიწადს ასი მანეთი აძლიეთ იმ ლექსების ჰონორარად, რომლებიც ჩემს სახელმძღვანელოებში მაქვს მოთავსებულიო.

სასურველია, დღეს მაინც შევასხათ ფრთები დიდი პედაგოგის სურვილს აკაკის ფონდის დაარსების შესახებ იმ პირთა დასახმარებლად, რომლებსაც ხელმოკლეობის გამო ხელი ეშლებათ სწავლას თუ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაში.

საყოველთაოდ ცნობილია ი. გოგებაშვილის უბრალოება და თავმდაბლობა. იგი თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველი ტომის შესახებ აკაკის სწერდა: „საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს წიგნსაც არ მოეპოვება არცერთი სიტყვა, არცერთი ფრაზა, რომელიც ნათქვამი იყოს სახელის გულისთვის, ყოველ შემთხვევაში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს შენც კარგად იცი და მინდა, რომ სხვებმაც შეიგნონ“. ხოლო როცა გაიგო, რომ განზრახული იყო მისი 35 წლის მოღვაწეობის აღნიშვნა, მან „ივერიაში“ (N95) ასეთი წერილი გამოაქვეყნა: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართოს საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოგახსენებთ და გთხოვთ დიდი თხოვნით ხელი აიღოთ ამ თავის წადილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომლებსაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზებსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერე გაუწიონ თავაზიანობა

სერებსაც თუ არ დაუშლიათ“. ცხადია, „მყინვარად“ ილიას გულისხმობდა, „იალბუ-ზად“ - აკაკის.

ისიც საგულისხმოა, რომ აკაკისადმი იაკობის სიყვარული იმდენად უანგარო და გულწრფელი იყო, რომ როცა საჭიროება მოითხოვდა, საყვარელი მეგობრისადმი არც შენიშვნების მიცემა ეთაკილებოდა. მაგალითად, დიდმა პედაგოგმა ა. წერეთლის ნაწერებში შენიშნა ფორმა „ჭკვიერი“ (ჭკვიანი), რომელიც იმერული დიალექტიდან იყო აღებული. მან მოითხოვა ამ სიტყვის ხმარებიდან ამოღება. „ჭკვიერი“ არის უხეირო, ნაძალადევი ჩიქორთული და მის ხმარებას აკაკი უნდა ერიდოსო, აღნიშნავდა ის და მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ეს მით უფრო საშიშია, რომ აკაკის დიდი ავტორიტეტის წყალობით ამგვარი ფორმები ადვილად დამკვიდრდებოდა ენაში.

საგულისხმოა 1908 წელს გამოქვეყნებული იაკობის ერთი წერილი „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება,“ რომელშიც ავტორი უაღრესად გულთბილად, სიყვარულით ხატავს ქართველი ერის სასიქადულო მგოსნის ა. წერეთლის იუბილეს დამთავრების სურათს. ამავე დროს გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ დღესასწაულზე აკაკის მიერ არ იქნა მოგონებული დიდი ილია, რაც რაინდულ გვირგვინს დაადგამდა იუბილეს. ამის გამო იაკობი საკუთარ თავსაც საყვედურობს:

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული, ამოვიკვნესე და ცრემლი ვეღარ შევიკავე, - წერს იგი, - ვერ შევიკავე იმის გამო, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეს დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის“.

თავად აკაკიც განსაკუთრებული ძმური სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული იაკობისადმი. 1894 წელს ი. გოგებაშვილი საგრამატიკო პოლემიკაში ჩაერთო. პოლემიკაში აკაკიმაც მიიღო მონაწილეობა. თუმცა მალე მან კამათს თავი მიანება, თქვა, მე იაკობ გოგებაშვილს მეტისმეტად დიდ პატივს ვცემ და არ მინდა ცხარე კამათით ჩრდილი მივაყენო ჩვენს დამოკიდებულებასო.

ერთ-ერთ წერილში დიდი პოეტი საყვარელ მეგობარს წერს: „ძმაო იაკობ, არის ხოლმე ისეთი გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონათ მოვითვალე იმდენად დააკმაყოფილა ჩემი ზნეობრივი მხარე. მე ჩემს თავს დიდად აქამდისაც არ ვაფასებდი და ახლა ხომ სულ აღარ მეღირება ამ ავადმყოფობის გამო... პირადად ჩემთვის სულერთია, დღეს აღარ ვიქნები თუ ხვალ, მაგრამ ის კი მწყინს, რომ როდესაც დავმწიფდი, ჩავჯექ გრძნობა-გონებაში, მაშინ უნდა შევიქმნე უძლური და ურგები ქვეყნისათვის“...

მეორე წერილში აკაკი იაკობს სთხოვდა, რომ ჩაბრძანებულიყო საჩხერეში. იგი წერდა: „წელს ორჯერ ჩამოველ ბორჯომში რამდენიმე დღით. რადგანაც გარემოება

მეტ დროს არ მაძლევდა, რომ საკუთრად შენ მენახე, მაგრამ ხომ გაგიგონია: უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწიაო. ჩემი პირადი სიამოვნება, გინდ მცირეც იყოს, არა სწერია ბედის ვარსკვლავზე... ორჯერვე გულდაწყვეტილი დავბრუნდი და ახლა აქა ვარ ჩემს საჩხერეში, სადაც სამუდამო ბუნაგს ვიკეთებ, თუ დამცალდა. როგორც არის, აქ უფრო ვუძლებ ჩემს სენსა და სატკივარს... გულს ვაყოლებ მუშაობას. დაღამდება თუ არა, რომ მოიცლიან მუშები, მომისხდებიან ხოლმე გვერდითა და ცა და მიწა, მთა და ბარი გაერთიანებული გვაქვს, ვერ ვიტყვი, რომ მოწყენით ვიყო... უსიამოვნო სტუმრებისათვის სახლში არ ვარ ხოლმე, მაგრამ ხანდახან მომენატრება ხოლმე, როგორც მარტოხელას, ზოგიერთი ჩემი ნაცნობის ნახვა და მათ რიცხვში შენ ყველაზე უმალ, არ გეგონოს, რომ იმერულად გწერდე!.. აკაკაურადა გწერ, მხოლოდ გულის აყოლით. მაგრამ შენ აქეთ რა წამოგიტყუებს, ამ სიშორეს? თუმცა სურამსაცა და ბორჯომსაც სჯობია ჩემი საჩხერე!.. განსაკუთრებით, სადაც მე ვსახლობ, არც ქარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე, - თუ მივაღწიე გაისამდე, ეგება გაგაბედვინო, როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება!.. იმედი კი არა მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და გიმზადებ ოთახებს, სწორედ შენი გემოს საკადრისს... ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალით ჩვენებურ ბავშვებს. გუშინ ერთი პაწაწინა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ „ბელატია (მელოტია) თუ არა იაკობ გოგებაშვილი? შვილები თუ ჰყავსო? გაწყრომა იცისო? და სხვანი. ნეტავი მაჩვენაო და შენს პორტრეტს დავპირდი. დიდად გაიხარა... ამ წერილს გწერს შენი მარად ერთგული და მოსიყვარულე აკაკი“.

ასევე იაკობისადმი დიდი სიყვარულითაა გამთბარი აკაკის შემდეგი წერილი: „ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ, აი ახლაც შენმა წერილმა, თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამიყარეს მოწოლილი სევდა... გადავიკითხე, გადავათვალიერე, მუშტრის თვალით ავწონ დავწონე და შიგ ჭეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეული იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაც კი“.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხარი მხარს იდგნენ აკაკი და იაკობი ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ქართველი ხალხის მოჭირნახულე-ებმა თავიანთი კალთით ატარეს ბედი და უბედობა, ტანჯვა და სიხარული ქართველი ერისა. ერთი ღმერთი სწამდათ და ერთი სამლოცველო ჰქონდათ - საქართველო, ერთს ეტრფოდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და კონსოლიდაციას, ერთი სძაგდათ და თავგანწირვით ებრძოდნენ ქვეყნის მტერს და ორგულს.

როდესაც აკაკისა და იაკობის ცხოვრების პარალელებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ ორი დიდი მამულიშვილის წვლილს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებასა და გამოცემაში. დიდმა მგოსანმა ა.წერეთელმა ამ ეროვნულ საქმეში ჩააბა არა მარტო ინტელიგენცია, არამედ ქართული ფოლკლორის მოყვარული ძალებიც. თვით აკაკის `კრებული მდიდარია ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტებით.

ერის განმანათლებელმა ი.გოგებაშვილმა დიდი შრომა გასწია არა მარტო ხალხური შემოქმედების შეგროვებში, არამედ ქართული სიმღერების ნოტებზე გადაღებისა და შემდეგ სკოლაში შეტანისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ ორი დიდი მამულიშვილის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი ანდერძი, რომელიც მათი ცხოვრების გვირგვინს და უდიდეს ჰუმანურ აქტს წარმოადგენს. ქველმოქმედების მსგავსი მაგალითი იშვიათად მოიძებნება გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში. სულმნათმა იაკობმა წ.კ.გ. საზოგადოებას დაუტოვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 100 000 მანეთს. დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა კი მთელი თავისი მამული (100 დესეტინა მიწა, ეზო) სახლი, რომელშიც თავად ცხოვრობდა, და მთელი თავისი ნაწარმოებები, გამოცემული თუ გამოუცემელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უანდერძა.

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი. მან შთამბეჭდავი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგის, თავისი უერთგულესი მეგობრის საფლავთან: „ძმაო იაკობ! უკანასკნელად დაგყურებ ორკეცად მგლოვიარე: გიგლოვ როგორც პირად მეგობარს და უფრო მეტად კიდევ როგორც საზოგადო მოღვაწეს. ჩვენი მეგობრობის კავშირი შენი სიკვდილით გაწყვეტილი, ხანგრძლივი არ იქნება. ჩემი დღეებიც დათვლილია და მალე დაგეწევი, მაგრამ შენმა დაკარგვამ, როგორც საზოგადო მოღვაწისა, კი სამარადისო დაღი დაასვა გულზე ყოველ შეგნებულ ქართველს. წამოდგომა რომ შეგეძლოს, ახლა დაინახავდი, თუ რა გრძნობით ყოფილა შენდამი გამსჭვალული ამერ-იმერი! გულწრფელად გიგლოვენ დიდები და ჩაგბღავის საფლავში მოზარდი ახალთაობა, როგორც საერთო მამას. ამგვარი სიკვდილი სანატრელია... შენზე ასრულდა საღმრთო წერილის სიტყვა: სიკვდილი მართალთა განასვენებს... წარსდგები პირნათლად ჩვენს სახელოვან წინაპართა წინაშე... და ამოუდგები მათ გვერდში საუკუნო განსვენებით. აქ კი იღაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გადატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეული იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი... ამინ“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერის ბუმბერაზი შვილების ზრუნვა, შეუნელებელი ყურადღება და სათუთი დამოკიდებულება აჭარისადმი. 1878 წელს, როცა აჭარა დედასაქართველოს დაუბრუნდა, იაკობ გოგებაშვილმა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან მხარდამხარ დაიწყო ბრძოლა აჭარაში სახალხო სკოლების გახსნისა და დედაენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის, რათა ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლ ძმათა შორის და აღენთო ის ჩაუქრობელი ეროვნული ნაპერწკალი, რომელიც სამასი წლის განმავლობაში ღვივოდა ოსმალეთის მიერ მიტაცებულ აჭარის მოსახლეობაში. სახელოვან მამულიშვილს არ აკმაყოფილებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ბათუმში გახსნილი პირველი ქართული

სკოლის მარტო სახელმძღვანელოებითა და ფულადი სახსრებით მომარაგება. იგი რამდენჯერმე თავად ეწვია ბათუმს, რათა ახლოს გასცნობოდა ამ სკოლის საქმიანობას და ქმედითი დახმარება გაეწია მისთვის. დიდი პედაგოგის უკვდავ „დედა ენას“ განუმეორებელი სიხარული შეჰქონდა და შეაქვს ყოველი ქართველის ოჯახში, არამარტო ჩვენში, არამედ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა შორისაც. უძვირფასეს განძს „დედა ენას“ აღტაცებული კითხულობდნენ ფერეიდანში, სტამბულსა და მცირე აზიაში მცხოვრები ქართველები. მათთვის სპეციალურად იბეჭდებოდა და იგზავნებოდა ძვირფასი საუნჯე „დედა ენა“, რომელიც ენის სიყვარულთან ერთად მშობლიური მიწის სურნელებით ასაზრდოებდა შორეულ უცხოეთში მყოფ ქართველ მამულიშვილებს და თავისი მაგიური ძალით ეხმარებოდა შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა და ქართული ადათ-წესები. მის ასეთ თავდადებულ მზრუნველობას, ამაგს და საქმიან წინადადებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ძირძველი ისტორიული კუთხის აღორძინებასა და კულტურულ დაწინაურებაში.

როგორც ცნობილია; 1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში, მუხრან ბატონის სასახლეში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების აღსანიშნავად საზეიმო წვეულება გაიმართა. ნადიმზე მრავალი პატრიოტული სიტყვა წარმოითქვა. მათ შორის მეტად შთამაგონებელი და ამაღელვებელი იყო აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა: „ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, მაგრამ დღევანდელი სხვაგვარია. მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო! ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქ ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება.

დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია! და რა იყო, ბატონებო ეს ანდერძი?.. ეს ანდერძი იყო: დედა ენა და ერთობა!... პირველი, ესე იგი ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც.

მეორე, ესე იგი ერთობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთგვარად აღუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის, საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთის შეხედვისთანავე იცნობა. ასევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც: ამის დასამტკიცებლად შორს ნუღარ წავალთ - საკმაოა, რომ აქვე, აი სუფრაზედ მივიხედოთ-მოვიხედოთ...

მაგრამ, რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას, მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ!“

დიდი მგოსანი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს აჭარაში მიმდინარე მოვლენებს და პატრიოტული პათოსით დამუხტული სიტყვებითა და მხურვალე მოწოდებით ეხმიანებოდა აჭარელ ძმებს.

„... ჩვენი ისტორია ერთია, მაგრამ მასში თქვენ უფრო მეტი წილი გაქვთ, როგორც შემხებსა და მოსაზღვრეებს, - ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედაენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიც კი შეგინახავთო, ამბობს აკაკი, ჩვენი გაყოფა, ჩვენი ბედისა და ძალის განახევრებაა. უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება, ხოლო ლხინი კი ნახევრდებაო“.

აჭარასთან აკაკის ნათესაური ურთიერთობაც აკავშირებდა. ესმა აბდის ასული ხიმშიაშვილის ღვიძლი დეიდა ლისა აკაკის ბებია იყო დედის მხრით. ცნობილია, რომ ერთი აჭარელი, სახელად ოსმანი დიდხანს ცხოვრობდა სოფელ სხვიტორში აკაკის ოჯახში. პოეტს ერთგულ ოსმანზე მინდობილი ჰქონია მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი საუნჯის, ხელნაწერებისა და სხვა საბუთების დაცვა. ოსმანის ამაგი ოჯახში ისე დიდი ყოფილა, რომ თვით პოეტი მას თავისი შინაკაცების გამზრდელად იხსენიებს (რამაზ სურმანიძე, „დაუვიწყარი სახეები“, ბათუმი, 1963 წ).

აჭარისადმი, ბათუმისადმი დიდი პოეტის ზრუნვა-დამოკიდებულებაზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1872 წელს დაწერილი მისი ლექსი „ფოთი“, რომელშიც კარგადაა წარმოჩენილი ბათუმის, როგორც საზღვაო კარიბჭის, სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა:

„ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი, -
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი!..“

ასეთი გაუბზარავი, უსპეტაკესი სიყვარულის შარავანდედით იყო დამშვენებული ქართული კულტურის ამ ორი იალბუზის, ერის უბადლო შვილების, საქართველოს ფარისა და მახვილის - აკაკისა და იაკობის - ძმობა და მეგობრობა. მარად ცოცხალი მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მათი ურთიერთთანადგომის მაგალითი, როგორც პური არსობისა, ისე სჭირდება ჩვენს დღევანდელობას, განსაკუთრებით _ ჩვენს მოზარდ თაობას, რამეთუ მათი ნააზრევი ჩვენი ხალხის წინსვლას, მისი სანუკვარი მიზნის განხორციელებას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: ორი ბუმბერაზი თანამოსაგრე, მეგობრობის სათავე, სამშობლოსათვის თავდადება, დამფასებელი და თაყვანისმცემელი, ღვთაებრივი ნიჭი, შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკის სამრეკლო, 1990: თბილისი.
2. ბასილაძე ნ.,2007: ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი.
3. გოგებაშვილი ი., 1990: რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ.III, თბილისი.
4. იაკობის სამრეკლო,1990: თბილისი.
5. ლაისტი ა., 1927: საქართველოს გული, წიგნი მეორე,ტფილისი.
6. პედაგოგიკის ისტორია,2004: პროფ. ნათელა ვასაძის რედაქციით,თბილისი.
7. წერეთელი აკ. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III,თბილისი.

Akaki Zoidze
Head of Educational Programs at the University of the Georgian Patriarchate named after St. TbelAbuseridze Professor

Fulcrums of the motherland

Summary

For two magnificent fellow-warriors, Akaki Tsereteli and Iakob Gogebashvili, Georgian language was an icon to be prayed for, the source and all directions of the struggle, work, creation, mutual support, and friendship for its bright future.

They themselves gave a vivid example of true love for the homeland and devotion to it.

Iakob has always been a great admirer and worshiper of Akaki's unparalleled divine talent. In his imagination, Akaki Tsereteli was Georgia itself, the Elbrus of Georgian poetry.

Akaki himself was imbued with a special brotherly love and respect for Iakob.

Keywords: two magnificent fellow-warriors, source of friendship, devotion to the motherland, admirer and worshiper, divine talent, unparalleled children, creative legacy…

ნინო ჩაჩანიძე
სსიპ სოფ. მისაქციელის (მცხეთის მუნიციპალიტეტი)
საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ჰუმანიზმის აღზრდის დიდოსტატი

სულმნათი მოძღვარი იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად ითვლება ახალი ქართული საბავშვო მწერლობის ფუძემდებლად. მან უდიდესი ოსტატობით შეძლო ნორჩებისთვის შეექმნა და თვისობრივად დიდ სიმაღლეზე აეყვანა ქართული საბავშვო ლიტერატურა, რომლის ფესვებიც საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს.

იაკობის საბავშვო ნაწარმოებები, განსაკუთრებით ,,დედა ენასა" და ,,ბუნების კარში" თავმოყრილი ლექსები და მოთხრობები, ნიმუშია მაღალი ოსტატობით შექმნილი ნაწარმოებებისა, რომელთა დახმარებითაც ხერხდებოდა და ხერხდება საზოგადოებრივი აღზრდის საერთო მიზნების სწორად წარმართვის საქმეში საბავშვო ლიტერატურის როლის სრულად გაგება. ,,საყმაწვილო ლიტერატურას-წერს იაკობი, დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა... საბავშვო მწერლობა ბევრს სიკეთეს დათესავს მოზარდ თაობაში, ბევრს მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში. ბევრი კეთილშობილური, ჰუმანური მისწრაფებებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელ მამულიშვილსა" (3.765) .

პედაგოგთა პედაგოგს კარგად ესმოდა, რომ ბავშვის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი წყობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია საყმაწვილო ლიტერატურის შექმნა, ბავშვებზე წერა. ამ ცოდნით შეიარაღებული იღვწოდა იგი მომავალი თაობის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდისთვის. ამიტომაა მისი მემკვიდრეობა ნიმუში მხატვრული და პედაგოგიური მოთხოვნების ოსტატურად, ორგანულად შერწყმისა. მისი საბავშვო ნაწარმოებები გამოირჩევიან მოვლენათა სწრაფი განვითარებით, რეალისტური ხატოვანებით, მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების ღრმა ცოდნით. იაკობი მიიჩნევს, რომ ბავშვისათვის შესაფერი მხატვრული ქმნილებების საერთოდ ოჯახსა თუ მის გარეთ საკითხავი წიგნების შერჩევას და მათი საშუალებით სიკეთის, სიყვარულის, სამშობლოს ერთგულების გრძნობის შთანერგვასა და გაღვივებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია და მხოლოდ ყოველმხრივ სრულყოფილ საბავშვო ლიტერატურას შეუძლია იმ ,,მოზრდილი ხევის" ამოვსება, რაც ადრეული ასაკის ბავშვის ცოდნასა და მხატვრულ აზროვნებას შორის არსებობს.

,,ბუნების კარის" წინასიტყვაობაში იაკობი მიუთითებს, რომ ნებისმიერი ლიტერა-ტურა, ყრმათათვის უდიდეს შემეცნებით და აღმზრდელობით მნიშვნელობასთან ერთად, აუცილებლად ,,მტკიცედ უნდა იდგეს ეროვნულ ნიადაგზედ და ასწავლიდეს არა მარტო ქართულს მეტყველებას, არამედ აწდგომასა და წარსულს სამშობლოსას" (2.

243). ამასთან, სრულქმნილ საბავშვო მასალად იგი მიიჩნევს ისეთს, რომელიც ,,აძლევს მასწავლებელს ხელში მძლავრ ღონისძიებას, შეიტანოს აღზრდაში ესთეტიკური და ზნეობრივი ელემენტები, შეიყვანოს მათი გონება მაღალი ჰაზრების სფეროში და მათ გულს გააცნოს ღრმა კაცური გრძნობანი და კეთილშობილური ლტოლვანი“(3. 743).

იაკობი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ საბავშვო მწერლობა ბუნების, ადამიანთა ურთიერთობისა და შრომის მნიშვნელობის გაცნობას უნდა ეძღვნებოდეს. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით მისი შემოქმედება ორ წამყვან მიმართულებად შეიძლება დალაგდეს. პროფ. გ. თავზიშვილის მიხედვით, ესენია: ,,საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ხალხის ყოფაცხოვრების და მორალის შესწავლის თემები“ (5. 163). თემების ამ მრავალფეროვნებას შესანიშნავად ხსნის თვით იაკობი: ,,ერთფერობა სიკვდილია, მრავალფეროვნება-სიცოცხლე“. ეს აზრი, მართალი დიდებისათვის, ორკეც და სამკეც მართალია პატარებისთვის, რომელთა ბუნება მოითხოვს სხვადასხვაგვარ შთაბეჭდილებას, სხვადასხვა საზრდოს გონებისას. ამიტომ ჩვენს წიგნს ,,ბუნების კარს“ მივეცით მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სახე პირველდაწყებითის ენციკლოპედიისა და მოვაქციეთ შიგ მოთხრობები და წერილები ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანატომიური, ფსიქოლო-გიური, ფიზიკური, ყოფაცხოვრებითი, გეოგრაფიული, ისტორიული, ბელეტრისტუ-ლი მრავალი ლექსებითურთ“(3. 760).

პედაგოგიურ შეხედულებათა შორის, შეიძლება ითქვას, უმთავრესია მომავალი თაობის ზნეობრივი სრულყოფის საკითხები. ამ საკითხთაგან მის მხატვრულ შემოქ-მედებაში ახალგაზრდობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით ჩამოყალიბებას, თამამად შეიძლება ითქვას, წამყვანი ადგილი უკავია. მას მიაჩნია, რომ კაცთმოყვარე, ჭეშმარიტი ჰუმანისტი ვერ აღიზრდება იქ, სადაც საბავშვო ლიტერატურის სიმწირეა, სადაც ბავშვები მოკლებულნი არიან ,,ხეირიან საკითხავ ნაწარმოებს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საჭიროებად არ ჩაითვლება და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით ვერაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან“(1. 11) .

დიდი პედაგოგის საბავშვო ლიტერატურაში უხვადაა წარმოდგენილი ნაწარმო-ებები, რომლებიც თავიანთი მორალურ-დიდაქტიკური ხასიათით ბავშვში აყალიბებენ ჰუმანიზმის ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: სიმართლისმოყვარეობა, პატიოსნება, მეგობრობა, ადამიანის ღირსების პატივისცემა, პირდაპირობა, სიყვარული, სიკეთე და სათნოება, სულგრძელობა, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი და მრავალი სხვა.

საინტერესოა, რომ იაკობი დიდი ოსტატობით ძერწავს ზოგიერთ ნეგატიურ მოვლენას, ამორალურ თვისებას. მიუთითებს მათ დამღუპველ ზეგავლენაზე. გმობს მიუღებელ, უზნეო ქცევებს და იქვე იძლევა მაღალმორალური თვისებების გამო-მუშავების გზებს. მისი ე.წ ,,ჭკუის სასწავლი პერსონაჟები“ არ განიცდიან გადაჭარ-ბებულ დაცინვას, თანატოლთაგან მოკვეთას, დევნას. ისინი იწვევენ გულწრფელ

სიბრალულს და ბადებენ მხარში ამოდგომისა და სწორ გზაზე მათი დაყენების სურვილს. გავიხსენოთ „ცუდი მეზობლები“, „ბოროტისათვის სიკეთე“, „ცრუპენტელა“, „მკვეხარა“, „თავის განწირვა“, „სირცხვილის აშორება“ და მრავალი სხვა მაღალზნეობრივი მოთხრობა თუ ლექსი.

იაკობის საბავშვო ქმნილებებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ჰუმანისტი პიროვნების უპირველეს თვისებას - პატრიოტიზმსა და ხალხთა შორის მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობის აღზრდას უჭირავს. ამისათვის იგი უხვად იყენებს ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების მხატვრულად აღწერის მეთოდს. მოთხრობები „ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „ცხრა ძმანი ხერხეულიძენი“, „გლეხი ბოსტაშვილი“, „ასპინძის ომი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „დიმიტრი თავდადებული“ და კიდევ სხვანი და სხვანი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ და სამშობლოს სიყვარულით აღანთებენ არა მარტო პატარებს. იაკობს სჯეროდა, რომ ისტორია ერის სიცოცხლეა. რომ ქვეყნისათვის თავდადებულ წინაპართა მაგალითმა უნდა შეძლოს ჭეშმარიტი მამულიშვილის ჩამოყალიბება. მისი ცდა, ეჩვენებინა „რანი ვიყავით გუშინ“, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ძალას იძენდა იმ ძნელბედობის ჟამს, როდესაც მეფის რუსეთი ყველაფერს აკეთებდა ქართველი ერისა და განსაკუთრებით მისი ენის დაკნინებისა და გაქრობისათვის. მისი სურვილი - „იდეალური წარსული დაეპირისპირებინა თავისი პერიოდის დაძაბუნებული აწმყოსათვის და აემხედრებინა ჩვენი ხალხი მის ღირსებათა დამამცირებელი სამეფო რეჟიმის წინააღმდეგ“, სრულ თანხვედრაში იყო დიდი სამოციანელების ბრძოლის სულისკვეთებასთან. პარალელურად, ხსენებულ პატრიოტულ მოტივებზე შექმნილ მოთხრობებში ნათლად ჩანს, რომ ჭეშმარიტი პატრიოტი ისაა, ვისაც კარგად ესმის ამხანაგობის, მეგობრობის, უანგარობის, ურთიერთთავდადების ძალა. მაგალითისთვის იაკობის „ცოტნე დადიანის“ გახსენებაც კმარა.

სამშობლოს უანგარო სიყვარული ყოველთვის გულისხმობს სხვა ერებისადმი პატივისცემას, მათი ღირსების დაცვას. „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას“, - აცხადებს დიდი ჰუმანისტი. გავიხსენოთ მისი შედევრები: „გამარჯვებული დედა“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „იავნანამ რა ჰქმნა“ და მრავალი სხვა მოთხრობა თუ ლექსი, სადაც იგი ერებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების საჩვენებლად დიდი ოსტატობით იშველიებს ისტორიას, ერის გამორჩეული შვილების პირად მაგალითს, რომელთა ქცევაც, დამოკიდებულება სხვა, განსაკუთრებით მცირე ერების მიმართ, ჰუმანისტური გრძნობების ჩანერგვის საუკეთესო მაგალითია.

უდიდეს ადამიანურ ღირსებათა შთამაგონებელია იაკობის „იავნანამ რა ჰქმნა“. ეს ღრმად ფსიქოლოგიური, მხატვრულ-ესთეტიკურად, იდეურად სრულქმნილი ნაწარმოებია, რომელიც ნორჩ მკითხველს მიანიშნებს მეზობელ ხალხთა შორის მეგობრობის ძალაზე, სიკეთის, ბოროტებაზე გამარჯვების აუცილებლობაზე. სხვათა ტრადიციების,

ცხოვრების წესის პატივისცემაზე, მიმტევებლობასა და ადამიანური, ჰუმანური გრძნობების ყოვლისშემძლეობაზე.

იაკობის საბავშვო ნაწარმოებების უშრეტი წყარო ქართული ხალხური შემოქმედება იყო. ანდაზებს, გამოცანებს, ზღაპრებს უდებდა ფაბულად თავის მოთხრობებს. ამ გზით ენობრივადაც სრულყოფდა ხალხის მიერ შექმნილ საუნჯეს. მათში დებდა იგი უკვდავ შეგონებებს, ,,მართალ აზრს პატიოსნებაზე, შრომასა და გარჯაზე, ბუნების სიკეთეზე, მადლიან დედაშვილობაზე, ადამიანთა შორის გულითად სიამტკბილობაზე და ხალხთა შორის ძმურ ურთიერთობაზე და მშვიდობაზე". აუცილებელ ჰუმანისტურ თვისებათა აღზრდისათვის უსათუთეს გრძნობად დედაშვილობას მიჩნევს. მის სახელმძღვანელოებში, საბავშვო ნაწარმოებებში ნათლად ჩანს, რატომაა ბავშვის ჰუმანური თვისებების აღზრდის უპირველესი წყარო დედისა და შვილის ურთიერთობა. ,,იაკობმა, - წერს პროფ. ვ. რამიშვილი, თავის უკვდავ წიგნს ,,დედა ენა" რომ დაანათლა, დედის ცნება ღვიძლი ენის ცნებას დაუკავშირა, ამით დედისა და ღვიძლი ენის ცნებები ერთ ცნებად შეკრა და ორივეს ერთად მარადიული არსებობა უანდერძა" (7. 20). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჰუმანიზმის აღზრდის ის შესაძლებლობანი, როდესაც დედაშვილობის გრძნობის გამოსახატავად იაკობი ფრინველებს, ცხოველებს იყენებს. მისი ალეგორიული ხასიათის მოთხრობები იმავდროულად ბუნების მშვენებას აზიარებენ, მისი დაცვის აუცილებლობას შთააგონებენ ნორჩ მკითხველებს. დაუკვირდით პატარა მოთხრობა ,,მერცხლების" შინაარსს, რითაც ბავშვი ეცნობა ისეთ მაღალ ჰუმანურ გრძნობებს, როგორებიცაა: ერთმანეთის გატანა, გაჭირვებულის მხარში ამოდგომა და ა.შ.ამგვარი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი იაკობის ,,ბელურა ჩიტი", ,,კრუხების ბრძოლა ქორთან", ,,შოშია", ,,არწივი", ,,ძაღლი", ,,გვრიტი", ,,სიკეთე სიკეთისთვის" და მრავალი სხვა. საინტერესოა, რომ იაკობი ზოგჯერ არ ერიდება ცხოველთა სამყაროში გამეფებული სისასტიკის, გაუტანლობის ჩვენებას, რითაც ახერხებს ბავშვებს უარყოფითი დამოკიდებულება გამოუმუშაოს ყველა მიუღებელი თვისებებისადმი, რაც თავის კვალს აუცილებლად ტოვებს მოზარდის შეგნებაში და დააფიქრებს იმაზე, რომ, როგორც დიდი მოძღვარი შთაგვაგონებს, თურმე ,,სულდაბალს ადამიანებშიც ვხედავთ ამ მხეცურ ზნესა. თუ გაჭირვებაში ნახეს კაცი, თუნდაც მათი კეთილისმყოფელი, თვითონაც ფეხს დააჭერენ. პირიქით, ნამდვილი ადამიანი, სულგრძელი და პატიოსანი, გაჭირვების დროს შველის ყველასა, არა მარტო ნაცნობსა და მეგობარსა, არამედ უცნობსაცა და, ასე განსაჯეთ, მტერსაცა. ამიტომ მხოლოდ გაჭირვებაში ვიცნობთ კაცსა და დავინახავთ უფრო მხეცია იგი ზნითა, თუ ნამდვილი ადამიანი" (8. 37). ამგვარი ბრძნული აზრები, ჰუმანისტური ხასიათის გამონათქვამები უხვადაა იაკობის საბავშვო ნაწარმოებებში. ისინი წამყვან ძარღვს წარმოადგენენ ზნეობრივი აღზრდის მისეულ ხედვაში, სადაც ჰუმანისტური სულისკვეთებით აღზრდა პირველ ადგილზე დგას.

იაკობის ცდა, პატარებისთვის შეექმნა ჭეშმარიტი მშობლიური საბავშვო ლიტერატურა, ,,რამდენადაც სასარგებლო, იმდენად სასიამოვნო", წარმატებით დაგვირგ-

ვინდა. მან წლებს გაუძლო და დღევანდელი მომავალი თაობისათვისაც რჩება გონებისა და ზნეობის ამაღლების, გაკეთილშობილებისა და ,,კაცურ-კაცად“ ჩამოყალიბების შეუცვლელ საშუალებად.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, მორალი, დედა ენა, საბავშვო ლიტერატურა, დიდაქტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი. თხზ. 10 ტომად, ტ. II, თბილისი.
2. გოგებაშვილი ი. თხზ. 10 ტომად, ტ. V, თბილისი.
3. გოგებაშვილი ი. თხზ. 10 ტომად, ტ. VI, თბილისი.
4. გოგებაშვილი ი. თხზ. 10 ტომად, ტ. IX, თბილისი.
5. თავზიშვილი გ., 1977: თხზ. ტ. II. თბილისი.
6. ობოლაძე უ., 1978: ,,გოგებაშვილი-ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი“, თბილისი.
7. რამიშვილი ვ., 1979: ი. გოგებაშვილის ,,დედა ენა“, თბილისი.
8. გოგებაშვილი ი., 1951: მოთხრობები. თბილისი.

Nino Chachanidze
LEPL village. Misaktsieli (Mtskheta Municipality)
Public school Georgian language and literature teacher

Master of Humanistic Education

Summary

Iakob wrote – “it is more necessary and valuable to raise noble feelings in young generations heart than to enrich their mind”.

He took morality, humanity from common tasks. According to him the aim of literature was to raise the culture in future genaration, to form a real person.

Iakob's stories are not only top level of literature but also they are the example of individual and age particularity of a child's psychology.

Keywords: Humanism, Patriotism, Morality, Mother Tongue, Children's Literature, Didactics.

ჩვენი იუბილარები

აკადემიკოსი ნათელა ვასაძე 90 წლისაა

„იცოცხლეთ ჩემზე მეტი, იცხოვრეთ ჩემზე უკეთ.“
ნათელა ვასაძე

გულისხმიერი, პრინციპული, მაღალი ზნეობის მოღვაწე

მადლიერნი და ამაყნი ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ორი შვილის დედას, 5 შვილიშვილის ბებიას, 7 შვილთაშვილის დიდ ბებოს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, მის პრეზიდენტს, დღეს კი საპატიო პრეზიდენტს, აკადემიკოს ნათელა ვასაძეს 90 წელი შეუსრულდა.

ნათელა ვასაძე 1930 წლის 1 აგვისტოს ქალაქ ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. სამხედრო ოფიცრის ოჯახის შვილის ცხოვრებას ყოველთვის ახლდა სირთულეები - საცხოვრებელი ქალაქებისა და სკოლების ხშირი ცვლა. ჩვენმა იუბილარმა სწავლა ქუთაისში დაიწყო, თბილისში განაგრძო და ბათუმში დაასრულა. მან 1949 წელს ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტს მიაშურა.

ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით მისაღებ გამოცდებზე მომხდარ ერთ ცნობილ ინციდენტს, რომელმაც ბევრად განაპირობა ნათელა ვასაძის მომავალი როგორც სწავლის, ისე ცხოვრების თვალსაზრისითაც.

პირველსავე გამოცდაზე ის მოსწავლის ფორმითა და დიდი ბაბთით გამოცხადდა. შენიშვნა არავის მიუცია. წერას რომ ამთავრებდა, აუდიტორიაში სამი პიროვნება შემოვიდა. ერთმა მათგანმა - მაღალმა მამაკაცმა - გადახედა აბიტურიენტებს და მზერა გამიზნულად ნათელა ვასაძეზე შეაჩერა. მერე მის ზურგს უკან დადგა. გოგონა მიხვდა, რომ ის კაცი მის ნაწერს კითხულობდა. უეცრად უცნობმა საკმაოდ ხისტად ჰკითხა - შენ ხომ სკოლა დაამთავრე, ფორმით რატომ ხარ, არ შეიძლებაო. გაოცებულმა აბიტურიენტმა იმავე ტონალობით უპასუხა - სად წერია, რომ არ შეიძლება?! საუბარიც ამით დასრულდა. ეს კაცი უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი იყო.

ნათელა ვასაძემ ყველა გამოცდაზე მაღალი შეფასებები დაიმსახურა და პირველ კურსზე ჩაირიცხა. სწავლის დაწყების მესამე დღეს იგი ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თინა მრევლიშვილმა დაიბარა - რექტორთან უნდა შევიდეთო. გამოცდაზე მომხდარი ინციდენტის გარდა, სტუდენტმა ვერაფერი გაიხსენა შეხვედრის მიზეზად.

კაბინეტში რომ შევიდნენ, ნიკო კეცხოველმა სტუდენტობა მიულოცა, დაწვრილებით გამოჰკითხა ბიოგრაფია და შემდეგ დასძინა - იცი, შენ მართალი იყავი, მართლაც, არსად წერია, რომ სკოლის ფორმით უმაღლესი სკოლის გამოცდაზე მოსვლა არ შეიძლება. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ახალგაზრდობის გარეგნულ იერზე.

მალე უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის კონფერენცია გაიმართა. კომიტეტის 17 წევრს შორის პირველკურსელი ნათელა ვასაძეც აღმოჩნდა. მდივნად ფილოსოფიის ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი თემო ბადურაშვილი აირჩიეს, პირველ მოადგილედ - ნათელა ვასაძე. როგორც შემდგომ

გაირკვა, ეს თვით რექტორის ინიციატივით მომხდარა. და ეს არ ყოფილა ამ ღირსეული მამულიშვილის ნიჭიერ ახალგაზრდებზე ზრუნვის პირველი მაგალითი. ვინ იცის, ბატონ ნიკოს რამდენი სტუდენტის ცხოვრება წარუმართავს სწორი გზით, რამდენი ადამიანის შემწე და გზის გამკვალავი გამხდარა...

ნათელა ვასაძემ 1954 წელს უნივერსიტეტი დაამთავრა. ამ დროს იგი უკვე გახლდათ არჩეული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად სკოლების დარგში. ყოველდღიური დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, უშრეტი ენერგიის წყალობით ბევრს ასწრებდა, უამრავ სირთულეს უმკლავდებოდა, თანაც 1953 წელს ოჯახი შექმნა - ცოლად გაჰყვა გუგული დანელიას, „მეგრელების საქმის“ გამო დასაჭერად გამზადებულს, მომავალში ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს.

იქნებ დღევანდელი გადასახედიდან ვინმემ მიუღებლად მიიჩნიოს იუბილარის ქება მისი კომკავშირული საქმიანობის გამო, რაც არ იქნება მართებული, რადგან ეს ის წლებია, როცა ქალბატონმა ნათელამ თავის ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად, თავდადებული შრომით, ნიჭით, კაცთმოყვარეობით მრავალი სიკეთე შემატა სამშობლოსა და ქვეყნის ავტორიტეტს. საგულისხმოა, რომ 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენებისას ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერები მომიტინგე ახალგაზრდობას გვერდში ედგნენ. შემდეგ იყო ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი გამარჯვებების წლები ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც „ქართული ქორწილის“ დაუვიწყარი დიასახლისი ნათელა ვასაძე გახლდათ.

1958 წლის დასაწყისში საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს, მეორე მდივნად - ნათელა ვასაძე. რამდენიმე თვის შემდეგ კი იგი საკავშირო კომკავშირის ცეკას მდივნად აირჩიეს და სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანეს. ამიერკავკასიიდან ასეთი პატივი მხოლოდ ქართველ ქალს ერგო და მას სტუდენტი ახალგაზრდობის საქმიანობის წარმართვა დაევალა. ქალბატონი ნათელაც მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით, ენთუზიაზმით და მაღალი ერუდიციით შეუდგა საინტერესო, მაგრამ ურთულეს საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად ედო კოლეგიალობა, ურთიერთპატივისცემა და სამშობლოს, მშობლიური მიწის-საქართველოს ერთგულება. ყველაფერი ეს მალე მეგობრობაში გადაიზარდა და ნათელა ვასაძისა და გუგული დანელიას ბინის ხშირი სტუმრები იყვნენ სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებიც ქართული სტუმარმასპინძლობით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და სწორედ აქ, მათ ჭერქვეშ აღმოაჩინეს საქართველო.

1959 წელს პეკინში სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი ტარდებოდა. ნათელა ვასაძე 5-კაციანი საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელად დაამტკიცეს, მაგრამ მოულოდნელად საავადმყოფოში აღმოჩნდა. დელეგაცია უმისოდ გაემგზავრა. კონგრესმა გამონაკლისი დაუშვა და არსებობის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად ნ. ვასაძე კავშირის ვიცე-პრეზიდენტად დაუსწრებლად აირჩია.

ეს პატივი და სიამაყე, სამწუხაროდ, დიდმა ტრაგედიამ დაჩრდილა. პეკინიდან დაბრუნებული „ტუ 104“ უამინდობის გამო მოსკოვმა ვერ მიიღო და თვითმფრინავმა გეზი სვერდლოვსკისკენ აიღო. აეროპორტში დაშვებამდე რამდენიმე წუთით ადრე თვითმფრინავი ჰაერში აფეთქდა და ყველა მგზავრი დაიღუპა. მათ შორის - კონგრესის დელეგაციის წევრები, რომელთა სიაშიც ნათელა ვასაძეც ეწერა.

1962 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქალბატონი ნათელასათვის. იგი მოულოდნელად ავად გახდა და გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. თბილისში დაბრუნებული ნ. ვასაძე მატარებლიდან საავადმყოფოში მოათავსეს. მკურნალობა შედეგიანი იყო. საინტერესო ფაქტია, რომ ავადმყოფი მოინახულა თსუ-ს პედა-გოგიკის კათედრის გამგემ, აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ და სრულიად მოულოდნელად სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა შესთავაზა. ბატონი დავითის არნახულმა გულისხმიერებამ და მონდომებამ ლოგინს მიჯაჭვულ ადამიანს სიცოცხლის სურვილი გაუჩინა.

შემდგომში სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაამუშავა სადისერტაციო თემა - „აღმზრდელობითი მუშაობა სკოლა-ინტერნატში“. ეს იყო სრულიად ახალი ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება ყოფილ საჭოთა კავშირში, ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი მიზნებითა და ამოცანებით.

ეს საინტერესო ნაშრომი 1964 წელს დისერტაციად დაიცვა და წიგნად დაიბეჭდა. ეს იყო ნათელა ვასაძის პირველი მონოგრაფია, რომელშიც მან, თსუ-ის პედაგოგიკის კათედრის ახალმა თანამშრომელმა, სათანადო პასუხი გასცა იმ ადამიანებს, რომ-ლებიც ამტკიცებდნენ, რომ ოჯახში აღზრდას ინტერნატში აღზრდა ჯობსო. ფაქტობრივად, ამგვარი „სიახლეებით“ დაიწყო ნგრევა იმ ფუძისა, რასაც ოჯახი, მისი სითბო და სიყვარული ჰქვია. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საქართვე-ლოს რეალობაში ინტერნატები საჭირო იყო მთიან რეგიონებში მოსახლეობის დასამაგრებლად. ეს განსაკუთრებულად არის დასაბუთებული ნაშრომში, თუმცა სწორედ ამის გაუთვალისწინებლობამ მოგვიტანა ასობით სოფლის სკოლის გაუქმება და თვით სოფლების დაცლაც.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგმა წლებმა სწრაფად გაირბინა. ეს პერიოდი ქალბატონ ნათელასთვის არა მხოლოდ ავადმყოფობის დამარცხების, არამედ იმის დასტურიც იყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანზე ზრუნვა, ყურადღება, სიყვარული და მთავარი - ნებისყოფა, შინ თუ გარეთ. სწორედ ამით იყო განპირობებული ისიც, რომ ის 1969 წელს საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად დაინიშნა. 3 წელიწადი იმუშავა მან ამ ურთულეს და პასუხსაგებ ორგანოში.

1972 წლიდან ნათელა ვასაძე თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია. ეს იყო საქართველოს უმაღლესი სკოლის ისტორიაში პირველი ფაქტი - ქალი რექტორად. მან ამ თანამდებობაზე თითქმის 14 წელიწადი იღვაწა.

ქალბატონ ნათელას ცხოვრებაში დაიწყო არა მხოლოდ რთული შრომა, არამედ - ბრძოლა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და იმარჯვებს მისი ინტუიცია, შავის თეთრისგან გარჩევის უნარი. რამდენი ძალისხმევა და თეთრად გათენებული ღამეები დასჭირდა კოლექტივში კეთილი და კომპეტენტური ძალების ერთ მუშტად შესაკრავად. ასეთები კი უმრავლესობა იყო. სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობამ განაპირობა მასწავლებლის მომზადების ურთულეს საქმეში სისტემურობის მიღწევა, არა რომელიმე საგნის მასწავლებლის, არამედ პიროვნების ფორმირება, აღდგენა იმ ტრადიციისა, როდესაც მასწავლებელს მოძღვარს უწოდებდნენ, როდესაც მისი ავტორიტეტის საზომი იყო მაღალი პიროვნული თვისებები, მომთხოვნელობა და სიმკაცრე ეფუძნებოდა მის ცოდნას, მის მაღალ ღირსებას. ასეთი მასწავლებლის მომზადებისთვის უამრავი სიახლე, სწავლების ფორმები თუ მეთოდები დაინერგა, მაგრამ მთავარ პრობლემად თავად საინსტიტუტო გარემო, ჩაცმის თუ ქცევის კულტურა, ინტერიერი, თვითშემოქმედება იყო. წარმატებული აღმოჩნდა რექტორის ინიციატივით შექმნილი საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, სადაც სხვადასხვა დამატებით სპეციალობას ეუფლებოდნენ ინსტიტუტის სტუდენტები. ორპროფილიანი მასწავლებლის დიპლომს ემატებოდა ექთნის დიპლომი გოგონებისთვის, ხოლო ფიზმომზადებისა - ვაჟებისთვის.

განუმეორებელი სითბოთი და აღტაცებით იგონებენ კურსდამთავრებულები, როგორ აჰყავდათ პირველკურსელები ღამით მთაწმინდაზე ჩირაღდნებით და იაკობ გოგებაშვილის საფლავზე ფიცს დებდნენ, როგორი დაუვიწყარი იყო „შვილიშვილების დღე“ ინსტიტუტში, როცა შვილიანი სტუდენტები ბავშვებით, ოჯახით მოდიოდნენ სასწავლებელში და იქ საჩუქარი ხვდებოდათ, რა კარგი შრომითი სემესტრები ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

განსაკუთრებული იყო ინსტიტუტისთვის 1985 წელი, როცა საზეიმოდ აღინიშნა ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავი. უამრავი სასწავლო და სამეცნიერო კონკურსი, კონფერენცია, სპარტაკიადა თუ ოლიმპიადა მიეძღვნა ამ თარიღს. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამოზე ინსტიტუტის დროშაზე „ხალხთა მეგობრობის ორდენი“ დააბნიეს. ეს ნამდვილად ღირსეული ჯილდო იყო, რადგან ინსტიტუტში ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ფაკულტეტებზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ამზადებდნენ.

ნათელა ვასაძის გულისხმიერებისა და ადამიანებთან დამოკიდებულების აღსანიშნავად ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც: მისაღები გამოცდებისას აბიტურიენტი გოგონა, რომელსაც სამ საგანში მაღალი ნიშნები ჰქონდა მიღებული, მე-4 გამოცდაზე არ გამოცხადდა. დეკანი მისი სიიდან ამოღებას ითხოვდა, მაგრამ რექტორმა საქმის არსში გარკვევამდე ნება არ დართო. სპეციალური კომისიის წევრებმა გოგონას შინ მიაკითხეს. აბიტურიენტს მოულოდნელად დედა გარდაცვლია და წინა დღით დაუსაფლავებიათ. ქალბატონმა ნათელამ იმ გოგონას მშობლიური სითბო აგრძნობინა, გამოცდაზე დაუშვა და მერე სტუდენტობის წლებშიც არ აკლებდა ყურადღებას.

ქალბატონი ნათელა გულგრილად ვერ უყურებს წინაპართა ნაამაგარის მიმართ უდიერ დამოკიდებულებას. იგი გულისტკივილს ვერ მალავს განათლების მუზეუმის განადგურებისა და სხვა ეროვნულ-კულტურული ფასეულობების მიმართ თანამედროვეობაში დამკვიდრებული ნიჰილიზმის გამო. ქალბატონი ნათელა ამის საილუსტრაციოდ ხშირად იხსენებს სხვადასხვა ფაქტებს: „ინსტიტუტის საიუბილეოდ სხდომათა დარბაზის ერთ კედელს ხატვის კათედრის გამგის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის თემო თურმანიძის პანო - „გოგებაშვილი და დედა ენა“ ამშვენებდა. ავტორს, რომელიც შემდეგ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი გახდა, რამდენი უძილო ღამე დასჭირდა, რომ პანო საიუბილეოდ მოესწრო. „ახალ ეპოქაში“ ეს ნამუშევარი ნაკუწებად აქციეს და წყლიან სარდაფში ჩააგდეს, ინსტიტუტის შემოსასვლელში პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული საბჭოთა კავშირის 4 გმირის თეთრ მარმარილოში შესრულებული მემორიალი გაანადგურეს, გაძარცვეს და მოსპეს ინსტიტუტის ახალგახსნილი მუზეუმიც, დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ცივილიზებულ სამყაროში, სადაც უმაღლესი პედაგოგიური სკოლა აღარ არსებობს - გულისტკივილით აღნიშნავს ამაგდარი მეცნიერი.

1975 წელს ნათელა ვასაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოთხი წლის შემდეგ პროფესორის წოდება მიენიჭა. 1979 წელს საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1989 წელს კი ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად, ხოლო 1999 წელს რუსეთის განათლების აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს.

რუსეთის განათლების მეცნიერებათა აკადემიამ ქალბატონი ნათელა დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოს ს.ი. ბატიშჩევის მედლით დააჯილდოვა.

1986 წლის 10 იანვარს ნათელა ვასაძე საქართველოს განათლების მინისტრად დაინიშნა. ეს უდიდესი პატივი და ნდობა იყო. მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, აღსავსე ძიებით და სირთულეებით, წარმატებებითა და უდიდესი სურვილით - ქართულ ეროვნულ სკოლას ღირსეული ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემაში. წარმოუდგენლად რთული და მრავლისმომცველი იყო პრობლემები. თუ 1985 წელს სკოლადამთავრებულებზე ოქროს 1000-ზე მეტი მედალი გაიცა, ვასაძის მინისტრობის პირველ წელს - მხოლოდ 36. „ნახევარი საქართველო მისაღებ გამოცდებზე გავანაწყენე, ნახევარი კი - მედლებზე“, - ამბობს ქალბატონი ნათელა. პრობლემების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მთავრობის გადაწყვეტილებით სამი საგანმანათლებლო უწყება - სახალხო განათლების, უმაღლესი განათლებისა და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ერთ სამინისტროდ გაერთიანდა. ვასაძე მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

1990 წლიდან, როდესაც ეროვნულმა ძალებმა საქართველოში ახალი ეპოქა დაამკვიდრეს, ქალბატონი ნათელა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგი-

ური საზოგადოების თავმჯდომარედ მუშაობდა, სადაც მანამდე საზოგადოებრივ საწყისებზე იყო არჩეული. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ისტორიაში მოხდა უმძიმესი ტრაგედია - ომი აფხაზეთში.

პედაგოგიურ საზოგადოებას მოაკითხეს აფხაზეთიდან დევნილმა მასწავლებლებმა, რადგან ყოფილი მინისტრის მხარდაჭერა არც ეეჭვებოდათ. საზოგადოებასთან შეიქმნა დევნილთა დახმარების შტაბი, ხელმძღვანელად გაგრის განათლების განყოფილების გამგე ბიჭიკო ჩაკაბერია დაინიშნა. დევნილთა მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს თბილისელმა განათლების მუშაკებმა, თავად მასწავლებლებმა, რომლებმაც ოტებულ კოლეგებს თავიანთი დატვირთვის ნაწილი დაუთმეს.

პედაგოგიურ საზოგადოებაში მუშაობის პარალელურად ნ. ვასაძე განაგრძობს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

აკადემიკოს ნათელა ვასაძის სამეცნიერო-პედაგოგიური ნამოღვაწარი და მაღალი პიროვნული თვისებები იმის საფუძველი გახდა, რომ იგი 1995 წელს დაფუძნებულ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი, როგორც მეცნიერისა და ორგანიზატორის, გამორჩეული თვისებები. ნ. ვასაძის ხელმძღვანელობით ეს აკადემია ცოცხალი პედაგოგიური აზრის ნამდვილი გამაერთიანებელი გახდა. მის მიერ ჩატარებული საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებზე განიხილება განათლების აქტუალური საკითხები; მჭიდრო კონტაქტებია დამყარებული უცხოელ კოლეგებთან.

ეს ის წლებია, როდესაც ქვეყანაში ახალი წესწყობილება იკიდებს ფეხს და გაჩნდა ახალი მიდგომები, ნასესხები ტერმინოლოგია. ყოველივე ეს განსაკუთრებით შეეხო განათლებას და მიზნად დაისახეს მისი დეპოლიტიზაცია.ნ. ვასაძის აზრით ეს ტერმინი იქცა თვითმიზნად, ყოვლად გაუმართლებელ მოვლენად. ლაპარაკია იმაზე, რომ ამგვარი მიზანი აერიათ დეპარტიზაციაში, რადგან ქვეყნის განვითარების ისტორიულ ხედვაში ელემენტარულად განათლებულმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ თუ არ არსებობს მომავლის პოლიტიკა და იდეოლოგია, არ არის ჩამოყალიბებული მიზანი - ვის, როგორ და რისთვის ზრდიან, ის არშემდგარი სახელმწიფოა. საქართველოში დაწყებული განათლების რეფორმა თავიდანვე იყო განწირული, რადგან მისი სადავეები ხელთ ეპყრათ დარგის უცოდინარ პიროვნებებს. უფრო მეტიც - განათლება აღარ განიხილებოდა როგორც დარგი, განსაკუთრებული სფერო; მისთვის კადრსაც აღარ ამზადებენ. თურმე ყველას შეუძლია მასწავლებლად მუშაობა, თუ ორ საგანმანათლებლო საგანს ჩააბარებს. განა არსებობს არასაგანმანათლებლო საგანი? როდესაც სკოლას „საჯარო“ ჰქვია, ეს არა მხოლოდ უვიცობაა. განათლება საუკუნეებია არსებობს როგორც საერო და სასულიერო. სკოლა კი სახელმწიფო და კერძო (ისიც სახელმწიფო კონტროლით). როცა ლამაზი ქართული სიტყვა „საცდელი“ შეცვალეს „საპილოტეთი“. აკადემიის აღშფოთებით არავინ

შეწუხებულა. როდესაც უკვდავ „დედა ენას“ მოაცილეს „აი ია“და წიგნი დაიწყეს „აი მე-თი“, ამგვარ დედაენას სახელმწიფო პრემია მიანიჭეს, ხოლო მსოფლიოში წიგნისადმი მიძღვილ პირველ ძეგლს, მისი ავტორის მიერ შექმნილი ბრინჯაოს იის ბუჩქი საერთოდ გაუქრეს.

რამდენი რამ ტკენდა გულს ქალბატონ ნათელას, ვერ ეგუებოდა, პასუხის გამცემი არავინ ჩანდა, ვინ ან რატომ დამალა სახელწოდებები - პედაგოგიკა, პედაგოგიური ფსიქოლოგია, რასაც მეთოდურად მოჰყვა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების გაუქმება.

ასევე გაუმართლებელად მიიჩნევს იგი საგანმანათლებლო სივრციდან არა მხოლოდ ტერმინ „აღზრდის“ უგულებელყოფას თავისი ისტორიული მნიშვნელობითა და დღევანდელი განსაკუთრებული დანიშნულებით, არამედ თავად საქმისადმი დამოკიდებულებას. განათლების აკადემიას და მის ხელმძღვანელობას ასევე მიუღებლად მიაჩნიათ ერთი ხელის მოსმით მეცნიერებათა ყველა კანდიდატის დოქტორის ხარისხთან გათანაბრება, ისევე როგორც საზოგადოებრივი აკადემიების წევრთა აკადემიკოსად გამოცხადება. ეს ხომ უცოდინარობაა, თუ უფრო მეტი არა.

აკადემიკოსი ნათელა ვასაძე 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია; საგაზეთო პუბლიკაციებსა და ინტერვიუებს ხომ თვლა არა აქვს. წლების განმავლობაში იგი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გახლდათ. მისი ნაშრომების უმრავლესობა ახალგაზრდობის აღზრდას და განათლებას ეხება. თუმცა მათ შორის მრავლად არის განათლების ერთიანი პრობლემების ამსახველი შრომები. მაგალითად, „პედაგოგიკის ისტორია“, რომელიც მანამდე მხოლოდ რუსულიდან თარგმნილი არსებობდა. ნ. ვასაძის ინიციატივით, რედაქტორობითა და გარკვეული თავების ავტორობით 1986 წელს პირველად გამოიცა ამ სასწავლო კურსის ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ასევე ნ. ვასაძის რედაქტორობითა და განსაკუთრებული ძალისხმევით 1987 წელს მოსკოვში რუსულად დაიბეჭდა „საქართველოს პედაგოგიური აზროვნების ანთოლოგია“.

ქალბატონ ნათელას ინიციატივით, დასაბუთებითა და კატეგორიული მოთხოვნით სამინისტრომ გადაწყვიტა საქართველოს ყველა უმაღლეს საწავლებელში იკითხებოდეს ახალი საგანი - „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საფუძვლები“. მანვე შეადგინა საგნის პირველი პროგრამა და ლიტერატურის სია. ასეთი საგნის აუცილებლობას საფუძვლად დაედო განათლების აკადემიის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომელმაც შემაშფოთებელი ვითარება გამოავლინა - არათუ სტუდენტებმა, არამედ მაგისტრანტებმა, მაძიებლებმა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ლექტორმაც არ იცოდა ზოგადადაც როგორც უმაღლესი განათლების, ასევე, საკუთარი უმაღლესი სასწავლებლის ისტორია, ვერ ერკვეოდნენ უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში.

აკადემიკოს ნ. ვასაძის პედაგოგიური შეხედულებები სრულად არის გადმოცემული სტუდენტებისთვის განკუთვნილ მის სახელმძღვანელოში „პედაგოგიკა“,

რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა და დღემდე დიდი პოპულარობითა და მოთხოვნით სარგებლობს.

განსაკუთრებული პატივი ერგო „საქართველოს განათლების მატიანეს“. იდეის ავტორი, მთავარი რედაქტორი და რამდენიმე თავის ავტორი გახლავთ ქალბატონი ნათელა ვასაძე. წიგნი ქართულ-ინგლისურ ენებზეა და თან უნიკალური ფოტოალბომი ახლავს. პედაგოგიკის დარგის მეცნიერთა არაერთი თაობის ოცნების წიგნის მეცნიერ-კონსულტანტია ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. წიგნი აკადემიის ეგიდით გამოიცა. თუმცა მას ხელნაწერად დარჩენა ემუქრებოდა, რომ არა ისეთი მამულიშვილი, როგორიც არის „მაგთის“ ხელმძღვანელი გია ჯოხთაბერიძე, რომელმაც ეს ნაშრომი უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა და საჩუქრად გადასცა აკადემიას.

აკადემიკოს ნ. ვასაძის დაუღალავი გარჯა არაერთი საერთაშორისო, საკავშირო თუ საქართველოს ჯილდოებით აღინიშნა: 5 ორდენით, მრავალი მედლითა და სიგელით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიებით არის შეფასებული მისი ნაღვაწი; აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონი ნათელა საქართველოს უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატად იყო არჩეული.

მოგეხსენებათ, თითოეულ ადამიანს აქვს ახლის, სიკეთის, უჩვეულო და ბევრი ფიქრის მისთვის განსაკუთრებული საოცარი შინაგანი შეგრძნება. ყოველივე ამას თან ახლავს ღელვა, განცდა და შიშიც. ქალბატონ ნათელასთვის ამგვარ შეგრძნებებს კონკრეტული სახელიც აღმოაჩნდა - ღმერთთან მისვლა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. თანაც უკვე ასაკოვანი პიროვნებისთვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ცხოვრების მაღალზნეობრივი წეს-ჩვეულებები, შინაგანი სამყარო და არ გაგვიკვირდება, რომ ეს ყველაფერი ამგვარი ფაქტორების უცილობელი შედეგი იყო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი იუბილარისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი, როდესაც იგი, როგორც სამთავრობო დელეგაციის წევრი, პატრიარქის ინტრონიზაციას ესწრებოდა. სვეტიცხოვლის ტაძარი, ეზო და მიმდებარე ტერიტორიაც ხალხით იყო სავსე. მან, როგორც თავად იხსენებს, პირველად ნახა ამდენი ბედნიერი და მოლოდინით აღტკინებული ერი და ბერი, გაახსენდა უსაყვარლესი მეგობრის - ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „მე ღმერთს ცაში არ ვეძებ, იგი ჩვენთან არის“.

წლების შემდეგ ახლად დაფუძნებულმა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ პირველი კონფერენცია - ახალგაზრდობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის პრობლემები საქართველოში - საპატრიარქოსთან ერთად მის ულამაზეს დიდ დარბაზში ჩაატარა. სწორედ აქ მოხდა იმ დროისთვის ერთობ უცნაური ფაქტი: მთავარმა მომხსენებელმა, აკადემიის პრეზიდენტმა ნათელა ვასაძემ სავსე დარბაზის თანდასწრებით აღსარება ჩააბარა მოძღვართა შორის უპირველესს - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და უღმერთობა მოინანია. გაოცებული დარბაზის თვალწინ უწმინდესი და უნეტარესი მომხსენებელთან მივიდა და დალოცა. ფეხზე მდგარ დამსწრეთა ოვაცია დიდხანს არ შეწყვეტილა.

განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებს ნათელა ვასაძის მოღვაწეობა წლების განმავლობაში ქალთა საბჭოებში, გამორჩეულად - საერთაშორისო მასშტაბით.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ნათელა ვასაძის პიროვნებაში ბუნებრივად არის შერწყმული, ერთი მხრივ, ხელმძღვანელის პრინციპულობა და, მეორე მხრივ, კოლეგიალური გულისხმიერება, სითბო და თანადგომა. ქალბატონი ნათელა თავისი იერით, კდემამოსილებით, მაღალი ზნეობით, გონიერებით, განსაკუთრებული ორატორული ნიჭით ჭეშმარიტად ამშვენებს თანამედროვე საქართველოს. ერთხელ სიყრმის მეგობრის - საქვეყნოდ ცნობილი პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის შენიშვნაზე - ჭაღარას რატომ არ იღებავო, ქალბატონმა ნათელამ უპასუხა - ნახონ, რომ ჩვენი თაობის თავზე წისქვილის ქვამაც იტრიალა.

ამბობენ, კაცმა წინ უნდა გაიხედოს, მომავალზე იფიქროსო, მაგრამ უკან მოხედვაც აუცილებელი და საჭიროა. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც, თავის უკან მიბრუნების არ ეშინია. ამაყები ვართ, ასეთ პიროვნებათა თანავარსკვლავედში აკადემიკოს ნათელა ვასაძის სახელიც რომ ბრწყინავს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ვასაძისეული ღვაწლს ყოველთვის ჰქონდა მყარი საფუძველი - მშობლები და საკუთარი დიდი ოჯახი.

უფროსმა თაობამ - მარგალიტა და შალვა ვასაძეებმა ქვეყანას სამი შვილი აღუზარდეს - სამივე მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და შემდეგ - აკადემიკოსი.

ქალბატონი ნათელას უფროსი ქალიშვილი მარიკა ცნობილი მხატვარი-ფლორისტია, მისი მეუღლე ზურაბ შხვაცაბაია საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსია; უმცროსი ქალიშვილი ირინე ბიოლოგია, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. მისი მეუღლე გიორგი კარტოზია ნიჭიერი არქიტექტორია. ქალიშვილები დედას დიასახლისობაში ეჯიბრებიან, მაგრამ დედა ჯერჯერობით სჯობნით. მათი მაგალითით ცხოვრობენ და შრომობენ შვილიშვილებიც.

დარწმუნებული ვართ, წლების სიმრავლე მებრძოლ ქალბატონს ვერ შეაშინებს, უკან ვერ დაახევინებს და კვლავაც ჩვეული ენერგიით და ერთგულებით გააგრძელებს საყვარელ საქმეს მის დიდ ოჯახთან, კოლეგებთან და მოწაფეებთან ერთად.

ჯანმრთელობას, სულიერ სიმხნევეს და ბედნიერებას ვუსურვებთ საამაყო იუბილარს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სახელით -
აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე

იუბილარს ულოცავენ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის რეგიონული განყოფილებები:

აფხაზეთის განყოფილება

ქალბატონო ნათელა!

დღეს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის განყოფილებას გვაქვს პატივი გამოჩენილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, განათლების ბრწყინვალე ორგანიზატორს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საბჭოთა კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის განათლების მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს, საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენის კავალერს მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე.

თქვენ 1950 წლიდან ეწეოდით კომკავშირულ საქმიანობას, 1952-1954 წლებში მუშაობდით საქართველოს ალკკ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად, არჩეული იყავით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, 1958-1962 წლებში მოსკოვში მუშაობდით საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ იმუშავეთ საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად და მთელი ეს მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს კულტურისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისაკენ. თქვენ დიდი შრომა გასწიეთ ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

მადლობა თქვენ ამისათვის!

1972-1985 წლებში იყავით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. ამ წლებში საგრძნობლად განვითარდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალური დონე, რამაც გამოიწვია ქართული პედაგოგიური კადრის მომზადების მაღალი ხარისხი, მეცნიერულ-პედაგოგიკური მუშაობის აღმავლობა.

მადლობა თქვენ ამისათვის!

1986-1988 წლებში მუშაობდით საქართველოს განათლების მინისტრის თანამდებობაზე. ამ წლებში ფრიად წარმატებული იყო საქართველოს განათლების აღმავალი გზით სიარული. დიდი წვლილი შეიტანეთ საქართველოს სკოლების განვითარებასა და აღმშენებლობაში.

მადლობა თქვენ ამისათვის!

საქართველოს ძნელბედობის ჟამს, როცა ქართველ მეცნიერებს იმედი ჰქონდათ გადაწურული და თითქმის დეპრესიამდე იყვნენ მისულნი, თქვენი ინიციატივით და შემართებით შეიქმნა საქართველოს პედაგოგიურ (შემდგომში - განათლების) მეცნიერებათა აკადემია და 1995 წლიდან სათავეში ჩაუდექით მას. მაშინ აღორ-ძინდა და განმტკიცდა იმედდაკარგულ მეცნიერთა შემართება და ქართული მეცნიერება ახალი წარმატებებით წავიდა წინ.

მადლობა თქვენ ამისათვის!

თქვენ იკვლევდით და იკვლევთ უმაღლესი პედაგოგიური განათლების ორგანიზაციის, სკოლა-ინტერნატებში აღმზრდელობითი მუშაობის, პედაგოგიკის თეორიისა და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის აქტუალურ საკითხებს. შეგიქმნიათ მრავალი მეცნიერული შრომა, მათ შორის ხართ: პედა-გოგიკის აღიარებული სახელმძღვანელოს (თბილისი, 2000) ავტორი, „საქართველოს პედაგოგიური აზრის ანთოლოგიის“ (1987; მოსკოვი; რუსულენაზე) სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი, „პედაგოგიკის ისტორიის“ სახელმძღვანელოს (თბილისი, 1988) რედაქტორი და თანაავტორი, „საქართველოს განათლების მატიანეს“ (თბილისი, 2015) მთავარი რედაქტორი და თანაავტორი. ამ მეცნიერული შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში.

მადლობა თქვენ ამისათვის!

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „საქართველოს განათლების მატიანე“. თქვენ შემოიკრიბეთ ცნობილი მეცნიერები და თქვენი ინიციატივისა და უდიდესი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა ქართული განათლებისა და კულტურის ისტორიის ეს შედევრი. თქვენ მისი სულისჩამდგმელი ბრძანდებით და ამ შრომით საქართველოს ისტორიას თქვენ უტოვებთ დიდ ეროვნულ განძს.

მადლობა თქვენ ამისათვის!

მთელი თქვენი მოღვაწეობა, კომკავშირულ თუ პარტიულ საქმიანობაში, განათლების ორგანიზაციის ფრიად შრომატევად ფრონტზე თუ ქვეყნის ცხოვრების ურთულეს პერიპეტიებზე, ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პრინციპულობითა და მომთხოვნელობით. თქვენ მუდამ იყავით წარმატებული, ქართული ეროვნული კულტურის დამცველი და მედგრად იდექით სამშობლოს ღირსების სადარაჯოზე, ნაყოფიერად იღვწოდით ქართული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის აღმავლობის გზაზე.

მადლობა თქვენ ამისათვის!

მაშინ, როდესაც ბედის ანაბარა დარჩენილ დევნილ მეცნიერებს, ამბოკარსა და ბოგანოს, ხელი ჰქონდათ ჩაქნეული და არათუ მეცნიერული საქმიანობის, არამედ სიცოცხლის იმედიც კი გადაწურული ჰქონდათ, თქვენ მხსნელად მოევლინეთ მათ, ძლიერი სული შთაბერეთ და წარმატებათა გზაზე დააყენეთ.

მადლობა თქვენ ამისათვის!

ქალბატონო ნათელა, კიდევ და კიდევ გილოცავთ სახელოვან იუბილეს და გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს, სიხარულსა და ბედნიერებას თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან, თქვენ დიდ ოჯახთან ერთად!

კვლავაც ასეთი შემართებით გევლოთ!

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
აფხაზეთის განყოფილების სახელით,
პროფესორი **ჯემალ ჯინჯიხაძე**

აჭარის განყოფილება

ქალბატონო ნათელა!

მოგესალმებით და გილოცავთ თქვენ, პედაგოგიკის აღიარებულ მეცნიერს და პატრიარქს, საქართველოში განათლების მეცნიერების აკადემიის დამფუძნებელს და პრეზიდენტს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს, ღვაწლმოსილ ორგანიზატორს და უმშვენიერეს ქალბატონს, თქვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ თარიღს დაბადებიდან 90 წლისთავს.

ლამაზი, საინტერესო, შინაარსიანი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლეთ - ღირსებით, ჭეშმარიტი ქართველი ქალის ცხოვრებით ცხოვრობთ. აღზრდა-განათლების, მეცნიერების, სიკეთის, ადამიანების, ქვეყნის სამსახურში იღვწით და იხარჯებით როგორც ღვთის მადლით მირონცხებული, მაღალადამიანური ღირსებით შემკული, მოვალეობის ღრმა შეგნებით დატვირთული, კრისტალურად სპეტაკი პიროვნება, ჩინებული მეცნიერ-მკვლევარი, ორგანიზატორული და მართვის ნიჭით გამორჩეული ხელ-მძღვანელი.

წარმატებით იღვწოდით თბილისსა და მოსკოვში კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნად. ბევრი რამ გააკეთეთ ქალაქის ახალგაზრდობის ზნეობრივი პოტენციალის ამაღლებისა და მათი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბები-სათვის. წარმატებული იყო თქვენი შემოქმედებითი შრომა-საქმიანობა საქართ-ველოს განათლების მინისტრის და თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის) რექტორის პოსტებზე.

განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ თქვენი ნაყოფიერი, მუხლჩაუხრელი საქმიანობა საქართველოს განათლების აკადემიის დაარსებისა და

მისი მართვის პროცესში. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ აკადემიის _ მძლავრი სამეცნიერო დაწესებულების - წარმატებული ფუნქციონირებისათვის. თქვენი ხელმძღვანელობით აკადემია ცოცხალი პედაგოგიური აზრის ნამდვილ სამჭედ-ლოდ იქცა. თქვენი უშუალო თაოსნობით აკადემიის დაარსების პირველივე დღეებიდან გამოდის ჟურნალი „საქართველოს განათლების მოამბე“.

მთელი ცხოვრების განმავლობაში თქვენ უშრეტი ენერგიით ემსახურებით ქარ-თული პედაგოგიური მეცნიერების განვითარებას, იკვლევთ განათლების ისტო-რიის უნიშვნელოვანეს პრობლემებს, თქვენს კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი მეც-ნიერული ნაშრომი და კვლავაც განაგრძობთ სამეცნიერო კვლევით მოღვაწეობას. თქვენი ავტორობითა და რედაქტორობით რამდენჯერმე გამოვიდა სახელმძვა-ნელოები სტუდენტებისათვის პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში.

ჩვენ გვეამაყება, რომ ყმაწვილქალობა ქალაქ ბათუმში გაატარეთ, სწავლობდით ქალაქ ბათუმის №8 საშუალო სკოლაში, რომლის კურსის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძეთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თქვენს პიროვნებაში ჰარმონიულად არის შერწყმული ერთის მხრივ, ხელმ-ძღვანელის პრინციპულობა და მეორეს მხრივ, კოლეგიალური გულისხმიერება, სითბო და თანადგომა. თქვენი მეცნიერული და ორგანიზატორული ავტორიტეტი, აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლი სათანადოდ დააფასა ქართველმა ხალხმა. დაჯილდოებული ბრძანდებით ღირსების ორდერით, მედლებით, დიპლომებითა და საპატიო სიგელებით. ხართ აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი. ჩვენ გვსურს გამოვხატოთ უდიდესი პატივისცემა და სიყვარული თქვენდამი და გისურვოთ ხანგრძლივი ნაყოფიერი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ბედნიერება. დღეგრძელობა, სითბო და სიყვარული არ მოგკლებოდეთ თქვენი ლამაზი ცხოვრების გზაზე. გფარავდეთ უფლის სიკეთე და მადლი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აჭარის განყოფილება: პროფესორი ნოდარ ბარამიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ ნაკაშიძე, განათლების დოქტორი აკაკი ზოიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორები: ნოდარ ბასილაძე, პროფესორი მარინე არაშიძე, პროფესორი ლელა თავდგირიძე. ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე.

ქუთაისის განყოფილება

ქალბატონო ნათელა,

ღვაწლმოსილ მეცნიერს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, რუსეთის განათლების მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატს, მრავალი ორდენისა და მედლის მფლობელს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის განყოფილება გილოცავთ 90 წლის იუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ სიცოცხლეს.

დიდი და მნიშვნელოვანია წვლილი, რომელიც თქვენ შეიტანეთ პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში. მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება ქართულ განათლებას მიუძღვენით. რამდენიმე ათეული წელია მუხლჩაუხრელად ემსახურებით თეორიული პრობლემების კვლევასა და მათს პრაქტიკულ რეალიზაციას, ახალგაზრდა სპეციალისტთა და მეცნიერთა აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. ამ ხნის განმავლობაში თქვენი ძალისხმევით თაობები აღიზარდნენ და ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. ამაზე ნათლად მეტყველებს თქვენ მიერ გამოქვეყნებული მრავალი მონოგრაფია, სახელმძღვანელო თუ სტატია. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ: „საქართველოს პედაგოგიური აზრის ანთოლოგია“ (სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი), „პედაგოგიკის ისტორია“ (რედაქტორი და თანაავტორი), „პედაგოგიკა“ (ავტორი), წიგნი - „საქართველოს განათლების მატიანე“, რომელიც თქვენი იდეით, თანაავტორობითა და მთავარი რედაქტორობით შეიქმნა; ბრძანდებით არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი.

გამოვხატავთ რა უღრმეს პატივისცემას თქვენდამი, აღვნიშნავთ, რომ, მართალია, თქვენი სამეცნიერო - პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, მაგრამ მნიშვნელოვანია თქვენი ურთიერთობა საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და განსაკუთრებით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, დიდი წვლილი მიგიძღვით ქუთაისში სამეცნიერო პედაგოგიური კადრების აღზრდაში.

ქუთაისელებს გვეამაყება, რომ თქვენ დაიბადეთ და ბავშვობის წლები გაატარეთ ქალაქ ქუთაისში, თქვენს დედულეთში და პატარაობიდან, ვიდრე დიდ იუბილემდე, დღესაც ქუთაისი თქვენი სათაყვანებელი ქალაქია.

თქვენ ბრძანდებით ქართველი ქალის, დედის, მეუღლის, ბებიის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის საუკეთესო მაგალითი. შესანიშნავი პიროვნული თვისებებით გამორჩეული მეცნიერისგან არაერთ ახალგაზრდა მკვლევარს მიუღია მაღალკვალი-

ფიციური კონსულტაცია, არაერთი დამწყები სპეციალისტი დაგიკვალიანებიათ და მიგიციათ სწორი ორიენტირი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საყურადღებო გამოკვლევების ავტორს განვლილის შეჯამებასთან ერთად სამომავლოდაც ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი. გამოცდილება იმ ადამიანისა, რომელსაც ასეთი აქტიური და საინტერესო ცხოვრება აქვს, კვლავაც სასიკეთოდ წაადგება ჩვენი ახალგაზრდობის პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეს.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ამ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, რათა მრავალ წელს კვლავაც ნაყოფიერად ემსახუროთ ქართულ სამეცნიერო სკოლასა და მის წარმატებებში დაიდოთ წილი.

პატივისცემით,
აკაკი წერეთლის სახელმწიფოუნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი **როლანდ კოპალიანი**

საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის ქუთაისის განყოფილების
ხელმძღვანელი, პროფესორი **იმერი ბასილაძე**

ლეგენდა - სახელად ნათელა ვასაძე

მისი სახელის ხსენებისას გულში, უპირველესად, ერთი სიტყვა შემოიჭრება და შენდაუნებურად სწორედ ის სიტყვა განსაზღვრავს კიდევაც შენს დამოკიდებულებას ამ მართლაც განსაკუთრებული ქალბატონისადმი.

ლეგენდარული ნათელა ვასაძე, დიახ, ლეგენდარული და ამაში თითქოს არც არაფერია გასაკვირი, მითუმეტეს - სადაო. მისი მოღვაწეობა გასული საუკუნის საქართველოს განათლების სისტემის მონაპოვარი და ოქროს ხანაა, რომლის სიმაღლეც, აკადემიზმიც, საქმისადმი დამოკიდებულება, მოტივაცია, მოთხოვნილებები, ყველაფერი ერთად ქმნიდა არა მარტო იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშანს, ამასთანავე პიროვნების მთელ მოდელს, რომელიც ერთგვარ იდეალად იქცეოდა და ახალგაზრდობაც სიყვარულით მიაბიჯებდა ამ იდეალისაკენ სავალ გზაზე.

ქალბატონი ნათელა ვასაძე სწორედ ასეთი შუქურა იყო იმდროინდელი ახალგაზრდებისათვის. ის, ამასთანავე, იყო ერთგვარი სახე იმისა, როგორი უნდა ყოფილიყო განათლების დარგის ხელმძღვანელი მუშაკი, მუდამ ცხოვრების ავანგარდში მდგომი ქალი, მეუღლე, დედა, მეგობარი, მასწავლებელი, მკვლევარი...

არავინ დაობს იმაზე, რომ მისი რექტორობის დროს საქართველოს პირველი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი ყველასათვის სამაგალითო დაწესებულებას წარმოადგენდა. ამ წარმატების გზაზე უთუოდ იქნებოდა წინააღმდეგობებიც, ერთგვარი შერკინებებიც, მაგრამ სულით მტკიცე ქალბატონი ამას ყველაფერს არა მარტო უმკლავდებოდა, ამასთანავე, თავის თავში აჩუქურთმებდა მოღვაწე ქალის შთამბეჭდავ სახეს, რომლის ხიბლი დღესაც, ამდენი წლის შემდეგ, თუმცა მართლაც ლეგენდასავით, მაგრამ ისევ ცოცხლობს საქართველოში.

ყველაფერი შვენოდა: სიტყვის თქმა, თავის დაჭერა, გაღიმება, გავლა... მე მახსოვს, მისი გამოჩენისას განათლების სამინისტროში თითქოს კედლებიც კი სხივოსნდებოდნენ, შვენოდა იმ დიდებულ შენობას მისი დიდებული გარეგნობა, ჩაცმის აკადემიური სტილი, დამოკიდებულებები კოლეგებთან, მთელი ქვეყნის განათლების დარგის მუშაკებთან.

აი, ასეთი ლეგენდარული ქალბატონის იუბილეა დღეს. ვულოცავ, მეამაყება, მინდა კიდევ დიდხანს იცოცხლოს!

ლეგენდა, სახელად ნათელა ვასაძე კი მისგან დამოუკიდებლად კიდევ დიდხანს გაყვება თაობიდან თაობას!

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

იუბილარს ულოცავენ ყოფილი სტუდენტები

ნათელა ვასაძე - მასწავლებელთა მასწავლებელი

2015 წელს საქართველოს განათლების მუშაკები და მათთან ერთად ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური საზოგადოება აკადემიკოს ნათელა ვასაძის 85 წლის საიუბილეო თარიღის საზეიმო აღნიშვნას ელოდნენ. ქალბატონ ნათელას საიუბილეო ღონისძიების ჩატარების წინადადებით მის მიერ დაარსებული განათლების მეცნიერებათა აკადემიის პეზიდიუმმა მიმართა, მაგრამ გაჭირვებულ ქვეყანაში იუბილეების გამართვა ქალბატონ ნათელასთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამასთან ერთად, იმხანად ქალბატონი ნათელა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისადმი მიძღვნილ საქართველოს განათლების მატიანეს შედგენა-გამოცემას ედგა სათავეში.

ამის შემდეგ გავიდა კიდევ ხუთი წელი და ქალბატონი ნათელა 90 წლის გახდა, მაგრამ მისი პოზიცია კვლავ უცვლელია, იუბილეზე ამჯერადაც უარი განაცხადა. თუმცა აკადემიურ საზოგადოებას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებაზე უარი ვერ აკადრა. ამით ისევ ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს გაუფრთხილდა.

სწორედ აკადემიკოს ნათელა ვასაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე ბევრი ითქვა იუბილარის სახელმწიფო-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მეცნიერულ მიღწევებზე და მის უნიკალურ ლიდერულ თვისებებზე, ამიტომ ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ და ამჯერად მხოლოდ ქალბატონ ნათელასთან ურთიერთობაში ჩემი სტუდენტური ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ.

საყოველთაოდ ცნობილია 1978 წლის აპრილში საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განხილვა-დამტკიცებასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. მაშინ თბილისის ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფლოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით კონსტიტუციის პროექტი ყველა ფაკულტეტზე განიხილებოდა.

ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე კონსტიტუციის პროექტის განხილვამდე შედგებოდა, ჩემი კურსის სტუდენტებმა დავწერეთ მიმართვა: „მხარს ვუჭერთ წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტს, მაგრამ გვაქვს ერთი შენიშვნა - კონსტიტუციის 75-ე მუხლში დაკანონდეს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი“. ეს მოთხოვნა წარუვუდგინეთ დეკანატს, აქედან კი რექტორამდე მიაღწია.

ჩვენს პეტიციას, ყველამ ანბანის რიგზე მოვაწერეთ ხელი. გვარის გამო პირველი ხელმოწერა მე მხვდა. ხელმომოწერთა შორის გამოგვარჩიეს ორი ფრიადოსანი სტუდენტი და წარგვადგინეს ინსტიტუტის რექტორთან.

ჩვენ შეხვედრას ქალბატონ ნათელა ვასაძესთან ესწრებოდნენ ქართული ენის პროფესორები, ცნობილი მეცნიერები: ლეო კვაჭაძე, ალექსანდრე ღლონტი, ვალერიან

რამიშვილი და ინსტიტუტის პარტიული კომტეტის მდივანი თამაზ კარანაძე. რექტორთან შეხვედრამ მწვავე კამათში ჩაიარა, რომელიც შემდეგ ფაკულტეტის საერთო კრებაზე გაგრძელდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში სტუდენტთა საერთო ეროვნულმა გამოსვლამ საკავშირო ხელისუფლება აიძულა უკან დაეხია და ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი აღედგინა. ამ პროცესებში აქტიურობის გამო რიგითი სტუდენტის პირობაზე საკმაოდ პოპულარული გავხდი მთელ ინსტიტუტში. მეორე კურსის დასრულებისას, როგორც ფრიადოსანი და აქტიური სტუდენტი, ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ჭოლა თევზაძემ ლენინურ სტუპენდიაზე წარმადგინა. თუმცა იმედი არ მქონდა, მეგონა რექტორი „პეტიციას“ გამიხსენებდა და წარდგინებას არ დაამტკიცებდა, მაგრამ შევცდი. რექტორმა თანხმობა განაცხადა და სტიპენდია დამენიშნა, რაც მაშინ სტუდენტისთვის არც თუ ცოტა, თვეში 100 მანეთი იყო.

კიდევ ერთი შემთხვევაა ჩემთვის დაუვიწყარი, რაც ისევ ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრობლემებს უკავშირდებოდა:

ჩემი სტუდენტობის დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში (ფიზიკის აუდიტორიაში) ყოველკვირეულ საჯარო ლექციას მართავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე. მის ლექციებს უამრავი ხალხი ესწრებოდა, განსაკუთრებით სტუდენტები აქტიურობდნენ. ჩემ მეგობრებთან ერთად მეც სისტემატურად ვესწრებოდი ასეთ შეკრებებს.

ერთი ასეთი ლექციის დროს ჩამოატარეს პეტიცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელზე. პეტიციაზე ხელის მომწერები მოითხოვდნენ რესტარვირებული შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსის საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემას. პეტიცია-მიმართვაზე, სხვებთან ერთად, მეც უყოყმანოდ მოვაწერე ხელი. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ კვირაში, ინსტიტუტის პრორექტორთან გამომიძახეს, სადაც ორი უცნობი მამაკაცი დამხვდა. როგორც შემდეგ გავარკვიე, ისინი სახელწიფო უშიშრობის კომიტეტის („კაგებეს“) ოფიცრები ყოფილან. მათ აინტერებდათ პეტიციაზე ხელისმომწერები. დაკითხვები რამდენიმე კვირას გაგრძელდა, შემდეგ რაღაც ბარათი შემიდგინეს და თავი დამანებეს.

რა კავშირი აქვს ამ ამბავს პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელ რექტორთან? კავშირი პირდაპირია - დარწმუნებული ვარ, თავს არავინ დამანებებდა და ინსტიტუტიდან ჩემი გარიცხვის საკითხიც დადგებოდა, ქალბატონი ნათელა რომ არ გამომქომაგებოდა. და კიდევ ერთი, რექტორმა სწორედ აქ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა ჩემი მომავალი ცხოვრება:

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, პედაგოგიკის კათედრის გამგემ, პროფესორმა ვლადიმერ გაგუამ შემომთავაზა სწავლის გაგრძელება ასპირანტურაში. მეც მოვამზადე საბუთები და განცხადება შევიტანე ასპირანტურაში გამოცდებზე დაშვების თხოვნით. მაშინ განცხადებას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე იხილავდნენ, სადაც

წყდებოდა გამოცდებზე დაშვების საკითხი. ჩემი განცხადების განხილვისას, საბჭოს ერთ-ერთმა პროფესორმა (საზმეცნიერების წარმომდგენელმა) უარყოფითად დამახასიათა. პეტიციაზე ჩემი ხელმოწერის ამბავი სცოდნია და სამეცნიერო საბჭოს მოუწოდა, ჩემთვის, როგორც „კაგებეს“ აღრიცხვაზე მყოფისთვის, მისი შეფასებით „ანტისაბჭოთა ელემენტისთვის“, ასპირანტურაში სწავლის უფლება არ მოეცათ. მაგრამ ბევრისთვის გასაკვირად, რექტორმა ეს უმნიშვნელო დეტალად მიიჩნია და განმარტა, რომ ავთანდილი წარჩინებული სტუდენტი და ღირსეული ახალგაზრდაა, სწორედ ასეთი ახალგაზრდები უნდა მოვიდნენ მეცნიერებაშიო. ამის შემდეგ ვინ დარჩებოდა წინააღმდეგი. გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს და მეც შევუდექი პედაგოგიკის მეცნიერების ვიწრო ბილიკებს.

ამგვარი „სტუდენტური გადახრები“ სხვაც ბევრი ყოფილა. მაგალითად, რექტორი ეწინააღმდეგებოდა გოგონების შარვლით სიარულს და ვაჟების გრძელ თმას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ის დარწმუნდა, რომ ეს ახალგაზრდობის ახალი მოდად იქცა, თავად ჩაიცვა შარვალი და ისე მოვიდა ინსტიტუტში. მეორე დღიდან არა მარტო სტუდენტი გოგონები, არამედ თითქმის ყველა ქალი თანამშრომელი შარვლით გამოგვეცხადა. აი, ასე უჭერდა ის მხარს სტუდენტების კეთილ წამოწყებას და სურვილს, რასაც ჩვენ შინაგანად ვგრძნობდით და დღესაც მადლიერნი ვართ.

სხვა ბევრი რამის გახსენებაც შემიძლია ჩემი სტუდენტური სამზერიდან, რაც ქალბატონ ნათელას უკავშიდება. ყველა მათგანი გაჟღენთილია დიდი პედაგოგიური ტაქტით, თანადგმით და დედობრივი სიყვარულით, რაც თვისობრივი მახასიათებელია ჩვენი იუბილარისთვის. ეს ორი ეპიზოდები მხოლოდ იმ ნიშნით გამოვამზეურე, რომ მკითხველმა სრულად წარმოიდგინოს, თუ რა სულისკვეთების მატარებელი იყო, ერთი შეხედვით, კომუნისტური იდეოლოგიის სტანდარტებში მოქცეული ხელმძღვანელი.

რაოდენ დიდი წნეხის ფასად ახერხებდა ქალბატონი ნათელა ეროვნული საქმეების კეთებას და პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი ახალგაზრდობის თანადგომას, ამას ისტორია მას არ დაკარგავს. თავად იუბილარს მის დამსახურებაზე საუბარი არ მოსწონს. თუმცა გამორჩეული ადამიანების ცხოვრების მაგალითები მხოლოდ მათი საკუთრება არ არის, იგი ხალხის საკუთრებაა და საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებას და წინსვლას ემსახურება. სწორედ ასეთია ჩვენი იუბილარი - აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, რომელიც ათწლეულების გამნავლობაში იღწვის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის აღზრდისა და პროფესიული დაოსტატებისათვის. როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთ კლასიკოსს სამართლიანად უწოდებენ გერმანელ მასწავლებელთა მასწავლებელს, ასევე ქალბატონ ნათელა ვასაძის შესახებაც თამამად უნდა ვთქვათ, რომ იგი ჭეშმარიტად არის ჩვენი დროის ქართველ მასწავლებელთა მასწავლებელი.

ავთანდილ ასათიანი
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
თანაპრეზიდენტი, პროფესორი

აკადემიკოსი ნათელა ვასაძე 90 წლისაა

ეს სახელი და გვარი კარგად ახსოვს უფროს თაობას. მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, ვინც ქალბატონო ნათელას რექტორობის პერიოდში ეზიარა მასწავლებლის პროფესიას.

ქალბატონმა ნათელამ ცხოვრების დიდი გზა განვლო, მაგრამ განსაკუთრებით გამორჩეული იყო ა.ს.პუშკინის სახ.სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორობა (1972-1985), საქართველოს განათლების მინისტრობა (1986-1988), საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის პრეზიდენტობა. ქალბატონ ნათელას დიდი ძალისხმევით 2015 წელს გამოვიდა საქართველოს განათლების სისტემის სრული აღწერა-მონოგრაფია "საქართველოს განათლების მატიანე"(ქართულ და ინგლისურ ენებზე).

1 აგვისტო ქალბატონი ნათელას დაბადების დღეა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სახელით, დიდი პატივისცემით, მოკრძალებით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

სერგო ვარდოსანიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ნათელა ვასაძე – ცნობილი მეცნიერი, ღირსეული პიროვნება, დიდებული ქალბატონი

ქალბატონო ნათელა, გილოცავთ დაბადებიდან ოთხმოცდამეათე წელს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

თქვენ ის გამორჩეული მეცნიერი ბრძანდებით, რომელმაც სიცოცხლეშივე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეთ ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში და ვისი განვლილი ცხოვრების გზაც მრავალი თაობისათვის მისაბაძი და სამაგალითოა.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, როგორ უნდა დაძლიოს ადამიანმა წინააღმდეგობა და როგორ მიაღწიოს წარმატებას.

თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, ვისაც აქვს მეცნიერისათვის დამახასიათებელი კვლევის უნარი, ორგანიზატორული ნიჭი, ნებისყოფა, რთული პრობლემების გადაჭრის უნარი. კოლეგებისა და ახალგაზრდებისათვის თქვენი სახელმძღვანელოები და სტატიები მნიშვნელოვანი გზამკვლევია პედაგოგიკის მეცნიერების უკიდეგანო სივრცეში.

მე თქვენი რექტორობის პერიოდში ვიყავი სტუდენტი, პედაგოგიკის კათედრის ასპირანტი და შემდეგ კი წილად მხვდა ბედნიერება ვიყო თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსებული საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

კარგად მახსოვს, თქვენი რექტორობის დროს გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელი იყო პედაგოგიური ინსტიტუტი სწავლების მაღალი დონით, ცოდნისა და ნიჭის დაფასებით. მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები თუ წარმატებას ვაღწევთ პედაგოგიკის მეცნიერებაში, უდაოდ თქვენი დამსახურებაცაა. მეც ერთი იმათგანი ვარ, ვისაც გზა დაულოცეთ პედაგოგიკის მეცნიერებაში; ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვას თქვენ ხელმძღვანელობდით, რადგან სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებოდით.

ქალბატონო ნათელა, თქვენ ჰუმანურობასა და დიდსულოვნებაზე მიუთითებს ის, რომ როცა რექტორი ბრძანდებოდით ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო მოემართა რჩევისათვის, დახმარებისათვის, როგორც საკუთარი მშობლისთვის პირადი პრობლემების მოსაგვარებლად და შედეგიც ყოველთვის დადებითი იყო.

მართლაც საოცარი პიროვნება ბრძანდებით იმით, რომ როცა იგებთ სხვის გასაჭირს გულთან ახლოს მიგაქვთ და ცდილობთ დახმარებას. ასეთი კეთილი საქმეების კეთება კი მხოლოდ ჭეშმარიტ ინტელიგენტს, მაღალი შეგნების და დიდი სულიერი კულტურის პიროვნებას შეუძლია.

უდიდესი პატივისცემით გილოცავთ ღირსეულ იუბილეს.

ლია მენთეშაშვილი
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე–პრეზიდენტი, პროფესორი

განსაკუთრებული პიროვნება

სამაგალითო ადამიანი, მრავალი ახალბედა მასწავლებლის, უამრავი ახალგაზრდის დაუღალავი და უღალატო გზამკვლევი, დიდებული პიროვნება, უძვირფასესი ოჯახის დედა, შვილიშვილების და შვილთაშვილების საუკეთესო ბებია, არაჩვეულებრივი მეცნიერი, მკვლევარი და მეგობარი.

გასული საუკუნის საქართველოს განათლების დარგის ხელმძღვანელი მუშაკის ერთერთი მისაბაძი სახე იყო ქალბატონი ნათელა ვასაძე. ქალბატონი ნათელა ერთადერთი ქართველი ქალია, რომელიც კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივნად იყო არჩეული და მავზოლეუმის ტრიბუნაზე დგომა ერგო პატივად, იყო სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ვიცე - პრეზიდენტი. ის არის პირველი ქალი, რომელიც საქართველოში დაინიშნა უმაღლესი სასწავლებლის რექტორად. მისი რექტორობის პერიოდში დამკვიდრდა ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აღორძინების ხანა და ინსტიტუტი გახდა ერთერთი მოწინავე იმ დროის უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

ქალბატონ ნათელას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს განათლების სისტემის შეუფერხებელ და წარმატებულ ფუნქციონირებაში. მის ხელში გამოზრდილმა უამრავმა სპეციალისტმა წარმატებით დაიმკვიდრა თავი სხვადასხვა სფეროში პროფესიული საქმიანობით და მეც მეამაყება რომ ვარ ამ დიდი ჯარის ერთერთი „პუშკინელი“.

რექტორისათვის განსაკუთრებული ფიქრისა და ზრუნვის საგანი ყოველთვის სტუდენტი იყო. მას არა მხოლოდ სწავლა-განათლება, არამედ მათი პირადი ცხოვრებაც გულთან მიტანილი ჰქონდა.

ამის მაგალითად მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებ. მასთან მიღებაზე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი მივიდა განცხადებით სტუდენტთა სიიდან ამორიცხვის შესახებ. საუბრის დროს გაირკვა, რომ ის და მისი მეუღლე თანაკლასელები იყვნენ. სწავლის დამთავრების შემდეგ ვაჟი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. გოგონა მას სიყვარულით და ერთგულებით დაელოდა. ჯარიდან დაბრუნებისთანავე შეუღლდნენ. ვაჟი პუშკინის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტიც გახდა. გავიდა 3 წელი, მათ არ უჩნდებოდათ შვილი. ბევრი ფიქრის შემდეგ დაგაწყვიტეს ქალაქ კრასნოდარში წასვლა, ვინაიდან იქ მიასწავლეს მკურნალი ექიმი, ხოლო ვაჟს ქარხანაში მუშის ადგილი დაპირდნენ. რექტორის თხოვნით მეორე დღეს ვაჟმა თავისი მეუღლე მიიყვანა მასთან. გულახდილი და თბილი საუბრის შემდეგ ქალბატონმა ნათელამ დაურეკა მეან-გინეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს კონსტანტინე ჩაჩავას და სთხოვა საკითხში გარკვევა და დახმარება. შეხვედრიდან ზუსტად ერთი წლის თავზე მათ შეეძინათ ლამაზი გოგონა, რომელსაც დაარქვეს

ნათელა. ვაჟმა წარჩინების დიპლომით დაამთავრა ინსტიტუტი, ხოლო რექტორთან მადლობის სათქმელად ჩამოვიდნენ ვაჟის მშობლები საჩხერის რაიონის სოფლის სკოლის წარჩინებული მასწავლებლები.

მე არ შემიძლია ქალბატონ ნათელას დიდი მოკრძალებით და მადლიერებით ერთხელ კიდევ თავი არ დავუხარო ჩემზე გაწეული ამაგისათვის. მისაღებ გამოცდების წინა დღეებში მოულოდნელად გარდამეცვალა მამა - კომპოზიტორი ირაკლი გიგაური. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე, როდესაც მე თავად უკვე მამა ვარ, არ არსებობს ჩემს ცხოვრებაში ლხინი თუ სიძნელე, რომ ქალბატონი ნათელა არ იდგეს ჩემს გვერდით.

ჩვენ, ყოფილ პუშკინელებს, თან მოგვაქვს ის დიდი ზრუნვა და ამაგი, რომელიც მას, როგორც რექტორს, აუცილებელ პირობად მიაჩნდა ჩვენი ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. ეს გამოიხატებოდა ჩვენდამი სითბოთი, სიყ-ვარულით, ურთიერთპატივისცემით, რომელიც სუფევდა ინსტიტუტში. თავდა-პირველად მისთვის ჩვენს მიერ სწავლისადმი დამოკიდებულება იყო, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საინსიტუტო გარემოს, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით. მაგალითისათვის დავასახელებ მხოლოდ ერთ ფაქტს - ინსტიტუტის ეზოს. რექტორმა შრომის მასწავლებელ გოგი რუსეიშვილთან ერთად ცარიელი ხრიოკი ულამაზეს ბაღნარად აქცია. ერთ კუთხეში ყაზბეგიდან ჩამოტანილი შავი ფილაქანით ულამაზესი წყარო გაკეთდა, მასთან დარგულმა ტირიფებმა სულ მცირე დროში დაამშვენეს იქაურობა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაკვირვებული დარჩა რექტორის თხოვნით გამოეყოთ ინსტიტუტის-თვის ბეტონის სარწყავი სამი არხი. როდესაც ქალბატონმა ნათელამ აუხსნა მათ რისთვის სჭირდება არხები, ათი დღის განმავლობაში ეზოში გამავალი სამივე კორპუსის კედლის გასწვრივ არა მხოლოდ არხები დაამონტაჟეს, არამედ რამდენიმე ტონა საყვავილე მიწა მოიტანეს და შეავსეს ისინი.

რექტორი არც საკუთარ მამას მოერიდა და მიუხედავად მისი დიდი დამსახურებისა, იგი საქართველოს სამხედრო კომისარი იყო, გურიიდან ჩამოატანინა ყურძნის „ადესას“ ნერგები და ორი მშვენიერი ტალავერი შეემატა ეზოს. ხუთი წლის შემდეგ, თადარიგში გასულმა პოლკოვნიკმა შალვა ვასაძემ მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის პირველ რთველში.

ყველაზე ღირებული ამ საქმეში იყო ის, რომ ყოველივე ეს კეთდებოდა თავად სტუდენტების, მასწავლებლების და თანამშრომლების ხელით. დღესაც გაოცებული ვიგონებ ფაქტს, როდესაც ინსტიტუტში მომუშავე დამლაგებელს ხელფასის უწყისში ეწერა - დამლაგებელი, ინსტიტუტის რეალობაში კი ის იყო დიასახლისი სართულის, დარბაზის, საპროფესოროს და ა.შ.

ყოველი სიკეთე, სიახლე და სილამაზე კეთდებოდა დიდი პასუხისმგებ-ლობით და სიყვარულით, არავის უკვირდა, რომ ხშირად ხედავდნენ თავად რექტორს ბარით, ჩაქუჩით, ჩვარით ხელში.

ქალბატონი ნათელა ბევრ წინააღმდეგობას და პერიპეტიას შერკინებული გაუმკლავდა. განათლების მინისტრად ყოფნის დროს მომიწია მასთან მუშაობა და დღესაც ყველა ყოფილი თანამშრომელი უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით იხსენებს მის სამაგალითო თავდაჭერას, კოლეგიალობას, სიტყვა-პასუხს და კომპეტენტურობას. დაუვიწყარია მისი დამოკიდებულება და ყურადღება ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის მოამაგეთა მიმართ.

დღეს ამ დიდებული ქალბატონის იუბილეა და მე მუხლმოდრეკილი ქედს ვიხრი მის წინაშე. საუკეთესო სურვილებით ვულოცავ საიუბილეო თარიღს. მადლობა მას ყველაფრისათვის. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს გახარებული თავისი მადლიერი აღზრდილებით და ლამაზი დიდი ოჯახით.

ვაჟა გიგაური
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის წევრი, პედაგოგიკის დოქტორი

გასახსენებელი ძალიან ბევრია

ქალბატონო ნათელა, მე თქვენს ხელში დავფრთიანდი და ავიდგი ფეხი პედაგოგიკურ მეცნიერებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თქვენს ხელში ვეკურთხე ჯერ ასპირანტად და სრულიად ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატად, შემდეგ კი - ლექტორად და დოცენტად.

თქვენ მხოლოდ კვალიფიციურობით, ობიექტურობით, სამართლიანობითა და მიუკერძოებლობით კი არ გამოირჩეოდით, საოცრად დახვეწილი, გემოვნებიანი და მომხიბლავი ქალბატონიც ბრძანდებოდით. თქვენი გარეგნობა, ჩაცმულობა, საუბრის მანერა, თავდაჭერა მისაბაძი იყო ჩვენთვის, ახალბედა ლექტორებისათვის.

თქვენს სამართლიანობასა და ობიექტურობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მე ერთ რამეს დავამატებდი: თქვენ, ერთი შეხედვით საოცრად მკაცრი და მომთხოვნი ქალბატონი, ამავე დროს დიდი ჰუმანიზმითა და სიკეთით გამოირჩეოდით. მქონდა პატივი, სრულიად ახალგაზრდა მიგეწვიეთ მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ვისაც კი უმუშავია ამ წლებში თქვენთან, ყველამ იცის, როგორი ობიექტურობითა და სამართლიანობით გამოირჩეოდა ეს გამოცდები. მხოლოდ ღირსეულნი ხდებოდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. კომისიის წევრებს კი ოდნავ გადაცდომასაც არ გვპატიობდით.

...მისაღები გამოცდების ბოლო დღე იყო, 80-იანი წლების დასაწყისი, მექრთამეობასთან და პროტექციონიზმთან ბრძოლის წლები (თუმცა ჩვენს ინსტიტუტში მაშინ ამას ვინ გაბედავდა!)...

ქართულის ნაწერებს ვასწორებდით. იმ დღეს ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობის აბიტურიენტები აბარებდნენ წერით გამოცდას ქართულ ენაში. ნაწერების

გასწორება დავამთავრე და უწყისში გადამქონდა შეფასებები. უწყისში კი აბიტურიენტის გვარიც ჩანდა და წინა გამოცდებზე მიღებული შეფასებებიც. ვხედავ, ერთ აბიტურიენტს, რომელსაც წერით გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასება „ცუდი“ დავუწერე, წინა სამ გამოცდაზე მათემატიკასა და ფიზიკაში „ფრიადი“ შეფასებები უწერია. ხელი არ მომიბრუნდა უწყისში მისთვის უარყოფითი შეფასების გადასატანად. არც კომისიის თავმჯდომარისთვის რაიმეს თხოვნას ჰქონდა აზრი. ჰოდა, მოვკიდე ხელი ამ ნაწერს და თქვენ გეახელით.

არ მეშინოდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. მეშინოდა და მერე როგორ! როგორ დაგიმტკიცებდით, რომ აქ მე პირადი ინტერესი არ მამოძრავებდა და ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი მინდოდა დამეცვა! შეიძლებოდა, მაშინ ამ ნაბიჯს მთელი ჩემი მომავალი პედაგოგიური კარიერა შესწირვოდა!

გაჩვენეთ ნაწერი.

- რამე უსამართლობას აქვს ადგილი? ტყუილად ხომ არ დავჩაგრეთ ვინმე? - მკითხეთ თქვენთვის ჩვეული მშვიდი ტონით.

- არა, მართლაც სუსტი ნაწერია, მაგრამ წინა შეფასებები მათემატიკასა და ფიზიკაში სულ „ფრიადები“ აქვს ამ აბიტურიენტს.

დახედეთ ნაწერს, მდივანს ამ აბიტურიენტის პირადი საქმე მოატანინეთ.

დღეს არ მახსოვს მისი გვარი, ვაჟი იყო, მაღალმთიანი სოფლის სკოლა ჰქონდა დამთავრებული, ატესტატში სულ მაღალი ნიშნები ეწერა, ქართულში ჰქონდა ერთადერთი „სამიანი“.

თითქოს თქვენთვის ჩაილაპარაკეთ:

- ეტყობა, ქართულის მასწავლებელი არ უვარგოდა ამ გაჭირვებულს! ბალაბანოვი (მათემატიკოსი იყო) და მიქაძე (ფიზიკოსი) ბავშვს „ფრიადზე“ რომ შეაფასებენ, ე. ი. ის მართლა კარგია. ქართულს კი აქ ვასწავლით კარგად.

მერე მე მომიბრუნდა:

- როგორ ფიქრობ, გვაძლევს ნაწერი იმის შესაძლებლობას, რომ ავუწიოთ შეფასება? „დამაკმაყოფილებელს“ დაუწერ? ისიც ხომ გესმის, რომ ახლა ჩვენ არასწორად ვიქცევით?

თავი ჩავღუნე. გული ამოვარდნაზე მქონდა:

- ერთხელ კიდევ გადავხედავ ნაწერს, შეიძლება, ზედმეტად მკაცრად გავასწორე. ვნახავ, თუ შეიძლება რაიმე დახმარება.

გამოვედი და მომეჩვენა, რომ რაღაცნაირი სითბოთი და მოწონებით გამომაყოლეთ თვალი. ან ალბათ ასეიყო, ვინ იცის?!

ფაქტია, რომ ჩაირიცხა ის აბიტურიენტი.

ნათელა მაღლაკელიძე

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი,

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოთარ ჟორდანია - 80

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ ჟორდანიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

პროფესორი ოთარ ჟორდანია საქართველოს ულამაზესი მხარის, აფხაზეთის მკვიდრია. დაიბადა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. მოქვში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა აფხაზეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია - ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისტორიის სპეციალობით. 1963 წელს, ინსტიტუტის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ, გიორგი ძიძარიას რეკომენდაციით, სწავლა გააგრძელა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში უახლესი ისტორიის მიმართულებით. სადაც წარმატებით დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი და იმავე ინსტიტუტში დატოვეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გასაგრძე-

ლებლად. 1973-1993 წლებში ბატონი ოთარი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში.

ოთარ ჟორდანიას სამეცნიერო-პედაგოგირ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსტეტის) ხელმძღვანელობის პერიოდს, როდესაც სრულად გამოვლინდა მისი, როგორც ნიჭიერი ხელმძღვანელისა და მეცნიერების ორგანიზატორის, შესაძლებლობები. 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომის პირველი ეტაპის შემდეგ, აფხაზეთიდან ეთნიკური ქართველების მასობრივი გამოდევნის შემდეგ, ოთარ ჟორდანიამ შეძლო თბილისში აღედგინა უნივერსიტეტი და გაეგრძელებინა ის მრავალწლიანი სასწავლო-სამეცნიერო და პედაგოგიური ტრადიცია, რომელიც სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტსა და შემდგომში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გააჩნდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის სოხუმის ფილიალის (2007 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის) თანამედროვე ტიპის უნივერსიტეტად ჩამოყალიბების საქმეში.

დღეს პროფესორი ოთარ ჟორდანია არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი და აღნიშნულ პოსტს ის 2007 წლიდან იკავებს. სამეცნიერო-პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებთან ერთად ოთარ ჟორდანია აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. იგი არის საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტიც.

ოთარ ჟორდანიას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოში სოციალური მოძრაობის ისტორიის კვლევას. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომები - საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები _ სოციალურ თემებს, საქართველოში საგლეხო რეფორმის წინაპირობებს, მისი მომზადებისა და განხორციელების ეტაპებს ეხება. ამ მიმართულებით ავტორმა გამოავლინა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა არაერთი საინტერესო საარქივო - დოკუმენტური მასალა.

ოთარ ჟორდანია დაინტერესებულია სამხედრო ისტორიის, განსაკუთრებით 1801-1917 წლებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ) ქართველი სამხედრო მოღვაწეების ბიოგრაფიებისა და სამხედრო საქმიანობის კვლევით. ამ თვალსაზრისით სანტერესოა მის ნაშრომები: „საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები (1919-1921 წწ)“, „ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის: დოკუმენტური მასალა 1918-1919 წ.წ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში წმინდა გიორგის ჯვრითა და წმინდა გიორგის მედლით დაჯილდოებულ მეომართა შესახებ“, „ქართველები კავკასიის არმიის გენერალიტეტში (1801-1900 წწ.)“, „ქართველები რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ)“

(თანაავტორობით), „ფალერისტიკის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის საქართველოში (1918)“, „წმინდა გიორგის ორდენის ქართველი კავალრები“ (1812-1814 წწ)“ (თანაავტორობით) და ა. შ.

ოთარ ჟორდანიას სამეცნიერო კვლევის ინტერესებს წარმოადგენს ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევები, შრომები, რომლებიც ეძღვნება ცნობილ მეცნიერებს, ისტორიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს: მარიამ ლორთქიფანიძეს, რევაზ კიკნაძეს, სიმონ ესაძეს, ლევან თოიძეს, დიმიტრი გულიას, ლორიკ მარშანიას, ზურაბ ანჩაბაძეს, ირაკლი ანთელავას, ივანე გეგიას, ევგენი ვეიდენბაუმის ინტერესებს საქართველოში, ისტორიკოს ალექსანდრ მუსინ - პუშკინის მოღვაწეობის ისტორიას და ა. შ. ამ სახის ნაშრომებში ავტორი ეხება არამარტო მეცნიერული ისტორიოგრაფიის ჟანრობრივ თავისებურებათა კვლევას, არამედ უახლოესი წარსულის ისტორიულ სახეებსა და პერსონაჟებს, რომლებმაც თვალსაჩინო კვალი დატოვეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

პროფესორ ოთარ ჟორდანიას, როგორც პროფესიონალ ისტორიკოსსა და მეცნიერს, გაზრდილი ჰყავს არაერთი ახალგაზრდა მეცნიერი - ისტორიკოსი. იგი არის 150-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. მეცნიერის საქმიანობა სათანადოდ არის დაფასებული ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ, მას ორჯერ მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (1976, 1996 წწ), დაჯილდოვებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო სიგელით, 1998 წელს გადაეცა ღირსების ორდენი, ხოლო 2003 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი.

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ თავის ცხოვრებასა და საქმიანობას საზოგადოების განვითარებას უძღვნიან. მათი პირადულიც კი საზოგადოა, რადგან საზოგადო არის ამავე დროს მათი პირადი ისტორიაც. მათ თაობები ემადლიერებიან გზის გაკვალვისთვის, მხარდაჭერისთვის და მოტივაციისთვის. სწორედ ასეთ იშვიათ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება პროფესორი ოთარ ჟორდანია, რომელიც სამაგალითოდ დარჩება თაობათა მეხსიერებაში.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის” რედაქცია გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს ოთარ ჟორდანიას დაბადების მე-80 წლისთავს, ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს, წარმატებულ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

არნოლდ გეგეჭკორი- 80

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ქართული საქმის ერთგულ ჭირისუფალს, პროფესორ არნოლდ გეგეჭკორს დიდი პატივისცემით მიესალმება და დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, აკადემიის თითოეული წევრი.

პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი, ბიოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს წევრია. ავტორია 300-ზე მეტი ნაშრომისა, მათ შორის 12 მონოგრაფიის, საშუალო სკოლის 5 და უმაღლესი სკოლის 2 სახელმძღვანელოსი, აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებული 700-მდე სტატიისა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა უცხოეთშიც: მელბურნის მონაშის, სიდნეის (ახალი სამხ. უელსი), ოკლენდის (ახალი ზელანდია), ნაირობის(კენია), გრეიფსვალდის (გერმანია) და სხვა უნივერსიტეტებში (ყველას

ჩამოთვლა ძნელია). მოწვეული მკვლევრის სტატუსით იმყოფებოდა კალიფორნიის (აშშ), სიდნეის, მეხიკო-სითის(მექსიკა), კიტოს (ეკვადორი), დარ-ეს-სალამის(ტანზანია) უნივერსიტეტებში, ტანზანიის ეროვნულ პარკში და სხვ.

პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის მოღვაწეობა მრავალი სახელმწიფო ჯილდოთია აღნიშნული, მათ შორის: ღირსების ორდენით(ორჯერ - 1999წ., 2013წ.), "ბუნების დამცველის" ორი ოქროს მედლით(1985წ.,1994წ.), ივ. ჯავახიშ-ვილის მედლით(2000წ.); ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სიგელითა და საიუბილეო ოქროს მედლით (2020წ.) დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა(IBC) იგი 2000-2001 წლის საერთაშორისო პიროვნებად აღიარა, რაც აღინიშნა სათანადო დიპლომითა და ღირსების ვერცხლის მედლით. დაჯილდოებულია სახელმწიფო, იაკობ გოგებაშვილის (I ხარისხის) და პეტრე მელიქიშვილის პრემიებით. არის ოთხი საზოგადოებრივი აკადემიის აკადემიკოსი, სხვადასხვა კულტურული და სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი.

მისმა მრავალმხრივმა საქმიანობამ, მეცნიერებისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა და გმირულმა თავგანწირვამ არნოლდ გეგეჭკორი ლეგენდარულ პიროვნებად აქცია. ასეთი ადამიანების მიმართ ყოველთვის დიდია საზოგადო-ებრივი ინტერესი, განსაკუთრებით თავად მისი ნაამბობისა და ცხოვრების ინტიმურ-ყოფითი საკითხებისადმი.

ამიტომ ვარჩიეთ მეცნიერის 80 წლის იუბილე მასთან დიალოგით აღვნიშნოთ.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მოღვაწეს ესაუბრა განათლების აკადემიის აკადემიკოს-მდივანი,პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი:

ლ.ბ.: ბატონო არნოლდ, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მოამბე", №11, 2010წ., თქვენი დაბადების 70 წლისთავთან დაკავში-რებით გამოქვეყნდა აკად.თეიმურაზ იოსელიანისა და პროფესორ რევაზ გაგნიძის ვრცელი და საინტერესო სტატია თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. როგორ იცხოვრა არნოლდ გეგეჭკორმა 70 წლის იუბილედან 80 წლის იუბილემდე? როგორი იყო ეს ათწლიანი მონაკვეთი?

ა.გ.: ადამიანის შემეცნების, აზროვნების უნარის მქონე ტვინი, მოგეხსენებათ, ფენომენთა ფენომენია. ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის 4 მილიარდი წლის განმავ-ლობაში მას ანალოგი არ გააჩნია. მეცნიერებში იგი სრულ სიმწიფეს 35-40 წლის ასაკში აღწევს (გამონაკლისს პოეტები და მათემატიკოსები წარმოადგენენ). მეცნიერს 50 წლის ასაკში ხელეწიფება „მეცნიერების ტევრში" შესვლა, 60 წლისას იგი ყველაზე ნაყოფიერია. 70-დან 80 წლამდე კი, თუ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, საუკეთესო დროა შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

ზენაარის ნაჩუქარი ეს დრო ნამდვილად მთელი სისრულით გამოვიყენე. ინგლისურ ენაზე გამოვაქვეყნე მონოგრაფია - „Biomes of the Caucasus", A compre-

hensive review. წიგნის I ტომი ინგლისურ ენაზე გამოიცა აშშ-ში (გამომც. „Nova Science Publishers“ New York, USA. იგი მსოფლიო გამომცემლობათა ათეულში შედის); მზად არის ამ წიგნის II ტომი ინგლისურ ენაზე, “The Caucasus Ecoregion and its two refugia: Colchis and Hyreania”, რომელიც ამა წლის (2020) დეკემბერში უნდა გადავცე აშშ-ის „შპინგლერის“ გამომცემლობას (Springler Publ., New York, USA), ეს გამომცემლობა მსოფლიოს ხუთეულშია შესული. 2021 წელს კი - Switzerland - ს.2015 წელს გამოვიდა ჩემი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი-ალბომი „ეს არის საქართველო“, რომელშიც 2000 ფერადი ილუსტრაცია ავტორი-სეულია.

ყველა ჩემი წიგნის დიზაინი, მისი გაფორმება და ფოტოები ავტორს ეკუთ-ვნის. ზოგიერთი წიგნი სამენოვანია და ყველა ენაზე ავტორის მიერაა დაწერილი.

კათედრა, რომელსაც მე თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ვხელმძღვანელობ, ინტერდისციპლინარულია (იგი შექმნილია ზოოლოგიის, ბოტანიკის, ეკოლოგიის და ჰიდრობიოლოგიის კათედრათა საფუძველზე); ასეთივე საგანთაშორისი დისციპლინაა ბიოგეოგრაფია, რისი სპეციალისტიც მე გახლავართ. იგი ტრიადაა, რომელიც მოიცავს ბიოლოგიას, გეოგრაფიას და გეოლოგია-პალეონტოლოგიას. ამ ტრიადას ემატება ევოლუციის თეორია, ეკოლოგია, ანთროპოლოგია (ეკოლოგიაც, თავის მხრივ, ინტერდისციპლინარული საგანია).

მოხსენებები წავიკითხე 70-მდე საერთაშორისო კონფერენციაზე. გამოქვეყ-ნებული მაქვს 15 კაპიტალური ნაშრომი (მეტ წილად მონოგრაფიები) როგორც ბიო-გეოგრაფიაში, ასევე ზოოლოგიაში, ბოტანიკაში და ა.შ.

უნივერსიტეტში ჩემი ხელმძღვანელობით სწავლებაში შემოვიტანეთ 4 ახა-ლი ინტერდისციპლინარული საგანი. ყველაფერმა ამან მოითხოვა 23 სილაბუსის მომზადება.

მარტო მიმდინარე წლის (2020) თებერვალში 5 კონტინენტიდან 18 მოწვევა მივიღე სხვადასხვა სამეცნიერო კონგრესზე. სულ ახლახან მოწვევა მივიღე ტოკიოდან 2021 წლის ნოემბრისათვის. ცხადია, ყველა ღონისძიებაში მონაწი-ლეობას ვერ შევძლებდი, მაგრამ რამდენიმეს თანხმობა გავუგზავნე და დამტკიცებულია სათანადო აბსტრაქტები. ამ ეტაპზე სამეცნიერო ღონისძიებებში უფრო შეზღუდულად, ონლაინ რეჟიმში ვმონაწილეობ, მსგავსად ლექციებისა.

უცხოეთში გამოქვეყნებული ჩემი სტატიების ციტირება დაახლოებით 2000-ს აღწევს, რაც ძალიან ბევრია. იმავე სტატიების ნაწილი შეტანილია გლობა-ლური მასშტაბის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ინტერნეტ ბაზებში: Researchgate და ScienceDirect.

ლ.ბ.: 2015 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა თქვენი მრავალმხრივ საინტერესო წიგნი-ფოტოალბომი „ეს არის საქართველო“. წიგნი სამენოვანია, ქართული, ინგლისური, ლათინური (ამ ენაზე ცოცხალ ორგანიზმთა სახელები და

ტერმინებია წარმოდგენილი). იგი ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათად შეიძლება ჩაითვალოს. წიგნის ანოტაციაში თქვენ წერთ: „...ასეთი მამულის მთა-ბარის მხოლოდ თვალით - გრძნობის ვიზუალური შესაძლებლობით ტკბობა როდია საკმარისი, აქ საჭიროა მსგავსი სამშობლოს ორგანიზმის ყველა უჯრედით, ნერვული სისტემის ყველა ნერვით აღქმა...“ როგორია წიგნზე გამოხმაურება, როგორ აღიქვა იგი უცხოელმა მკითხველმა?

ა.გ.: წიგნმა „ეს არის საქართველო“ 4 პრეზენტაცია გაიარა - 3 თბილისში და 1 ქუთაისში. განხილვას საქართველოს სამეცნიერო და სახელოვნებო საზოგადოება ესწრებოდა. რა აღარ უწოდეს მას: „ქვეყნის სავიზიტო ბარათი“, „საქართველოს პასპორტი“, „რენესანსული მასშტაბის წიგნი“ და სხვ. წიგნის რედაქტორმა, გამოჩენილმა კინორეჟისორმა, ბატონმა რეზო ჩხეიძემ კი აღნიშნა, რომ იგი - ათეულობით წლის ნაშრომ-ნაღვაწი, ღვთით ნაკარნახევი ცდაა საქართველოს „დაჭრილი მზის“ (გრ. რობაქიძე) გამთლიანებისა.

ბოლო არ უჩანდა აღფრთოვანებულ წერილებს უცხოეთიდანაც - ინგლისი-დან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, იტალიიიდან. ინგლისში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა ქალბატონმა მზია ლოურენსმა პატივისცემის ნიშნად ისე თარგმნა ნაშრომში შეტანილი და სხვა ჩემი ლექსები, არც ვიცოდი. მერე შემომითვალა და დამატებით სამი ლექსი გადავუგზავნე, რომლებიც სხვადახვა პოეტს ათარგმნინა.

ძალზე სასიამოვნო იყო კორესპონდენცია იტალიიდან. ჩვენს დიასპორას იქ ქართველი ბავშვებისათვის მეორადი სკოლა აქვს გახსნილი, სარგებლობენ „ფეის-ბუქზე“ განთავსებული ჩემი ესეისტური ხასიათის წერილებით და მთხოვდნენ მათთვის დამხმარე სახელმძღვანელოს დაწერას.

ზემოაღნიშნული წიგნი შოთა რუსთაველის პრემიაზე იყო წარდგენილი. საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საკონკურსო განცხადება თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა და კონკურსი 5 მაძიებლისათვის მიჩუმათებულად ჩაატარა, პრემია მისთვის სასურველ ორ კანდიდატს მიენიჭა და სამი ადგილი საერთოდ გაუქმდა. საკონკურსო კომისიის ჟიური 9 კაცისაგან შედგებოდა და ამათგან არც ერთი არ იყო შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ლ.ბ.: ამ წიგნით აღფრთოვანებულმა ბატონმა რეზო ჩხეიძემ (იგი აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობის ავტორია) ჩაიფიქრა ფილმის გადაღება და სცენარის დაწერა გთხოვათ. თითქმის ყველა დეტალი დაზუსტდა და გადაღებაც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ... ბატონი რეზო გარდაიცვალა. ნუთუ არავინ ჩანს, ვინც ამ დიდებულ საქმეს ფრთებს შეასხამს?

ა.გ.: ბატონ რეზო ჩხეიძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. 20-21 წლის ყმაწვილი ვიყავი, კინოსტუდიაში რომ მომიწვიეს ფილმში „ზღვის ბილიკი“ გადასაღებად, სინჯებიც გადამიღეს, დამამტკიცეს კიდეც, მაგრამ უნივერსიტეტში სახელმწიფო და საასპირანტო გამოცდების ნაჩქარევად (ექსტერნად) ჩაბარება მომიწია და კინოსთვის ვეღარ მოვიცალე.

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით: ბატონ ოთარ იოსელიანთანაც ვიყავი მიწვეული ფილმში „სიყვარული და ნივთები“ გადასაღებად, თითქოს საკითხი გადაწყდა კიდეც, მაგრამ იგი ცენზურამ დაიწუნა - საბჭოთა იდეოლოგიას არ შეეფერებაო. ფილმის გმირები, ღარიბი, შეყვარებული ქალ-ვაჟი შემდეგ თანდათან მდიდრდება, მაგრამ ნივთების გამო სიყვარულით შექმნილი ოჯახი ინგრევა და საბჭოთა ოჯახის დანგრევა არ შეიძლებაო.

„ეს არის საქართველოს“ გამოსვლის შემდეგ, ძველი „ვალის გასასტუმრებ-ლად“ ბატონ რ. ჩხეიძესთან ტანდემი შედგა და გადაწყდა, გადაგვეღო ფილმი ხსენებული წიგნის მიხედვით. წიგნის შინაარსი სცენარად უნდა გადამეკეთებინა. ბატონი რეზო ისე იყო მოცული გადაღების სურვილით, რომ ყველა ტექნიკური საქმე თავად მოაგვარა, ქ. მოსკოვში ქართული დიასპორისა და კოლეგების დახმარებით დაფინანსების წყაროსაც თავად მიაგნო. ბატონი რეზოს გარდაცვა-ლების შემდეგ ეს საქმე შეჩერდა და დავიწყებას მიეცა. ვნახოთ, გამოჩნდება კი ვინმე?

ლ.ბ.: ზემოაღნიშნულ წიგნს ამშვენებს მიძღვნა - „ჩემთვის უძვირფასესი ადამიანის, ვარდო დოლიძე-მგელაძის ნათელ ხსოვნას.“ იგი თქვენი გურული ბებია იყო. როგორ შემორჩა მისი სახე თქვენს მეხსიერებას?

ა.გ.: ვარდო დოლიძე-მგელაძე, ჩემი გურული ბებია, დედაჩემის დედა იყო. ბებია-ბაბუას გუდაუთაში უცხოვრიათ. ბაბუაჩემი ძალიან მდიდარი, ცნობილი კაცი ყოფილა - პირველი გილდიის ვაჭარი. კომუნისტებმა დიდძალი ქონება ჩამოართვეს. დაპატიმრებას რაღაც მანქანებით გადაურჩა. ქონების ნაწილის გადანახვა როგორღაც მოახერხა და ცოლ-ქმარი ოზურგეთში გადასახლდა. შესანიშნავი სახლ-კარი გამართეს. მე ამ სახლში დავიბადე, ამ თბილი კერიის პირველი შვილიშვილი ვარ, დედაჩემი კი მათი ერთადერთი შვილი იყო.

ბაბუა ჩემს დაბადებამდე 6 თვით ადრე გარდაიცვალა, ბებია ძალზე გამრჯე, მშრომელი ქალი გამოდგა, დიასახლისობის, ოჯახის ქალობის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული, მეტად დარბაისელი, ამასთან შთამბეჭდავი შესახედა-ობის ქალბატონი, ჯიში რომ იგრძნობა - აი, ისეთი.

მამაჩემს უმაღლესი განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული და ანასეულში მუშაობდა, კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი იყო. მე მესამე კლასამდე ოზურგეთში ვსწავლობდი, მაგრამ მამას სამეგრელოში ხშირად დავყავდი, ყველა არდადეგებს თითქმის იქ ვატარებდი. მეგრელ ბებიას 5 ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთ-ერთი ბიძა 7 შვილის მამა იყო და წარმოიდგინეთ, რამდენ შვილიშვილს უნაწი-ლებდა თავის სიყვარულს, სითბოსა და ზრუნვას მეგრელი ბებია.

გურიაში კი ბებიას ნებიერა ვიყავი. ის კი - ჩემი ზნეობის, სიკეთის, კაცთ-მოყვარეობის ცოცხალი მაგალითი, სანათესაოს მფარველი და ხელშემწყობი. თვალს ახარებდა მისი მოვლილი ეზო-კარი. სანოვაგით დატვირთული, ჭიშკარს რომ შემოაღებდა, ყველაფერი ცოცხლდებოდა და ახალ სხივს იძენდა. უამრავი

საყოლი ჰყავდა და მათი „ჟრიამული“ უნდა გენახათ მისი დანახვისას. ჩვენს ეზოს, ჯერ კიდევ ბავშვმა, ბებოს მიკროკოსმი ვუწოდე.

თუ რამ ღირსება, ზნეობა, სიყვარულისა და ადამიანის დაფასების ნიჭი გამაჩნია, მისი დამსახურება, მისი დიდი ღვაწლიცაა. ამდენად, არ შეიძლებოდა ჩემი მადლიერება არ გამომეხატა ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ადამიანის ხსოვნისადმი.

ლ.ბ.: ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვისაც თქვენ თქვენს მასწავლებლებად და ცხოვრების მაგალითად თვლით? ვინ არიან ისინი, ვის საზოგადოებაშიც თქვენ ისვენებთ, ვისთანაც გსიამოვნებთ შეხვედრა და გულითადი საუბარი?

ა.გ.: ჩემს მასწავლებლებს შორის, უწინარეს ყოვლისა, პროფესორი ირაკლი ბათიაშვილი უნდა გავიხსენო: დიდებული ადამიანი, სამამულო მეცნიერების ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი კაცი, ვინც მიჩვენა ცხოვრებისეული ვექტორი. ბატონი ირაკლი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგე ბრძანდებოდა. მე ამ ინსტიტუტის დამამთავრებელ კურსზე ვიყავი, ივნისის თვეში სახელმწიფო გამოცდები უნდა ჩამებარებინა. დიდი სურვილი მქონდა მემუშავა მეცნიერებაში, მაგრამ ამისთვის ორი წლის მუშაობის სტაჟი იყო საჭირო, თანაც პროფილის მიხედვით. ამიტომ გადავწყვიტე, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წავსულიყავი მოსკოვში და ჩამებარებინა მისაღები გამოცდები კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, დოკუმენტური კინოს სპეციალობით.

აპრილის ბოლოა და დამიბარა ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა, მითხრა, რომ მაისის თვეში ინსტიტუტში ასპირანტურაში მისაღები გამოცდები ჩატარდება და შენ ამ გამოცდებზე უნდა წარდგეო. ბატონ ირაკლის მოვახსენე, რომ ეს შეუძლებელი იყო, რაკი არ მქონდა 2 წლის მუშაობის სტაჟი და ამიტომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვაპირებდი მისაღები გამოცდების ჩაბარებას.

„არავითარი მოსკოვი!“ - კატეგორიულად განაცხადა ბატონმა ირაკლიმ. თავად მოაგვარა ყველა პრობლემა განათლების სამინისტროში, და მე, ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება და დიპლომის დაცვა ექსტერნად მომიწია. კარს იყო მომდგარი ასპირანტურის გამოცდებიც. დღე და ღამეს ვასწორებდი, რომ პროფესორ ირაკლი ბათიაშვილის ნდობა გამემართლებინა. ერთი სერიოზული, 2 წლის სტაჟის მქონე კონკურენტი მყავდა, მაგრამ გამოცდები ჩემს სასარგებლოდ წარიმართა. ინგლისური ენის გამოცდაზე, სხვა საკითხებთან ერთად, სათარგმნად მომცეს ფრაგმენტი სამხრეთ აფრიკელი მწერლის ნაწარმოებიდან „მეხის ბილიკებით“. ინგლისურს ბავშვობიდან ვსწავლობდი და კარგად ვიყავი დაუფლებული. ჩემმა თარგმანმა და ზეპირმა გასაუბრებამ კომისია დაარწმუნა, რომ მაღალ შეფასებას ვიმსახურებდი. ყველა საგანში „ფრიადი“ შეფასება მივიღე და ჩემი კონკურენტი უკან ჩამოვიტოვე. უსაზღვროდ ბედნიერი

ვიყავი, რომ ღირსეულად გავუმკლავდი ყველა სირთულეს. რაც მთავარია, ბატონი ირაკლი დარჩა კმაყოფილი და ნასიამოვნები, რომ მისი მოლოდინი გამართლდა.

ბატონი ირაკლის ინიციატივით, ასპირანტურა მიზნობრივი გახადეს და ჩავირიცხე ლენინგრადის ზოოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში, რაც ჩემი სანუკვარი ოცნება იყო. ეს იყო უძლიერესი სამეცნიერო ცენტრი, დაკომპლექტებული მსოფლიოში აღიარებული მაღალი კულტურის, მეტწილად პეტრე პირველი დროს მოწვეული, გერმანული წარმოშობის პროფესორების მიერ შექმნილ ტრადიციებზე აღზრდილი მეცნიერებით, საოცარი ტაქტის მქონე ინტელექტუალური ელიტით.

რომ არა ლენინგრადის სკოლა, ალბათ სულ სხვა სპეციალობას გავყვებოდი. იქ ისეთი გარემო დამხვდა, ისეთი მოთხოვნები იყო, რომ დღეღამეში 16 საათს ვმუშაობდი. საკვალიფიკაციო თემად დამიმტკიცეს „კავკასიის ორგანული სამყარო (ფსილოდეა) ასი მილიონი წლის განმავლობაში“. წავიკითხე და დავამუშავე მასალა ოთხი მილიარდი წლის შესახებ. აქაც ძალიან დამეხმარა ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა. სხვაგვარად აუცილებელი მასალის გაცნობა-შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა.

სამეცნიერო საქმიანობის შემდეგ, ყოველდღე, ბლოკნოტით ხელში მივეშურებოდი ერმიტაჟში და დეტალურად შევისწავლიდი ხელოვნების ნიმუშებს; განსაკუთრებით მხიბლავდა ეგვიპტური, ანტიკური და რენესანსის ეპოქის ხელოვნება, რომელიც კოლოსალურ განათლებას იძლევა.

ჩემს მასწავლებლებად მივიჩნევ: პროფესორ ალექსანდრე თევდორეს ძე ემელიანოვს, რომელიც ჩემზე 4 წლით უფროსი იყო, ვისაც მე „Biomes of the Caucasus” მივუძღვენი; პროფესორ, ყოფილ ბარონ შტაკელბერგს (ინსტიტუტის პრორექტორს), რომელსაც „პარადოქსულად მოაზროვნე კაცი“ შეარქვეს და პროფესორ იზიასლავ მოისეის ძე კერჟნერს _ მას „ინსტიტუტის სინდისს“ ეძახდნენ.

ჩემი ცხოვრების მასწავლებლებად ვთვლი დიდ ქართველ მოღვაწეებს - პროფესორ ნიკო კეცხოველს და პროფესორ ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილს.

მეცხრეკლასელი ყმაწვილი ვიყავი, როდესაც ჩემმა მეგობარმა, მწერალმა ვოვა სიხარულიძემ (ჩვენ ოზურგეთში ერთად გავიზარდეთ), გამაცნო ჩვენივე თანატოლი, დღეს ცოცხალი კლასიკოსი გურამ დოჩანაშვილი, შემდეგ კი - ზვიად გამსახურდია. ამავე ასაკში გავიცანი დიდი ინტელექტუალი და საინტერესო მოაზროვნე გელა ჩარკვიანი.

ყველა იმ ადამიანის ჩამოთვლა, ვისაც სულიერ მეგობრად მივიჩნევ, გამიჭირდება და აქ შევჩრდები. თითოეულ მათგანთან შეხვედრა და გულითადი საუბარი უდიდესი სიამოვნებაა.

ლ.ბ.: საქართველოს ბუნების საგუშაგოზე ათეული წლები მოუღლელად იდგა ბერმუხა ნიკო კეცხოველი. თქვენ მასთან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა გქონდათ. რომელს გაიხსენებდით?

ა.გ.: ბატონი ნიკო კეცხოველი არა მარტო საქართველოს ბუნების მოუღლელი გუშაგი იყო, იგი ასევე ფხიზელ დარაჯად ედგა ქართველი ახალგაზრდების ხალას ნიჭს. 15 წლის მეგობრობა მაკავშირებდა ბატონ ნიკოსთან.ხშირად ვეწვეოდი ხოლმე ბოტანიკის ინსტიტუტში. ყოველი ექსპედიციის შემდეგ სრულ ანგარიშს ვაბარებდი. „ბუნების კარის“ ყველა გადაცემას უსმენდა. რამდენიმეჯერ მივიწვიე ამ გადაცემაში. აკადემიაში მის იუბილეზე სეფე სიტყვა წარმოვთქვი. ჩემს ბიბლიოთეკაში რელიკვიად ინახება ბატონი ნიკოს წიგნი „მკერდში დაჭრილი ბუნება“ წარწერით: „ეძღვნება ძვირფას არნოლდ გეგეჭკორს, საქართველოს მკერდში დაჭრილი ბუნების გამმრთელებელს“.

ლ.ბ.: გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა - ილია ჭავჭავაძის, ლადო გუდიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა ცხოვრება და მოღვაწეობა მშვენობს მათი მეუღლეების გმირული თავდადების მაგალითებით. როგორია თქვენი მეუღლის ღვაწლი თქვენს შემოქმედებაში?

ა.გ.: ჩემი მეუღლე - მედეა ლეჟავა - ოჯახზე სათუთად მზრუნველი და ერთგული ადამიანია, ჩემი დასაყრდენი და უტყუარი მეგობარი ყველა საქმეში. ყოველ წელიწადს 3-4 თვე ექსპედიციაში ყოფნა მიწევდა. ამ დროს ოჯახის მთელ ტვირთს იგი ეზიდებოდა. საერთოდ, ზომიერი, სადა ქალბატონია და ჩემი არყოფნის დროს ძალიან მკაცრად იზღუდავს თავს. არასოდეს უკარნახია თავისი ნება - მე ასე მინდა და ეს უნდა გააკეთოო. არ მახსოვს მისი უტაქტო ჩარევა ჩემს საქმეში, პრეტენზიები და ზედმეტი მოთხოვნები. მე მისი ძალიან მადლობელი ვარ.

ლ.ბ.: ქართული ლიტერატურის კლასიკოსი გურამ დოჩანაშვილი თქვენ შესახებ წერილში წერს: „...როგორ მშურს მისი აღტაცებულის - როგორღაც, შურით, რა სწორად ცხოვრობს - მისთვის ნაბოძებ ბედნიერებით სხვებისაც როგორ თვალთ-ამხილველი ოღონდაც, უნდა, წაიკითხო ის...“ როგორია თქვენი ცხოვრების წესი?

ა.გ.: ეს ამონარიდი ბატონი გურამის ვრცელი წერილიდანაა, რომელიც მან ჯერ „ლიტერატურულ საქართველოში“, შემდეგ კი წიგნში „არის და იყოს უცნაური, ადამიანიც, წუთისოფელიც“ გამოაქვეყნა. ამ წერილს წინ უძღოდა ჩვენი ხანგრძლივი სატელეფონო საუბრები. ჩანს, მწერალი აკვირდებოდა ჩემი ხასიათის ნიუანსებს, შეისწავლიდა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს და ასე შექმნა ჩემი ფსიქო-ლიტერატურული პორტრეტი.

მე ქართველი კაცის ცხოვრების წესით არ ვცხოვრობ. ჩემთვის წინა პლანზე ყოველთვის საქმეა, მუხლჩაუხრელი შრომა. ძალიან ვაფასებ თითოეულ წუთს, დრო დიდ განძად მიმაჩნია და მენანება მისი უქმად დაკარგვა. არც პედანტი ვარ. 22 ბავშვის ნათლია ვარ. ქართული სუფრაც ძალიან მიყვარს, ოღონდ აკადემიური და არავითარ შემთხვევაში ღრეობაში გადასული. წიგნში „ქართული სუფრა: სადღეგრძელოები, თამადები, კოლორიტები“ (ავტ. გ.კვესელავა, ა.შარაშენიძე, ა.დავითაძე, 2008წ.) დასახელებული არიან ქართული სუფრის ისეთი კოლორი-ტული თამადები, როგორებიც იყვნენ შედან ჭილაძე, გულბაათ ჭავჭავაძე, რაფიელ

ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, სიმონიკა სხირტლაძე, კოტე ჩოლოყაშვილი, თემო ჩირგაძე და სხვ. მათ შორის დასახელებულია თქვენი მონა-მორჩილიც - არნოლდ გეგეჭკორი. ამ თვალსაზრისითაც დიდი უნივერსიტეტი მაქვს გავლილი. ვარ სუფრა-ნარატივის პატივისმცემელი. თამადა პატივს უნდა სცემდეს მასპინ-ძელს, სუფრის წევრებს, უნდა ხედავდეს სუფრას. ჩემთვის ორგანულად მიუღე-ბელია ჟარგონი, ბილწი სიტყვა, მით უმეტეს სუფრასთან. შემიძლია ვთქვა, რომ არც არასდროს წამომცდენია იგი. შეიძლება ზოგჯერ სადღეგრძელოში კაფიები ან სკაბრეზული პოეზიის ნიმუშები მოვიშველიო, მაგრამ ისეთ კონტექსტში ვიყენებ, რომ არ ვარღვევ ეთიკურ ნორმებს.

ამ კითხვის საბოლოო პასუხად კი ჩვენი დიდი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს შეგონებას მოვიყვან: „კაცი ნათელს უნდა ჰგავდეს, ირგვლივ მყოფთ ერთგულად უნდა უნათებდეს და ათბობდეს კიდეც.“

ლ.ბ.: როგორც თქვენ ბრძანებთ, ნატურალისტობას მაგიური ძალა აქვს. ამ ძალამ თუ შეგაძლებინათ დედამიწის ხუთივე კონტინენტის არა მარტო შემოვლა და მისი მეცნიერული შესწავლა, არამედ სიცოცხლისათვის საშიშ ბევრ ხიფათთან გამკლავებაც. როგორ დაიწყო ეს დიდი სიყვაული ბუნებისადმი ანუ როდის შეაღეთ პირველად ბუნების კარი?

ა.გ.: მთელი ჩემი შინაგანი არსით მე ნატურფილი ვარ, ვინც ჭვრეტით აანალიზებს ბუნებას და ცდილობს მოიცვას მის შესახებ ცოდნის დასრულებული სისტემა. ადრე ახალგაზრდობიდანვე სხვადასხვა ინტერესი მქონდა. ძალიან მიყვარდა სპორტი, მისი სხვადასხვა სახეობა. პროფესიულ დონეზე მიტაცებდა ტანვარჯიში, ბაიადერებით ნაოსნობა, ვეთაყვანებოდი ზღვის სტიქიას. 14 წლის ყმაწვილმა ზღვაში 2-3კმ-ზე შევცურე. იქ სამხედრო გემი იდგა და მესაზღვრეებმა ნიშანი მომცეს - უკან დაბრუნდიო. სპორტმა ძალიან ბევრი მომცა. იგი არა მარტო ფიზიკურად და სულიერად ზრდის, არამედ გამოიმუშავებს ადამიანში რწმენას, როცა შენი „მე“-ს გჯერა. ჩემი ნაწრთობი სხეულით იყო, რომ მივიქციე კინომუ-შაკების ყურადღება და ფილმში გადასაღებად მიმიწვიეს. ერთხელ სინჯების გადაღებას ჩვენი სახელოვანი მსახიობებიც ესწრებოდნენ და გოიკო მიტიჩი (ცნობილი მსახიობი, წყალბურთელი) შემარქვეს. რომ არა სპორტი, მე ვერ შევძლებდი ამდენ მოგზაურობას, ამდენი ექსპედიციის მოწყობას, დედამიწის 5 კონტინენტის შესწავლას. უსაზღვროდ მიყვარს ხელოვნება. ამ სიყვარულმა მიბიძგა ფოტოსაქმის დაუფლებისაკენ, რაც ჩემი სპეციალობისათვის ასე აუცილებელი აღმოჩნდა. ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც 7-8 ფოტოაპარატი ერთად უნდა მეტარებინა. თითოეულს თავისი დანიშნულება ჰქონდა. ზოგი ფერადი, ზოგიც შავი ფოტოებისთვის იყო განკუთვნილი, ზოგი ფართო ან ვიწრო ფონისთვის. ისინი 10-15კგ. იწონიდნენ და დიდ მანძილზე, ზოგჯერ მიუვალ ადგილებში უნდა მეტარებინა....მაგრამ მაინც ნატურფილობამ დამძლია, ბუნების ღვთაებრიობამ, მისმა პანთეისტობამ. ასე რომ, ბუნებაც ჩემი ღმერთია! და რაკი

ღმერთია, მფარველობს კიდეც. ხუთივე კონტინენტზე, ძირითადად, საველე კარვის პირობებში გავიარე დაახლოებით 80 000კმ. მოგზაურობა მიხდებოდა ყველა სახის ტრანსპორტით, აქლემითაც კი (ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიის უდაბნოებში). ბუზმა ცეცემ 27-ჯერ მიკბინა, მისი ერთი კბენაც კი კლავს ადამიანს და თავადაც მიკვირს - როგორ გადავრჩი?! მადაგასკარზე იშვიათადაა, რომ კაცი მალარიას გადაურჩეს, ავსტრალიაში ორმეტრიანი შხამიანი გველის კბენას სასწაულად გადავურჩი. იმისი კბენა და იქვე სიკვდილი ერთია; მისი ნაკბენის შხამის დოზა 300 ცხვარს ჰკლავს. ქვიშათა უდაბნოში მორიელები ბოტასებში იდებდნენ ბინას; ცხენს რამდენჯერმე სასიკვდილოდ გადავუგდივარ. ერთხელ ზურგით ისე დავეცი, ზურგჩანთაში ლითონის ჭიქა გაიჭყლიტა; შუა უდაბნოში ტალახის ნიაღვარშიც მოვხვედრილვარ ექსპედიციის წევრებთან ერთად, სადაც მილიონობით კოღო დაგვეხვია და ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით. ეს უმნიშვნელო ნაწილია იმ შემთხვევებისა, რაც გადამხდომია.

ბუნების კარი, როგორც ასეთი ადრე ბავშვობიდან შევაღე. გურიის ალპური მინდვრები, სამეგრელოს კირქვიანი კანიონები და ცოცხალი ბუნება იყო ის მშვენიერება, რამაც ეს კარი შემაღებინა და ზღაპრულ სამყაროში მეგზურობა გამიწია.

ლ.ბ.: ამბობენ, რომ თქვენ გაიმეორეთ ის ისტორიული მარშრუტები, რომლებიც განახორციელეს გამოჩენილმა ბუნებისმეტყველებმა: ა. ჰუმბოლდტმა, ჩ. დარვინმა, ა. უოლესმა და სხვ. მეტიც, თქვენ ქართველ ალექსანდერ ჰუმბოლდტსაც გიწოდებენ, ვისაც, თავის მხრივ, მე-19 საუკუნის არისტოტელედ მიიჩნევენ. რა სულიერ და იდეურ ერთობას გრძნობთ მასთან?

ა.გ.: იმ გლობალური მასშტაბის გამოკვლევების შესრულება, რომელიც მე მიზნად მქონდა დასახული, სხვანაირად შეუძლებელი იყო. ამიტომაც გავიმეორე ის ისტორიული მარშრუტები, რომლებიც ზემოხსენებულმა გამოჩენილმა ბუნებისმეტყველებმა განახორციელეს.

რაც შეეხება ა. ჰუმბოლდტთან შედარებას, ეს საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის პრეზიდენტმა, ბრიტანელმა პროფესორმა ანნა ბატმერიმ დაწერა გეოგრაფიულ „Newsletter"-ში: - მე აღმოვაჩინე ქართველი ჰუმბოლდტიო, როცა ერთ-ერთ კონგრესზე ჩემი გამოსვლა მოისმინა.

მისმა მეუღლემ, პროფესორმა ნორბერტ ბრომბერგმა(იგი ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრია), თბილისს სტუმრობისას, ჩამომიტანა ქალბატონი ანნა ბატმერის გამოგზავნილი მეტად ძვირფასი საჩუქარი - კარლ ლინეს ნაშრომი ორიგინალში, რომელიც მე-18 საუკუნეშია გამოცემული.

ასეთივე მაღალი შეფასება მისცა ჩემს სამეცნიერო კვლევას ქ. გრეიფსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს ჯუსტენმა, გლობალური კლიმატის ცვლილებების კომისიის წევრმა, რომელმაც თავისი წერილი ჭარბტენიანი ლანდშაფტების საერთაშორისო ორგანიზაციის(IMCG) „Newsletter"-ში გამოაქვეყნა.

დიდი სურვილი მქონდა გამემეორებინა მიკლუხო მაკლაის მარშრუტი ახალ გვინეაში. იქ დღესაც ცხოვრობენ კაციჭამიები, მაგრამ სიდნეის უნივერ-სიტეტის ხელმძღვანელობისაგან კატეგორიული უარი მივიღე. მითხრეს, თუ წახვალთ, მოწვეული პროფესორის ხელშეკრულებას გაგიუქმებთო და ეს მარშრუტი ვეღარ განვახორციელე.

ლ.ბ.: თქვენ იყავით და დარჩით ერთგული ადეპტი ბლუმენბახის მეცნიერული აღმოჩენისა, რომელსაც მან „ჩემი მშვენიერი ქართველი ქალი უწოდა.“ ამის გამო ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, თქვენთვის ჩვეული პრინციპულობითა და დამაჯერებელი არგუმენტებით გამოსვლისას ზოგიერთმა მონაწილემ ლამის რასისტად შეგრაცხათ. დღეს თუ გაქვთ ურთიერთობა მაშინდელ ოპონენტებთან? როგორ დამოკიდებულებაში ხართ უცხოელ კოლეგებთან?

ა.გ.: იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახი _ გერმანელი ანატომი, ზოოლოგი და ანთროპოლოგი_ გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მან საფუძველი ჩაუყარა ადამიანისა და ცხოველთა თავის ქალას შემსწავლელ მეცნიერებას - კრანიოლოგიას. ი. ბლუმენბახმა 160 თავის ქალა შეისწავლა და აღწერა. პეტერ-ბურგელმა კოლეგებმა მას 26 წლის ქართველი ქალის თავის ქალა გაუგზავნეს. მისი გამოკვლევებით ყველაზე სრულყოფილი, თავისი პროპორციებით უნაკლო ქართველი ქალის თავის ქალა აღმოჩნდა. ბლუმენბახის თეორია ცუდად გამოიყენეს ევგენისტებმა, მოგვიანებით ფაშისტებმაც, მაგრამ შემდეგ ის აღდგა თავის უფლებებში. დღეს გეტინგენის უნივერსიტეტი იოჰან ფრიდრიხ ბლუ-მენბახის სახელს ატარებს.

აღნიშნული თეორიის ღრმად შესწავლისთვის აშშ-დან სამი დიდი ტომი გამოვიწერე და დავამუშავე. ცნობილია ბაირონის, შილერის, ა. დიუმას, ჟ. შარდენის და სხვა მწერალთა და მოგზაურთა აზრი ქართველი ქალების გარეგ-ნობის შესახებ. ქართველ და ჩერქეზ ქალებზე ოცნებობდნენ და ნადირობდნენ ირანელები და თურქები, რომ თავისი ჰარამხანა ამ უზადო სილამაზით გაემშვენიერებინათ. როცა მეცნიერი შეუვალი არგუმენტებითაა აღჭურვილი, ის ოპონენტებზე ყოველთვის იმარჯვებს.

უცხოელ კოლეგებთან ძალიან მჭიდრო, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძ-ნებული თანამშრომლობა მაკავშირებს. ამის შესახებ რამდენადმე ზემოთაც აღვნიშნე. კვირა არ გავა, რომ მათგან 1-2 კორესპოდენცია არ მივიღო. მე ვარ უცხოეთის სამი სხვადასხვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, შემომთავაზეს ჟურნალის „სიცოცხლე და მეცნიერება“ (“Lite and scie-nce”)რედაქტორობა. იგი კანადასა და ბელგიაში გამოდის, მაგრამ უარი ვუთხარი ჩემი დიდი დატვირთვის გამო. ისედაც უცხოეთში გამომავალი სამი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი ვარ.

ლ.ბ.: თქვენს წიგნში „ბუნება შემოქმედია“ ნილ ამსტრონგის მიერ დანახული დედამიწა ისეთი ლურჯი და მოციმციმეა, რომ კაცს კოსმოსში გაჭრა მოუნდება. თქვენ თუ გაგჩენიათ ასეთი სურვილი?

ა.გ.: არა, კოსმოსში გაჭრის სურვილი არ მქონია. ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს დ ე დ ა მ ი წ ა, კოსმოსური მოვლენების გავლენა დედამიწის ზედაპირზე, მის ქერქში წარმოქმნილი ღრმა „ჭრილობები“ , მისი ფაუნა, წყალსატევებში, ტბებში, ზღვებსა და ოკეანეებში მიმდინარე პროცესები და სხვ.

ლ.ბ.: გადავათვალიერე საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრთა სია და იქ თქვენი გვარი ვერ აღმოვაჩინე. რატომ?

ა.გ.: თანამდებობისკენ ლტოლვა, კარიერული აღმასვლა არასოდეს წარმოადგენდა ჩემს ინტერესს და ამისთვის არასდროს მიბრძოლია, საამისოდ არც დრო მქონია. სადოქტორო დისერტაციის დაცვიდან 4 წლის შემდეგ ბატონმა ლეო გაბუნიამ დამიბარა და მითხრა, განცხადება შემეტანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. თან გამაფრთხილა, ვინც არ უნდა გითხრას, განცხადება არ გაიტანოო. მე არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ლენინგრადის ინსტიტუტმა მიმიწვია ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად. დაგეგმილი იყო გლობალური მასშტაბის ექსპედიცია ყაზახეთში. ექსპედიცია 8-კაციანი იყო. ლენინგრადის ინსტიტუტის 300-კაციანი კოლექტივიდან 7 კაცი შეირჩა, მერვე მე ვიყავი - ერთი ქართველი. ამ ექსპედიციაზე უარს ვერაფრით ვიტყოდი.

ლენინგრადის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, მსოფლიოში ცნობილმა ავტორიტეტმა, პროფესორმა სკარლეტომ საქართველოს აკადემიაში სარეკომენდაციო წერილი გამოაგზავნა და წერდა - კავკასიას ძალიან წაადგება არნოლდ გეგეჭკორის აკადემიკოსობაო. აკადემიკოს სკარლოტის რეკომენდაცია არასოდეს არც ერთ ქართველს არ ჰქონია.

სხვა დროსაც მქონია შემოთავაზება ცნობილი მეცნიერებისაგან, კენჭი მეყარა აკადემიაში, მაგრამ მარტო მათი სურვილი, ჩანს საკმარისი არ აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, თავადაც მიხვდებით...

ლ.ბ.: ქართველი ტელემაყურებელი დღესაც აღფრთოვანებით იგონებს ბატონი არნოლდ გეგეჭკორის პოპულარულ გადაცემას „ბუნების კარი“, რომელიც 32 წელი მიგყავდათ და დიდი და პატარა ერთმანეთს ასწრებდა ტელევიზორთან ადგილის დაკავებას. დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ჩვენს ქვეყანას ასეთი გადაცემა. ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, რას ფიქრობენ ამ საკითხზე ჩვენი განათლების მამები, საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელები?

ა.გ.: ეს გადაცემა მართლაც ძალიან პოპულარული იყო. საბჭოთა კავშირში ამდენ ხანს არც ერთი გადაცემა არ გასულა. მქონდა შემოთავაზება, გამეკეთებინა რაღაც მსგავსი, მაგრამ არ ღირდა. ფორმატი უნდა შემეცვალა და უღიმღამო, შინაარსისგან დაცლილი რამ გამოვიდოდა. ამიტომ უარის თქმა ვამჯობინე.

ლ.ბ.: დიდია თქვენი ღვაწლი გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კვლევაში. თქვენმა წიგნმა და ლიტერატურულმა წერილებმა ამ თემაზე კიდევ უფრო გააფაქიზა პოემის მკითხველის აღქმა-შემეცნებისა და ფანტაზიის უნარი. ამ მსოფლიო შედევრის გასაცნობად ქართველ ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ვამზადებდეთ. ხომ არ გიფიქრიათ, როგორ უნდა მიეწოდოს ეს მასალა სკოლამდელებს და უმცროსკლასელებს? იგივე კითხვა მაქვს თქვენი არაჩვეულებრივად საინტერესო წიგნის „ბუნება მშვენიერია“-ს შესახებ.

ა.გ.: 2010 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „შოთა რუსთაველი ბიოგეოგრაფის თვალით“. ამ ნაშრომზე მუშაობა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნერებისა და კულტურის კომიტეტმა რომ შემომთავაზა, შეძრწუნებულმა უმალ კატეგორიული უარი განვაცხადე, რადგან რუსთაველი ჩემთვის აბსოლუტია, გონებამიუწვდომელი სიდიდე, ვის სამყაროში შესვლაც მოკვდავისათვის შეუძლებლად მიმაჩნია. წლებია საჭირო, რომ ოდნავ მაინც მიუახლოვდე. ბოლოს და ბოლოს, დიდი ჭიდილის შემდეგ დამითანხმეს, მაგრამ მტკიცე პირობა მაინც ვერ მივეცი. ჩემი მეუღლეც ჩართეს მოლაპარაკების პროცესში, სთხოვეს, ხშირად შეუხედეთ კაბინეტში, თუ მუშაობსო.

როდესაც ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ვსწავლობდი, სათანადო მასალებით შესაბამისად გავიაზრე თამარ მეფის დროინდელი საქართველო და მისი დროშის ქვეშ შემავალი მეზობელი ტერიტორიები. მსგავსმა მიდგომამ და იმდროინდელი შესაძლებელი ჰავისა და ცოცხალი ბუნების რეკონსტრუქციამ (რაც ჩემი ძირითადი სპეციალობის ერთ-ერთი მეთოდური მხარეა) დამანახა, რომ თამარის დროშის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე, მე-12 საუკუნეში არსებობდა „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებული ოთხივე ნადირი: ლომი _ პრაიდის (ოჯახის) თავი, ვეფხვი - სოლიტარული (განმარტოებული ნირის მქონე ცხოველი), ლეოპარდი (ვეფხი,ჯიქი) - ხალებიანი,ჭკვიანიც, ეშმაკიც, ულამაზესიც და გეპარდი _ შავხალებიანი (შუა საუკუნეებში მას სანადიროდ იყენებდნენ, როგორც მწევარ ძაღლს).

შოთა რუსთაველმა, თავისი განუმეორებელი თხზულების მიხედვით, შესანიშნავად იცოდა იმდროინდელი კავკასიისა და მეზობელი რეგიონების (ირანი, თურქეთი, შუა აზია) ფაუნის ეს წარმომადგენლები, მათი ქცევა, რომელზეც დაფუძნებულია ეს ეპოსური პოემა.

თურანული ვეფხვისა და აზიური ლომის „ნაკვალევის“ შესწავლის მიხედვით (ბუნებაში, ბიბლიოთეკაში, კოლეგებთან) გაირკვა, რომ მე-12 საუკუნეში ოთხივე ნადირი მუდმივად ბინადრობდა თამარის დროშის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე.

თანამედროვე ქართველების ნაწილს ხშირად მოსდის შეცდომა არა მხოლოდ ზეპირი მეტყველებისას, არამედ სამეცნიერო თუ ლიტერატურული შრომების დაწერისას. ხაზგასასმელია: ვეფხვი ზოლებიანი ცხოველია, ვეფხი

(ლეოპარდი) - ხალებიანი მტაცებელი. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველაზე დიდი მტაცებელი ცნობილია სწორედ ვეფხის სახით, სადაც ლეოპარდი ანუ თანამედროვე ტერმინით ჯიქი (Panthera ardus) დღესაც იშვიათად, მაგრამ მაინც ბინადრობს.

აფრიკაში მასაის ტომთან ორ კვირას ვიცხოვრე. ისინი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობენ, წარმოიდგინეთ, ცხოველებზე არ ნადირობენ, მარტო ზებუს (კუზიანი ხარის) ხორცს შეექცევიან. ცენტრალურ ავსტრალიაში ბინდიბუს ტომთანაც ორ კვირას ვარ ნაცხოვრები. ეს ტომი 1953 წელს აღმოაჩინეს. მათი ნდობის მოსაპოვებლად მათი ცხოვრებით, მათი ტრადიციების გაზიარებით უნდა იცხოვრო. საჭიროების მიხედვით კენგურუს, ხვლიკი - ვარანის ხორცი,აკაციის ფესვებზე მცხოვრები მატლი უნდა მიირთვა.

მასაის ტომის ბელადმა მიამბო, რომ მათთან 26 წლის ახალგაზრდა 4-წლიან სამხედრო სამსახურს (ტომის შინა სამხედრო სამსახური აქვთ ასეთი) ამთავრებს. იგი ამ სამსახურიდან კარგად ნაწრთობი, ფიზიკურად ძლიერი ბრუნდება და თვლიან, რომ მზად არის ქორწინებისთვის; მხოლოდ ერთი პირობით - ოთხი ნადირიდან (ლომი, მარტორქა, ლეოპარდი, გეპარდი) ერთ-ერთი მაინც უნდა მოკლას. ყველაზე ძნელი მოსანადირებელი ლეოპარდიაო და გადმოსცა ლეოპარდის ბუნება (უმშვენიერეს გარეგნობასთან ერთად, ძალასთან შეხამებული ეშმაკობა). განცვიფრებული დავრჩი - რაც მე ამ საკითხზე დავწერე, იმავეს ამბობდა მასაის ტომის ბელადი. აი, კონვერგენცია, შეხედულებათა დამთხვევა! შოთა რუსთაველი და მასაის ტომის ბელადი ერთნაირად ხედავენ ლეოპარდს!

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ და ცხონებულმა პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა მითხრეს - შენ ისე გადაწყვიტე ეს საკითხები, ფილოლოგებს სათქმელი არ დაგვიტოვეო. ბატონმა გურამ დოჩანაშვილმა ვოვა სიხარულიძისადმი მიძღვნილ იუბილეზე (სიკვდილის შემდეგ) ჯანსუღ ჩარკვიანისა და ტარიელ ჭანტურიას საზოგადოებაში, თეატრის ფოიეში საუბრისას, თითქოს სხვათაშორის, ბრძანა - მე „ვეფხისტყაოსანი“ არ მცოდნიაო. ასეთი შეფასებები ძალიან სასიამოვნო და სტიმულის მომცემია ავტორისათვის.

ამ ტექსტის მოზარდებისთვის მისაწოდებლად მისი ადაპტაციაა საჭირო, რასაც, ალბათ საბავშვო მწერალი თუ შეძლებს. რაც შეეხება წიგნებს „ბუნება შემოქმედია“ და „დედაბუნება“ (ორტომეული), ბევრი ამონარიდი უკვე შესულია სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ლ.ბ.: თქვენ ბრძანდებით მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მეცნიერ-ხელმძღვანელი. ვინ ადგას თქვენს გზას, „ვინ მოდის მომავლიდან“ თქვენს დარგში?

ა.გ.: მომავალი სამეცნიერო კადრების მოძიება, შერჩევა, მათი სწორ გზაზე დაყენება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისთვის. ახალგაზრდას ნიჭთან ერთად დიდი შრომისმოყვარეობაც უნდა ახასიათებდეს. ჩემი 6 ასპირანტი თუ

დოქტორანტი ამჟამად საზღვარგარეთ გადის სტაჟირებას, ერთი აქ არის, ჩემს კათედრაზე მუშაობს და სრულად გრძნობს პასუხისმგებლობას.

ლ.ბ.: თქვენი ლექციების მრავალფეროვან თემატიკაში - სიცოცხლის 4 მილიარდი წლის ისტორია - შედის ეკოლოგია-პალეოეკოლოგიის საფუძვლები, აგრეთვე ეკოლოგიის ბიოლოგიური ასპექტები. ამასთან, ბრძანდებით კავკასიის გარემოს (ეკოლოგიის) საერთაშორისო საზოგადოების (ISCE) პრეზიდენტი, ნატოს „მეცნიერება და საზოგადოება“ (Sciens and society) კომისიის ასოცირებული წევრი საქართველოდან, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის(IGU) წევრი,ეროვნული გეოგრაფიული კავშირის წევრი (აშშ). რას იტყვით საქართველოში (ფოთში) დაბადებული ცნობილი რუსი მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის ალექსანდრე პოტიომკონის (მას სხვა ცნობილ უმაღლეს სასწავლებ-ლებთან ერთად თბილისის ივ.ჯავახიშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურ-ნალისტიკის ფაკულტეტიც ჰქონია დამთავრებული) ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ? ამ პროექტის მიხედვით 2020 წლიდან მსოფლიოს სხვა ცენტრებთან ერთად თბილისშიც უნდა დაფუძნებულიყო რეგიონალური ცენტრი ჰამბურგის კლუბ „Eco sapiens”-ის ფარგლებში, რომლის მთავარი თემა გახდებოდა ეკოლოგიური მსოფლმხედველობისა და ახალი ტიპის Eco sapiens -ის ფორმირების შესახებ მსჯელობა?

ა.გ.: ჩვენი პლანეტის უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფა დაკავშირებულია ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებასთან. სამი წელი მე კავკასიის გარემოს (ეკოლოგიის) საერთაშორისო საზოგადოების (ISCE) პრეზიდენტი ვიყავი, 2001 წელს ამირჩიეს. ჩემ შემდეგ ამ საზოგადოებაში ქართველთაგან არავინ ყოფილა. მოვლილი და შესწავლილი მაქვს კავკასიის თითოეული გოჯი. მაქვს კაპიტალური ნაშრომები ეკოლოგიაში, ვკითხულობ ეკოლოგიის კურსსაც, მაგრამ თქვენ მიერ ხსენებული რეგიონალური ცენტრის შექმნის შესახებ ჩემთვის არავის მოუმართავს.

ლ.ბ.: სიდნეის მუზეუმის დირექტორმა პროფესორმა მაიკლ არჩერიმ სასაჩუქრო წიგნზე წაგიწერათ: “**ძალიან დიდი მადლობა** (ხაზგასმა ავტორისაა) მასტიმულირებელი დისკუსიებისთვის! თქვენ მომეცით ყველაზე ფასეული - ვიფიქრო!“ თქვენი ხასიათის ეს თვისება საოცარია. უამრავ კორესპონდენციაზე გიწევთ პასუხის გაცემა და ყველას საფიქრალს აღუძრავთ ხოლმე. ასეთივე ყურადღებიანი ბრძანდებით უამრავი ფეისბუკ მეგობრისადმი. როგორ პოულობს დროს ამისათვის თქვენი დატვირთვის მქონე ადამიანი?

ა.გ.: საერთოდ, ძალიან ადვილად ვწერ. წერა ჩემთვის განტვირთვაა („ფიზიკა „და „ლირიკა“,) მეორე სპეციალობით ჟურნალისტი ვარ და თუ არ განვიტვირთე, გონება არ მუშაობს. ჩემი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით 1600 მოლოცვა მივიღე და ყველას სათითაოდ გავეცი პასუხი. კორესპონდენციას,

წერილს, რომელსაც შენ პირადად გწერენ, არ უპასუხო, არ შეიძლება, მნიშვნელობა არა აქვს ვინ არის ადრესანტი.

ლ.ბ.: მე,როგორც მკითხველს, თქვენი წიგნების გაცნობისას, გამახსენდა გენიალური რეჟისორის ანდრეი ტარკოვსკის ნათქვამი: ლევ ტოლსტოი განა პროზაიკოსია? ლეონარდო დავინჩი განა მოქანდაკეა? - არა, ისინი დიდი პოეტები არიანო. - და გავიფიქრე: არნოლდ გეგეჭკორი განა მარტო დიდი ბუნებათმცოდნეა?..

ა.გ.: ჰიპერტროფიულად მიყვარს ბუნება. ჩვენი დიდი ვაჟა აი, რას ამბობს და მერე როგორ ამბობს:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც - კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..“

მშვენიერება არის ჩემი მამოძრავებელი ძალა. მომწონს ხელუხლებელი ბუნება, მომწონს ირემი და ალპური ყვავილი, მომწონს მამაკაცის ვაჟკაცობა და ქალის სინარნარე. ქალზე მშვენიერი ხომ არაფერი არსებობს. ადვილია ამ მშვენიერებით ცდუნება. მეც შემქმნია ამ მხრივ პრობლემები.

ხშირად ჩემი ბინის აივნიდან გავცქერი არემარეს. გაიხედავ და რაღაც საიდუმლო ნათება ჩანს მცხეთის მხრიდან. ცდუნებას ვერ ვუძლებ და უმალ მცხეთისაკენ მივემგზავრები.

ჯვრის მონასტერთან არის ტბა, რომელშიც ჯვარი ირეკლება. ისეთი მომენტი უნდა დაიჭირო, რომ ტბა არ იძროდეს, რათა მთელი სისრულით იხილო ეს მშვენიერება. ერთ დღეს დაემთხვა ასეთი იშვიათი წუთი და ფოტოფირზე აღვბეჭ-დე ეს სილამაზე. სწორედ ეს ფოტო მაქვს შეტანილი ალბომში „ეს არის საქართველო“.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მყავს მეგობარი - „მსტოვრები“. მაგალითად, შემომითვლიან ლაგოდეხიდან - ირმის მყვირალობა დაიწყოო, ყაზბეგიდან მაცნობებენ - „გვყავს დაჭრილი არწივი“, აჭარიდან ხმას მომაწვდიან - მწვანე ტბაზე ფოთოლცვენაოო და ბევრი სხვა. მეც მაშინვე იქით გავწევ და აღმოვჩნდები ზუსტად იქ, ზუსტად იმ დროს და იმ წამს, რომელიც აღარ განმეორდება. აი სწორედ აქედან მოდის ის მეტაფორები, რომელიც ასე მოსწონს

მკითხველს. ასე იქმნება ის ფოტოები, რომელიც უკვდავყოფს ბუნების ამ სილამაზეს.

ერთხელ უშიშროების კომიტეტშიც დამიბარეს და მითხრეს, განგვიმარტეთ, რას ნიშნავს ეს მოკლე შეტყობინებებიო. დაეჭვდნენ, ეს რაიმე შიფრი ხომ არ იყო?

ასეთია ჩემი მოკლე პასუხი თქვენს კითხვაზე - ვარ თუ არა მარტო ბუნებათმცოდნე?

ლ.ბ.: თქვენ, რომელსაც მოვლილი და შესწავლილი გაქვთ დედამიწის ხუთი კონტინენტი, თამამად შეგიძლიათ თქვათ - დედამიწა ჩემი სახლია! როგორ ხედავთ საქართველოს ამ გლობალურ სივრცეში? რომ არა საქართველო, სად ისურვებდით ცხოვრებას?

ა.გ.: ხუთ კონტინენტზე 112 ქვეყანაში მომიწია ყოფნა, მაგრამ არასოდეს, წამიერადაც კი არ დამიშვია საქართველოს მიღმა ცხოვრება (მოქალაქეობას ვგულისხმობ). „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩემი გენომის, ინტელექტის, თუნდაც მეობის ან ცად აღვლენილი რწმენის განუყოფელი ნაწილია.

ლ.ბ.: ბატონო არნოლდ, თქვენ მიმართ კითხვებს რა ამოწურავს, მაგრამ ზომიერების დაცვაც ხომ აუცილებელია? დიდ მადლობას გიხდით თქვენთვის ჩვეული ფიქრთა აღმძვრელი საუბრისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და ისეთი ხანგრძლივობის სიცოცხლეს, რაც თქვენი გონებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას დასჭირდება.

P.S. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის რედაქცია ვულოცავთ გამოჩენილ მეცნიერს, ჩვენი ქვეყნის არაფორმალურ „დესპანს“, ბატონ არნოლდ გეგეჭკორს დაბადების მე-80 წლისთავს, ვუსურვებთ ხანგძლივ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და დიდ წარმატებებს პროფესიულ და საზოგადორებრივ სარბიელზე.

ჯემალ ჯინჯიხაძე - 80

ცნობილ ქართველ მეცნიერს, თვალსაჩინო მკვლევარსა და პედაგოგს, მათემატიკის მეთოდისტს, ენათმეცნიერს, ლექსიკოგრაფს, მათემატიკის ისტორიკოსს, პოეტს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა, საქართველოს მეცნიერებათა „აია“ და ფაზისის აკადემიების აკადემიკოსს, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატს, ომის ვეტერანს, ღირსების ორდენის კავალერს, 60 წიგნისა და 200-მდე მეცნიერული სტატიის ავტორს, ჯემალ ჯინჯიხაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ჯემალ ჯინჯიხაძე დაიბადა 1940 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედაეწერში. 1964 წელს დაამთავრა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რაიონის საშუალო სკოლებში. 1971-1974 წწ. იყო აფხაზეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდკაბინეტის გამგე, 1981-1989 წწ. – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი, 1989-2005 წწ. – თსუ სოხუმის ფილიალის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1989-2006 წწ. – თსუ სოხუმის ფილიალის დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრის გამგე, 2006-2008 წწ. – სოხუმის სახელმწიფო უნივევრსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი. იკვლევს მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული

საფუძვლების, მისი სწავლების მეთოდიკისა და ტექნოლოგიის, ტიპოლოგიურ-ენათმეცნიერული ნუმერალისტიკისა და თეორიული ენათმეცნიერების, უძველესი მათემატიკის ისტორიის, ჰუმანისტური პედაგოგიკის, სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და განათლების ისტორიის, რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების აქტუალურ პრობლემებს. მის სახელმძღვანელოებზე ქართველ მასწავლებელთა მრავალი თაობა აღიზარდა.

ძირითადი შრომებია:

1. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თბილისი, 2012, 343 გვ.
2. პედაგოგიკური კვლევა (მეთოდოლოგია, მეთოდები, მეთოდიკა). თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016, 480 გვ.
3. პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2017, 648 გვ.
4. პიროვნების სასკოლო მათემატიკური განვითარების ძირითადი პრობლემები. თბილისი, 2013. 424 გვ.
5. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია. თბილისი, 2011, 854 გვ.
6. მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები. თბილისი, 2012. 888 გვ.
7. თეორიული ენათმეცნიერების ლოგიკური პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016, 116 გვ.

ამჟამად წარმატებით მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზე.

სამი ათეული წელია, რაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების განათლების ფაკულტეტებზე ჯემალ ჯინჯიხაძის წიგნებით ისწავლება საგნები:

- მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები,
- მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა,
- თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები,
- პედაგოგიკური კვლევა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ღირსეულ და შესანიშნავ პიროვნებას, დამსახურებულ მეცნიერს, აკადემიკოსს ჯემალ ჯინჯიხაძეს დაბადებიდან 80 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თამაზ ტატიშვილი - 80

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ თამაზ ტატიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი თამაზ ტატიშვილი, სადაც მას უმუშავია გამოირჩეოდა და, გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, პრინციპულობითა და თავდადებით. იგი არის მაღალი ერუდიციისა და კულტურის მქონე პიროვნება, რაფინირებული ინტელიგენტი, ამავე დროს, უაღრესად თავმდაბალი ჰუმანისტი.

თამაზ ტატიშვილმა ცხოვრების დიდი გზა განვლო. დაიბადა ქ. ბათუმში 1940 წლის 22 ივნისს, შრომით გამორჩეული ადამიანების ოჯახში. საშუალო სკოლა 1958 წელს დაამთავრა. მათემატიკის მასწავლებლის დიდი სიყვარულით შთაგონებულმა, იმავე წელს სწავლა ქ. თბილისის ა.პუშკინის სახ. სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც 1963 წელს დაამთავრა. იმავე წლის სექტემბრიდან 1966 წლის აგვისტომდე თბილისის მე-9 საშუალო სკოლაში მათემატიკასა და ასტრონომიას ასწავლიდა მათემატიკის გაღრმავებული სწავლების კლასებში. განათლების სისტემის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ დააფასა ახალგაზრდა მასწავლებლის მიზანმიმართული საქმიანობა და იმავე რაიონში 133-ე საშუალო სკოლის

დირექტორის მოადგილედ დააწინაურა. იქ კიდევ უფრო გაშალა ფრთები მისმა პედაგოგიურმა ალღომ. კოლეგასთან ერთად მან პირველად შექმნა „ლასტოჩკა“-ს ტიპის მოსწავლეთა შეფასების თვითნაკეთი ელექტრონული მოწყობილობა,-ე.წ. პროგრამირებული სწავლების ახალი ინსტრუმენტი, რომელმაც საგნობრივ პედაგოგიურ კონფერენციაზე მთელი ქალაქი აალაპარაკა. 1970 წელს ის ახალგაზრდა მასწავლებელთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1971 წელს კი ახალგახსნილი 142-ე საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. 1972-1975 წლებში ბატონი თამაზი ნაძალადევის (ყოფ.ლენინის) რაიონის განათლების განყოფილების გამგე იყო. მისი ავტორიტეტი და წლითი წლობით იზრდებოდა. ნაძალადევის რაიონის სკოლების ხანდაზმული დირექტორები დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებენ ბატონი თამაზისა და მისი აწ განსვენებული მეუღლის, განათლების სისტემის დამსახურებული აღმზრდელ-პედაგოგის, "ღირსების ორდენის" მფლობელის, ქალბატონ მერი ტატიშვილის შეხმატკბილებულ ოჯახს.

1975 წელს ბატონი თამაზი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა ინსტრუქტორად გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ იქ მან უაღრესად ნაყოფიერად იღვაწა დედაქალაქის განათლების სისტემის განვითარებისათვის.

1980 წლიდან 2004 წლამდე ბატონი თამაზი მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროში: ჯერ სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ ამავე სამმართველოს უფროსად; საორგანიზაციო-პედაგოგიური მუშაობის სამმართველოს უფროსად; საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ; 1992 წლიდან 2004 წლამდე კი განათლების მინისტრის მოადგილედ. ეს 12 წელიწადი ფუნდამენტალური ძვრების წლებია საქართველოს ისტორიაში: დაინგრა საბჭოთა წყობილება, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ამ მნიშვნელოვანმა მოვლენებმა ძირფესვიანად შეცვალა განათლების იდეოლოგია, ასეთ ვითარებაში ძალზე დიდი იყო განათლების მინისტრის მოადგილის ტვირთი, რომლის ღირსეულ ზიდვას ბატონმა თამაზმა თავდადებული შრომითა და ფართო განათლების წყალობით ბრწყინვალედ გაართვა თავი.

სკოლაზე მზრუნველობა საქართველოზე მზრუნველობის ტოლფასია, - ეს არის ბატონი თამაზის პედაგოგიური საქმიანობის მთავარი კრედო, რითაც იგი წლების განმავლობაში მასწავლებელთა მასწავლებლად იქცა. მრავალჯერ იყო სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენციებისა თუ „პედაგოგიური კითხვების“ აქტიური მონაწილე; მის მიერ ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის შედეგია სამეცნიერო შრომები და ანალიტიკური ხასიათის ისეთი გამოცემები, როგორიცაა, მაგალითად: "განათლება ყველასათვის - EFA-2000”-საქართველოს განათლების სისტემის ათწლიანი მუშაობის კვლევისა და ანალიზის შედეგები; "სასკოლო

სახელმძღვანელოების შექმნის, მათი ახალი შინაარსის ევროპული პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის ამოცანები საქართველოში " და ბევრი სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონი თამაზისათვის მუშაობის ის პერიოდები, რომელიც მან გაატარა განათლების მინისტრების: ოთარ ქინქლაძის, გუჩა კვარაცხელიას, თამაზ კვაჭანტირაძისა და ალექსანდრე კარტოზიას გვერდით. მათთან ერთად საქმიანობა და ერთნაირი ინტერესები კიდევ მეტად განამტკიცებდა მის პროფესიონალიზმს.

ყოველივე იმისათვის, რაც ზემოთ ითქვა, 2012 წელს უშუალოდ ქალბატონ ნათელა ვასაძის რეკომენდაციით ბატონი თამაზი ერთხმად არჩეული იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 2014 წლიდან - პრეზიდიუმის წევრად, ხოლო 2016 წლიდან - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

იგი არის განათლების სისტემაში ჩატარებული მრავალი სახელმწიფო პროექტისა და არაერთი რეფორმის უშუალო მონაწილე და შემსრულებელი. აქტიურად მონაწილეობდა განათლების სისტემაში გაეროს, UNESCO-ს, UNICEF-ისა და ევროკავშირის ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო ფორუმებში, რეგიონულ კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. არის UNESCO-ს ექსპერტი ზოგადი საშუალო განათლების დარგში, მრავალი პედაგოგიური პუბლიკაციის ავტორი და განათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ შექმნილი (2015 წელი) სამეცნიერო შრომის "საქართველოს განათლების მატიანე”-ს ერთ-ერთი თანაავტორი.

2015 წელს იგი დაინიშნა საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავ-ლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მრჩევლად, ხოლო 2019 წლიდან - ექსპერტ-კონსულტანტად, სადაც დღემდე მოღვაწეობს.

ღირსეულადაა დაფასებული მისი ღვაწლი: დაჯილდოებულია "ღირსების ორდენით", "განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, მრავალი მედლითა და სხვადასხვა სახის საპატიო სიგელებით.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის რედაქცია გულითადად ვულოცავთ ბატონ თამაზ ტატიშვილს დაბადებიდან 80-წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ამირან ბუქსიანიძე - 70

მეცნიერება სამყაროში მარადიული ლურჯი ფრინველივით შეუმჩნევლად დაქრის, აჩრდილივით დასდევს განყენებული აზროვნების მქონე ადამიანებს და დამსახურებულად აფენს ციმბოძებულ შუქს საიდუმლოებათა ამოსახსნელად. "ადამიანათა უმრავლესობას მცენარეებისა არ იყოს ბევრი ფარული უნარი აქვს, რომელსაც მხოლოდ შემთხვევითობა ამჟღავნებს". ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ბუქსიანიძე. ცხოვრებამ მას სიკეთის, უანგარო მეგობრობის და კაცურკაცობის სამოცდაათწლიანი სარტყელი ლამაზად შემოავლო.

ამირან ბუქსიანიძე დაიბადა 1950 წლის 1 იანვარს საქართველოს ულამაზეს კუთხეში, იმერეთის ქალაქ ბაღდათში.

1966 წელს დაამთავრა დიმის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ქ. ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1971 წელს და განაწილებით მუშაობა დაიწყო ქ. ტყიბულის განათლების სისტემაში მათემატიკის მასწავლებლად. ნიჭიერი ახალგაზრდა მათემატიკოსი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის 63-ე კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი სერგო თოფურია.

ამირან ბუქსიანიძე 1977 წელს გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში და მუშაობა დაიწყო პირველ საშუალო სკოლაში (დღევანდელი პირველი გიმნაზია) მათემატიკის მასწავლებლად. 1978 წლიდან ბატონი ამირანი თავის ცოდნას გადასცემს უმაღლეს სკოლაში - სპი-ის უმაღლესი მათემატიკის 63-ე კათედრაზე.

1989 წელს დაიცვა დისერტაცია ცნობილი მეცნიერების – გენადი ჩერპანოვისა და ჯემალ სანიკიძის ხელმძღვანელობით და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1994 წელს უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის წოდება.

1996 წელს იმყოფებოდა სტაჟირებაზე სანკტ-პეტერბურგის არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტში. 1997 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის №7 კათედრაზე. პარარელურად კითხულობდა ლექციების კურსს.

1999 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტთან არსებულ სადისერტაციო საბჭოზე მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონ ამირანს 2005 წელს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ მიანიჭა პროფესორის წოდება. ამავე წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე.

ა. ბუქსიანიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად არის ჩართული მეცნიერებაში. მას გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მათ შორის ერთი მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო უმაღლეს მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში. მონაწილეობდა და 50-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მისი სამეცნიერო მიმართულებაა თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების სტატიკური და დინამიკური ამოცანების გამოკვლევა.

წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, ამირან ბუქსიანიძის ენერგია იმის საწინდარია, რომ იგი კიდევ ბევრს გააკეთებს და გაამდიდრებს ისედაც მდიდარ ბიოგრაფიას.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს ამირან ბუქსიანიძეს დაბადების 70 წლისთავს, ვუსურვებთ მხნეობას და წარმატებულ პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას.

რობერტ გოლეთიანი - 70

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რობერტ ტრიფონის ძე გოლეთიანი 70 წლის გახდა. იგი 1968 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1972 წელს.

1972 წლიდან რობერტ გოლეთიანი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის ასპარეზად ირჩევს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრას, სადაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა. ბატონმა რობერტმა ამ კათედრაზე თავდაპირველად ასისტენტად დაიწყო მუშაობა. გაიარა მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის და პროფესორის საინტერესო გზა და ამ კათედრასაც ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში.

ბატონმა რობერტმა 1989 წელს მოსკოვის ფილოსოფიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1990 წელს არჩეული იქნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 2003 წელს რობერტ გოლეთიანმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში და მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წლიდან არჩეულ იქნა პროფესორად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე.

ბატონი რობერტი მიეკუთვნება იმ გამორჩეულ მეცნიერ-მკვლევარებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართული განათლების საქმეს, როგორც ნიჭიერმა პედაგოგებმა და მეცნიერების ორგანიზატორებმა. ამის დასტურს წარმოადგენს ის სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობები, რომლებიც

ბატონ რობერტ გოლეთიანს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წლების განმავლობაში ეკავა. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ: საერო ინსტიტუტი ,,გელათი“-ს რექტორი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე; აკადემიური საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის პრორექტორი; თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ფილიალის დირექტორი.

პროფესორი რობერტ გოლეთიანი არის 100 - ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 6 მონოგრაფიის ავტორი. ამასთან ერთად იგი არა მხოლოდ გამორჩეული პედაგოგი და მეცნიერ ორგანიზატორია, არამედ ის დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გამოირჩევა საზოგადოებრივი აქტივობით. ბატონი რობერტი არჩეულია სხვადასხვა სამეცნიერო, შემოქმედებით, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებში.

პროფესორი რობერტ გოლეთიანის შრომა დააფასა სახელმწიფომ, იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003), მიღებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის კულტურის ფონდის დიპლომი ,,კულტურის ამაგდარი“-2018 წელი.

განსაკუთრებულია ბატონ რობერტის დამოკიდებულება სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მის პიროვნებაში დომინირებს კაცთმოყვარეობა. ის უზადო შინაგან კულტურას ასხივებს ყველგან: სტუდენტებთან თუ სამეცნიერო ფორუმებზე.

ღირსეული ადამიანები სხვათაგან იმითაც გამოირჩევიან, რომ ღირსეულად უმკლავდებიან ცხოვრების ქარიშხალს. არც ბატონი რობერტი დაინდო საწუთრომ, თუმცა აქაც ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი. სააშკარაოდ არ აქცია მამაშვილობის ტრაგედია და სხვას არ დაუმძიმა ყოფა.

წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. პროფესორ რობერტ გოლეთიანის ენერგია არის იმის საწინდარი, რომ იგი თავის სახელოვან ბიოგრაფიას კიდევ უფრო გაამდიდრებს.

საქართველო განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავს პროფესორ რობერტ გოლეთიანს დაბადების 70 წლის იუბილეს. უსურვებს დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს, წარმატებულ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

რეზო ძნელაძე - 70

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს რეზო აკაკის ძე ძნელაძეს.

პროფესორი რეზო ძნელაძე ცნობილი ფილოლოგი ლინგვისტია, ისეთი საინტერესო ფილოლოგიური მეცნიერების აღირებული სპეციალისტი, როგორიცაა ტოპონიმიკა. მან სწორედ ამ დარგში შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები გურიის ტოპონიმიკაში, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის გურიის ტოპონიმიკური სისტემისა თუ გურული დიალექტის ტოპონიმიკის პრობლემატიკის ვერც ერთი მკვლევარი თუ მკითხველი საზოგადოება.

პროფესორი რეზო ძნელაძე 1950 წლის 26 იანვარს დაიბადა გურიის ულამაზეს სოფელ ნოღაში, სოფელში, სადაც დაიწერა მნიშვნელოვანი ფურცელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ისტორიაში, სოფელში, რომელმაც საქართველოს მისცა ისეთი დიდი სახელი, როგორიცაა აკადემიკოსი აკაკი შანიძე და არა მარტო...

პროფესორი რეზო ძნელაძე ფილოლოგების ოჯახში დაიბადა. მამა - აკაკი ძნელაძე, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სოფელ ნოღის საშუალო სკოლაში (ერთხანს ამ სკოლის დირექტორიც იყო), დედა - შუშანა ლორია იქვე, ქართულ ენა და ლიტერატურასთან ერთად, უცხო ენასაც ასწავლიდა. სწორედ ამ სკოლაში მიიღო დაწყებითი განათლება რ. ძნელაძემ, შემდეგ მან სწავლა აჭარაში

განაგრძო და 1967 წელს წარჩინებით (ოქროს მედალზე) დაამთავრა მახინჯაურის ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის სახელობის საშუალო სკოლა. იმავე, 1967 წელს რ. ძნელაძე ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა 1972 წელს.

მეცნიერული ძიებებისა და კვლევებისადმი ინტერესი რ. ძნელაძემ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე და გადიოდა პროფესიულ წვრთნას აკადემიკოსების აკაკი შანიძისა და შოთა ძიძიგურის ხელმძღვანელობით. რ. ძნელაძე ყოველმხრივ წარჩინებული სტუდენტი იყო და ეს სათანადოდ დაუფასდა კიდევაც - მას მიენიჭა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სახელობის სტიპენდია.

მთელი შეგნებული ცხოვრება რ. ძნელაძემ თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტს დაუკავშირა. ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ იგი იქვე დატოვეს სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. სხვადასხვა წლებში იყო ახალი ქართული ენის კათედრის ტოპონიმიკის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ მუშაკი, მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ მუშაკი, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრის დოცენტი, ამ კათედრის გამგის მოადგილე.

პროფ. რ. ძნელაძემ ამ ასპარეზზედაც მიიქცია ყურადღება პროფესიონალიზმით და ორგანიზატორული ნიჭით, რითაც მას მოღვაწეობის ახალი ასპარეზი გადაეშალა. სხვადასხვა წლებში არჩეული თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, 1987-2007 წლებში მუშაობდა ამ ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ საღამო, დაუსწრებელი და ფასიანი სწავლების დარგში (ქართულის და რუსული სექტორების), მაგისტრატურის განყოფილების ხელმძღვანელი. მიუხედავად ამგვარი ინტენსიური ორგანიზაციული მუშაობისა, მან წარმატებით განაგრძო მეცნიერული კვლევები და 1995 წელს დისერტაციაც დაიცვა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. საორგანიზაციო მუშაობასთან ერთად, პროფ. რ. ძნელაძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 2007-2010 წლებში იყო თსუ ენების სწავლების განყოფილების პედაგოგი. 2010 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. დრომ ცხადყო, რომ, რ. ძნელაძის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური ინტერესების შინაარსი უპირატესად პედაგოგიურ მოღვაწეობაში გამოვლინდა. მან არაერთი საინტერესო სალექციო კურსი შექმნა და თავადვე უძღვებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში. იგი ავტორია 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. ამჟამად

ინტენსიურად მუშაობს საინტერესო პრობლემატიკის გამოკვლევაზე რომლის სათაური უკვე გამოკვეთილი აქვს და „გურია და გურულები“ ჰქვია.

პროფ. რ. ძნელაძის მეცნიერულ ავტორიტეტს ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ იგი არის 50-ზე მეტი სამეცნიერო წიგნის რედაქტორი თუ რეცენზენტი.

საქართველო განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურ-ნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავს პროფესორ რეზო ძნელაძეს დაბადების 70 წლის იუბილეს. უსურვებს დიდი ხნის ბედნიერ სიცოცხლეს და წარმატებებს პროფესიულ მოღვაწეობაში.

ირინე გოგიბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი, განათლების აკადემიური
დოქტორი

საგანთაშორისი კავშირების რეალიზების მეთოდოლოგიური პრინციპების ზოგიერთი ასპექტი

საგანთაშორისი კავშირების რეალიზება უკავშირდება პიროვნების აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას და მისი გადაჭრა სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

საგანთაშორისი კავშირები წარმოადგენენ დიდაქტიკური პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებას. მისი მეშვეობით შესაძლებელია გარე სამყაროს მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებული მრავალნაირი მიმართებებისა და კავშირების შეცნობა, მათ შორის ურთიერთქმედების არსში ჩაწვდომა.

საგანთაშორის კავშირებში გამოიყოფა სამი არსებითი ნიშანი: კავშირის შემადგენლობა, ხერხები და მიმართულებები. კავშირის შემადგენლობაში იგულისხმება საკითხების და სასწავლო თემების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან თანაფარდობაშია განსაზღვრული წესების და ნიშნების მიხედვით. მხედველობაში მიიღება ის, რომ კავშირის შემადგენლობის დეტალიზაცია მდგომარეობს ძირითადი მეცნიერული ფაქტების, მოვლენების, პროცესების, მათი შემადგენელი ნაწილებისა და თვისებების დანაწევრებაში. ყოველი მათგანი ერთ მთლიანობაში იძლევა იმ მასალას, რომელიც გადაეცემა მონათესავე სასწავლო დისციპლინას.

კავშირის დამყარების ქვეშ იგულისხმება ის მიმართულება, რომლითაც ხორციელდება ცნებების გადაცემა ერთი სასწავლო დისციპლინიდან მეორეზე. ამასთან მხედველობაში მიიღება ის, რომ ეს კავშირი შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ასევე ცალმხრივი. დროებითი კავშირების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ პერსპექტიული კავშირები, რომლებიც გამომდინარეობს მათი წინამორბედი კავშირებისაგან. ამ არსებითი ნიშნებისაგან გამომდინარეობს საგანთაშორისი კავშირის სპეციფიკა: რამდენიმე სასწავლო საგნის ელემენტები შინაარსის მიხედვით ერთმანეთთან უნდა იყვნენ თანაფარდობაში; სწავლების მეთოდებს შორის უნდა დამყარდეს ურთიერთკავშირი; თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა ცოდნის კომპლექსური გამოყენების უნარ–ჩვევების ფორმირება.

საგანთაშორისი კავშირები გამოყენებული უნდა იქნეს პედაგოგიური მიზნებიდან გამომდინარე. უნდა მოხდეს: ცოდნის ინტეგრაცია, სხვადასხვა სასწავლო საგნის თეორიული და პრაქტიკული მონაცემების შეჯამება. ამ პროცესის განხორციელება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ცოდნის შეძენა ხდება სხვადასხვა საგნის შესწავლით. ამ საგნებიდან თითოეული აღწერს სინამდვილის მხოლოდ ერთ-

ერთ მხარეს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გარე სამყაროს მოვლენების დანაწევრების გზითაა შესაძლებელი ღრმად შევიმეცნოთ მისი ცალკეული მხარეები. თუმცა სინამდვილის ასეთი დიფერენცირებული შესწავლა საკმარისი არ არის, რადგან ამ შემთხვევაში სამყარო არ აღიქმება როგორც ერთიანი მთლიანი. ამიტომ, აუცილებელია სხვადასხვა სახის ცოდნის ე.ი. მონათესავე სასწავლო საგნების მონაცემების სინთეზი. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე მოვლენა განვიხილოთ სხვადასხვა კუთხით, გამოვავლინოთ ურთიერთკავშირი სხვადასხვა სასწავლო დისციპლინის თეორიულ მონაცემებს შორის.

ახალი ცოდნის შეძენა-ეს მიზანი ფორმულირება არა მარტო ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინის შინაარსით, არამედ მისი მონათესავე სასწავლო დისციპლინის შინაარსის ღრმად გაგებით. რადგანა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეუძლებელია მიღებულ იქნას მხოლოდ ერთი სასწავლო დისციპლინის მეშვეობით, ამიტომ აუცილებელია კავშირების დამყარება მონათესავე სასწავლო დისციპლინებთან ინფორმაციის მიღების მიზნით.

სასწავლო ინფორმაციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მხარეების სინთეზი. ეს მიზანი გულისხმობს სწავლებაში იმ პრინციპის ასახვას, რომელიც ემყარება სამყაროს მოვლენების და პროცესების ახსნას რაოდენობრივი ფაქტორის გათვალისწინებით. ხარისხობრივად განსხვავებული მოვლენების შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს პრაქტიკულად ყველა სასწავლო დისციპლინის შესწავლაში.

ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სფეროს გაფართოება. ეს მიზანი გულისხმობს ცოდნის კომპლექსური გამოყენების აუცილებლობას და მოითხოვს სასწავლო პროცესში „საგანთაშორისი“ კავშირების დამყარების სიტუაციის შექმნას. პედაგოგთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საგანთაშორისი კავშირები ზოგადად ცოდნის სისტემის ფორმირების დიდაქტიკურ საფუძველს წარმოადგენს, მეორე ნაწილი თვლის, რომ ისინი სასწავლო პროცესის სრულყოფის მეთოდებს მიეკუთვნებიან, მესამენი საგანთაშორის კავშირებში ხედავენ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარების სტიმულს, მეოთხენი მას განიხილავენ, როგორც სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის შემადგე-ნელ ნაწილს, მეხუთენი მას თვლიან მეცნიერებათშორის არსებული კავშირების ეკვივალენტად და სხვ.

პედაგოგიურ ლიტერატურაში არსებობს მრავალრიცხოვანი მონაცემები, მცდელობები, მიმართულებები, კონკრეტულად, პედაგოგიური და უნივერსალური სახით საგანთშორისი კავშირების განსაზღვრისა. საგანთაშორისი კავშირების ფუნქცია და როლი სასწავლო–აღმზრდელობით პროცესში უწინარეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს იმ დიდაქტიკური მიზნებით რომელთა მისაღწევადაც გამოიყენება ისინი.

ერთიანი მეცნიერული მსოფლხედველობის ფორმირებისას საგანთაშორის კავშირებმა უნდა უზრუნველყოს ცალკეული სასწავლო დისციპლინების კოორდინაცია, ცოდნის ინტეგრაცია. მათი მეშვეობით მოსწავლეებს უნდა შეექმნას სრულყოფილი წარმოდგენა სამყაროს მეცნიერულ სურათზე, რომლითაც გააანალიზებენ ბუნებაში მიმდინარე სხვადასხვა სახის მოვლენებს, პროცესებს და განაზოგადებენ მათ.

სამეცნიერო–პედაგოგიურ ლიტერატურაში არსებობს საგანთაშორისი კავშირების სისტემატიზაციის და კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტი.

ს. ბაბაჯანიანი და ვ. მონახოვი [2] აღნიშნავენ, რომ ცნება „საგანთაშორისი კავშირები“ მოიცავს კავშირის შემდეგ ტიპებს: ა) ცნებითი ანუ დროებითი კავშირები; ბ) საგანთაშორის ცალმხრივი კავშირები, რომლის ამოცანაა სასწავლო საგნის კონკრეტული საკითხის შესწავლისას სხვა საგნების გამოყენება; გ) დამატებითი კავშირები; დ) საგანთაშორისი კავშირების განხორციელება ცნებისა და განსაზღვრებების მეშვეობით.

ი. ლაშქარავა [5] აღნიშნავს, რომ საგანთაშორისი კავშირები გავლენას ახდენს სასწავლო–აღმზრდელობით პროცესის ყველა მხარეზე, განსაკუთრებით დიდია მათი როლი შემეცნებითი აქტიურობის განვითარებაში, სწავლების მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებაში.

ი. ლაშქარავა [4] გამოყოფს კავშირების სამ ეტაპს:

ა) კავშირი სასწავლო დისციპლინების შინაარსის მიხედვით; ბ) კავშირი უნარ–ჩვევების ფორმირების მიხედვით; გ) კავშირი სწავლების მეთოდების მიხედვით.

მ.სკატკინი და ი.ლერნერი [7] საგანთაშორის კავშირებს ყოფენ:

ა) თითოეული სასწავლო საგნისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარ–ჩვევებს შორის კავშირებად; ბ) კავშირებად, იმ ცოდნასა და უნარ–ჩვევებს შორის რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად ყველა სასწავლო საგნისათვის; გ) კავშირებად დროის ფაქტორის მიხედვით.

ასევე გამოყოფენ კავშირების შემდეგ ჯგუფებს: ა) მსოფლხედველობრივ კავშირებს; ბ) საინფორმაციო კავშირებს; გ) ქრონოლოგიურ ანუ დროით კავშირებს.

მსოფლხედველობრივი კავშირები იყოფა სამ კატეგორიად:

ა) გენერალური საგანთაშორისი კავშირები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფენ სამყაროს მეცნიერულ სურათზე წარმოდგენების ჩამოყალიბებას: ბ) შიდაციკლური საგანთაშორისი კავშირები უზრუნველყოფენ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ მეცნიერული ცოდნის ზოგადი კანონზომიერებების შესახებ ადექვატური წარმოდგენები: გ) ლოგიკური კავშირების მიზანია ცალკეული მეცნიერული დისციპლინების შესახებ ცოდნის ერთიან სისტემაში მოყვანა8

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კავშირებს დროის მიხედვით. ამ ნიშნით მათი კლასიფიკაცია ასეთია:

ა) წინამორბედი კავშირები, რომლებიც მოითხოვენ სხვა სასწავლო დისციპლინიდან შესწავლილი მასალის აღდგენას; ბ) თანმხლები კავშირები, რომლებიც მოითხოვენ ამა თუ იმ ცნების შინაარსის ცალსახა გამოყენებას სხვადასხვა სასწავლო საგნის ერთდროული სწავლებისას; გ) პერსპექტიული კავშირები, რომლებიც მოითხოვენ ამა თუ იმ ცნების შინაარსის უფრო ღრმად გაანალიზებას მომავალში შესასწავლი სხვა სასწავლო დისციპლინებიდან მასალის მოშველიებით. საგანთაშორისი კავშირების რეალიზების არსის ანალიზი, მათი კლასიფიკაცია, დიდაქტიკური პრინციპების გამოყენება მიუთითებს, რომ სწავლების პროცესის ორგანიზაციისას აუცილებელია მთელი რიგი მოთხოვნების შესრულება ამ კავშირების განხორციელების პირობებში. ამ მოთხოვნებიდან ყველაზე არსებითია:

1. დამოუკიდებელი სამუშაოების და კომპლექსური მეცადინეობის ორგანიზაცია; 2. ცოდნის შეძენა, განმტკიცება და განზოგადება საგანთაშორისი კავშირების საფუძველზე; 3. სასწავლო მასალაში იმ თეორიის ჩართვა, რომელიც წამოჭრის საგანთაშორის

სასწავლო–შემეცნებით პრობლემებსა და შემეცნებით ამოცანებს; 4. სასწავლო მეცადინეობებზე მონათესავე დისციპლინებიდან ფსიქოლოგიურ–დიდაქტიკური მასალისა და მეთოდების გამოყენება; 5. სწავლების სხვადასხვა მოტივების შექმნა და გამოყენება [1].

იმ დიდაქტიკური ამოცანის გადაჭრა, რომელიც საფუძვლად უდევს სასწავლო–შემეცნებითი პროცესის ორგანიზაციას, დამოკიდებულია ცოდნის ათვისების ამა თუ იმ ფსიქოლოგიური კონცეფციის რეკომენდაციებზე. გონებრივი მოქმედების სისტემა დამოკიდებულია შემეცნებითი მოღვაწეობის მიზნებზე. ამის შესაბამისად პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში შემუშავებულია კონცეფციები, რომლებიც აღწერენ შემეცნებითი მოქმედებების შესაძლო სისტემებს, რომელთა საფუძველზეც შემდგომში წარმატებით ვითარდება ისეთი ფუნდამენტური აზრობრივი ფუნქციები, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი, განზოგადება და სხვ.

ასოციაციურ–რეფლექტორული კონცეფცია შემუშავეს ს.რუბენშტეინმა, ი.სამარინმა, პ.შევარიოვმა, ე.კაბანოვა–მელერმა და სხვ. ამ კონცეფციისათვის ამოსავალი პუნქტია ი.სეჩენოვის და ი.პავლოვის ასოციაციურ–რეფლექტორული თეორია. კონცეფციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ ადამიანი გარე სამყაროს შესახებ ცოდნას და გამოცდილებას აგროვებს სინამდვილის მოვლენებსა და ობიექტებს შორის კავშირების ასახვის გზით.

ასოციაციურ–რეფლექტორული კონცეფციის შესახებ გამოკვლევები აქვს ი8სამარინს [6]. იგი გვთავაზობს ასოციაციის თავისებურ კონცეფციას: ლოკალური, ანუ ცალსახა ასოციაციები, რომლებიც ასახავენ ცალკეულ კავშირებს ცალკეულ ფაქტებს შორის; კერძო სისტემური ასოციაციები, მოცემული სასწავლო თემების საზღვრებში; შიგასისტემური ასოციაციები, რომლებიც მოცემული სასწავლო საგნის ფარგლებში ერთ სისტემად აერთიანებს მთელ რიგ ასოციაციებს.

სასწავლო პროცესში ხდება ასოციაციების უწყვეტი ცვლილება ურთიერთსაპირისპირო მიმართულებებით. ერთის მხრივ კავშირები რთულდება, იქმნება ასოციაციათა ჯაჭვი, მათი სისტემები, დაბალი სახეობები გადადიან მაღალ სახეობებში, მეორეს მხრივ ხდება ასოციაციების გამარტივება.

ე. კაბანოვა–მელერს შემუშავებული აქვს [3] ასოციაციების რამდენიმე განსხვავებული კლასიფიკაცია. იგი გამოყოფს პირველად ასოციაციებს, სადაც კავშირები მყარდება სასწავლო მასალის აღქმისას და მეორადი ასოციაციები–ახალი კავშირები ცნებებს ანუ წარმოდგენებს შორის, როცა აღქმის პროცესში წინასწარ არ მყარდება კავშირები თვალსაჩინოების საფუძველზე. მეორადი ასოციაციები პირველადი ასოციაციებისაგან განსხვავებით მყარდება მეხსიერების მეშვეობით. პირველად და მეორად ასოციაციებს შორის არსებობს შუალედური ასოციაციები–ეს არის კავშირები აღქმასა და წარმოდგენას შორის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საგანთშორისი კავშირების დამყარების პროცესში მასწავლებლის უმთავრესი ამოცანაა სწორი განზოგადების შექმნა, რომლებიც შემდეგში აყალიბებს აღქმებს და წარმოდგენებს მოვლენებზე, ობიექტებზე, კავშირებზე და ამყარებს ასოციაციებს.

ერთ-ერთი ფსიქოლოგიური კონცეფცია არის-გონებრივი მოქმედების ეტაპობრივი ფორმირების თეორია. ამ კონცეფციის საფუძველს შეადგენს არა აღქმა არამედ მოქმედება

გარეგანი-პრაქტიკული ან შინაგანი-გონებრივი. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, მოქმედება-ათვისებული ცოდნის დონის პროპორციულია, ამასთან მოქმედებები განიხილება ორ ასპექტში: ერთი, როგორც სასწავლო- შემეცნების წყარო და მეორე, როგორც შემეცნებითი მოქმედების აქტივიზაციის და მასზე კონტროლის საშუალება.

გონებრივი მოქმედების ეტაპობრივი თეორიის თანახმად, გონებრივ მოქმედებათა საწყის ფორმას წარმოადგენს მატერიალური მოქმედებები. მოქმედება სანამ გადაიქცეოდეს გონებრივად, მაქსიმალურად განზოგადებულად, გაივლის მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებს. განასხვავებენ ინფორმაციის გადამუშავების ხუთ ძირითად ეტაპს. ეს სახეებია: 1. გონებრივი მოქმედების შესრულების დროს ორიენტაცია და სასწავლო პროცესის თანმიმდევრობის განსაზღვრა; 2. გარეგანი მატერიალური მოქმედება შესწავლის ობიექტებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეითვისონ მოძრაობის შინაარსი, მისი ყველა ოპერატორის შემადგენლობა, მათი შესრულების წესები და ამავე დროს გააკონტროლონ მათ მიერ შესრულებული თვითოეული ოპერაცია და მათი შესრულების წესები; 3. ვერბალური მოქმედებები. რომლის ელემენტები წარმოდგენილია გარეგანი მოქმედების ფორმით ზეპირი ან წერილობითი სახით. მოქმედება შემდგომ განზოგადდება, მაგრამ ჯერ არ არის ავტომატიზირებული; 4. მოქმედების შესრულება მეტყველებით. ამ დროს ხდება მოქმედების შემდგომი განზოგადება და ჩამოყალიბება; 5. გონებრივი მოქმედებები. ამ ეტაპზე მოქმედება უკვე ავტომატიზირებულია.

ამ ხუთი სახის მოქმედების თანმიმდევრულად შესრულება აუცილებელია გონებრივი მოქმედების სრულყოფილი ფორმებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველად მოსწავლეები იღებენ ორიენტაციას, ეუფლებიან მოვლენათა ანალიზის ზოგად მეთოდებს, შემდგომში კი დამოუკიდებლად ადგენენ საორიენტაციო მოქმედების გეგმას.

საკვანძო სიტყვები: საგანთაშორისი კავშირები, ცოდნის ინტეგრაცია, დროებითი კავშირები, პირველადი და მეორადი ასოციაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგიბერიძე, 2014: დაწყებით კლასებში საგანთაშორისი კავშირების მეთოდიკური ასპექტები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი.

2. Бабаджанян С. В., Монахов В.М.-Межпредметные связи естественно-математической дисциплин на факультативных занятиах. Советская педагогика. М.: 1980. №1. с. 36-40.

3. Кабанова-Меллер Е.Н. Психология формирования знаний и навыков у школьников. - М.: АПН РСФСР, 1962. - 353 с.

4. Лошкарева Н.Н. О понятии и видах межпредметных связей// Советская педагогика. - 1978. - N6. - с. 22-26.

5. Лошкарева Н.Н. Межпредметные связи и проблемы формирования умений. Советская педагогика. - 1979. - № 6, с.12-16.

6. Самарин Ю.А.-Очерки психологии ума. Особенности умственной деятельности школьников.-М., 1962.-216 с.

7. Скаткин М. Н., Лернер И. Я.-Дидактика средней школы (Некоторые проблемы современной дидактики. Москва, Просвещение., 1975. 303 с.

Irine Gogiberidze

Some aspects of the methodological principles for the implementation of connections between subjects

Summary

Here is discussed the opinion of the scientists about the meaning of connections between subjects, their definitions and the realization of methodological principles in the learning process. It's substantiated the function and role of connections between subjects during the learning process should be defined from the didactic goals which have to be achieved. In the formation of a unified scientific vision, individual subject coordination and knowledge integration, should be provided by the connections between subjects. Through them, students should have a perfect idea of the scientific picture of the universe, from which they will be able to analyze the various types of events, processes taking place in nature and generalize them.

Keywords: Interdisciplinary connections, Knowledge Integration, Temporary Connections, Primary and Secondary Associations.

გელა ცაავა
აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აფხაზური განათლების სისტემის მრავალგანზომილებიანი პრობლემები

ადამიანის პოტენციალის ყველა თანამედროვე თეორია ადასტურებს, რომ განათლება არის მისი ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მაკრო დონეზე განვითარების ინოვაციურ ტიპს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განათლება წარმოადგენს სისტემის ფორმირების ფაქტორს სოციუმისა და ადამიანის განვითარებაში.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები დიდწილად დამოკიდებულია მასში ჩამოყალიბებულ ადამიანურ პოტენციალზე და მისი განხორციელების პირობებზე, რომლის ფორმირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა განათლების სისტემა[1].

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის თანამედროვე პირობებში განათლება ვერ აკმაყოფილებს მისთვის დადგენილ მოთხოვნებს განათლების დონისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ეფექტურობის თვალსაზრისით, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ აუცილებელია მისი გაუმჯობესება. საჭიროა ცვლილებები როგორც სასწავლო პროცესის მართვაში, ასევე ,,ქვეყნისთვის'' საჭირო პერსონალის დაფინანსებასა და მომზადებაში [Кация 2015].

ვფიქრობთ, არსებული ვითარების გამოსწორება შესაძლებელია განათლების სისტემის განვითარების პროგრამის დახმარებით, რომელიც მიზნად ისახავს ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებას ოკუპირებული რეგიონის ,,ეკონომიკური სისტემის რეფორმირების'' პროცესში.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტრანსფორმაციული ცვლის ეტაპზე მყოფ ოკუპირებულ აფხაზეთში აუცილებელია შეიქმნას სათანადო პირობები განათლების სისტემის განვითარებისათვის, რომელიც გააძლიერებს ადამიანის პოტენციალს.

ამასთან, ოკუპირებულ აფხაზეთში დღესაც არის ბავშვების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დეფიციტის პრობლემა, რაც ნეგატიურად მოქმედებს საშუალო

---

[1] აღსანიშნავია, რომ ხალხი, მათი განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება განსაზღვრავს საზოგადოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაციის საზღვრებსა და შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო დონეზე. თანამედროვე საზოგადოების განვითარება წარმოუდგენელია ამ საზოგადოების განათლების დონის ზრდის პირობების შექმნის გარეშე, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სხვა ინოვაციების განვითარებისა და განხორციელების წარმატებაზე. განვითარებული განათლების სისტემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ფორმირების წყაროა, პირადი წარმატებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდის წინაპირობაა.

განათლების ხარისხზე[2]. თუმცა, სამწუხაროდ, სასკოლო განათლების ამჟამინდელი სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მათი მაღალ დონეზე მომზადებას, რაც განპირობებულია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზით - არასაკმარისი დაფინანსებით.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ოკუპირებულ აფხაზეთში უნივერსიტეტებში მიღებას მაღალი მაჩვენებელი აქვს. სკოლის კურსდამთავრებულთა თითქმის 99% მიდის აფხაზეთისა და რუსეთის უნივერსიტეტებში. უმაღლესი განათლება აფხაზეთში ფასიანია, მაგრამ სტუდენტებს ეძლევათ ,,უფასო ადგილები", აგრეთვე სხვადასხვა შეღავათები [Джонуа 2018].

მეორე ტენდენცია, რომელიც თანამედროვე აფხაზეთში გავლენას ახდენს პროფესიული განათლების სტრუქტურაზე, არის განათლების ეტაპობრივი გარდაქმნა მომსახურების სექტორში მისი შემდგომი ლიბერალიზაციით.

სამწუხაროდ, ოკუპირებულ რეგიონში ეს გამოიხატება საგანმანათლებლო მომსახურების გადაჭარბებული მარაგის ფორმირებაში, რომელიც მიზნად ისახავს ე. წ. ,,მოდური" პროფესიის სპეციალისტების (იურისტები, ეკონომისტები) მომზადებას[3].

ზემოთაღნიშნული სიტუაცია ოკუპირებულ აფხაზეთში ერთი მხრივ იწვევს ჰუმანიტარული და ეკონომიკური სპეციალობების კურსდამთავრებულთა მასობრივ სიჭარბესა და ტექნიკური სპეციალისტების კატასტროფულ სიმცირეს, ხოლო მეორე მხრივ უნივერსიტეტებს ეძლევათ საშუალება, გააფართოონ ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების სპექტრი.

საიდუმლო არ არის, რომ აფხაზეთში თანამედროვე განათლება კვლავ ინარჩუნებს საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებებს: ამ სფეროში ცოტა რამ შეიცვალა. განათლების როლი საზოგადოების ცხოვრებაში ძალიან დიდია და ყველა გრძნობს ამ სფეროში ცვლილებების საჭიროებას. მართლაც, ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე სერიოზული გარდაქმნების ფონზე განათლება იგივე რჩება და არანაირად არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს [Кобахия 2015].

ოკუპირებულ აფხაზეთში ე. წ. კვლევის შედეგად, რესპონდენტთა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის დონე შემდეგნაირად შეფასდა: განათლების სისტემა უზრუნველყოფს ცოდნის საშუალო დონეს - 68,08%, დაბალ დონეს - 14,82%, მაღალ დონეს - 6,3%, გამოკითხულთა 9,7%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

აღსანიშნავია, რომ ,,სერტიფიცირება", ,,კვალიფიკაციის ამაღლება"და მსგავსი საკითხები ოკუპირებული აფხაზეთის მთლიან ,,განათლების სისტემაში" არ არის დანერგილი[4]. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ მასწავლებლებისთვის, რომელთაც რუსული ენის ბარიერი აქვთ,

---

[2] ვფიქრობთ, სასკოლო განათლება განათლების სისტემის ცენტრალური ელემენტია, ვინაიდან იგი წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც შემდგომი ცოდნის დაგროვება მოხდება.

[3] აღნიშნული ვითარება არის რეაგირება საბაზრო სიტუაციის მოკლევადიან სიგნალებზე საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნის მხრივ, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბებულია არა გარკვეული პროფილისა და კვალიფიკაციის სპეციალისტებისთვის ეკონომიკის საჭიროებების ობიექტური შეფასების გამო, არამედ ,,კერძო ინვესტორების" პრეფერენციების შედეგად;

[4] თუ არ ჩავთვლით, ოკუპირებული სოხუმის, გაგრისა და ბიჭვინთის რამდენიმე სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც საკუთარი კავშირებით მიემგზავრებიან რუსეთის ფედერაციაში.

დე ფაქტო განათლებისა და ენის პოლიტიკის სამინისტრო რუსეთის ფედერაციის დაფინანსებით ატარებს რუსული ენის კურსებს[5].

გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთში მოსწავლეთა რაოდენობა შემდეგი სახითაა გადანაწილებული (ე. წ. აფხაზური მონაცემებით):სკოლებში 14 234 – აფხაზი, 4 743 – ქართველი, 4 548 – სომეხი, 2097 – რუსი, 119- ბერძენი და 879 სხვა ეთნიკური წარმოშობის მოსწავლე სწავლობს.

ოკუპირებული აფხაზეთის სკოლებში ე. წ. რუსული სწავლების სტანდარტზე გადასვლა ძირითადად, მეხუთე კლასის შემდეგ იწყება, რასაც იმით ხსნიან, რომ აფხაზურ ენას სამეცნიერო საგნების შესაბამისი ტერმინოლოგია არ გააჩნია[6]. თუმცა, მსოფლიოს ისტორიას, გეოგრაფიას და ლიტერატურას აფხაზი მოსწავლეები რუსეთის ფედერაციის სკოლების მოქალაქეებისთვის დაწერილი წიგნებით სწავლობენ[7].

ოკუპირებული აფხაზეთი სდე ფაქტო განათლებისა და ენის პოლიტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ,,პროგრამის"მიხედვით, მეოთხე კლასიდან მოსწავლეებმა აფხაზური ენაც უნდა ჩააბარონ, შესაბამისი აფხაზური სახელმძღვანელო უკვე ,,დამტკიცებულია", თუმცა მათივე მოსაზრებით, ამას მკაცრად გაკოტროლება სჭირდება, რად განშესაძლოა, ,,ეს ქრთამის აღებისა და რეპეტიტორობით ფულის შოვნის საშუალება გახდეს".

ოკუპირებული რეგიონის ადგილობრივი მაცხოვრებელთა განცხადებით, სკოლა, მოზარდისთვის უსაფრთხო გარემო აღარ არის, სკოლის ,,ადმინისტრაცია" სასწავლო დაწესებულლებში მშვიდ სასწავლოპროცესს ვერ უზრუნველყოფს[8].

აქვე უნდა ითქვას, რომ ოკუპირებულ რეგიონში თანდათან იზრდება ინგლისური ენის სწავლის მოთხოვნა, თუმცა, ამ მხრივ არსებული დეფიციტი, როგორც პედაგოგების, ისე სახელმძღვანელოების კუთხით, თვალშისაცემია. სულ რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი ინგლისურის სპეციალისტია, რომლებიცბავშვებს მოძველებული მეთოდებით ამზადებენ[9].

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მასწავლებელთა მომზადება მნიშვნელოვან გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მწვავედ დგას ,,აფხაზური სკოლებისა" და მისი ძირითადი საფუძვლის - აფხაზური ენის სიცოცხლისუნარიანობა [Касландзия].

---

[5] თუმცა, ამის მიუხედავად, იქ სამუშაოდ ჩასული ჟურნალისტები ხუმრობენ, რომ აფხაზი მასწავლებლები რუსულად ატარებენ გაკვეთილებს, მაგრამ, თავადაც არ იციან რუსული ენა. მათივე თქმით, ეს პრობლემა მხოლოდ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებს არ ეხება. აფხაზური, რუსული, სომხური და ქართული სკოლების არსებობის მიუხედავად, ოკუპირებულ აფხაზეთში თითქმის ყველა სკოლის სასწავლო სტანდარტი რუსულია;

[6] საუბარია, ალგებრაზე, გეომეტრიაზე, ფიზიკაზე და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე;

[7] ოკუპირებული აფხაზეთის სკოლებში, რუსეთის ფედერაციაში დაბეჭდილ-გამოცემული აფხაზეთის ისტორი აისწავლება, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და თარიღის ავტორი აფხაზი ისტორიკოსები არიან. ,,აფხაზური სკოლების"მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისწავლონ აფხაზეთის გეოგრაფიაც, სადაც აფხაზეთის ფლორაზე, ფაუნასა და რელიეფის განსაკუთრებულობაზეა მოთხრობილი.

[8] ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ოკუპირებული სოხუმის სკოლებში, სადაც გასული საუკუნის 90-იანწლებში ჩრდილოეთ კავკასიდან ჩამოსული მეომრების შვილებიც სწავლობენ და მათსა და ადგილობრივ აფხაზებს შორის მენტალური პრობლემებიარსებობს;

[9] რაც შეეხება წიგნებს, მისი შემენა იქ შეუძლებელია, ამიტომაც წიგნებით მოვაჭრეებს ინგლისურის სახელმღვანელოები რუსეთის ფედერაციიდან ჩამოაქვთ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება და მისი შეძენის ფინანსური საშუალება ყველას არ გააჩნია.

საგულისხმოა, რომ არსებობს საგნები, რომელთათვისაც საკმაოდ ბევრი პედაგოგია, მაგრამ არის ისეთებიც, სადაც აშკარად არ არის საკმარისი მასწავლებლები. პერსონალის მომზადების პრობლემა მთელი ოკუპირებული რეგიონის პრობლემას წარმოადგენს.

რამდენიმე წლის წინ, ოკუპირებულ აფხაზეთში მასწავლებლები მუშაობდნენ ხელფასების გარეშე. მათი ანაზღაურება ჩაანაცვლა ე. წ. მშობელთა შემოწირულობებმა. ისინი თითქმის ყველა რაიონში იკრიბებოდა. აღნიშნული ვითარება უარყოფითად მოქმედებს სწავლების ხარისხსა და მასწავლებელთა ჯანმრთელობაზე. პედაგოგთა სიმცირის გამო, საპენსიო ასაკის მასწავლებელთა 20 პროცენტზე მეტი განაგრძობს მუშაობას სკოლებში [შარია 2010].

ვფიქრობთ, აუცილებელია გააგრძელდეს მასწავლებელთა მიზნობრივი ტრენინგი. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და სკოლის კავშირის განმტკიცება, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა მასწავლებლების მიერ სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება, ურთიერთქმედების ეფექტიანი ფორმები.

საგულისხმოა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, თითქოს შეინიშნება განათლების რეფორმირების მცდელობები, რაც სხვადასხვა ინიციატივებში აისახება. აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ სოხუმში არსებული „ნ. არძინბას სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა", 2020 წლის 9 ივნისს, „განათლებისა და ენის პოლიტიკის სამინისტროში" წარადგინეს ახალი აფხაზური სკოლის კონცეფცია სახელწოდებით „Апеипш" („მომავალი თაობა"). „პრეზენტაცია" დე ფაქტო მინისტრის ინალ გაბლიას „ინიციატივით" შედგა. აღნიშნულ „პროგრამაზე" მუშაობა ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის შესახებ „პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორმა" ირინა კვეკვესკირმა აღნიშნა.

კვეკვესკირის განცხადებით: „ჩვენ წარმოვადგინეთ ახალი აფხაზური სკოლის კონცეფციის ჩვენი ვერსია, რომელიც ითვალისწინებს სტრუქტურულ და არსებით გარდაქმნებს სასკოლო განათლების სისტემაში, ახალ საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ ლიტერატურას და ა. შ. ჩვენ ასევე შევთავაზეთ ახალი სასწავლო პროგრამები განათლების ყველა საფეხურისთვის, სკოლამდელი ასაკის ჩათვლით. ეს არის განათლების სრულიად განსხვავებული მოდელი, განსხვავებული იმისგან, რაც დღეს აფხაზეთში არსებობს" [Апсадгьыл-инфо 2020].

დაბოლოს, ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება და აფხაზური საზოგადოება ყველა საშუალებას გამოიყენებს განათლების თანამედროვე სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც ვფიქრობთ, დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური პოტენციალი, განათლება, ეკონომიკური განვითარება, პოტენციალი, განათლების სისტემა.

ბიბლიოგრაფია:

1. Апсадгьыл-инфо,„Институт Педагогики Презентовал Концепцию Новой Абхазской школы". 09.06.2020. ხელმისაწვდომია: https://apsadgil.info/news/society/institut-pedagogiki-prezentoval-kontseptsiyu-novoy-abkhazskoy-shkoly-/;
2. Джонуа О., „Право на Образование Граждан Абхазии не Соблюдается Странами, подписавшими Всеобщую декларацию прав человека". 30.07.2018. ხელმისაწვდომია: https://abh-

n.ru/pravo-na-obrazovanie-grazhdan-abxazii-ne-soblyudaetsya-stranami-podpisavshimi-vseobshhuyu-deklaraciyu-prav-cheloveka/;

3. Касландзия А., „Проблемы Подготовки Педагогических Кадров в Системе Образования Республики Абхазия". ხელმისაწვდომია: file:///D:/Users/mariami/Downloads/1.1.%20%D0%9A%D0%B0%D1%81%D0%BB%D0%B0%D0%BD%D0%B4%D0%B7%D0%B8%D1%8F%20%D0%90.%D0%9C%20(3).pdf;
4. Кация Л., „Система Образования в Абхазии Нуждается в Совершенствании". 31. 08.2015. ხელმისაწვდომია:http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/1991-larisa-katsiya-sistema-obrazovaniya-v-abkhazii-nuzhdaetsya-v-sovershenstvovanii;
5. Кобахия Е., „Состаяние Образования В Абхазии – Это комплексная проблема, Решение Которой Требует Комплексного Подхода". 24.08.2015. ხელმისაწვდომია: http://abkhazinform.com/intervyu/item/1942-elena-kobakhiya-sostoyanie-obrazovaniya-v-abkhazii-eto-kompleksnaya-problema-reshenie-kotoroj-trebuet-kompleksnogo-podkhoda;
6. Шария В., „Педагоги Абхазии Грозят Забастовкой". 23.11.2010. ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/2228469.html.

GELA TSAAVA
Ph.D. Doctor, Associate Professor
Georgian-American University
Georgian National University SEU

Multidimensional Problems of the Abkhazian Education System

Summary

The urgency of the problem of optimizing the training of students in pedagogical specialties is obvious. The problems of improving the quality of knowledge of Abkhaz school graduates, especially rural ones, remain unsolved. There is an urgent need to introduce interactive methods of organizing students' educational practice, to intensify work to strengthen the university-school relationship, to use the experience of the best teachers of the Republic in order to improve the university's educational, professional and research activities

.

Keywords: Human potential, education, economic development, potential, education system.

ნატო ქობულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თეონა ნამიჭეიშვილი
აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები
და მართვა“ სტუდენტი

მშობელთა თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში

მშობლის ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შვილის წარმატების საკითხში. როგორი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსიც არ უნდა ჰქონდეს ოჯახს, მისი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში ნებისმიერ შემთხვევაში იძლევა დადებით შედეგებს. აგრეთვე, არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება მშობელსა და მასწავლებელს შორის, ვინაიდან ეს გახლავთ მოსწავლის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი მოსწავლის თვითშეფასებაზეც დადებითად აისახება. თუ ბავშვი გრძნობს, რომ მისი მშობელი ინტერესდება მისი განათლების საკითხებით, აკადემიური მიღწევებით, მაშინ ის უფრო დიდი მონდომებით ცდილობს ცოდნის დაუფლებას და ცხადია, უკეთესს შედეგს აღწევს; ცდილობს, რომ რაც შეიძლება კარგად ისწავლოს, გულდასმით ასრულებს საშინაო დავალებას, არ აცდენს გაკვეთილებს, არის პოზიტიური, დადებითად განწყობილი სკოლისადმი და რაც მთავარია, ის უფრო თავდაჯერებულია. თითოეული ფაქტორი ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეზე როგორც სკოლაში სწავლის პერიოდში, აგრეთვე მომავალი საქმიანობის პროცესშიც.

პედაგოგი თავიდანვე უნდა ცდილობდეს მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მარტივად რომ ვთქვათ, პედაგოგი უნდა გახდეს ასისტენტი და კარგი მრჩეველი მშობლისთვის. თუ ეს უკანასკნელი იგრძნობს, რომ ის მნიშვნელოვანი და საჭირო ადამიანია სასკოლო ცხოვრებაში, უფრო დიდი მონდომებით შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. ზოგჯერ პედაგოგისთვის რთულია ოჯახთან საჭირო კომუნიკაციების დამყარება, რადგან თანამედროვე ოჯახი რადიკალურად განსხვავდება ოჯახური ცხოვრების ძველი სტილისგან. ძირითადად ამის მიზეზი არის დასაქმებული მშობლები, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი დრო, რათა სრულფასოვნად ჩაერთონ შვილის სასკოლო ცხოვრებაში. აგრეთვე შესაძლოა ერთ-ერთი მიზეზი იყოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევაში ოჯახური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზია. აღნიშნული პრობ-ლემების მქონე ოჯახის შვილები, სამწუხაროდ, ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას, არა აქვთ მშობლებისაგან საჭირო და შესაბამისი მხარდაჭერა. მშობლების მხრიდან ხშირად უგულებელყოფილია მათი განათლების პროცესი.

მშობელთა ჩართულობა შვილის საგანმანათლებლო პროცესში ძალიან აქტუალური საკითხია. აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთი კვლევა ჩატარდა. UNICEF-ის კვლევის შედეგების თანახმად გაირკვა, რომ საქართველოში მშობლების დიდი რაოდენობა სიძნე-ლეებს განიცდის მოზარდთა აღზრდის საქმეში. მოზარდები მათთვის ყველაზე ემოციურ პერიოდში ვერ გრძნობენ მშობლის სათანადო მხარდაჭერას, რაც უარყოფითად აისახება მათ

ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე. მშობელთა მცირე რაოდენობა არის ჩართული მოზარდისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორებიცაა: მოზარდთა ჯანმრთელობა, ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევების პრევენცია, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, ძალადობის პრევენცია. https://www.unicef.org/georgia/ka

საინტერესო კვლევა ჩატარდა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ 2012 წელს,რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ადგილმდებარეობაც კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. რაც შეეხება თავად დაწყებითი განათლების პროექტ (G-PriEd)-ს, აღნიშნული პროექტში ჩართულ საჯარო სკოლებში შეიქმნა მშობელთა ჩართულობის მოდელი, რაც ითვალისწინებს „შესაბამისი მასალების ინტეგრირებას დირექტორებისა და მასწავლებელთა ტრენინგ - პროგრამებში და მშობლებისთვის სავარჯიშოების, აქტივობების ბარათებისა და რეკო-მენდაციების მომზადებას, რომლებიც დაეხმარება მშობლებს და მათ შვილებს, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დამეგობრდნენ, დაეხმარონ ერთმანეთს სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის შეძენაში“ (მშობელთა ჩართულობა გვ.8).

კვლევა-„მშობელთა თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში“ - განხორციელდა იმერეთის რეგიონის ვანის მუნიციპალიტეტის ი. ჭავჭავაძის სახელობის N1 და სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლებში. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 79-მა პირმა, მათ შორის - 32-მა პედაგომა და 47-მა მშობელმა. გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტად შერჩეული იყო ანკეტური გამოკითხვა. შემუშავდა ორი სახის კითხვარი მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის განხორციელებისას მშობელთა მხრიდან მეტი აქტიურობა შეინიშნებოდა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ პედაგოგთა 93,8% მდედრობითი სქესის წარმომად-გენელია, ხოლო 6.2% - მამრობითი სქესის. ანალოგიური მდგომარეობაა გამოკითხულ მშობელთა შემთხვევაშიც: 97,9% გახლავთ დედა, ხოლო - 2,1% მამა. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა აშკარა აქტიურობა შეინიშნება. ეს კი განპირობებულია იმით, რომ სკოლაში პედკოლექტივის აბსოლუტურ უმრავლესობას ქალბატონები შეადგენენ; რაც შეეხებათ მშობლებს, შვილის სასწავლო - სააღმზრდელო პროცესს ძირითადად დედები ხელმძღვანელობენ.

საინტერესო იყო იმის გარკვევა, აღზრდის რომელ ტიპს იყენებენ მშობლები. როგორც აღმოჩნდა, რესპოდენტ მშობელთა - **43%** ლიბერალი მშობლების კატეგორიას განეკუთვნება. გამოკითხულთა - 40% უპირატესობას ანიჭებს აღზრდის ავტორიტარულ ტიპს, მხოლოდ - 17% იყენებს შედარებით მკაცრ მეთოდებს შვილების აღზრდაში;

აგრეთვე გამოვიკვლიეთ, ძირითადად ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, როდესაც საქმე ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. შედეგები ასეთია: მშობელთა - 68.1% აღნიშნავს, რომ სიტუაციიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს. 19%-ის აზრით გადაწყვე-ტილებები მშობელმა უნდა მიიღოს, რადგან მან უკეთ იცის, შვილისთვის რა არის უმჯობესი. მხოლოდ - 12. 8% აცხადებს, რომ შვილმა თავად უნდა გადაწყვიტოს მასთან დაკავშირებული საკითხები.

მოგეხსენებათ, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო გაგვერკვია, რამდენად აქტიურად ერთვებიან მშობლები შვილის სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორცილებაში. შესაბამისად, კითხვარის ორივე ნაწილში გვქონდა ეს კითხვა შეტანილი. აღმოჩნდა, რომ ამ

საკითხთან დაკავშირებით მშობლებისა და პედაგოგების აზრი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. მშობელთა უმრავლესობა (74.5%) მიიჩნევს, რომ ის აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში. 23.4% მეტნაკლებად არის ჩართული, ხოლო 2.1% საერთოდ არ ინტერესდება ამ საკითხით. რაც შეეხება პედაგოგებს: 68.8% აღნიშნავს, რომ მშობლები მეტნაკლებად ერთვებიან სასწავლო პროცესში. მხოლოდ 31.3% ფიქრობს, რომ მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში.

როგორც ვხედავთ, მშობელთა ჩართულობის მხრივ სკოლებში, არც თუ ისე სახარ-ბიელო მდგომარეობაა. ძალიან საინტერესოა, რა განაპირობებს მათი მხრიდან პასიურობას. ჩვენი აზრით, მათ არ აქვთ გააზრებული ზუსტი მიზეზი. თუ დავაკვირდებით გამოკითხვის შედეგებს, ვფიქრობთ, მარტივად დავრწმუნდებით ჩვენი ვარაუდის სისწორეში. გამოკითხული 47 მშობლიდან - 2.1% მიზეზად ასახელებს, რომ მას დაბალი მოლოდინი აქვს შვილის სასკოლო ცხოვრების მიმართ. 36.2% აცხადებს,რომ არ აქვს საკმარისი დრო, რაც შეეხება 61.7%, ისინი ამბობენ, რომ სხვა მიზეზი აქვთ, რის გამოც სათანადოდ ვერ ერთვებიან შვილის საგანმანათლებლო საქმეში. პედაგოგებს, ამ შემთხვევაშიც მშობლებისგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 65.6% თვლის, რომ მათ არ აქვთ საკმარისი დრო, 12.5%-ის აზრით, მათ დაბალი მოლოდინი აქვთ შვილის სასკოლო ცხოვრების მიმართ, ხოლო 21.9%-მიზეზად მშობელთა ემიგრაციაში ყოფნას ასახელებს.

კითხვაზე, როგორ აისახება მშობელთა აქტიური ჩართულობა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე, პედაგოგთა პასუხი ასეთია: პედაგოგთა 12.5% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად აქვს შედეგი მშობელთა აქტიურ ჩართულობას მოსწავლის ემოციურ მდოგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა- 87.5% ფიქრობს, რომ იგი დადებითად აისახება მასზე.

კითხვაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია მშობლისთვის: შვილის მაღალი ქულით შეფასება თუ მიღებული ცოდნის ხარისხი? პასუხები ასე გადანაწილდა: 57.4%-თვის უფრო მნიშვნელოვანი ცოდნის ხარისხია, 36.2% თვლის, რომ ორივე მნიშვნელოვანია, მხოლოდ - 6.4% -თვის შვილის შეფასება უფრო პრიორიტეტულია.

თემის თეორიულ ნაწილში მრავალჯერ აღვნიშნეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პედაგოგებისა და მშობლების მჭიდრო ურთიერთკავშირი და როგორ აისახება ის ბავშვის განვითარებაზე. ამ მხრივ საკმაოდ პოზიტიური პასუხი მივიღეთ მშობელთა მხრიდან. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა- 70.2% ყოველ კვირას ხვდება პედაგოგებს, 17% თვეში ერთხელ, 10.6% მხოლოდ მშობელთა კრებებზე და მხოლოდ 2.2% ამბობს, რომ კვარტალში ერთხელ. ამ უკანასკნელთა აზრიც ემთხვევა მშობლებისას და გამოკითხულ პედაგოგთა 53% ამბობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ხვდება მშობლებს.

რაც შეეხება კომუნიკაციის ფორმებს, მშობლები პირად შეხვედრებს ირჩევენ, ხოლო პედაგოგები სატელეფონო საუბარს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ მათ აქვთ ხშირი კომუნიკაცია, კომუნიკაციის ფორმას კი- არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა უმრავლესობა დროის ნაკლებობას უჩივის და ძირითადად არ რჩება საკმარისი დრო შვილებთან საურთიერთოდ, დღის განმავლობაში მაინც უწევთ გარკვეული აქტივობების შესრულება ბავშვებთან ერთად. მშობლებთან ერთად სხვადასხვა საქმის კეთება პატარებისთვის განსაკუთრებით სახალისო საქმეა. ესეც რომ არა, ბოლოს და ბოლოს შესაძლოა, ბავშვმა უბრალოდ დავალების შესრულებაში გთხოვოთ

დახმარება, ან მოუნდეს, ის ამბები გაგიზიაროთ, რაც სკოლაში გადახდა და ა.შ. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი რესპონდენტთა უმეტესობა - 63.8% _ ყოველდღე ეხმარება ბავშვს გაკვეთილების მომზადებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება გამოკითხულთა 25.5%, სასკოლო დღეს განიხილავს შვილთან. 8.5% ამბობს, რომ წიგნებს უკითხავს, ან შვილთან ერთად თამაშობს. მხოლოდ 2.2% არის დაკავებული სხვა აქტივობებით.

ახალმა კორონა ვირუსმა თითქმის მთელი მსოფლიოს ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. სწავლება გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, რაც გულისხმობს ბავშვების საგაკვეთილო პროცესში ჩართვას მათი ოჯახებიდან. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, მშობლებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრათ, თუმცა ყოველივე ამას დადებითი შეფასება შეგვიძლია მივცეთ იმ კონტექსტში, რომ მათ უფრო მეტი დრო აქვთ შვილებთან და ოჯახთან ურთიერტობისათვის. როგორც აღმოჩნდა, მშობელთა უმეტესობა - 68.1% _ უფრო დაუახლოვდა შვილს, 31.9%-თვის კი არაფერი შეცვლილა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე.

ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო იმის გარკვევა, არსებობს თუ არა სკოლებში ე.წ ,,მშობელთა კლუბი“, რომლის მიზანია მშობლებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობა. გამოკითხულ მშობელთა 42.6% ამბობს, რომ სკოლაში, სადაც მისი შვილის სწავლობს, ფუნქციონირებს ,,მშობელთა კლუბი“. 21.3% აცხადებს, რომ ასეთი კლუბი არ არსებობს, ხოლო 36.2%-მა საერთოდ არაფერი არ იცის კლუბის არსებობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, სკოლების მხრიდან ამ კუთხითაც არ შეინიშნება დიდი აქტიურობა. საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა საკითხებს განიხილავენ მშობლები და პედაგოგები შეხვედრებისას. როგორც გამოკითხულ მშობელთა - 23.1% აღნიშნავს, ძირითად დროს მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხებს უთმობენ. 15.4% ამბობს, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილია საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. 11.5% აფიქსირებს, რომ შეხვედრებზე ოჯახსა და სკოლაში ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ორგანიზების საკითხები განიხილება. მშობელთა ნახევარი - 50% - აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოხსენებულ საკითხებს განიხილავენ.

და ბოლოს, ძალიან საინტერესოა, გამოკითხულ მშობელთა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლა, რომელშიც მათი შვილები სწავლობენ, ამართლებს თუ არა მათ მოლოდინებს. მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უმეტესობა კმაყოფილია სკოლის მუშაობის ხარისხით. ასე ფიქრობს მშობელთა 61.7%, ნაწილობრივ კმაყოფილია 36.2%, ხოლო საერთოდ ვერ ამართლებს 2.1%-თვის.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მშობელთა სწორ, პოზიტიურ დამოკიდებულებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდის, განათლებისა და განვითარების საკითხში, ამას ცალსახად ადასტურებენ კვლევაში მონაწილე სამიზნე ჯგუფები. თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან ისიც გამოჩნდა, რომ ამ კუთხით საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს. დავიწყოთ იმით, რომ **გამოკითხულ მშობელთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს აღზრდის ლიბერალურ სტილს,** ამ დროს მშობელს შეთავსებული აქვს უფრო მეგობრის ფუნქცია, ვიდრე მშობლისა. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლები უფრო აქტიურად ერთვებიან შვილის სასკოლო ცხოვრებაში, ვიდრე მაღალი კლასებისა და მათი ურთიერთობა სკოლის პედაგოგებთან ძირითადად, ოფიციალურ კრებებზე შეხვედრებით შემოიფარგლება.

კვლევიდან გამოიკვეთა, რომ მშობელთა ნაწილი იმყოფება ემიგრაციაში და შესაბამისად მათ არ შეუძლიათ შვილის ცხოვრებაში იმდენად ჩაერთონ, როგორც საჭიროება მოითხოვს. ეს კი უარყოფითად აისახება ბავშვის როგორც ემოციურ მდგომარეობაზე, აგრეთვე აკადემიურ მოსწრებაზეც. რაც შეეხება მშობელთა იმ კატეგორიას, რომლებიც შვილებთან ერთად ცხოვრობენ, უჩივიან დროის ნაკლებობას მათთან ურთიერთობისათვის. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამწუხაროდ, მშობლები შვილებს ყოველთვის ვერ უთმობენ საკმარის დროს .

რაც შეეხება გამოკითხულ პედაგოგებს, უმეტესობა დადებითად აფასებს მშობელთა ჩართულობას შვილის სასწავლო პროცესში. ასეთივე პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ მშობლებსაც მასწავლებლების მიმართ და უმეტესობა აღნიშნავს, რომ ძირითადად ამომწურავად აწვდიან ინფორმაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მშობლების დადებითი შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადამიანებად გრძნობენ თავს.

რეკომენდაციები:

- ✓ მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა უკეთ გაიაზრონ მათი ფუნქცია -მოვალეობები შვილის აღზრდისა და განათლების საკითხში.
- ✓ ბავშვთან პოზიტიური კომუნიკაცია და ხშირი კონტაქტი აუცილებელი და მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის აღზრდაში, ნებისმიერ ასაკში.
- ✓ აუცილებელია,რომ მათ მეტი დრო დაუთმონ შვილებთან ურთიერთობას.
- ✓ მისცენ თავინთ შვილებს არჩევანის შესაძლებლობა და მოიპოვონ ნდობა
- ✓ საჭიროა პოზიტიური და ხშირი თანამშრომლობა მშობლებსა და პედაგოგებს შორის და კონკრეტული საკითხების ინდივიდუალურად განხილვა და მხარდაჭერა
- ✓ სკოლის მხრიდან მშობლებისათვის ცნობიერების ამაღლების, აგრეთვე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასურველია მიზნობრივი ტრენინგების გამართვა, სპეციალისტების ჩართულობა და ,,მშობელთა კლუბების“ ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2018/03/%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

2.http://akhaliganatleba.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1/

3. http://liberali.ge/articles/view/33707/skola-da-mshoblebi

4.http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

Nato Kobuladze – Associate Professor, Akaki Tsereteli State University
Teona Namicheishvili-Magister, Akaki Tsereteli State University

Summary

Research on Parental Participation in School Life

Positive parental attitudes are very important in the upbringing, education and development of a child.

The article presents the results of a study on parental participation in school life, conducted in one of the municipalities of Imereti, Vani I. It was held in Chavchavadze N1 and Zeda Vani public schools. Out of 79 respondents in the study, 32 are teachers and 47 are parents. The results of the study showed that the majority of the surveyed parents prefer the liberal upbringing. It has also been observed that parents of elementary school students are more actively involved in their child's school life than high school students and their relationship with school teachers is mainly limited to meetings at formal gatherings.

Keywords: Parental involvement, participation, upbringing style, school life

გიორგი ბერძულიშვილი
აკაკიწერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

გიორგი ბრეგაძე
ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მათემატიკის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი

საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების აუცილებლობა დაწყებით კლასებში

მათემატიკის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტში [7] ნათქვამია, რომ: „განათლების ძველი კონცეფცია აღარ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. გადაისინჯება შეხედულება მათემატიკის სასწავლო შინაარსზე, მის როლზე და ადგილზე ზოგად განათლებაში“.

მათემატიკის სწავლების მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა უმეტესობა სუსტად ფლობს ამოცანების ამოხსნის ხერხებს. საჭიროზე ნაკლები დრო აქვს დათმობილი ამოცანების ამოხსნას. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ამოცანების ამოხსნის სწავლების დროს. ამოცანების ამოხსნის უნარი და ჩვევები დამოკიდებულია არა მარტო ამოხსნილი ამოცანების რიცხვზე, არამედ ამოცანების შინაარსსა და ამოხსნის ხერხებზე.

იმისათვის, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს ამოცანების ამოხსნის უნარი და გამოუმუშავდეს შესაბამისი ჩვევები, მეთოდიკურ ლიტერატურაში გვხვდება ორი თვალ-საზრისი: პირველი, რომლის თანახმადაც საჭიროა ამოიხსნას რაც შეიძლება ბევრი რაოდე-ნობის ამოცანა და მეორე-არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილავი ამოცანების შინაარსს და ამოხსნის ხერხებს. ჩვენი მიდგომები ემყარება მეორე თვალსზრისს. ცხადია, შეუძლებელია ამოცანების ამოხსნის სწავლება ამოცანების ამოხსნის გარეშე, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამოცანების ამოხსნის საძიებო ხერხების სწავლებას პირველივე წლიდან, რაც მოსწავლეების განმავითარებელი სწავლებისათვის აუცილებელია. ამოცანების ამოხსნის საძიებო ხერხების მტკიცედ დაუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატიურ ვარჯიშს, რომელიც უნდა შეუფარდდეს კონკრეტული ტიპის ამოცანების სიძნელე-სიადვილეს და მის შესაბამის სპეციფიკას. ამოცანების ამოხსნის საძიებო ხერხების მტკიცედ დაუფლებისათვის საჭიროა მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, თითოეული მოსწავლის თავისებურებების გათვალისწინება, დავალებათა ინდივიდუ-ალიზაცია და სხვ.

მასწავლებელმა ამოცანების ამოხსნის საძიებო ხერხების სწავლების მთელი პროცესი უნდა ააგოს სწავლების მეცნიერულ შინაარსზე და გააზრებულ, გაცნობიერებულ შეთვი-სებაზე, რომელიც დამყარებულია აქტიურ დამახსოვრებაზე და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე.

მათემატიკის სასწავლო პროგრამები განსაზღვრავს, თუ რა თემები უნდა შეისწავლოს მოსწავლემ თითოეულ კლასში, ე.ი. განსაზღვრულია ალგორითმულად ამოხსნადი სავარჯიშოების ტიპები და სახეები. აშკარაა, რომ მხოლოდ ალგორითმულად ამოხსნადი ამოცანების სწავლებით შეუძლებელია მოსწავლეთა მათემატიკური მომზადების მაღალი დონის მიღწევა.

მათემატიკის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი არ ზღუდავს მასწავლებელს ამოცანების ამოხსნის ალგორითმული და საძიებო ხერხების სწავლების არჩევისას. „სტანდარტი არ განსაზღვრავს ცალსახად მათემატიკის სასკოლო კურსის შინაარსს, იგი მხოლოდ იმ საკითხებს მოიცავს, რომელთაც აუცილებლად უნდა შეიცავდეს კურსი (გაცნობის თუ სისტემატიური კურსის სახით) ამიტომ, სტანდარტის მოთხოვნები შეიძლება პროგრამების და სახელმძღვანელოების სხვადასხვა ვარიანტმა დააკმაყოფილოს“[7].

მათემატიკის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტში [7] და მათემატიკის სასკოლო პროგრამებში [6], მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე კონკრეტული კლასის მათემატიკის კურსის გავლის შემდეგ. მასში მითითებულია, რომ მოსწავლეს მოეთხოვება არა მარტო ის მათემატიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მიიღწევა ალგორითმულად ამოხსნადი ამოცანების ამოხსნით, არამედ მათზე დაყვანადი ამოცანების ამოხსნითაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეებმა ამოცანების ამოხსნის საძიებო ხერხების გამოყენებით უნდა შეძლონ, რომ საძიებო ამოცანები დაიყვანონ ალგორითმულად ამოხსნადი ამოცანის სახეზე.

მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდ გავლენას ახდენს ისეთი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ არ ამოიხსნება ცნობილი ალგორითმების გამოყენებით. ასეთი ამოცანების ამოხსნის პროცესი მოითხოვს შემეცნებით აზროვნებას, რაც მოსწავლეებში აძლიერებს ამოხსნის გზის აღმოჩენის სიხარულს. ეს ემოციონალური ფაქტორი მოსწავლის ქცევის მძლავრი ბერკეტია. ემოციონალურ ფაქტორის სწორად მართვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოქმედების ყველა სფეროში, მოსწავლის სრულყოფილ პიროვნებად ფორმირებისა და სწავლების პროცესშიც.

დაწყებითი კლასებში ამოსახსნელი ამოცანების და სავარჯიშოების ანალიზი ცხადყოფს, რომ საძიებო ამოცანებს ეთმობა უმნიშვნელო დრო, რის გამოც ვთვლით, რომ არსებული დაწყებითი კლასების მათემატიკის სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული სავარჯიშოები ნაკლებგანმავითარებელი ეფექტის მქონეა და არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ეს ტენდენცია ახალი არ არის, ასე იყო წარსულშიც და გრძელდება დღესაც. მართლაც, თუ გადავავლებთ თვალს ახლო წარსულს, ვნახავთ, რომ მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტთა საერთო აღიარებით საშუალო სკოლის მათემატიკის სასწავლო სახელმძღვანელოებში არსებულ სავარჯიშოთა სისტემებს მრავალ ნაკლზე საუბრობდენ ა.სტოლიარი ,ი.კოლიაგინი, ვ.ოგანესიანი და სხვ., ი.გრუდიონოვი, ა.დოგრაშვილი, თ.მორალიშვილი, გ.ბერძულიშვილი, ი.გოგიბერიძე, თ.დოგრაშვილი, ნ.ონიანი-საღინაძე, ბ.ბაკურაძე, ნ.ნახუცრიშვილი, გ.ნოზაძე, მ.ოჩხიკიძე [1]-[5] და სხვ.

მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული სავარჯიშოთა სისტემები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით შეესაბამება სქემას „თეორია→ამოცანები“. ჩვენ ვთვლით სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სქემით :„ამოცანები→თეორია→ამოცანები“. ამგვარი მიდგომა აუცილებელია სკოლის სასწავლო პრაქტიკაში განმავითარებელი სწავლების პრინციპების ასამოქმედებლად, როდესაც სწავლება მიმდინარეობს ძირითადად

სავარჯიშოების საშუალებით. შეცვლილი სქემა საშუალებას იძლევა, განვამტკიცოთ არა მარტო თეორიული მასალის ცოდნა მისი გამოყენების საშუალებით, არამედ დავეხმაროთ მოსწავლეებს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებაში. სწავლების შეცვლილი სქემა საჭიროებს მისთვის შესაფერის სავარჯიშოთა სისტემას, რომელიც შეიცავს არსებულისაგან განსხვავებული ფუნქციური დანიშნულების მქონე სავარჯიშოებსაც. ამ მიზნით გავაანალიზეთ არა მარტო ქართული და პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპის ქვეყნების გამოცდილებაც [3].

მათემატიკის სასწავლო მასალა გადატვირთულია არა მარტო ჩვეთან, არამედ მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაში. უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებლებს საშუალება არ აქვთ ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლება განახორციელონ მთელ კლასთან [5]. როგორც წესი, ასეთი ამოცანების ამოხსნა ხდება ფაკულტატიურ, მათემატიკის საგნობრივი წრის სხდომებზე ან მათემატიკის საკვირაო სკოლებში, ე.ი. მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილთან. მაშასადამე, ის მოსწავლეები, რომლებიც შედარებით უკეთ ითვისებენ სასკოლო კურსის მასალას, იღებენ მეტ გონებრივ დატვირთვას აზროვნების განვითარებისათვის, ვიდრე შედარებით საშუალო და სუსტი მოსწავლეები. ამის მიზეზია ის, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა უმეტესობას უჭირს მარტივი ალგორითმული მათემატიკური ამოცანის ამოხსნაც კი.

დაწყებითი კლასებისათვის სისტემატიზირებული არ არის განხილული ამოცანების სახეეების ამოხსნის სწავლების მეთოდები და ხერხები, სისტემურად არ არის დამუშავებული მათემატიკის გაღრმავებულ სწავლებასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდიკური თავისებურებები. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ უმაღლეს სკოლაში მათემატიკის და დაწყებითი განათლების სპეციალობების სტუდენტებთან სათანადო ყურადღება არ ეთმობა ამოცანათა ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლების მეთოდიკურ თავისებურებებს.

გასათვალისწინებელია, რომ ამოცანათა ამოხსნის ხერხების სწავლების პრობლემის კვლევა მრავალ ასპექტს მოიცავს, კერძოდ: ფსიქოლოგიურ, ზოგად და კერძო მეთოდიკურ ასპექტებს და სხვ. ჩვენი სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ამჯერად შემოვიფარგლებით ამოცანათა ამოხსნის საძიებო ხერხების კერძო მეთოდიკური ასპექტებით, ამოცანათა ამოხსნის მეთოდური თავისებურებების გამოკვლევით, ამოცანების სისტემის შედგენის მეთოდიკური საფუძვლების დამუშავებით და მათი ჩართვის მიზანშეწონილობის კვლევით მათემატიკის გაკვეთილებზე, როგორც დაწყებითი კლასების მოსწავლეთა გონებრივი და ინტელექტუალური ფორმირების ქმედით საშუალებაზე.

ჩვენ შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვაზე: რა დროს სწავლობს ბავშვი ინტერესით მათემატიკას დაწყებით კლასებში? და შევჯერდით ასეთ პასუხზე: იმ დროს, როცა ამოცანის პირობა მისთვის გასაგებია, ადვილად აღქმადია და სწავლების პროცესი მიმდინარეობს თამაშით, ან ძალიან მიახლოებულია თამაშთან, უფრო ზოგად ფორმულირებას თუ მოვახდენთ _ მოსწავლეთათვის საყვარელ საქმინობასთან. რა არის მათთვის საყვარელი საქმიანობა? თამაში, მულტფილმები, ზღაპრები, საბავშვო მოთხრობები, საბავშვო ფილმები და ა.შ. ამის შემდეგ შევიმუშავეთ საძიებო ამოცანების შედგენის სტრატეგია, ჩავთვლეთ, რომ უმცროსკლასელებს მათემატიკის ამოცანის პირობა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოსწავლეთა საყვარელი ზღაპრების, მულტფილმების, ფილმების გმირებზე, ხოლო ამოცანა თავისი შინაარსით იყოს საძიებო. ასეთი ფორმით ჩამოყალიბებული ამოცანის პირობა იწვევს

მოსწავლეთა დაინტერესებას და აღძრავს მოსწავლეებში მისი ამოხსნის სურვილს. როცა ამოცანის პირობა უმცროსკლასელთათვის მიმზიდველია, ისინი სიამოვნებით ერთვებიან მის განხილვაში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელმა სათანადოდ დასმული კითხვებით, შეაქოს და წაახალისოს ის მოსწავლეები, რომლებმაც უკეთ იციან ამოცანის პირობაში აღწერილი მულტფილმის, ზღაპრის, საბავშვო მოთხრობის თუ კინოფილმების გმირების შესახებ; მიაწოდოს ინფორმაციები, რომლებიც არ იციან ამ გმირების შესახებ, ზოგჯერ წაუკითხოს ნაწარმოები, აჩვენოს მულტფილმების ფრაგმენტები, მოსწავლეებს მოამზადებინოს ამოცანის თემატიკიდან პრეზენტაცია და სხვ.

ამ პრინციპების დაცვით შევადგინეთ 2000-ზე მეტი ამოცანა დაწყებითი სკოლის ყველა კლასისათვის. ჩვენს მიერ შედგენილი ამოცანების ჩართვა ხდებოდა დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში შესაბამისი თემების გავლის დროს. ვახდენდით სისტემატიურ დაკვირვებას მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ასეთი მათემატიკური ამოცანების ჩართვა ააქტიურებს სასწავლო პროცესს, საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის საგაკვეთილო პროცესს, აფართოებს მათ მეცნიერულ თვალსაწიერს და მაძიებლობის უნარს, არ მოითხოვს დამატებით სასწავლო დროს და მოსწავლეებში აყალიბებს მაძიებლობის, ახალი ცოდნის შეძენის უნარებს. მოვახდინეთ ჩატარებული კვლევის შედეგების სტატისტიკური შეფასება, რომელთა შედეგებმაც დაადასტურა, რომ მეთოდურად მიზანშეწონილია საძიებო ამოცანების ჩართვა მათემატიკის სასწავლო პროცესში.

ჩვენს მიერ დამუშავებულია საძიებო ამოცანების სასწავლო პროცესში ჩართვის მეცნიერული და მეთოდიკური საფუძვლები და შედგენილი გვაქვს სათანადო ამოცანათა სისტემები [1]-[5]. საილუსტრაციო მოვიყვანთ დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილი რამდენიმე საძიებო ამოცანას [1] წიგნიდან, სადაც აისახა დაწყებითი კლასებისათვის გადმოცემული კვლევების ძირითადი შედეგები.

1. სიზმარამ, ნაცარქექიამ და კომბლემ მოაწყვეს შეჯიბრება სირბილში. გასარბენი მანძილია 15 მეტრი. როცა სიზმარა ფინიშთან მივიდა, ნაცარქექიას ფინიშამდე დარჩენილი ჰქონდა 7 მეტრი, ხოლო კომბლე 4 მეტრით წინ იყო, ვიდრე ნაცარქექია. ფინიშიდან რა მანძილზე იქნება ნაცარქექია, როცა კომბლე ფინიშთნ მივა, თუ ცნობილია, რომ თითოეული მორბენალი მუდმივი სიჩქარით დარბის?

2. ჯადოქარს სამი სხვადასხვა სკივრის სამი განსხვავებული გასაღები აქვს. რამდენი ცდაა საჭირო, იმისათვის, რომ თითოეულ საკეტს მოვუძებნოთ თავისი გასაღები?

2. დედინაცვალმა გერს უთხრა-მივდივარ წვეულებაზე, შენ გიტოვებ ჭურჭელს, რომელშიც 8 ლიტრი ყურძნის წვენია და კიდევ ორ ცარიელ-3 ლიტრიან და 5 ლიტრიან ჭურჭლებს. არ გამოიყენებ არანაირ სხვა რაიმეს, უნდა გაყო ყურძნის წვენი ორ ტოლ ნაწილად. როცა წვეულებიდან დავბრუნდები, შევამოწმებ. დაეხმარეთ დავალების შესრულებაში საბრალო გოგონას.

3. სამმა გოჭმა: ნიფ-ნიფიმ, ნაფ-ნაფიმ და ნუფ-ნუფიმ ერთად 18 თევზი დაიჭირა. საუზმისთვის თევზის შეწვა გადაწყვიტეს. ნიფ-ნიფიმ 3 თევზი დადო შესაწვავად, ნაფ-ნაფიმ-4, ხოლო ნუფ-ნუფიმ-5 თევზი. ამის შემდეგ თითოეულ გოჭს ერთნაირი რაოდენობის თევზი დარჩა. რამდენი თევზი დაიჭირა თითოეულმა მათგანმა?

4. ჯადოსნურ ველზე ორი ხე ხარობს. თუ ერთ-ერთი ხის ქვეშ ჩავფლავთ ოქროს მონეტებს, მეორე დღისთვის მონეტები ორმაგდება, თუ მეორე ხის ქვეშ_სამმაგდება.

ბურატინოს აქვს 15 ოქროს მონეტა. მან არ იცის, რომელი ხე აორმაგებს და რომელი ასამმაგებს მონეტებს, მაგრამ მას დილით აუცილებლად სჭირდება ზუსტად 36 ოქროს მონეტა. როგორ მოიქცეს? (ბურატინოს შეუძლია მონეტების ნაწილი ჩაფლას როგორც ერთი, ისე მეორე ხის ქვეშ, ასევე ნაწილი დაიტოვოს და არ დამარხოს).

5. ორთავიანი და შვიდთავიანი დრაკონები სათათბიროდ შეიკრიბნენ. შეკრების დასაწყისში დრაკონების მეფემ-შვიდთავა დრაკონმა დათვალა ყველა შეკრებილი დრაკონის თავები. ის დათვლას ახდენდა გვირგვინით შემკული თავისი შუა თავიდან და დაინახა 25 დრაკონის თავი. მეფე დრაკონი კმაყოფილი დარჩა დათვლის შედეგით და მადლობა გადაუხადა შეკრებილ დრაკონებს სათათბიროში გამოცხადებისათვის, სულ რამდენი დრაკონი იყო შეკრებილი სათათბიროდ?

მიგვაჩნია, რომ მასწავლებელს შეუძლია ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში ჩართოს საძიებო ამოცანები, რაც არ მოითხოვს დამატებით სასწვლო დროს, ეფექტურია თავისი განმავითარებელი ფუნქციით, ხასიათდება ლოგიკური აზროვნების მაღალი დონით, ამაღლებს არა მარტო მოსწავლეთა მათემატიკურ ცოდნას, არამედ ზოგადად ინტელექტს და ეხმარება საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: ამოცანის ამოხსნა, საძიებო ამოცანა, აქტიური სწავლება, ამოცანათა სისტემები, ლოგიკური აზროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, 2016: საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,ქუთაისი.

2. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, 2017: საოლიმპიადო მათემატიკურ ამოცანათა ამოხსნის პრაქტიკული ჩვევების ფორმირება საშუალო სკოლაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,ქუთაისი.

3. გ.ბერძულიშვილი, 2018: სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.

4. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, გ.მარგველაშვილი, 2019: საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების სპეციალური მეთოდიკა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.

5. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, 2015: მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლების მეთოდიკური თავისებურებები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბილისი.

6. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2014: თბილისი.

7. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი მათემატიკაში.2016: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. თბილისი.

Giorgi Berdzulishvili, Giorgi Bregadze

The Need for Teaching Solving Search Mathermatical Problems in The Early Grades

Summary

The mathematics curricula define the topics to be studied by pupil in each class, and identify the types of the algorithmically solvable exercises. We believe that it is impossible to achieve a high level of mathematical training of pupils only by teaching the algorithmically solvable problems. The State Educational Standard for Mathematics does not limit the teacher in choosing to teach the algorithmic and search methods for solving problems. Based on this, we have developed a methodology for compiling the systems of search problems in primary classes, as well as a methodology for their inclusion in the teaching and learning processes. We gave included search problems in primary school teaching practice. Statistical evaluation of the conducted educational experiment has confirmed its effectiveness.

Keywords: task solving, search task, active learning, task systems, logical thinking.

თამარ დოგრაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კლასგარეშე ეკოლოგიური ღონისძიებები უმცროსკლასელებთან

ეკოლოგიური პრობლემები გლობალური ხასიათისაა და მათ გადაჭრაში მთელი კაცობრიობაა ჩართული. ეკოლოგიური პრობლემების მთავარი მიზეზი მოსახლეობის უპასუხისმგებლობაა, რომლის დასაძლევად აუცილებელია, მეტი ყურადღება დაეთმოს სკოლაში მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდას სწავლების პირველივე წლიდან.

გამოცდილი, ნოვატორი მასწავლებელი ადვილად მოახერხებს უმცროსკლასელთა სასწავლო საგნებიდან გამოყოს ეკოლოგიური ხასიათის საკითხები. მეთოდური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ისეთები, რომელთა რეალიზება უმჯობესია კლასგარეშე მუშაობის დროს. კლასგარეშე მუშაობა ხელს უწყობს პიროვნების განვითრებასა და ფორმირებას. სწორად ორგანიზებული კლასგარეშე მუშაობა შეიძლება გავხადოთ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო წყაროდ, რადგან იქმნება ისეთი პირობები, რომლის დროსაც უკეთ შეიძლება დავინახოთ მოსწავლის ინდივიდუალური თვისებები. კლასგარეშე ღონისძიებებით უკეთ ვლინდება მოსწავლის შინაგანი სამყარო: კლასში მორიდებული ან ანცი მოსწავლე სულ სხვა პიროვნებად გვევლინება.

დაწყებითი კლასების სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის რეალიზების ძალიან კარგ საშუალებას წარმოადგენს სასწავლო ექსკურსია, რომელსაც კონკრეტული დანიშნულება და ფუნქცია აქვს. მოკლედ შევჩერდეთ სასწვლო ექსკურსიის მიზნებისა და ამოცანების გარკვევაზე. ექსკურსიები თავისი ამოცანებით და მონაწილეებზე ზემოქმედებით წარმოადგენს პედაგოგიურ პროცესს. ექსკურსიაში მონაწილეობენ მასწავლებელი-ექსკურსიამძღოლი, რომელიც ასწავლის და ექსკურსანტები, რომლებიც სწავლობენ. მასწავლებელი გადასცემს ცოდნას განსაზღვრულ თემაზე, ექსკურსანტები კი ამ ცოდნას ითვისებენ. მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთქმედება არის პედაგოგიური პროცესის საფუძველი. ნებისმიერი სასწავლო ექსკურსია იძლევა ახალ ცოდნას ბუნებაზე, საზოგადოებაზე, ისტორიულ მოვლენებზე, ე.ი. წარმოადგენს სწავლის პროცესის ნაწილს. ურთიერთობა მასწავლებელთან, მისი რეკომენდაციები, შენიშვნები აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენენ ექსკურსანტებზე. თვით შესასწავლი მასალა ზნეობრივად და ესთეტიკურად მოქმედებს მოსწავლეების ცნობიერებაზე. აქედან გამომდინარე, სასწავლო ექსკურსია ხდება პედაგოგიური პროცესის ნაწილი, რომელიც ემსახურება მოსწავლეების განათლებისა და აღზრდის ფუნქციებს, მისი მსოფლმხედველობის ფორმირებას. სასწავლო ექსკურსია დაფუძნებულია დიდაქტიკურ პრინციპებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდაქტიკური ფუნქცია, რომლის დროსაც ხორციელდება სწავლების თვალსაჩინოების პრინციპი და მოსწავლე ეცნობა საგანს ან მოვლენას. არანაკლებ მნიშვნელოვანია პრინციპები, რომლებიც სწავლების მეცნიერული დონის ამაღლებას ემსახურება და მიღებულ ცოდნას უკავშირებს ცხოვრებისეულ პრაქტიკას. მასწავლებელმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სასწავლო ექსკურსიის აღმზრდელობით ასპექტს და შეუხამოს ის საგანმანათლებლოს. სასწავლო საექსკურსიო მასალა ისე უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული, რომ მან განავითაროს ექსკურსიის მონაწილეთა შემეცნებითი

შესაძლებლობები, აღზარდოს მათში მაღალი მორალური ღირსებები-სამშობლოს სიყვარული, სხვა ეროვნების ხალხთა ღირებულებების დაფასება და პატივისცემა, კოლექტივიზმის სული და ა.შ. სასწავლო ექსკურსიის, როგორც პედაგოგიური პროცესის ამოცანაა ექსკურსანტებს გაუღვივოს ცნობისმოყვარეობა ობიექტზე დამოუკიდებელი დაკვირვებისათვის და გამოიმუშაოს მათ პრაქტიკული ჩვევები. სასწავლო ექსკურსია თავისი თვალსაჩინოებით, მეთოდური ხერხებით, თხრობის ფორმებით ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ ობიექტის შეფასების უნარი. სასწავლო ექსკურსია განიხილება როგორც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უკეთ წარმართვის ფორმა, რომლის საშუალებითაც მოსწავლე აკვირდება სხვადასხვა საგანს და მოვლენას, რის შედეგად იძენს ახალ ცოდნას. სასწავლო ექსკურსიების ჩატარება ისეთ ადგილებში, როგორებიცაა: სხვადასხვა პროფილის მუზეუმები, ისტორიული ძეგლები, სხვადასხვა სახის საწარმოები, ბუნებაში ისეთი განსაკუთრებული ადგილები, რომლების შეიცავენ განსხვავებული სახის მცენარეებს, ან გადაშენების პირას მყოფ სახეობებს და სხვა, ყოველთვის ასრულებენ ისეთ დიდაქტიკურ ფუნქციებს, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებელს შეუძლია საგანგებო კორექტივი შეიტანოს თავის მუშაობაში. ასეთი ექსკურსიები საჭირო დოზირებით და დანიშნულებით შეტანილი უნდა იქნეს სასწავლო პროგრამებში, როგორც სწავლების სისტემის გარკვეული და სავალდებულო ნაწილი. ჩვენ სასწავლო ექსკურსიებს თავისი დანიშნულებით, შინაარსით და ჩატარების ფორმით პირობითად ვყოფთ რამდენიმე სახეობად, კერძოდ ასეთი სახეობებია: საბუნებისმეტყველო, საწარმოო, ისტორიულ-ლიტერატურული, სამხარეთ-მცოდნეო, ეკოლოგიური და ზოგადი. სასწავლო ექსკურსიების კლასიფიკაციას საფუძვლად ისიც უდევს, თუ რა დიდაქტიკური მიზნის გადაწყვეტას ემსახურება მისი ჩატარება: ახალი მასალის გაცნობას თუ უკვე შესწავლილის განმტკიცებას. ორივე შემთხვევაში მასწავლებელი ისახავს და წყვეტს კონკრეტულ ამოცანას, რომლის გადაჭრისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკი და ინდივიდუალური თავისებურებები.

მასწავლებელი – ექსკურსიათმძღოლის პედაგოგიურ საქმიანობაში განასხვავებენ შემ-დეგ ეტაპებს: 1. მასწავლებლის და ჯგუფის მომზადება ექსკურსიისათვის; 2. ექსკურსიის ჩატარება; 3. ექსკურსიის შემდგომი სამუშაო [1].

სასწავლო ექსკურსიის ჩატარების წარმატება დამოკიდებულია მისი წინა სამზადისის სწორ გააზრებაზე, საექსკურსიო ადგილის შერჩევასა და დაგეგმვაზე, თვით მასწავლებლის კომპეტენტურობაზე, იქ დამხვდურთა მომზადებაზე და სხვა ცნობილი თუ მოულოდნელი ვითარების სწორ მართვაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სურვილისა და განწყობის გათვალისწინება, სასწავლო ექსკურსიის ჩატარება და შედეგების შეჯამება.

სამივე დასახელებული ეტაპი განაპირობებს ურთიერთწარმატებას. თუ სასწავლო ექსკურსია სწორად მომზადდა და ჩატარდა, მაშინ წარმატებაც მისი შედეგების შეჯამების დროს იჩენს თავს. თვით შეჯამება შეიძლება ჩატარდეს წერითი სამუშაოს შესრულებით, გამოფენის მოწყობით, დისკუსიით, კონფერენციით და სხვ.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურაში ყურადღების მიღმა დარჩენილ ისეთი სახის სასწავლო ექსკურსიას, რომელიც უკავშირდება ეკოლოგიური აღზრდის საკითხებს და მათი გამოყენება დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში ძალზედ ეფექტურად არის შესაძლებელი [1], [2].

ეკოლოგიური აღზრდის სასწავლო ექსკურსიების დანიშნულება და ფუნქცია არის ბუნებისმცოდნეობის და სხვა სასწავლო საგნების კურსების შინაარსის შემცველი ეკოლოგიური საკითხების პრაქტიკული რეალიზება, მათი შემოწმება, რაც გამოიხატება მცენარეების და ცხოველების ნახვით, ზოგიერთ საწარმოო პროცესზე დაკვირვებით, იმ ისტორიული ადგილების მონახულებით, რომლებზეც საუბარი იყო სასწავლო მასალაში, ეკოლოგიური შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანის პირობებში მოყვანილი მონაცემების შემოწმება, რომლებშიც ხე–მცენარეების სიმაღლესა და ასაკზეა საუბარი და სხვ. ასეთი სახის სასწავლო ეკოლოგიური ექსკურსიები მოსწავლეთა დაინტერესებას იწვევს, მოსწავლეები გადიან ბუნებაში, საწარმოში ან ფაბრიკაში, ეცნობიან ზოგიერთი სახის საწარმოო პროცესს, ზომავე ხე-მცენარეებს, წონიან ხილის, კენკრების ნაყოფს, რაც მათ ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

უმცროსკლასელებთან ზოგჯერ მიზანშეწონილია იმიტირებული სასწავლო ექსკურსიების მოწყობაც. ეს პირველ რიგში ისეთი თემების განხილვის დროს შეიძლება მოხდეს, რომლის პრაქტიკაში რეალიზება შესაძლებელია გარკვეულ რისკებს შეიცავდეს, მათ შორის დაზღვეული არ არიან არც მოსწავლეები და არც მასწავლებელი. მაგალითად, მდინარეზე, ტბაზე, წყალსატევებზე ექსკურსიის მოწყობა შეიცავს გარკვეულ რისკებს როგორც უმცროსკლასელთა, ისე მასწავლებელთა მხრიდანაც, რადგან შესაძლოა მოსწავლის მიერ რაიმე დაუფიქრებელ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგი, ამიტომ უმჯობესია ამ ეტაპზე თავი ავარიდოთ ექსკურსიებს მდინარეზე, ტბებზე და წყალსატევებზე.

განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითები. ბუნებისმეტყველების თემის „წყალი ბუნებაში“ შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურ აღზრდას და მდინარეებისა და წყალსატევების სისუფთავის დაცვას. პირველ კლასში შესაძლებელია პირდაპირ არ მოვაწყოთ ეკოლოგიური ექსკურსია, არამედ შემოვიტანოთ სათამაშო ელემენტები და მოვახდინოთ მდინარეზე დაუსწრებელი ექსკურსიის ინსცენირება.

ჩვენ წინ ლურჯზე უფრო ლურჯი მდინარე მოედინება. მისი ტალღების თავზე თოლიები დაფრინავენ და ხმაურობენ. ყველამ მაშველი რგოლები და ბადეები აიღეთ და მოემზადეთ მდინარეში შესასვლელად. თქვენ შეგიძლიათ ნავებში ჩასხდეთ, ნიჩბები მოუსვათ და მდინარეში შეცუროთ. მდინარე დაბინძურებულია. მასში პლასტმასის ბოთლები, ქილები, ქაღალდის ნაჭრები, შუშის ნამსხვრევები და სხვა ჭუჭყიანი ნივთები ყრია. ჩვენი მიზანია მდინარე გავწმინდოთ ნაგვისა და ჭუჭყისაგან, რისთვისაც გამოვიყენოთ ბადეები.

ბავშვები „მდინარეში“ ბადეებით „იჭერენ“ პლასტმასის ბოთლებს, ქილებს, ქაღალდის ნაგლეჯებს, შუშის ნამსხვრევებს და სხვა სახის დაბინძურებულ ნივთებს. ამის შემდეგ მოსწავლეებს მასწავლებელ დაუსვამს შეკითხვებს: აგვიხსენით რატომ არ შეიძლება მდინარეში ნაგავის ჩაყრა?

მეორე და მესამე კლასებში იმავე თემის გავლისას მოსწავლეები ეცნობიან წყლის მყარ და გაზობრივ მდგომარეობებს; წყლის ბრუნვას ბუნებაში; წყლის გაწმენდის მეთოდებს; მდინარეთა და წყალსატევების ეკოლოგიურ დაცვას ფაბრიკა–ქარხნების საწარმოო ნარჩენებისაგან; წყლის ყაირათიან და მიზნობრივ ხარჯვას სახალხო მეურნეობაში. ამ პერიოდში ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება შესთავაზოს თხზულების დაწერა, მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე თემა: „წყლის წვეთის

მოგზაურობა“, ,,თოვლის ფიფქი ჩემს ხელისგულზე“, ,,ჯადოსნური ყინულის ნატეხი“, ,,წყალი-სასწაულები და მოლოდინები“ და სხვ.

საქართველოში განთავსებულ სკოლებს, იქნება ის ქალაქის თუ სოფლის, ყველას აქვს ბუნებასთან კონტაქტის საშუალება. ზოგი სკოლა კი პირდაპირ პარკების, ნაკრძალების, ბაღების ახლოს მდებარეობს და საშუალება აქვს მათი სკოლის ახლოს მდებარე ბუნებრივი არეალები გამოიყენოს ეკოლოგიური აღზრდის ე.წ. ლაბორატორიად. მიზანშეწონილია შემოდგომაზე უმცროსკლასელთა ეკოლოგიური ექსკურსია სკოლის ახლოს მდებარე ტყეში. მასწავლებელმა უნდა დააკვირვოს ისინი შემოდგომაზე ბუნების ცვლილებებზე, მოსწავლეებს აუხსნას ბუნებაში მიმდინარე პროცესების არსი მათთვის გასაგებად, მოაწყოს შემეცნებითი თამაში: ,,ვიპოვოთ ნიშნებით აღწერილი ხე“. მაგალითად: 35 მეტრამდე სიმაღლის ხეა, საუკეთესო მერქნით. ვარჯის დიამეტრი 1,5 მეტრს აღწევს. მერქანი გამოიყენება ავეჯის დასამზადებლად. ნაყოფი - საკონდიტრო მრეწველობაში, ყვავილობს ივნის-ივლისში, მწიფდება და ცვივა სექტემბერ-ოქტომბერში, ნაყოფი ეკლიან გარსშია, რომელიც 5-6 სმ დიამეტრისაა და იტევს 2-3 ცალს. საჭმელად ვარგისია, შეიცავს ნახშირწყლებს. მისი შემადგენლობა უახლოვდება ხორბლის შემადგენლობას. უფრო გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება ბორჯომის ხეობაში, სამაჩაბლოში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე; კარგად ხარობს ზღვის დონიდან 1200 მეტრამდე.

მოსწავლეთა უმრავლესობა ხვდება, რომელ ხეზეა საუბარი გამოცანაში: რა თქმა უნდა, ეს წაბლია. მოსწავლეებს ჯილოდ შესაძლებელია გადავცეთ მოხარშული და უმი წაბლი. ისინი დარწმუნდებიან, რომ წაბლის ნაყოფი ძალზედ გემრიელია. პიკნიკზე შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ წაბლის თაფლიც, რა თქმა უნდა, ზომიერად, რადგან უნდა ავუხსნათ, რომ დიდი რაოდენობით წაბლის თაფლის მიღება იწვევს თრობას და მოზარდის ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

საშემოდგომო ეკოლოგიური ექსკურსიის დროს უნდა შევაგროვოთ მცენარეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები, რომელთაც გამოვიყენებთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე, მათგან შეგვიძლია შევქმნათ ,,შემოდგომის ხალიჩა“, ,,პეპლები“, ,,ტყის მინდორზე“, ,,შემოდგომის ფერები“ და სხვ.

გაზაფხულზე ვპოულობთ გაზაფხულის პირველ ყვავილებს: იას, ენძელას, ფურუსულას. შემდეგ ტყე მწვანდება. ტყეში მწერების ნახვაც შეიძლება. ჭიანჭველები მუშაობენ და ბუდეში საჭმელს ეზიდებიან, ჩნდებიან ხოჭოები. ტყეში ყველა არსებას თავისი საქმე აქვს.

ყველაზე ხალისიანი ეკოლოგიური ექსკურსია მდინარეზეა. მდინარის პირას იზრდება მტირალა ტირიფი, (ტირიფის ლათინური სახელწოდების თარგმანია ,,წყალთან ახლოს“). მდინარის ნაპირებთან წყალმცენარეებია, ცოტა მოშორებით თხელის ხეების კორომია. ნაპირზე ფერადი კენჭებია. ბავშვები მათთვის მოსაწონ კენჭებს აგროვებენ. აკვირდებიან მდინარის ნაპირზე მოხტუნავე ბაყაყებს, შესაძლოა მეთევზეებსაც შეხვდნენ და თევზაობას უყურონ...

ყოველი ექსკურსიის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გამოჰკითხოს შთაბეჭდილებები, უნდა დაუსვას კითხვები: რა მოგცათ თქვენ ბუნებასთან კონტაქტმა? გახდით თუ არა უფრო კეთილი? სულიერად უფრო მდიდარი? მოსწავლეებს რით შეგიძლიათ დაეხმაროთ ბუნებას? და სხვ.

მათემატიკის გაკვეთილებზე მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ამოცანები, რომელთა პირობები შეიცავს ეკოლოგიურ საკითხებს. ცხადია, რომ ამოცანის პირობებში მოცემული მონაცემები რეალური, ან რეალურთან ძალიან მიახლოებული უნდა იყოს. ასეთი ამოცანების განხილვა მოსწავლეებში მათემატიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების გარდა სერიოზულ დახმარებას უწევს მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდას.

უმცროსკლასელთა ეკოლოგიურ განათლებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თითოეულ სასწავლო საგნში ისეთი მასალების განხილვას, რომელიც ემსახურება ეკოლოგიურ აღზრდას. მოსწავლეებთან სისტემატიური მუშაობა საფუძველს იძლევა რეგულარულად ჩავატაროთ წელიწადის დროების შესაბამისი სეზონური ზეიმები, რომლებსაც შესაძლებელია დავარქვათ სეზონის შესაფერისი სახელი: ,,ოქროსფერი შემოდგომა", ,,შემოდგომის წვეულება", ,,გავაცილოთ ზამთარი", ,,ზამთრის წვეულება", ,,გაზაფხული-ფერთა გამა", ,,შევხვდეთ ზაფხულს" და სხვ. ეს დღესასწაულები კლასში შესაძლებელია მოეწყოს ყოველ სეზონზე. უმცროსკლასელთა ასაკის ზრდასთან ერთად შეიცვლება ღონისძიების ჩატარების ფორმაც და შინაარსიც. დღესასწაულისათვის მომზადება კლასში ადრიდანვე უნდა დაიწყოს მასწავლებელმა. მასში აქტიურად უნდა ჩაერთონ მოსწავლეთა მშობლები. კარგი იქნება, თუ ეს საკითხი მასწავლებლის მიერ განხილული იქნება მშობელთა კრებაზე.

რა სპეციალობისაც უნდა იყოს ადამიანი, ჩვილი იქნება თუ მოხუცი, ბუნება ყველასათვის წარმოადგენს მათი ცხოვრების განუყოფელ კომპონენტს. მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეებს არა მარტო ასწავლოს ბუნება, არამედ გააცნობიერებინოს ის ტკივილი, რომელსაც დანაგვიანებული მდინარის ნახვისას განიცდიან; გააცნობიერონ ის წუხილი, რასაც განიცდიან, როცა ხედავენ, რომ პიკნიკზე წასულების მიერ ტყეში დანთებულმა ცეცხლმა ხანძარი გააჩინა და ხეები ზეზეულად იწვიან; მდელოზე ხუმრობით გამხმარი ბალახებისათვის ცეცხლის წაკიდების შემდეგ მდელოს ცეცხლი რომ უკიდია... მოსწავლეებმა უნდა აღიქვან, რომ თუ არ დავიცავთ ბუნებას, არ შევინარჩუნებთ და არ მოვუვლით მას, არ გვექნება სამშობლო. დედაბუნება–ჩვენი სახლია.

საკვანძო სიტყვები: კლასგარეშე ღონისძიება, ეკოლოგიური აღზრდა, იმიტირებული ექსკურსია, სასწავლო ექსკურსია, ეკოლოგიური პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ დოგრაშვილი, 2019: უმცროსკლასელთა (I-III კლასები) აქტიური სწავლება საგანთაშორისი კავშირების მქონე ეკოლოგიური და ბუნებისდაცვითი შინაარსის მათემატიკური ამოცანებით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
2. თამარ დოგრაშვილი, 2019: უმცროსკლასელთა (I-III კლასები) აქტიური სწავლება განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანებით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,ქუთაისი.
3. გიორგი კვანტალიანი, ლეილა მიქიაშვილი, მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი, დავით კერესელიძე-ბუნებისმეტყველება, 2019: პირველი კლასის სახელმძღვანელო, თბილისი.

4. გიორგი კვანტალიანი, ლეილა მიქიაშვილი, მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი, დავით კერესელიძე, 2019: ბუნებისმეტყველება, მეორე კლასის სახელმძღვანელო. თბილისი.
5. გიორგი კვანტალიანი, ლეილა მიქიაშვილი, მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი, დავით კერესელიძე, 2019: ბუნებისმეტყველება, მეორე კლასის სახელმძღვანელო, თბილისი.

Tamar Dograshvili

Extracurricular activities for primary school pupils

Summary

The environmental challenges are global, and all humanity is engaged in addressing them. It is necessary to pay more attention to environmental education of students beginning in their first year. Environmental issues should be isolated from the subjects at the lower basic level, and them can be better realized in extracurricular activities. The correctly organized extracurricular activities can be the best way to improve the quality of teaching, as it creates the conditions where we can see better the individual differences between pupils.

The article considers the preparation and guiding environmental tours for primary school pupils, as well as the follow-up activities. The conclusions of appropriate pedagogical nature have been made.

Keywords: Extracurricular activity, Ecological upbringing, imitative excursion, Study excursion, Ecological problems.

იაგორ ბალანჩივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დიფერენცირებული სწავლების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში

სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარება, რომლის მეთოდური საფუძველია ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია. დიფერენცირებული სწავლების მიზანია, დაეხმაროს შემსწავლელს უნიკალური უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. დიფერენციაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განსხვავებას, დაყოფას. დაყოფის საფუძველი არის თითოეული მოსწავლის გამოცდილება და შესაძლებლობები. ვადგენთ მოსწავლეთა ცალკეული ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს და მათთან სწავლება მიმდინარეობს განსხვავებულად. დიფერენცირებული სწავლება - ეს არის განათლებაში პიროვნებაზე ორიენტირებული პარადიგმის რეალიზაცია, მოსწავლის ნიჭის, მიდრეკილებისა და ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინება.

დიფერენციაცია არის სასწავლო პროცესის ორგანიზება მოსწავლეთა ჯგუფების დომინირებადი მახასიათებლების გათვალისწინებით, ხოლო ინდივიდუალიზაცია გულისხმობს ყოველი მოსწავლის განსაკუთრებულობის გათვალისწინებას. დიფერენცირებული სწავლება გამოდის, როგორც ინდივიდუალიზაციის პირობა და საშუალება, ხოლო მისი მიზანია ყოველი მოსწავლის შესაძლებლობების და ნიჭიერების დონეზე სწავლება, სწავლების მისადაგება მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებებზე.

დიფერენცირებული სწავლების დანერგვა ნიშნავს: ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლეების მზაობის, ინტერესებისა და სასწავლო პროფილის შესახებ; ამ ინფორმაციის გამოყენებას, სწავლების პროცესისა და შეფასების დიფერენცირებისთვის; სასწავლო სტრატეგიების ფართო სპექტრიდან ისეთი მიდგომების შერჩევას, რომლებიც მოსწავლეების კონკრეტულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს ყველაზე კარგად მიესადაგება.

დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა (განშრევება, სასწავლო კონტრაქტები, კუბურები) მეთოდები პედაგოგს საშუალებას აძლევს, რომ ამოცანების სირთულე და ფორმატი მოსწავლეების განსხვავებულ საჭიროებებს მიუსადაგოს. ჩვენ განვიხილავთ განშრევების მეთოდს. განშრევება - როდესაც დავალების განშრევებას ვახორციელებთ, ჩვენ მის რამდენიმე ვარიანტს ვქმნით, რაც საშუალებას გვაძლევს დავალება მოსწავლეებს მათი მზაობის მიხედვით მივუსადაგოთ. ამ დროს უნდა მოვიძიოთ, ან შევიმუშავოთ ისეთი აქტივობა, რომელშიც ჩვეულებრივ პირობებში მოსწავლეების ამა თუ იმ ასაკობრივ ჯგუფს ჩავრთავთ. შემდეგ კი ამავე აქტივობის დამატებითი ვარიანტები უნდა მოვამზადოთ, რომლებიც მოსწავლეთა წინასწარი შეფასებისას ჩვენ მიერ აღმოჩენილ საჭიროებებს პასუხობს. გახსოვდეთ, რომ ყველა ამოცანა გულისყურით უნდა იყოს შერჩეული, რათა ბავშვებს უხერხულობა არ შეუქმნას; ამასთანავე უნდა იყოს მიმზიდველი, საინტერესო და პატარებისთვის ნამდვილ გამოწვევას შეიცავდეს.

დიფერენცირებულ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დაჯგუფება და გადაჯგუფება ხშირად და მოქნილად ხდება. იგი ემყარება:

- მოსწავლის მზაობას;
- მოსწავლის ინტერესს ამა თუ იმ მათემატიკური სასწავლო მასალის მიმართ;
- მოსწავლის სასწავლო პროფილს კონკრეტულ მათემატიკურ სასწავლო მასალაზე მუშაობის კუთხით;
- გარემო პირობებსა და სხვადასხვა სოციალურ ასპექტს (მოქნილი, მოკლევადიანი დაჯგუფება, დავალების მიზნებიდან გამომდინარე, მასწავლებლის ან თავად მოსწავლეების მიერ ხორციელდება);
- დაჯგუფებას შემთხვევითი ხასიათი (როდესაც ბავშვებს მრავალ ასეთ მოკლევადიან ჯგუფებში უწევთ მეცადინეობა, ისინი ყველა თანაკლასელთან მუშაობას ეჩვევიან, რაც განაპირობებს თანამშრომლობითი საკლასო გარემოს ჩამოყალიბებას).

განშრევებული გაკვეთილი დიფერენცირების მეთოდია, რომელიც კონკრეტულ სტანდარტზე, საბაზისო იდეასა და ცნებებზეა ორიენტირებული. ის მოსწავლეებს სთავაზობს ცოდნის შეძენის რამდენიმე გზას, რომელიც მათ ინტერესებზე, მზაობის ხარისხსა და სასწავლო პროფილზეა მორგებული.

თუ გაკვეთილების განშრევებას განვახორციელებთ, უზრუნველყოფილი იქნება წარჩინებული მოსწავლეების საჭიროებების დაკმაყოფილება? ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ განშრევებული გაკვეთილი კონკრეტულ საკითხთან/უნართან მიმართებაში მოსწავლის მზაობაზეა მორგებული, მაღალი ალბათობით ამ დროს წარჩინებული მოსწავლეების საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნება. როდესაც მზაობაზე დაყრდნობით ხდება გაკვეთილის განშრევება, ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი კარგად აცნობიერებს სასწავლო საკითხის მიმართ მოსწავლეების განსხვავებულ მზაობას და ამ განსხვავებულ საჭიროებებზე რეაგირებს გაკვეთილის განშრევებით.

მზაობაზე დაყრდნობით სწავლების განშრევებისას ხშირად გამოჰყოფენ სამ შრეს – მათთვის, ვისი მზაობაც აღემატება მოლოდინებს, შეესაბამება მოლოდინებს და ჯერ ვერ აკმაყოფილებს მოლოდინებს. თუმცა, სწავლების სამ შრედ დაყოფა სავალდებულო სულაც არ არის. რეალურად შრეების რაოდენობა დამოკიდებულია კლასში მზაობის არსებულ დიაპაზონზე. გახსოვდეთ: თქვენ მიერ მოსწავლეთა მზაობის შეფასების საფუძველზე განშრევებას ერთი კონკრეტული საკითხის სწავლებისას ვახორციელებთ. როდესაც სხვა საკითხზე გადახვალთ, აუცილებელია მოსწავლეთა გადაჯგუფება შეიცვალოს.

თითოეულ შრეზე მორგებული ჯგუფების რაოდენობა შეიძლება განსხვავებული იყოს ისევე, როგორც ჯგუფებში ბავშვების რიცხვი. ჩვენი მიზანი ხომ მოზარდების მზაობის მიხედვით დაჯგუფებაა და არა ერთი ზომის ჯგუფების შედგენა. მაგალითად, პირველი შრე შეიძლება მოიცავდეს ორ სამკაციან ჯგუფს, მეორე შრე - ოთხ-ოთხი მოსწავლისგან შედგენილ ხუთ ჯგუფს, მესამე კი ერთ ჯგუფს ორი ბავშვის შემადგენლობით.

კლასში განშრევების განხორცილებამდე მასწავლებელს უკვე უნდა ჰქონდეს გაკვეთილების მართვის მკაფიოდ გაწერილი გეგმა, რომელიც ბავშვებს ჯგუფურად მუშაობის სტრუქტურას შესთავაზებს. ამას გარდა, მზად უნდა ჰქონდეს „ღუზის ჩაშვების" აქტივობები მათთვის, ვინც დავალებაზე მუშაობას ნაადრევად დაასრულებს, ან მუშაობა უჭირს და თქვენი დახმარების მოლოდინშია. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლის ადმინისტრაციას და

მშობლებს წინასწარ გააფრთხილებთ, რომ კლასში ახალი სტრატეგიის დანერგვას გეგმავთ და ამასთან დაკავშირებით მათ კითხვებსაც უპასუხებთ.

2019-20 სასწავლო წლის ოქტომბერ-ივნისში ჩავატარეთ კვლევა ქ.ქუთაისის ავთანდილ დეკანოიძის სახელობის 32-ე საჯარო სკოლის მე-3, მე-4 და მე-6 კლასებში. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო: მათემატიკის გაკვეთილებზე დიფერენცირებული სწავლების დანერგვით სასწავლო კომპეტენციებში მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება. მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო დაგვედგინა მათემატიკაში მოსწავლის სწავლის დონე წლის დასაწყისში, პრობლემის გამოსწორებისათვის გაგვეხორციელებინა დიფერენცირებული სწავლება და დაგვედგინა, თუ როგორ შეიცვლება მოსწავლეთა ცოდნის დონე სასწავლო წლის დასასრულს.

კვლევისთვის გამოვიყენეთ სპეციალურად გამზადებული სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელიც შემუშავებული არის საქართველოს დაწყებითი განათლების პროგრამის მიერ. ტესტები დალაგებული იყო სირთულის მიხედვით. იგი შეიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სრულ კურსს, რომლის საშუალებითაც შევძელით დაგვედგინა მოსწავლეთა მომზადების დონე.

კვლევის ანალიზით ვფიქრობთ კარგად ჩანს დიფერენცირებული გაკვეთილის წარმატება. წრიული დიაგრამის დაყოფა შემდეგნაირად მოხდა: **დაბალი** შედეგი (0-40 ქულა); **საშუალო** შედეგი (41-70 ქულა); **მაღალი** შედეგი (71- 100 ქულა)

კვლევის შედეგად გამომჟღვანდა, ვის რა კომპეტენციაში ჰქონდა პრობლემა. შესაბამისად დავგეგმეთ დიფერენცირებული გაკვეთილები და შევეცადეთ პრობლემის გამოსწორება. დიფერენცირებული გაკვეთილი ჩავატარეთ 2 - ჯერ, სხვა შემთხვევაში ვატარებდით კონქტრუქტივისტულ გაკვეთილებს დიფერენცირების ელემენტებით. ივნისის დასაწყისში, ისევ ჩავატარეთ დიაგნოსტიკური ტესტირება და შედეგი ასეთი მივიღეთ:

მე-4 კლასი ოქტომბერი





მე-4 კლასი ივნისი





მე-6 კლასი ოქტომბერი



მე-6 კლასი ივნისი



კვლევამ დაგვანახა, რომ დიაგნოსტიკური ტესტები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ კომპეტენციაში აქვს ამა თუ იმ მოსწავლეს პრობლემა. შედეგების ანალიზით ჩანს, რომ აუცილებელია მომზადდეს სწორად დაგეგმილი დიფერენცირებული გაკვეთილი, ან უმეტეს შემთხვევაში კონსტრუქტივისტული გაკვეთილი დიფერენცირების ელემენტებით. ივნისში ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევა კი გვაძლევს იმის მტკიცებას, რომ ასეთი მიდგომა დიდად დაეხმარა მოსწავლეებს გამოასწორონ არსებული პრობლემები და უკეთ მომზადებული გადავიდნენ შემდეგ კლასში.

საკვანძო სიტყვები: დიფერენცირებული სწავლება, განშრევება, დიაგნოსტიკა, მზაობა, კვლევა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მათემატიკის განმავითარებელი სწავლება, 2014: მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში,თბილისი.
2. მათემატიკისსწავლებისდიფერენცირებულიმეთოდი I-IV კლასში,2013; მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, თბილისი.
3. მათემატიკის სწავლების დიფერენცირებული მეთოდი V-VI კლასში, 2014: მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, თბილისი.
4. მეთოდური ინოვაციები დაწყებით I-IVკლასების მათემატიკის სწავლებაში, 2013: დიფერენცირებული მეთოდი, მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, თბილისი.
5. ნოზაძე გ. - განმავითარებელი შეფასების განხორციელების სტრატეგიები და მეთოდები, ჟურნალი „მასწავლებელი“ – 2013 წ. 13 დეკემბერი.
6. ფორჩხიძე მ. – დიფერენცირებული სწავლებისთეორიადაპრაქტიკა, ჟურნალი „მასწავლებელი“ – 2018 წ. 11 აპრილი.
7. ხუნძაყიშვილი მ., ბივერი ს., 2018: განმავითარებელი შეფასება და დიფერენცი-რებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი.

Iagor Balanchivadze
Associate Professor – Akaki Tsereteli State University

Using of Differentiated Teaching Method In the lesson process

Summary

The article discusses the importance of differentiated teaching in teaching mathematics in the elementary grades. It is the realization of a personality-oriented paradigm in education, taking into account in every way the talent, inclinations and interests of the student.

Differentiated education is one of the leading directions of school modernization. Differentiation of teaching at the present stage is a defining factor in the democratization and humanization of education.

The analysis of the conducted research showed that a properly planned differentiated lesson or in most cases a constructivist lesson with elements of differentiation, helped students to raise the level of knowledge. Differentiated approaches helped students correct problems at an early stage and move better prepared to move on to the next grade.

Keywords: Differentiated learning, differentiation, diagnostics, readiness, research

ნათელა მაღლაკელიძე,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების სკოლის პროფესორი

სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემები საქართველოში

საქართველო ისტორიულად ყოველთვის მრავალეროვანი ქვეყანა იყო. ეს გახლდათ ერთგვარი სიმბოლო სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა. მე-11 საუკუნის ისტორიკოსის - ლეონტი მროველის - მიხედვით, ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე ქართულის გარდა კიდევ 5 ენაზე საუბრობდნენ: ბერძნულად, სომხურად, ასურულად, ებრაულად და ხაზარულად. ეს ენები ბუნებრივად და დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ამის მაგალითია საქართველოში უძველესი დროიდან შემორჩენილი ბერძნული არამეული სომხური და სხვა წარწერები

დღესაც საქართველოს ტერიტორიაზე შეხვდებით ბერძნულად, აზერბაიჯანულად, სომხურად, რუსულად, ასურულად, აფხაზურად, ოსურად, ხუნძურად, უდიურად, ქისტურად, ქურთულად/ეზიდურად... მოსაუბრე მოქალაქეებს. უმცირესობათა ენები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. 1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, საქართველო შეუერთდა „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის" ხელიმომწერთა რიცხვს. „უმცირესობათა ენების პატივისცემა და მათი გამოყენების ხელშეწყობა არ ეწინააღმდეგება ქართულის - ქვეყნის სახელმწიფო ენის - შესწავლის აუცილებლობას. პირიქით, ქარტია უმცირესობათა ამ ენებს გადარჩენაში დაეხმარება, ქართულს კი გააძლიერებს, რადგან საქართველოში ქარტიის ამოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წახალისება ქართულის შესასწავლად." (უმცირესობათა ენები საქართველოში, 2016: გვ. 4)

2014 წლის სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 86%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. ეთნიკურად არაქართველებს შორის ყველაზე მაღალია სომხებისა და აზერბაიჯანელების წილი: 6,3% - აზერბაიჯანელები, 4,5% - სომხები. ქართული სკოლების გვერდით აქ ფუნქციონირებენ არაქართულენოვანი სკოლები და სექტორებიც: აზერბაიჯანული, სომხური, რუსული. ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დღეს საქართველოში ფუნქციონირებს 2313 სკოლა: 2086 საჯარო და 227 კერძო (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები: გვ. 2). აქედან სკოლების დაახლოებით 10% არაქართულენოვანია (ტაბატაძე, 2015: გვ. 2).

ქართული ენა აფხაზურთან ერთად საქართველოში სახელმწიფო ენაა. ამჟამად ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ფუნქციონირებს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისა."ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან

აფხაზური. ამავე კანონის მიხედვით "საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლა". სწორედ ამიტომ ქართულენოვან სკოლებში სწავლების ძირითადი ენა ქართულია; არაქართულ სკოლებში კი ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, ისე ისწავლება პირველი კლასიდან. ამ სკოლებში პირველივე კლასიდან იწყება უცხო ენის შესწავლაც, მე-5 კლასიდან კი ამას ემატება მეორე უცხო ენა. ამგვარად, უკვე პირველი კლასში 5-6 წლის ბავშვები მოსწავლეს ერთდროულად უწევს სამი ენის შესწავლა, ხოლო სკოლის დამთავრებისას კი მას სხვადასხვა დონეზე 4 ენის ფლობა მოეთხოვება.

ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია მხოლოდ სახელმწიფო ენის ფლობასთან დაკავშირებული საკითხები. ფაქტია, რომ ხშირად არაქართული სკოლების კურსდამთავრებულებმა არ იციან /ან ძალიან სუსტად იციან სახელმწიფო ენა. ძნელია ცალსახად იმის თქმა, რა არის ამისი მიზეზი: სასწავლო პროცესის ხარვეზები, თუ მოსწავლეთა მოტივაცია. მიზეზები ორივეგან არის. ბუნებრივია, რომ ამის გამო მათ უჭირთ უმაღლესი განათლების მიღება, ერთიან სამოქალაქო სივრცეში ინტეგრაცია. აქ ჯერაც რუსული ენა მუშაობს მაინტეგრირებელ ენად. უფროსი თაობის მოსახლეობა ენობრივი რუსიფიკაციის ინერციით ფლობს რუსულ ენას და ნაკლებად _ ქართულს. სახელმწიფო ენის ათვისება ვერ მოახერხეს საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში დაბადებულმა და წამოზრდილმა საქართველოს ეთნიკურად არაქართველმა მოქალაქეებმაც. იმ ახალგაზრდების უმეტესობას, რომელებიც სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებს თბილისის ფარგლებს გარეთ ამთავრებენ, სავალდებულო სასკოლო სწავლების დასრულების შემდეგ ქართულად უბრალო საუბრის წარმართვაც კი არ შეუძლია, ისინი არ ფლობენ უმარტივეს სამეტყველო კომპეტენციებსაც კი, რაც ხელს უშლით საზოგადოებასთან ინტეგრირებაში.

ჩვენ შევეცადეთ ჩაგვეტარებინა კვლევა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად ჩასახლებულ რაიონებში (მარნეული, გარდაბანი) ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით დაგვედგინა, რა მიზეზები უშლიდათ ხელს სახელმწიფო ენის დაუფლებაში.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის იანვარ/თებერვალში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა რესპონდენტმა, კვლევა ჩაატარეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის სტუდენტებმა: ავსანე ხალილოვამა და აიგულ ნაზაროვამ.

გამოიკვეთა შემდეგი მიზეზები:

1. **მასწავლებლების კვალიფიკაციის დაბალი დონე** (უმრავლესობა თავადაც ვერ ფლობს სახელმწიფო ენას სათანადო დონეზე; თუ ფლობს, არა აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება და არის არასპეციალისტი; ბევრს საბჭოთა პერიოდში აქვს მიღებული პედაგოგიური განათლება და ამის შემდეგ არ გაუვლია გადამზადება...) – **34 პასუხი;**
2. **სკოლის უპასუხისმგებლობა** (სასწავლო რესურსების ნაკლებობა, ენობრივი გარემო, ნაკლები მოთხოვნები ქართული ენის პედაგოგების მიმართ...) _ **22 პასუხი;**
3. **ქართული ენის სახელმძღვანელოების არაეფექტურობა** (არ არის მათში შეტანილი მოსწავლეთათვის საინტერესო საკითხავი მასალა, გადატვირთულია მათთვის გაუგებარი გრამატიკული კატეგორიებით; თითქმის მთლიანად არის გამორიცხული

საკონტაქტო ენა, რაც აგრეთვე ძალიან ურთულებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას; ნაკლებად არის გამოყენებული მოსმენის კომპონენეტი...) _ **18 პასუხი;**

4. **ქართულ ენაზე კომუნიკაციის არარსებობა/ნაკლებობა _ 20 პასუხი;**

5. **სახელმწიფო ენის ცოდნის გაუაზრებლობა _ 3 პასუხი.**

6. მიზეზი ვერ დაასახელა **3-მა** რესპონდენტმა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გარდაბნის რაიონში მოსწავლეთა და სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე სახელმწიფო ენის ფლობის კუთხით ბევრად მაღალია, ვიდრე მარნეულის რაიონში. გარდაბნელები ამის მიზეზად მიიჩნევენ ადგილობრივ მოსახლეობასთან (ეთნიკურ ქართველებთან) ქართულ ენაზე კომუნიკაციის მეტ შესაძ-ლებლობას, ასევე ქართულენოვანი მასწავლებლების სიმრავლეს აზერბაიჯანულენოვან სკოლებში.

დაახლოებით მსგავს მიზეზებს ასახელებენ ადგილობრივი მაცხოვრებლები სომხებით კომპაქტურად ჩასახლებულ ჯავახეთის ტერიტორიაზეც. ეს არის:

ა) **მასწავლებლების დაბალი ენობრივი კომპეტენცია**;

ბ) **სახელმძღვანელოების გაუმართაობა;**

გ) **ბილინგვური სისტემის ნაკლოვანი მხარეები** (ყველა საგანში საჭირო გახდა სულ მცირე 2 მასწავლებელი. ერთს ქართულად უნდა აეხსნა მასალა, მეორეს _ მშობლიურ ენაზე. საბოლოოდ დარჩა მხოლოდ ერთი მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილის „ქართულ ნაწილს“, როგორც წესი, უგულებელყოფს);

დ) **სერთიფიცირებულ პედაგოგთა სიმცირე;**

ე) **უმაღლესი განათლების მიღების უპერსპექტივობა სახელმწიფო ენის არცოდნის გამო** (საქართველოში სომხური სკოლების 5 ძირითადი პრობლემა: 2015).

ბოლო წლებში შეიმჩნევა სასიკეთო ძვრები, რომლებიც ხელს უწყობენ არაქართველ მოსახლეობას მიიღოს უმაღლესი განათლება. ამოქმედდა პროგრამა „1+4“ (ქართულ ენაში მოსამზადებელი 60-კრედიტიანი კურსი+ბაკალავრიატი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებ-ში აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებიან მხოლოდ უნარების გამოცდით, რომელსაც მშობლიურ ენაზე აბარებენ. მინიმალური ბარიერის გადალახვის შემდეგ ისინი გადიან ერთწლიან სავალდებულო კურსს ქართულ ენაში და შემდეგ სწავლას აგრძელებენ სასურველ ფაკულტეტზე. ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ სტუდენტების ქართულ ენაში მომზადებას განსხვავებული, ინდივიდუალური პროგრამით წარმართავს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით პრობლემები კვლავაც რჩება და სამომავლოდ სამუშაო კვლავაც ბევრია.

სახელმწიფო ენის შემსწავლელი ერთწლიანი სავალდებულო კურსის მსმენელებთან ილიას უნივერსიტეტში ჩავატარეთ კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 53-მა მსმენელმა. პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე მათ პასუხი უნდა გაეცათ მხოლოდ ერთ კითხვაზე:

მათი აზრით, რამდენად ფლობენ ისინი სახელმწიფო ენას სკოლის დამთავრების შემდეგ?

პასუხები განაწილდა ასე:

საერთოდ არ ვიცი _ 17%

ვიცი ძალიან სუსტად/ სუსტად (დაახლოებით A1- A2 დონეზე) _ 58%

ვიცი კარგად(დაახლოებით BI-B2 დონეზე) _ 11,3%

ვიცი ძალიან კარგად (დაახლოებით C1-C2)_13,2%

იგივე კითხვა დავუსვით ამ მსმენელებს პროგრამის დამთავრების შემდეგაც სასწავლო წლის ბოლოს. ამჯერად პასუხები ასე განაწილდა:

საერთოდ არ ვიცი _ 0,5%

ვიცი ძალიან სუსტად/სუსტად(დაახლოებით A1- A 2დონეზე) _18, 9 %

ვიცი კარგად(დაახლოებით BI-B2 დონეზე) _ 65, 5%

ვიცი ძალიან კარგად (დაახლოებით C1-C2) _15,1%

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, საგრძნობლად შემცირდა (ფაქტიურად განულ-და) ქართული ენის არმცოდნეთა რიცხვი; სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ენას B1- B2 დონეზე ფლობენ; ასევე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, გაიზარდა ენის ძალიან კარგად(C1-C2) მცოდნეთა რაოდენობა.

(კვლევა ჩატარდა 2019-2020 სასწ. წელს. კვლევა ჩაატარეს განათლების სკოლის სტუდენტებმა აიგულ ნაზაროვამა და ავსანე ხალილოვამ).

პირადად ჩვენ მთავარ მიზეზად მივიჩნევთ ამ დარგში კვალიფიციური პედაგოგიური კადრების სიმცირეს, უფრო სწორად - არარსებებობას. დღეს საქართველოს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მზადდება ქართული ენის მასწავლებლები ამ სკოლებისათვის. ხოლო ის მასწავლებლები კი, რომლებიც ქართული სკოლებისთვის მზადდებიან, თავს ვერ გაართ-მევენ იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ სკოლებში ხვდებათ. არავისთვის არ არის საკამათო, რომ მშობლიური და უცხო ენის/ მეორე ენის მასწავლებლების მომზადება განსხვავებული მეთოდებითა და სასწავლო გეგმით ხდება. რა თქმა უნდა, კარგია, რომ არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს 2013 წლიდან ეძლევათ თავიანთი ცოდნის დადასტურების შესაძლებლობა სასერტიფიკატო გამოცდაზე, მაგრამ ეს სურათს ჯერ ვერ ცვლის.

აუცილებელია, პასუხი გაეცეს შეკითხვებს:

1. **რამდენი ენის სწავლება შეიძლება სკოლაში ერთდროულად,** ხომ არ უნდა დაწესდეს გარკვეული ზღვარი ამ კუთხით;
2. **რა ასაკიდან უნდა განისაზღვროს არაქართულენოვან სკოლებში ა) მეორე (სახელმწიფო) ენის, ბ) პირველი უცხო ენის, ვ) მეორე უცხო ენის... სწავლება** და რა ინტერვალით შეიძლება შევთავაზოთ ისინი მოსწავლეებს;

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კი გახლავთ ამ თვალსაზრისით პედაგოგიური კვლევისა და მეცნიერული ანალიზის არარსებობა. ამ სფეროში მიმდინარე კვლევები მხო-ლოდ სოციოლოგიური კუთხით ხორციელდება არასამთავრობო სექტორისა და ცალკეული საექსპერტო ჯგუფების ინიციატივით. სამწუხაროდ, განათლების სპეციალისტები, ენათმეცნიერები, ფსიქოლოგები არ არიან ამ კვლევებში ჩართული.

ლიტერატურა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები 2019-2020 სასწ. წლისათვის
2. მარაბიანი ქ. საქართველოში სომხური სკოლების 5 ძირითადი პრობლემა, jam-news. 17.11.2015
3. ტაბატაძე შ. გორგაძე ნ. 2015: ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრი, წ.
4. უმცირესობათა ენები საქართველოში, 2016: Council of Europe, თბილისი.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ენა, სწავლების ენა, არაქართული სკოლები, ქართული ენა.

Natela Maglakelidze,
Doctor of Education, Georgia, Tbilisi, Ilia State University

Issues of Official Language Teaching in Georgia
Summary

Georgia has always been a multilingual country. According to the Law of Georgia on General Education, Georgian is a teaching language in educational institutions. According to the same law, "Georgian citizens, for whom the Georgian is not a native language, have the right of receiving a full general education in their native language, in accordance with the National Curriculum and the rules established by law. Learning the state language is compulsory in these general educational institutions". Teaching process in our schools today is undergoing in accordance with this law.

There are 2313 schools in Georgian at the moment, about 10% of them are non-Georgian schools: Azerbaijani, Armenian, Russian. Next to the native (Azerbaijani, Armenian, Russian) languages the Georgian language (as an official language) is also taught from the first grade in such schools where Georgian represents the second language for these students.

The main problem for the non-Georgian students is not knowing their official language and hindering them in social integration.

There are some reasons: a) The texts-books of the Georgian language for non-Georgian schools; b) The low competences of Georgian language in teachers are also to be mentioned; c) The most important problem among them is the non-existence of research and theoretical analysis. From this view point only some important events are organized by the NGOs and certain expert groups. Unfortunately, specialists of Education, linguists and psychologists are not involved in these researches.

Keywords: Teaching language, Official language, non-Georgian schools, Georgian language.

მამული ბუჭუხიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ გიორგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ასახვა და ასახვის ტიპები

ასახვა ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა მათემატიკაში, რომელიც გამოსახავს ერთი ტიპის ცვლადი სიდიდეების კავშირს სხვა ცვლად სიდიდეებთან. ასახვა კარგად გამოიყენება ფუნქციების სწავლების პროცესში, სადაც კონკრეტული თეორიული ცოდნა ხდება აუცილებელი პირობა ნებისმიერი სახის პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. სკოლაში და ზოგადად მათემატიკაში მარტო თეორიული ცოდნა არასაკმარისია საკითხის გადასაწყვეტად და საჭიროა განზოგადებული ცოდნის შეძენა.

როდესაც განვიხილავთ A სიმრავლის B სიმრავლეში ასახვის სწავლებას სკოლაში, იგი სიმრავლეებს შორის შესაბამისობის ინტუიციურ აღქმას ეყრდნობა. ასახვა შესაბამისობის კერძო შემთხვევად განიხილება. თუმცა, არსებობს შესაბამისობის თეორიულ-სიმრავლური აღწერის ხერხებიც, რომლებიც დაკავშირებულია AxB დეკარტული ნამრავლის ქვესიმრავლის განხილვასთან. ლიტერატურაში სიმრავლეების საშუალებით შესაბამისობის შემოღების სხვადასხვა მიდგომა არსებობს; მაგალითად, შესაბამისობა განისაზღვრება ზოგჯერ არა მთელ A სიმრავლეზე. A სიმრავლის B სიმრავლეში ასახვას მოსწავლეებთნ ასე განვსაზღვრავთ: A სიმრავლის B სიმრავლეში ასახვა ეწოდება ისეთ შესაბამისობას A და B სიმრავლეებს შორის, როცა A სიმრავლის ყოველ ელემენტს B სიმრავლის ერთდერთი ელემენტი შეესაბამება.

ასახვას A-დან B-ში ასე ჩავწერთ: f:A →B, ან A $\xrightarrow{f}$B. ასახვა შეიძლება ასეც წარმოვადგინოთ: თუ $x \in A$ ელემენტს f ასახვისას შეესაბამება y ელემენტი B-დან, მაშინ ვწერთ: y=$f(x)$, y არის x-ის სახე, x არის y-ის წინასახე. წინასახეები ყოველ ელემენტს B-დან შეიძლება ერთზე მეტი ჰქონდეს, ან არ ჰქონდეს. A-ს ეწოდება f ასახვის განსაზღვის არე. A-ს ელემენტების სახეების სიმრავლე ეწოდება მნიშვნელობათა სიმრავლე და მას ასე აღვნიშნავთ: f(A).

მაგალითად, ვთქვათ, A სიმრავლე შემდეგი სახელმწიფოების სიმრავლეა: A={საქართველო, ინგლისი, ესპანეთი, არგენტინა, საფრანგეთი, ურუგვაი, გერმანია, იტალია, ბრაზილია}, ხოლო B={0,1,2,3,4,5}. f შესაბამისობა A სიმრავლის ელემენტებსა და B სიმრავლის ელემენტებს შორის დავამყაროთ შემდეგი წესით: ჩამოთვლილი ქვეყნებიდან თუ რომელი რამდენჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში, მაშინ ამ სიმრავლეების ელემენტებს შორის გვექნება შემდეგი ასახვა: საქართველო $\xrightarrow{f}$0, ინგლისი $\xrightarrow{f}$1, ესპანეთი $\xrightarrow{f}$1, არგენტინა $\xrightarrow{f}$2, საფრანგეთი $\xrightarrow{f}$2, ურუგვაი $\xrightarrow{f}$2, გერმანია $\xrightarrow{f}$4, იტალია $\xrightarrow{f}$4, ბრაზილია $\xrightarrow{f}$5. B სიმრავლის ელემენტები 0,1,2,4 და 5 სახეებია, ხოლო A სიმრავლის ელემენტები წინასახეებია მოცემული f ასახვისა.

მასწავლებელმა ერთმანეთისაგან უნდა გაარჩიოს ასახვის ტიპები - ინექცია, სიურექცია, ბიექცია. ინექცია არის ისეთი f ასახვა A სიმრავლისა B სიმრავლეში, როცა B-ს

ყველა ელემენტს არაუმეტეს ერთი წინასახე აქვს: B-ში შეიძლება იყოს ელემენტი (ერთი ან რამდენიმე), რომელსაც წინასახე არ აქვს.

სიურექცია ისეთი ასახვაა, როცა B-ს ყოველ ელემენტს აქვს ერთი წინასახე მაინც (შეიძლება რამდენიმე). ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ გვაქვს ასახვა A სიმრავლის B სიმრავლეზე.

ვთქვათ, მოცემულია $A \xrightarrow{f} B$ ასახვა, თუ A სიმრავლის ყოველ ელემენტს B სიმრავლეში გააჩნია ერთი და მასთან მხოლოდ ერთი წინასახე, მაშინ ამ ასახვას სიმრავლის სიმრავლეზე ურთიერთცალსახა ასხვა ანუ ბიექციური ასახვა (ბიექცია) ეწოდება, ანუ თუ ასახვა სიურექციაც არის და ინექციაც მაშინ მას ეწოდება ბიექცია.

ასახვის მოცემა ნიშნავს, რომ დასახელებულია A სიმრავლე (განსაზღვრის არე), B სიმრავლე (რომლის ელემენტები შეესაბამება A-ს ელემენტებს) და შესაბამისობა f. (A, B, f) სამეული არის ასახვა.

თუმცა რიცხვითი ფუნქციების განხილვისას, როცა A და B-ც რიცხვითი სიმრავლეებია, შეთანხმების თანახმად, შეიძლება, მოცემული იყოს ფორმულა, რომელიც ყოველ x-ს A-დან შეუსაბამებს y-ს B-დან. ამ შემთხვევაში ხშირად ისმება კითხვა - რა არის ამ ფუნქციის განსაზღვრის არე. შეთანხმების თანახმად, განსაზღვრის არედ ითვლება x-ის ყველა ის მნიშვნელობა, რომელთათვისაც ფორმულას აზრი აქვს.

აქვე შევნიშნოთ, რომ ასახვა ყოველ f-ს უთანადებს რა $f(x)$ -ს, აფიქსირებს $(x;f(x))$ წყვილების სიმრავლეს. მას ეწოდება ასახვის გრაფიკი. რიცხვითი ფუნქციის შემთხვევაში წყვილებს საკოორდინატო სიბრტყეზე წერტილები შეესაბამება.

განვიხილოთ ასახვის მაგალითები:

f_1:R→R; $x \to x^2$; f_1 არის ასახვა ნამდვილ ნადვილ რიცხვთა სიმრავლის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე, რომელიც ყოველ x რიცხვს შეუსაბამებს მის კვადრატს.

f_2: R→R; $x \to \sin x$; f_3: R→R; $x \to \cos x$; f_4:$\left[-\frac{\pi}{2}; \frac{\pi}{2}\right] \to R, x \to \sin x$;

f_5:$\left[-\frac{\pi}{2}; \frac{\pi}{2}\right] \to [-1, 1], x \to \sin x$; f_6:$[0, \pi] \to [-1, 1], x \to \cos x$;

f_7:$R^+ \to R^+$, $x \to x^2$ არაუარყოფით ნამრავ რიცხვთა სიმრავლის ასახვა არაუარყოფით ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე ფორმულით: $x \to x^2$.

f_1 ასახვა არც ინექციაა და არც სიურექცია. მაგალითად, -4-ს წინასახე არა აქვს (არ არის სიურექცია); $(-2)^2=(2)^2$ - არ არის ინექცია.

f_2 ასახვა არც ინექციაა და არც სიურექცია. მაგალითად, 2-ს წინასახე არ აქვს (არ არის სიურექცია); $\sin\frac{\pi}{6} = \sin\frac{5\pi}{6}$ არ არის ინექცია.

f_3 არც სიურექციაა და არც ინექცია.

f_4: არ არის სიურექცია, მაგრამ არის ინექცია.

f_5; f_6, f_7 – სამივე ეს ასახვა ბიექციაა, შეიძლება განვსაზღვროთ მათი შექცეული ასახვებიც.

პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებისას ჩანს, რომ ბიექციური ასახვა საშუალებას იძლევა სიმრავლე დავყოთ თანაუკვეთ კლასებად-ეკვივალენტობის მიმართებით. აღნიშნული დაყოფა გაადვილებს პრაქტიკული მასალის ათვისებას როგორც მათემატიკის სასკოლო კურსში, ასევე პედაგოგიური ფაკულტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო და ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების სპეციალობის სტუდენტებისათვის.

საკვანძო სიტყვები: წინასახე. ასახვა. ინექცია. სიურექცია. ბიექცია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი. შალვა კირთაძე. 2020: კანონზომიერებები და ალგებრა. აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
2. როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდისათვის.2015: მათემატიკა. თბილისი.

Mamuli Butchukhishvili
Akaki Tsereteli state university Associated Professor

Teimuraz Giorgadze
Associated Professor Akaki Tsereteli state university

Reflection and Types of Reflection

Summary

Reflection is a basic concept in mathematics that illustrates the relationship between variable values. These properties of reflection with other variable values are well used in the process of teaching functions. In school and in mathematics in general, theoretical knowledge alone is not enough to solve the problem and it is necessary to acquire generalized knowledge. In the article, we discussed reflection teaching issues in a school that relies on an intuitive perception of conformity between sets. Determine what is the reflection of the set A in the set B.

Using practical examples, we have introduced how we can record reflection mathematically and how a teacher can distinguish between types of reflection - injection, surjection, bijection.

We've come to the conclusion: When doing practical exercises, it seems that bijective reflection allows us to divide the plural into relative classes. In terms of equivalence. This division will make it easier for students to master practical materials in the mathematics school course, as well as in the bachelor's and integrated bachelor-master's degree programs of the primary education of the pedagogical faculty.

Keywords: Preview, reflection, injection, surjection, bijection

თეიმურაზ გიორგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მამული ბუჭუხიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ტესტური დავალების ტიპები და ტესტის შედგენის პროცედურები

ტესტი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. შეფასება, რომელიც შეიძლება მივიღოთ, ნიშნავს მოსწავლის/სტუდენტის მღწევაზე დაკვირვებას, საიდანაც შეიძლება გავაკეტოთ დასკვნა, თუ როგორ ითვისებს მოსწავლე/სტუდენტი ამა თუ იმ თეო-რიულ და პრაქტიკულ მასალას. ტესტების მეშვეობით შეიძლება დავაკვირდეთ სასწავლო კურსიდან მოცემულ მთელ რიგ საკითხებს და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები, თუ როგორ განუვითარდა მოსწავლეს/სტუდენტს ის უნარები, რომელსაც მიზნად ისახავს მოცემული სასწავლო დისციპლინის შესწავლა.

ცალკეული შემთხვევისათვის კარგად უნდა განისაზღვროს მიზანი, შეირჩეს ტესტის ფორმატი, დავალებების ტიპები და შინაარსი, ასევე უნდა განისაზღვროს ისიც, თუ რისთვის სჭირდება პედაგოგს ტესტირების შედეგები.

ტესტების შედგენისას აუცილებელია დაცული უნდა იქნეს შემდეგი ოთხი პრინციპი:

1. დავალებები უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა შემოწმებაც ტესტირებით სურთ.
2. პედაგოგი წინასწარ უნდა ადგენდეს სწორ პასუხებს, რომელთა მიხედვითაც ერთმნიშვნელოვნად სწორდება დავალებები.
3. სწორ პასუხს ენიჭება ქულა, დახურული კითხვების შემთხვევაში - თითოეული სწორი პასუხისათვის ერთი.
4. უნდა იქნას დადგენილი დროის ლიმიტი.

განურჩევლად იმისა, რა სახისაა და რა მიზანს ემსახურება ტესტი, ის რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) ტესტი უნდა იყოს ვალიდური და სანდო. ინსტრუქციები და საკითხები ისე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სწორედ იმ ცოდნას ზომავდეს, რომლის გაზომვას ეს კონკრეტული ტესტი ისახავს მიზნად, შეფასების შედეგები კი ნებისმიერ შემთხვევაში იდენტური უნდა იყოს.

ბ) ტესტი უნდა იყოს გაზომვადი. მისი შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შედგენილი პასუხებით ან შეფასების სქემით, წინასწარ უნდა იყოს დადგენილი ქულების რაოდენობაც სწორი პასუხებისთვის, შეფასების მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი, იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

გ) გათვლილი უნდა იყოს განსაზღვრულ დროზე. დროის ფაქტორის გათვალისწინება და იმის ცოდნა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტესტის შესრულება, არამედ გამოყოფილ დროში ჩატევაც, მოსწავლეებს დროის უფრო ეფექტიან გამოყენებას აჩვევს.

დ) გამჭირვალეობა. მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, რა ფორმისაა ტესტი, რას ამოწმებს, რამდენი დროა მისთვის გამოყოფილი და როგორია შეფასების მექანიზმი.

მოვიყვანოთ მარტივი ტესტის მაგალითი.

რამდენი ყველა შესაძლო ორნიშნა რიცხვი შეიძლება შევადგინოთ ციფრებისაგან: 1,2, 3? სავარაუდო პასუხებია: ა) 6; ბ) 8; გ) 9; დ) 3

თუ მოსწავლემ იცის ფორმულა იგი სწრაფად პოულობს სწორ პასუხს - გ)9-ს და შემოხაზავს მას, ხოლო თუ მან არ იცის ფორმულა, ამ შემთხვევაში იგი ჩამოწერს ყველა ვარიანტს:

11,22,33,12,21,13,31,23,32; შემდეგ გადათვლის მათ და შემოხაზავს სწორ პასუხს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას ეხარჯება ბევრად მეტი დრო, ვიდრე საჭიროა.

თუ ტესტში შევცვლით პირობას: რამდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული ციფრებით ჩაწერილი ორნიშნა რიცხვი შეიძლება შევადგინოთ ციფრებისაგან: 1,2 და 3?

სავარაუდო პასუხებია: ა) 6; ბ) 8; გ) 9; დ) 3

აქაც თუ მოსწავლე ფლობს შესაბამისი ფორმულის ცოდნას პასუხს სწრაფად პოულობს ა)6 და შემოხაზავს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩამოწერს ყველა ვარიანტს: 12,21,13,31,23,32; შემდეგ გადათვლის მათ და შემოხაზავს სწორ პასუხს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც საკმაოზე მეტი დრო ეხარჯება მას.

ტესტური კითხვები ღიაც შეიძლება იყოს და დახურულიც. დახურული კითხვების შემთხვევაში მოსწავლემ მოცემული შესაძლო პასუხებიდან ერთი უნდა აირჩიოს, ღია კითხვების შემთხვევაში კი ასეთი არჩევანი არ არსებობს, მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

დახურულ კითხვებზე აგებული დავალებების ტიპებია:

1. ოთხი შესაძლო პასუხიდან აირჩიე და შემოხაზე სწორი პასუხი.

ასეთი ტესტების შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) შეკითხვა მკაფიოდ უნდა იქნას ჩამოყალიბებული;

ბ) შეკითხვა არ უნდა შეიცავდეს უარყოფით ფორმას;

გ) სწორი პასუხი მუდამ ერთსა და იმავე პოზიციაში არ უნდა იყოს.

2. დაუკავშირე ერთმანეთს დებულებები. ამ ტიპის ტესტებში გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) მითითება უნდა იყოს გასაგები, მოსწავლემ მკაფიოდ უნდა გაიაზროს რა მოეთხოვება;

ბ) დასაკავშირებელი სიტყვები ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს;

გ) ჩამონათვალი არ უნდა იყოს მოკლე, რათა თავი დავიზღვიოთ სწორი პასუხის შემთხვევითი აღნიშვნისაგან.

3. გამოიცანი, სწორია თუ მცდარია წინადადება.

ამ ტიპის ტესტში გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) კითხვაში მოცემული მსჯელობა უნდა იყოს სწორი ან მცდარი;

ბ) კითხვები არ სუნდა იყოს ორაზროვანი;

გ) კითხვებს არ უნდა ჰქონდეს ირელევანტური და ტრივიალური ხასიათი;
დ) მსჯელობა არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული უარყოფითი ფორმით.
ე) მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს სახელმძღვანელოს ენა;
ვ) მტკიცებულების მოდელები ნაკლებად უნდა შეიცავდეს სიტყვებს: „ყოველთვის"; „არასდროს" ღია კითხვებზე აგებული დავალებების ტიპებია:

1. უპასუხე შეკითხვებს.

ყველა თემა არ იძლევა ობიექტური ტესტის შედგენის საშუალებას, ამიტომ თუ პედაგოგს სურს ეფექტის მიღება (შეფასების თვალსაზრისით) რეკომენდირებულია ე.წ. ტესტ-კითხვარის გამოყენება. ტესტი ალტერნატიულ პასუხს არ შეიცავს, მაგრამ დასმულ კითხვაზე ლაკონური პასუხის გაცემას მოითხოვს. ამ ტიპის ტესტები უფრო მეტად ამჟღავნებს მოსწავლის პოტენციალს, ვიდრე ობიექტური ტესტები, რადგან არ გვაძლევს მზა პასუხებიდან არჩევის საშუალებას. მოსწავალემ კითხვაზე საპასუხოდ ადეკვატური ინფორმაცია უნდა გადმოსცეს, ამასთან, ლაკონურად და სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

2. შესავსები ტესტი

მოცემული საკითხები გარკვეული ინფორმაციის ჩაწერას, პასუხს ან ტესტში შეცვლას მოითხოვს. ამ ტიპის ტესტის შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი:
ა) უნდა გამოირიცხოს სახელმძღვანელოს ენა;
ბ) შეკითხვები უნდა გულისხმობდეს ზუსტ პასუხებს.

3. ტესტ-დავალება

შეფასების ეს მეთოდი ტესტის სახეცვლილი ფორმაა, რომელიც ტესტ-კიხთვარისაგან განსხვავებით არა კითხვისაგან, არამედ დავალებებისაგან შედგება. მაგალითად, „ჩამოაყალიბეთ", „აღწერეთ" და სხვა.

4. ესე

ესე სწავლის შედეგების შეფასების (ანალიზი, სინთეზი, ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარი) საკმაოდ ეფექტური მეთოდია. ესე (Essai) ფრანგულად ნიშნავს „მცდელობას", „მონახაზს". ეს თავისუფალი კომპოზიციის მცირე ზომის თხზულებაა, რომელიც გადმოსცემს ავტორის თვალსაზრისს კონკრეტული საკითხების შესახებ.

იმის მიუხედავად, რის შეფასება სურს პედაგოგს, ტესტი შეიძლება შედგებოდეს როგორც მხოლოდ ღია ან მხოლოდ დახურული, ისე ორივე ტიპის კითხვებისაგან. დახურული კითხვები კარგად ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას, ხოლო ღია კითხვებით შეიძლება შემოწმდეს როგორც ფაქტობრივი, ისე ანალიზის, მსჯელობის და დასკვნის გამოტანის უნარი.

საკვანძო სიტყვები: შესავსები ტესტი. ღია ტესტი. დახურული ტესტი. ესე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი. შალვა კირთაძე.2020: კანონზომიერებები და ალგებრა. აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
2. სიმონ ჯანაშია, ანასტასია ქიტიაშვილი, ნინო ლაბარტყავა, თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა. 2009: როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები. თბილისი.

Teimuraz Giorgadze
Associated Professor Akaki Tsereteli state university

Mamuli Butchukhishvili
Akaki Tsereteli state university Associated Professor

Test Assignment Types and Test Compilation Procedures

Summary

Types of Test Assignments and Test Compilation Procedures Assessment that can be obtained means observing the student's progress from which we can draw a conclusion about how the student assimilates this or that theoretical and practical material. Through the tests, we can look at a number of issues from the course and draw appropriate conclusions about how the student has developed the skills to study the given learning discipline.

In the article, we have defined what principles should be followed when compiling a test and what the purpose of the test survey should be. What types of tests can we encounter are discussed in more detail. In the article are given some examples and relevant tests, depending on what the teacher evaluated, so the test can consist of only open or only closed, as well as both types of questions.

Keywords: Filling test, Open test, Closed test, Essay

გიორგი ბერძულიშვილი, ბაკურ ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალბათობის თეორიის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნის მეთოდური თავისებურებები

სტატიაში განვიხილავთ ალბათობის თეორიის ზოგიერთი ამოცანას მსროლელებზე და მიზანში მოხვედრაზე და მათი ამოხსნის მეთოდურ მიდგომებს.

- **ორი მსროლელი**

ვთქვათ, პირველი მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა p_1, მეორე მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა p_2. პირველი და მეორე მსროლელების მიზანში აცილების ალბათობებია შესაბამისად, $q_1 = 1 - p_1, q_2 = 1 - p_2$. ეს ხდომილობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, ანუ პირველი მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა დამოკიდებული არ არის მეორე მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაზე და პირიქით.

ვთქვათ, A_1 ხდომილობაა - პირველმა მსროლელმა მიზანში მოახვედრა, A_2 ხდომილობაა - მეორე მსროლელმა მიზანში მოახვედრა. შესაბამისად $\overline{A_1}$ და $\overline{A_2}$ აღნიშნავენ პირველი და მეორე მსროლელების მიერ მიზანში დაცილებას. შეგვიძლია დავწეროთ:

$$P(A_1) = p_1,\ P(A_2) = p_2,\ P(\overline{A_1}) = q_1 = 1 - p_1,\ P(\overline{A_2}) = q_2 = 1 - p_2.$$

გადავიდეთ შემდეგი ამოცანების განხილვაზე: ვთქვათ, X ხდომილობაა - ორი გასროლით მიზანში არცერთი მოხვედრა. ე.ი. ერთდროულად დგება $\overline{A_1}$ და $\overline{A_2}$ ხდომილობები, რომელიც შეიძლება ჩავწეროთ ხდომილობათა ნამრავლის სახით: $X = \overline{A_1} \cdot \overline{A_2}$. რადგან დამოუკიდებელ ხდომილობათა ნამრავლის ალბათობა შესაბამის ხდომილობათა ალბათობათა ნამრავლის ტოლია, ამიტომ

$$P(X) = P(\overline{A_1}) \cdot P(\overline{A_2}) = .P(\overline{A_1}) + P(\overline{A_2}) = q_1 \cdot q_2. \qquad (1)$$

განვიხილოთ Y ხდომილობა-ორი გასროლიდან მხოლოდ ერთი მსროლელი ახვედრებს მიზანში. რა შემთხვევაში დადგება ეს შედეგი: ა) როცა პირველი მსროლელი მოახვედრებს, ხოლო იმავდროულად მეორე მსროლელი ააცილებს მიზანს. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი A_1 და $\overline{A_2}$ ხდომილობათა ნამრავლი $A_1 \cdot \overline{A_2}$; ბ) როცა მეორე მსროლელი მოახვედრებს, ხოლო იმავდროულად პირველი მსროლელი ააცილებს მიზანს. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი $\overline{A_1}$ და A_2 ხდომილობათა ნამრავლი $\overline{A_1} \cdot A_2$. სხვა შემთხვევაში მიზანში ერთი მოხვედრა არ ხდება. ეს ორი ვარიანტი არათავსებადია. არათავსებადი ხდომილობების ალბათობათა ნამრავლის შესახებ თეორემის თანახმად გვაქვს:

$$P(Y) = P(A_1 \cdot \overline{A_2} + \overline{A_1} \cdot A_2) = P(A_1 \cdot \overline{A_2}) + P(\overline{A_1} \cdot A_2) =$$
$$P(A_1) \cdot P(\overline{A_2}) + P(\overline{A_1}) \cdot P(A_2) = p_1 \cdot q_2 + q_1 \cdot p_2. \quad (2)$$

ვთქვათ, Z არის ხდომილობა-ორივე მსროლელი ახვედრებს მიზანში. ცხადია, ამ ხდომილობის ჩანაწერს აქვს სახე: $Z = A_1 \cdot A_2$. საიდანაც გვაქვს:

$$P(Z) = P(A_1 \cdot A_2) = P(A_1) \cdot P(A_2) = p_1 \cdot p_2. \qquad (3)$$

ორი მსროლელის შემთხვევაში სულ შესაძლებელია სამი შემთხვევა: ორივე მსროლელმა მოახვედროს მიზანში, მიზანში მოახვედროს მხოლოდ ერთმა მსროლელმა, ან ორივე მსროლელმა დააცილოს მიზანს. ალბათობის თეორიის ტერმინების გამოყენებით შეგვიძლია ჩავწეროთ: $P(X)+P(Y)+P(Z)=1.$ ამ ტოლობის სამართლიანობაში მარტივად დავრწმუნ-დებით, თუ მასში ჩავსვამთ $P(X)$, $P(Y)$ და $P(Z)$ მიღებულ გამოსახულებებს:

$$P(X)=q_1\cdot q_2=(1-p_1)(1-p_2),\ P(Y)=p_1\cdot q_2+q_1\cdot p_2,\ \ P(Z)=p_1\cdot p_2$$

და ჩავატარებთ მარტივ მათემატიკურ გარდაქმნებს. ე.ი. ორი მსროლელის შემთხვევაში X ,Y და Z ხდომილობათა ერთობლიობა ქმნის ელემენტარულ ხდომილობათა სრულ სივრცეს.

- **სამი მსროლელი**

ვთქვათ, ახლა მიზანში ესვრის სამი მსროლელი, რომელთა მიზანში მოხვედრის ალბათობებია შესაბამისად p_1, p_2 და p_3. ვთქვათ, დამოუკიდებელი ხდომილობებია:

A_1 ხდომილობა-პირველმა მსროლელმა მოახვედრა მიზანში. A_2 ხდომილობა-მეორე მსროლელმა მოახვედრა მიზანში. A_3 ხდომილობა-მესამე მსროლელმა მოახვედრა მიზანში.

ვთქვათ, $P(A_1)=p_1,\ P(A_2)=p_2,\ P(A_3)=p_3.$ გვაქვს: $P(\overline{A_1})=q_1=1-p_1,$ $P(\overline{A_2})=q_2=1-p_2,\ P(\overline{A_3})=q_3=1-p_3.$ A არის ხდომილობა-ვერცერთმა მსროლელმა ვერ მოახვედრა მიზანში, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ვერცერთი მსროლელი ვერ მოახვედრებს მიზანში, გამოითვლება ანალოგიურად, როგორც გამოვთვალეთ ორი მსროლელის შემთხვევაში:

$$P(\overline{A_1}\cdot\overline{A_2}\cdot\overline{A_3})=P(\overline{A_1})\cdot P(\overline{A_2})\cdot P(\overline{A_3})=q_1\cdot q_2\cdot q_3 \quad (4)$$

B არის ხდომილობა-სამი მსროლელიდან მიზანში მოახვედრა მხოლოდ ერთმა მსროლელმა. რა შემთხვევაში დადგება ეს სიტუაცია? როცა მიზანში ახვედრებს ერთი მსროლელი, ხოლო დანარჩენი ორივე მსროლელი ერთდროულად აცილებენ მიზანს, ანუ B ხდომილობა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ამ სამი არათავსებადი ხდომილობების ჯამი $B=A_1\cdot\overline{A_2}\cdot\overline{A_3}+\overline{A_1}\cdot A_2\cdot\overline{A_3}+\overline{A_1}\cdot\overline{A_2}\cdot A_3$. საიდანაც ალბათობათა ჯამისა და ნამრავლის შესახებ თეორემების გამოყენებით მივიღებთ:

$$P(B)=p_1\cdot q_2\cdot q_3+q_1\cdot p_2\cdot q_3+q_1\cdot q_2\cdot p_3. \quad (5)$$

ვთქვათ, C არის ხდომილობა, როცა სამი მსროლელიდან მიზანში ახვედრებს მხოლოდ ორი. ანალოგიურად მივიღებთ, რომ

$$P(C)=p_1\cdot p_2\cdot q_3+p_1\cdot q_2\cdot p_3+q_1\cdot p_2\cdot p_3. \quad (6)$$

განვიხილოთ D ხდომილობა, როცა სამი მსროლელიდან მიზანში ახვედრებს სამივე.

მაშინ ცხადია, რომ $D=A_1\cdot A_2\cdot A_3$.წინა შემთხვევების ანალოგიურად გვაქვს,

$$P(D)=P(A_1\cdot A_2\cdot A_3)=P(A_1)\cdot P(A_2)\cdot P(A_3)=p_1\cdot p_2\cdot p_3 \quad (7)$$

ამის შემდეგ მიზანშეწონილია განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითები;

ამოცანა 1. სამი მსროლელი ახორციელებს თითო გასროლას. პირველი, მეორე და მესამე მსროლელების მიზანში მოხვედრის ალბათობებია შესაბამისად 0,2, 0,3 და 0,4. იპოვეთ მიზანში მხოლოდ ერთხელ მოხვედრის ალბათობა.

რადგან უნდა გამოვთვალოთ მიზანში მხოლოდ ერთხელ მოხვედრის ალბათობა, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ (5) ფორმულა, რომელშიც ჩავსვათ ამოცანის პირობაში მოყვანილი მონაცემები: $p_1 = 0{,}2,\ p_2 = 0{,}3,\ p_3 = 0{,}4,\ q_1 = 0{,}8,\ q_2 = 0{,}7,\ q_3 = 0{,}6$. გვაქვს:

$$P(A) = p_1 \cdot q_2 \cdot q_3 + q_1 \cdot p_2 \cdot q_3 + q_1 \cdot q_2 \cdot p_3 =$$
$$0{,}2 \cdot 0{,}7 \cdot 0{,}6 + 0{,}8 \cdot 0{,}3 \cdot 0{,}6 + 0{,}8 \cdot 0{,}7 \cdot 0{,}4 = 0{,}452.$$

ამოცანა 2. სამი მსროლელი ასრულებს თითო გასროლას მიზანში. პირველი, მეორე და მესამე მსროლელების მიზანში მოხვედრის ალბათობებია შესაბამისად 0,8, 0,7 და 0,5. იპოვეთ ალბათობა, რომ სამიზნეს მსროლელები მოახვედრებენ მხოლოდ ორჯერ.

უნდა გამოვთვალოთ მიზანში ორჯერ მოხვედრის ალბათობა, უნდა გამოვიყენოთ (6) ფორმულა, რომელშიც ჩავსვათ ამოცანის პირობაში მოყვანილი მონაცემები: $p_1 = 0{,}8,\ p_2 = 0{,}7,\ p_3 = 0{,}5,\ q_1 = 0{,}2,\ q_2 = 0{,}3,\ q_3 = 0{,}5$ და გვაქვს:

$$P(A) = p_1 \cdot p_2 \cdot q_3 + p_1 \cdot q_2 \cdot p_3 + q_1 \cdot p_2 \cdot p_3 =$$
$$0{,}8 \cdot 0{,}7 \cdot 0{,}5 + 0{,}8 \cdot 0{,}3 \cdot 0{,}5 + 0{,}2 \cdot 0{,}7 \cdot 0{,}5 = 0{,}47.$$

- **ბერნულის სქემა**

ალბათობათა თეორიის ამოცანების პირობებში ხშირად გამოსათვლელია რამდენიმე გასროლის შედეგად მიზანში მოხვედრის ალბათობა, როცა თითოეული გასროლის ალბათობა ერთნაირია და p-ს ტოლია, გასროლათა რაოდენობაა n და მიზანში მოხვედ-რათა რაოდენობა $k, (k \le n)$. აქ ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, მიზანში მოხვედრა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ეს არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცდების გამეორების სქემა, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბერნულის სქემა. ამ სქემას ადრე განხილულ შემთხვევებთან აქვს სულ ცოტა ორი უპირატესობა.

- რამდენიმე ფორმულის დამახსოვრების ნაცვლად უნდა დაიმახსოვროთ ერთი ფორმულა;
- მსროლელთა რაოდენობა აქ შეიძლება იყოს ნებისმიერი რაოდენობა.

ვთქვათ, ხორციელდება მიზანში n გასროლა. თითოეული გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობაა p. ალბათობა იმისა, რომ მიზანში მოხვდება ზუსტად k ნასროლი, გამოითვლება ბერნულის ფორმულით:

$$P_n(k) = C_n^k \cdot p^k \cdot (1-p)^{n-k} = C_n^k \cdot p^k \cdot q^{n-k}.$$

განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა.

ამოცანა 4. მსროლელი ახორციელებს ოთხ გასროლას. თითოეული გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობაა $p = 0{,}8$. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ა) მსროლელი მიზანში მოახვედრებს 3-ჯერ; ბ) მსროლელი მიზანში მოახვედრებს არანაკლებ სამჯერ.

ეს ამოცანა ბერნულის ფორმულის ტიპიური ამოცანაა. ჩვენი პარამეტრებია $n = 4$ (გასროლათა რაოდენობა), $p = 0{,}8$ (თითოეული გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობა), $q = 1 - p = 1 - 0{,}8 = 0{,}2$ (აცილების ალბათობა).

ა) ალბათობა იმისა, რომ მსროლელი მიზანში მოახვედრებს სამჯერ, ტოლია:

$$P_4(3) = C_4^3 \cdot 0{,}8^3 \cdot 0{,}2^{4-3} = 4 \cdot 0{,}8^3 \cdot 0{,}2 = 0{,}4096.$$

ბ) მსროლელი მიზანში მოახვედრებს არანაკლებ სამჯერ 4 გასროლიდან, ეს ნიშნავს, რომ მოახვედრებს ან 3-ჯერ ან 4-ჯერ. გამოვთვალოთ შესაბამისი ხდომილობების ალბათობები:

$$P_4(k \geq 3) = P_4(3) + P_4(4) = 0{,}4096 + C_4^4 \cdot 0{,}8^4 \cdot 0{,}2^0 = 0{,}4096 + 0{,}4096 = 0{,}8192.$$

ამოცანა 5. ალბათობა იმისა, რომ მსროლელი მოახვედრებს ათიანში არის 0,2. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მსროლელი 10 სროლის შედეგად დააგროვებს არანაკლებ 20 ქულას.

თითოეული სროლის ალბათობა ერთნაირია და $p = 0{,}2$, გასროლათა რაოდენობა $n = 10$. მონაცემები აკმაყოფილებს ბერნულის სქემის პირობებს.

10 გასროლიდან მსროლელმა მიზანში უნდა მოახვედროს არანაკლებ 2-ჯერ, ანუ მიზანში უნდა მოახვედროს 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 ან 10-ჯერ. ამის გამოთვლა საკმაოდ შრომატევადია. მოსახერხებელია გამოვთვალოთ საძიებელი ხდომილობის საპირისპირო ხდომილობა-მსროლელმა 10 გასროლიდან მიზანში უნდა მოახვედროს ან ერთხელ ან საერთოდ ვერ უნდა მოახვედროს მიზანში. ცხადია, გამოთვლების ჩატარება აქ უფრო მარტივია. გვაქვს:

$$P_{10}(k \leq 1) = P_{10}(0) + P_{10}(1) = C_{10}^0 \cdot 0{,}2^0 \cdot 0{,}8^{10} + C_{10}^1 \cdot 0{,}2^1 \cdot 0{,}8^9 =$$
$$0{,}8^{10} + 10 \cdot 0{,}2 \cdot 0{,}8^9 = 2{,}8 \cdot 0.8^9 = 0{,}3758.$$

მაშინ საძიებელი ალბათობა, რომ მსროლელი 10 გასროლიდან დააგროვებს არანაკლებ 20 ქულას, ტოლია $P_{10}(k \geq 2) = 1 - P_{10}(k \leq 1) = 1 - 0{,}3758 = 0{,}6242.$

- **სხვადასხვა სახის ამოცანები სროლებსა და მიზანში მოხვედრაზე**

ამოცანა 6. ალბათობა იმისა, რომ მსროლელი ერთი გასროლით მოახვედრებს მიზანში, 0,7-ის ტოლია. მსროლელი ახორციელებს 5 ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ გასროლას. რისი ტოლია ალბათობა, რომ მსროლელი ერთხელ მაინც მოახვედრებს მიზანში?

უნდა გამოვთვალოთ A ხდომილობის-მიზანში მოხვდება ერთხელ მაინც-ალბათობა. ამიტომ უმჯობესია, განვიხილოთ მისი საპირისპირო $\overline{A}$ ხდომილობა-ხუთივე გასროლა ასცდა მიზანს. მიზანში მოხვედრის ალბათობაა $p = 0{,}7$, რომელიც ყველა გასროლისათვის ერთნაირია. მიზანში დაცილების ალბათობაა $q = 1 - p = 0{,}3$. ამიტომ ხუთივე სროლის შემდეგ მიზანში აცილების ალბათობა იქნება $P(\overline{A}) = q^5 = 0{,}3^5 = 0{,}00243.$

საძიებელი ალბათობაა: $P(A) = 1 - P(\overline{A}) = 1 - 0{,}00243 = 0{,}99757.$

ამოცანა 7. ორი მსროლელი ისვრის მიზანში თითოჯერ. ალბათობა იმისა, რომ ორივე მსროლელი მოახვედრებს მიზანში, არის 0,42, ხოლო ალბათობა იმისა, რომ ორივე მსროლელი ააცილებს მიზანს, არის 0,12. იპივეთ თითოეული მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა.

ასეთი ალბათობის შინაარსის მქონე ამოცანების ჩართვა მათემატიკის სასკოლო კურსში მიზანშეწონილია ორუცნობიანი განტოლებების ამოხსნის დროს, რაც კარგ განმავითარებელ ეფექტს იძლევა. ვთქვათ, პირველი მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა p_1, მეორე მსროლელის მიერ მიზანში მოხვედრის ალბათობაა p_2. მაშინ, ამოცანის პირობის თანახმად, შეგვიძლია დავწეროთ განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} p_1 \cdot p_2 = 0{,}42 \\ (1-p_1)(1-p_2) = 0{,}12 \end{cases},$$

მისი ამოხსნით მივიღებთ: $p_1 = 0{,}7 \wedge p_2 = 0{,}6$, ან $p_1 = 0{,}6 \wedge p_2 = 0{,}7$.

ჩვენ შემთხვევაში, წყვილები $(0{,}7,\ 0{,}6)$ და $(0{,}6,\ 0{,}7)$ არ განსხვავდება. ე.ი. პირველი მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა 0,7, მეორე მსროლელის _ 0,6, ან პირიქით.

ამოცანა 8. ალბათობა იმისა, რომ ოთხი სროლიდან მსროლელი ერთხელ მაინც მოახვედრებს მიზანში, არის 0,9984. იპოვეთ მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა.

აღვნიშნოთ მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა p -თი. ცხადია, არის ოთხივე სროლის დროს მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა. მსროლელის მიერ მიზანში დაცილების ალბათობა იქნება $q = 1 - p$, ამიტომ ოთხი სროლიდან ოთხივეს მიზნისთვის დაცილების ალბათობაა q^4, ხოლო ალბათობა იმისა, რომ ოთხი გასროლიდან მიზანში მოხვდეს ერთხელ მაინც, იქნება $1 - q^4$. გვაქვს განტოლება: $1 - q^4 = 0.9984$, საიდანაც, $q = 0{,}2.$ ცხადია, რომ $p = 1 - q = 0{,}8$.ე.ი. მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა 0,8.

ამოცანა 9. მსროლელის მიერ მიზანში მოხვედრის ალბათობა 0,3-ის ტოლია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 6 სროლის შედეგად მიზანში მოხვდება არანაკლებ სამჯერ.

ამოცანის პირობის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოსათვლელია ალბათობა, როცა მსროლელი 6 სროლიდან მიზანში ახვედრებს ან 3-ჯერ, ან 4-ჯერ, ან 5-ჯერ, ან 6-ჯერ. ანუ წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში უნდა გამოვთვალოთ ალბათობა არა ერთი კონკრეტული შემთხვევისა, არამედ ისეთი შემთხვევების ერთობლიობისა, რომლებიც მოთავსებულია რაიმე შუალედში 3-დან 6-მდე ჩათვლით.

საძიებელი ალბათობები გამოვთვალოთ ბერნულის ფორმულით:

$P_6(3) = C_6^3 \cdot 0{,}3^3 \cdot 0{,}7^3 = 20 \cdot 0{,}027 \cdot 0{,}343. = 0{,}18522.$

$P_6(4) = C_6^4 \cdot 0{,}3^4 \cdot 0{,}7^2 = 15 \cdot 0{,}0081 \cdot 0{,}49. = 0{,}059535.$

$P_6(5) = C_6^5 \cdot 0{,}3^5 \cdot 0{,}7^1 = 6 \cdot 0{,}00243 \cdot 0{,}7. = 0{,}010206.$

$P_6(6) = C_6^6 \cdot 0{,}3^6 \cdot 0{,}7^0 = 1 \cdot 0{,}000729 \cdot 1. = 0{,}000729.$

ხდომილებები არათავსებადია, საძიებელი ალბათობის პოვნა მარტივად შეგვიძლია ალბათობის შეკრების ფორმულის გამოყენებით:

$$P_6(3 \le k \le 6) = P_6(3) + P_6(4) + P_6(5) + P_6(6) = 0{,}18522 + 0{,}059535 + 0{,}010206 + 0{,}000729 = 0{,}25569.$$

- **ალბათობის ამოცანები ბიჭებისა და გოგონების დაბადებაზე**

ალბათობის თეორიას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია პასუხი გასცეს საკრალურ კითხვას- „ბიჭი დაიბადება თუ გოგო“, ასევე არანაკლებ პოპულარულ კითხვას: „როგორ მოვიგოთ ლატარიაში“, აქ უნდა დაველოდოთ უფლის ნებას ან შემთხვევას. ჩვენ კი განვიხილოთ ზოგიერთი სასწავლო ამოცანა გოგონების და ბიჭების დაბადებაზე.

ვთქვათ, ბიჭის დაბადების ალბათობაა p. ოჯახში n ბავშვია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მათ შორის ზუსტად k ბიჭია (ცხადია, რომ მათ შორის ზუსტად $n-k$ გოგოა). გამოვიყენოთ ბერნულის სქემა და გვექნება:

$$P_n(k) = C_n^k \cdot p^k \cdot (1-p)^{n-k} = C_n^k \cdot p^k \cdot q^{n-k}.$$

ამოცანა 10. ოჯახში 10 ბავშვია. ბიჭის და გოგოს დაბადების ალბათობები ერთნაირია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ოჯახში არაუმეტეს 3 ბიჭია.

ოჯახში 10 ბავშვია, $n = 10$, ბიჭის და გოგოს დაბადების ალბათობა ერთმანეთის ტოლია $p = q = 0{,}5$. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ოჯახში არაუმეტეს სამი ბიჭია, ანუ ოჯახში არის ან 1, ან 2, ან 3 ან საერთოდ არ არის ბიჭი. ვიპოვოთ თითოეული შემთხვევის ალბათობა ბერნულის ფორმულით. გვაქვს:

$$P_{10}(0) = C_{10}^{0} \cdot 0{,}5^{0} \cdot 0{,}5^{10} = 0{,}5^{10} = 0{,}001.\ P_{10}(1) = C_{10}^{1} \cdot 0{,}5^{1} \cdot 0{,}5^{9} = 10 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}01.$$

$$P_{10}(2) = C_{10}^{2} \cdot 0{,}5^{2} \cdot 0{,}5^{8} = 45 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}044.\ P_{10}(3) = C_{10}^{3} \cdot 0{,}5^{3} \cdot 0{,}5^{7} = 120 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}117.$$

რადგან ხდომილობები არათავსებადია, ამიტომ საძიებელი ალბათობა გამოითვლება ალბათობათა შეკრების ფორმულით:

$$P_{10}(0 \le k \le 3) = P_{10}(0) + P_{10}(1) + P_{10}(2) + P_{10}(3) = 0{,}001 + 0{,}01 + 0{,}044 + 0{,}117 = 0{,}172$$

ამოცანა 11. ბიჭის და გოგოს დაბადებების ალბათობები ერთნაირია. რისი ტოლია იმის ალბათობა, რომ შემთხვევით შერჩეული 6 ახალშობილიდან ბიჭების და გოგნების რაოდენობები ტოლი იქნება?

ბავშვების რაოდენობაა 6, $n = 6$. $p = q = 0{,}5$ ბიჭების და გოგოებს დაბადების ალბათობა ერთმანეთის ტოლია, $k = \frac{n}{2} = 3$ (დაიბადა 3 ბიჭი და 3 გოგო). ბერნულის ფორმულიდან გვაქვს: $P_6(3) = C_6^3 \cdot 0{,}5^3 \cdot 0{,}5^3 = 20 \cdot 0{,}5^6 = 0{,}3125.$ ერთი შეხედვით, თითქოს ეს ალბათობა 0,5 უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ $P_6(3) = 0{,}3125$, რაც ბევრად მცირეა, ვიდრე 0,5.

საკვანძო სიტყვები: არათავსებადი ხდომილობები, მიზანში მოხვედრის ალბათობა, ხდომილობის ალბათობა, ალბათობათა ჯამი, ალბათობათა ნამრავლი, ბერნულის სქემა.

Giorgi Berdzulishvilli, Bakur Bakuradze

Methodological features of probability theory in solving some tasks

Summary

One of the problem in teaching probability theory in school is the appropriate complexity of the theoretical material and methodological issues of solving practical tasks with content. In the article we will discuss some tasks of probability theory on shooters and target to get to and methodological approaches to their solution. In particular, tasks with two shooters, with three shooters, are discussed in detail and methodically, Bernoulli scheme, different types of tasks in shooting and target getting on and the probability of tasks for the birth of boys and girls. The tasks are selected in such way that they require not only knowledge of probability theory, but also establishes a strong connection with other issues in the school course of mathematics.

Keywords: incompatible probabilities, probability of hitting the target, probability of occurrence, sum of probabilities, multiplication of probabilities, Bernoulli scheme.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ ღვინიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიკური დისციპლინების სწავლების საკითხისათვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასწავლებელის მომზადების პრობლემები

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პედაგოგიური მეცნიერების და პედაგოგიური პრაქტიკის, გამოცდილების ურთიერთ-კავშირის პრობლემას, რომელთა ცოდნა თითოეული მასწავლებლის კომპეტენტურობის ბირთვს წარმოადგენდა. მასწავლებელს მისთვის მიცემული სოციალური შეკვეთის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფლობს პედაგოგიურ ცოდნას, რომელიც შეესაბამება მეცნიერულ თეორიებს პიროვნების განვითარებისა და ჩამოყა-ლიბების საკითხებზე.

1990 წლიდან ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნისთანავე პერმანენტულად დაიწყო ბრძოლა საუნივერსიტეტო მასშტაბით პედაგოგიკის, როგორც სასწავლო დის-ციპლინის, სწავლების წინააღმდეგ. სამეცნიერო საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი პედა-გოგიკის, როგორც სასწავლო კურსის, სასწავლო გეგმებიდან ამოღების შესახებ. საბედნიეროდ, მაშინდელმა უნივერსიტეტის რექტორატმა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა. მაგრამ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტის საბჭოებს მიეცათ თავად განესაზღვრათ ეს საკითხი. ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია პედაგოგიკის სასწავლო კურსის შემცირება. მაშინ, როდესაც ეს საგნი სამი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა, 16 საათიან კურსად აქციეს და ნაცვალად გამოცდისა, ჩათვლა შემოიღეს. პედაგოგიური ფაკულტეტის გარდა, მხოლოდ ერთმა ფაკულტეტმა (ისტორიის) შეძლო 64- საათიანი, ხოლო მეორე ფაკულტეტმა (საბუნებისმეტყველო) 48-საათიანი კურსის შენარჩუნება (ბასილაძე 2013: 102).

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი საერთო პედაგოგიური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა საქართველოს უმაღლეს სასწავ-ლებელთა შორის, მაგრამ უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ ეს ფუნქცია მან, როგორც მასწავლებელთა მომზადების სამჭედლომ, რამდენადმე დაკარგა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მასწავლებელთა კადრების მომზადების მიმართულებით საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომელთა დროული გადაჭრა, ჩვენ მაშინაც აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია (ბასილაძე 2013: 102-103):

- ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90 - იანი წლების ბოლოს სწორად არ იქნა გამიჯნული ბაკალავრისა და მაგისტრანტის უფლება-მოვალეობანი, დანიშნულება და ფუნქციები სკოლაში.

- რაც შეეხება მაგისტრანტის პედაგოგიური ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით შეიარაღებას, იგი უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრას არავითარი შეხების წერტილი არ ჰქონდა მაგისტრის მომზადებასთან.
- შემცირდა პედაგოგიური პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებდა სტუდენტში პრაქტიკულ – პედაგოგიური უნარ– ჩვევების შეძენის მოთხოვნილებას.
- მიუღებლად მიგვაჩნია მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების პრაქტიკა, რომელიც უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე დამკვიდრდა. კერძოდ, საუნივერსიტეტო სახელმწიფო საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭება იმ კურსდამამთავრებელთათვის, რომელთაც პედაგოგიკაში მხოლოდ თექვს-მეტსაათიანი კურსი ჰქონდათ გავლილი და არცერთი საათი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

მიმდინარე სასკოლო რეფორმამ უნივერსიტეტებს მიანიჭა ავტონომიის უფლება. ეს ჩვენი განათლების სისტემის დემოკრატიული მონაპოვარი იყო. მაგრამ ამ მონაპოვარს გააჩნდა და გააჩნია თავისი შუქჩრდილები და ხარვეზები:

- კერძოდ, იგი მავანისა და მავანის მიერ განუსაზღვრელ უფლებად იქნა განცდილი. რაც ხშირად იწვევდა სასწავლო გეგმებიდან სასწავლო საგნების დაუსაბუთებლად ამოღებას, სასწავლო აკადემიური საათების თვითნებურ შემცირებას, გამოცდების ჩათვლებად გადაკეთებას, პედაგოგიური პრაქტიკისათვის გეგმით გათვალისწინებული საათების გაუმართლებელ შემცირებასა.

პედაგოგიკის კათედრამ დასვა საკითხი, რომ უნივერსიტეტში შექმნილიყო პედა-გოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის საგანთა სწავლების ლოგიკური სქემა, რომელიც საერთო სავალდებულო უნდა ყოფილიყო ერთნაირი პროფილის ყველა საუნივერსიტეტო სპეციალობისათვის. ამ შემთხვევაშიც იმუშავა ლოზუნგმა „ჩვენ უნივერსიტეტი ვართ და არ პედაგოგიური ინსტიტუტი“. ისე ჩანდა, რომ ჩვენი ყველა კურსდამთავრებული მხოლოდ მეცნიერული მუშაობისათვის ემზადებოდა და არა პედაგოგიური საქმიანობი-სათვის. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრობლემა კი არ იყო, არამედ საერთო საუნივერსიტეტო პრობლემა საქართველოსთვის. კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით შედგენილი სასწავლო გეგმები და პროგრამები ხშირ შემთხვევაში ცოდავდნენ მეცნიერული და პედაგოგიკურ – მეთოდიკური თვალსაზრისით (ბასილაძე 2003: 6). გაუქმდა დიდაქტიკის ლაბორატორია.

ჩვენი აზრით, პედაგოგიკა – ფსიქოლოგიის სასწავლო კურსებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია საქართველოში მასწავლებელთა კადრების მომზადების პრობლემა. სკოლაში მიდიოდა მასწავლებელი, რომელსაც პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და მეთოდიკის სრული კურსი არ ჰქონდა გავლილი.ზემოთთქმულს, ჩვენი აზრით, მხარს უჭერდა XX საუკუნის 90–იანი წლების საგანმანათლებლო რეფორმა. მაშინდელ საქართველოში იმერეთის რეგიონს სხვა საგანმანათლებლო სისტემა ჰქონდა, ხოლო დანარჩენ საქართველოს სხვა.

კათედრამ ტრადიციისამებრ გააგრძელა მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ქალაქის სკოლებთნ. კათედრასთან ჩამოყალიბდა „სასკოლო რეფორმებისა და პრობლემათა შემსწავლელი ლაბორატორია (ხელმძღვანელი დოც. შოთა ჩხარტიშვილი). ახლებურად გადამუშავდა კლასგარეშე და აღმზრდელობითი პრაქტიკის პროგრამა და მათი ჩატარების მეთოდიკა სასკოლო ტიპის საფეხურების თავისებურებების გათვალისწინებით

2003 წლიდან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად დაიწყო სილაბუსებისა და კურიკულუმების განვითარება-დანერგვის ტენდენცები. პედაგოგიკის კათედრაზე პირველად უნივერსიტეტში შემუშავდა სილაბუსები და კურიუკულუმები. დაინერგა ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, შემოტანილი იქნა სწავლა/სწავ-ლების ინოვაციური მეთოდები. სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმართვამ კათედრის აკადემიურ პერსონალს მისცა შესაძლებლობა პედაგოგიური თეორია და პრაქტიკა კიდევ უფრო დაეკავშირებინა ერთმანეთთან, მომავალი მასწავლებლებისათვის გამოემუშავებინათ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

2003 სასწავლო წლიდან პედაგოგიკის კათედრის ინიციატივით უნივერსიტეტის მასშტაბით მაგისტრატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის შემოტანილი იქნა სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“.

2004 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ და საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ გვერდს უვლის აღზრდას. როგორც პროფ. ა. ასათიანი წერს: „ამ დოკუმენტების მიხედვით პრიო-რიტეტი განათლება და სწავლებაა. თუმცა რამდენად წარმატებულია ჩვენი სკოლა ამ ამოცანების შესრულებაში, ყველასათვის ცნობილია. პედაგოგიკის ელემენტარულ დონეზე ცოდნაც საკმარისია იმის გააზრებისათვის, რომ სწავლა და აღზრდა განუყოფელია. აღზრდა ადამიანისეული მოვლენაა და ამას ყველა დროის სკოლაში აღიარებდნენ. შეუძლებელია ამ ორი სფეროს გამიჯვნა“ (ასათიანი 2018:15).

ვფიქრობთ, რომ ეს პერიოდი (2005 წელის გაზაფხულამდე) ერთგვარ გარდამავალ წლებად შეიძლება დავსახოთ და ვთქვათ, რომ განხორციელებული ცვლილებები მეტ-ნაკლებად სისტემურ, გეგმაზომიერ ხასიათს ატარებდა და გამოირჩეოდა ეტაპობრივი ცვლილებებით. შენარჩუნებული იქნა მემკვიდრეობითობა აღზრდასა და სწავლებაში, ერთიანი სისტემური ხაზი და წარმოჩნდა კათედრის ცალკეულ წევრთა კონცეფცია, თუ როგორ უნდა განვითარდეს სამომავლოდ პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში.

2005 წლის გაზაფხულისათვის პედაგოგიური ფაკულტეტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის შემადგენლობაში შევიდა დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობის სახით. შესაბამისად გაუქმდა პედაგოგიკის კათედრა და შეიქმნა პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტი. იმავე წელს სასწავლო გეგმებიდან ამოიღეს პედაგოგიკის საუნივერ-სიტეტო კურსი ბაკალავრიატში და მაგისტრატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის 2003 წელს შემოტანილი სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“. მომავალმა თაობებმა ინტერესი და კარგეს მასწავლებლის პროფესიისადმი, რასაც ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ“- რომელიც უგულვებელყოფდა მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭებას უმაღლეს სასწავლებლებში.

2006 წლიდან, ასე ვთქვათ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოასწორა თავის-სავე დაშვებული შეცდომა. აღადგინა პედაგოგიური ფაკულტეტი. ბუნებრივია, აღდგა პედაგოგიკის დეპარტამენტი. კათედრაზე უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად მომზადდა ახალი პროგრამა, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის კუთხით. ორივე პროგრამა ძირითადში დაიტვირთა პედაგოგიკური ციკლის სასწავლო კურსებით (პედაგოგიკის დეპარტამენტი 2006: ოქმი №2). რადგან უნივერსიტეტში

ფაქტიურად აღარ მზადდებოდა მასწავლებელი, პედაგოგიკის დეპარტამენტმა დასვა საკითხი ადმინისტრაციის წინაშე, რომ მაგისტრატურაში კვლავ აღდგენილიყო სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, რაც მისცემდა მცირეოდენ საბაზისო ცოდნას პედაგოგიკაში მაგისტრატურის კურსდამამთავრებლებს, რომლებიც მომავალში დააპირებდნენ მასწავლებლობას სკოლაში, ან პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას უნივერსიტეტში (პედაგოგიკის დეპარტამენტი 2006: ოქმი №4). აღნიშნული სასწავლო კურსი იკითხებოდა ისეთ სპეციალობებზე, როგორებიცაა: ეკონომიკა, ჟურნალისტიკა, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, ისტორია და სხვ.

2008 წლის იანვრიდან მაგისტრატურის სპეციალობებზე პედაგოგიკის დეპარტა-მენტის ინიციატივით დაიწყო სასწავლო სალექციო კურსის „პედაგოგიკის კვლევის მეთოდები“ და „პედაგოგიური ტექნოლოგიები“ წაკითხვა. სწავლების პროცესში დაინერგა თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, რაც შესაბამისად აისახა სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სწავლების მიზნები, ამოცანები, შინაარსი, აქტივობები და მეთოდები. დეპარტამენტი გადავიდა სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

2009 წელს საუნივერსიტეტო მასშტაბით პედაგოგიკის კათედრაზე შემუშავდა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი მაინორ პროგრამები, სადაც განსაკუთრე-ბული ყურადღება დაეთმო პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის საგნებს და პედაგოგიურ პრაქტიკას. მომზადდა სილაბუსები. 2009-2010 სასწავლო წლიდან მასწავლებლის მოსამზადებელ მაინორ პროგრამებზე შემოტანილი იქნა ახალი სასწავლო კურსი მასწავლებლის „პედაგოგიური ხელოვნება“ (პედაგოგიკის დეპარტამენტი 2009: ოქმი №1).

კათედრამ თავის მუშაობა წარმართა პედაგოგიური ტექნოლოგიების განვითარების შემდეგი მიმართულებებით: 1. ახსნითი - ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია; 2. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების ტექნოლოგია და 3. განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია. ამ მიმართულებით საქმიანობის განვითარებამ ასახვა პოვა აკადემიური პერსონალის შემოქმედებით ხასიათში. სწავლ/სწავლების პროცესი უბრალო საწარმოო პროცესიდან იქცა კრეატიულ საქმიანობად.

2010 წლიდან დეპარტამენტში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინკლუზიური განათლების დასანერგად. სასწავლო პროგრამებში შევიდა ცვლილება და შეტანილი იქნა 5- კრედიტიანი სასწავლო კურსი „ინკლუზიური განათლება“(ბასილაძე 2013: 46).

2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისში დეპარტამენტში თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით კიდევ ერთხელ გადამუშავდა სილაბუსები და სასწავლო სალექციო კურსები. ისინი წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, დამტკიცდა პროგრამასთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე და პროგრამული აკრედიტაციისათვის წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით პედაგოგიური ფაკულტეტის საბკა-ლავრო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსი „აღზრდის თეორია“, „პედაგოგიკის ისტორია“ , ხოლო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან ისტორიის და გარემოს დაცვის სპეციალობის გარდა, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ (პედაგოგიკის დეპარტამენტი 2010: ოქმი №1). სასწავლო კურსის „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“

შენარჩუნება მოხერხდა პედაგოგიური ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე „განათ-ლების მეცნიერებები“.

პედაგოგიურ ფაკულტეტზე საბაკალავრო სასწავლო პროგრამაში აღზრდის თეორიის სასწავლო კურსის ნაცვლად შემოტანილ იქნა სასწავლო კური „კლასის მართვა“. მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა სწავლების ტექნოლოგიაზე, რაც პედაგოგიკური კუთხით ნიშნავს „როგორ ვასწავლოთ?“ და ივიწყებს სწავლების მთავარი მიზანს - „რა ვასწავლოთ“?“ და „რისთვის ვასწავლოთ?“. პედაგოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციის ძალისხმევით კურიკულუმში შევიდა სასწავლო კურსად „სააუდიტორიო პედაგოგიური პრაქტიკა“. „სააუდიტორიო პედაგოგიური პრაქტიკის“ სასწავლო კურსის შემოტანით კათედრამ პედა-გოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის კიდევ უფრო სრულყო პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაცია და ტექნოლოგია. სტუდენტები პრაქტიკული კუთხით უნივერსიტეტშივე იღრმავებენ პედაგოგიკაში, სწავლებისა და განვითარების თეორიებში, სასწავლო კურსის მეთოდიკებში მიღებულ თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ეცნობიან თანამედროვე განათლების სისტემას, მისი სამართლებრივი აგების საფუძვლებს, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს, შეფასების სისტემას, სწავლების თანამედროვე მეთოდებს. თითეული სტუდენტი ატარებს პრაქტიკის კვლევას მის მიერ ჩატარებული მუშაობიდან გამომდინარე, იძლევა სათანადო რეკომენდაციებს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სრულყოფასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთ თქმული ხელს უწყობს სტუდენტებში პედაგოგიური პროფესიისადმი სიყვარულის გაღვივებას (პედაგოგიკის დეპარტამენტი 2012: ოქმი №5).

მიუხედავად ასეთი შემოტევებისა პედაგოგიკის სასწავლო კურსების მიმართ. დეპარტამენტმა გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე კვლავ გააგრძელა თანამ-შრომლობა საბაზო სკოლებთან. დეპარტამენტის წევრები სისტემატურად ატარებდნენ პედაგოგიური პრაქტიკით განსაზღვრულ სამუშაოებს, გეგმავდნენ საერთო პროექტებსა და კვლევებს. 2013 წლის აპრილში ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლაში პედაგოგიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით დაფუძნდა „პედაგოგიური კლი-ნიკა“. კლინიკის მთელი საქმიანობა ორიენტირებული იყო სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობაზე, კერძოდ: უნივერსიტეტისა და სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა ტრენინგ-მოდულების, სასწავლო კურსების, საზაფხულო და საკვირაო სკოლის პროგრამების მომზადება, რომლებიც დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა და სუტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებას და პრაქტი-კული უნარ-ჩვევების განვითარებას. პედაგოგიური კლინიკის საქმიანობის მთავარ პრინციპებად იქცა:

- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ოპტიმიზაცია და განვითარება.
- პედაგოგიკის, მეთოდიკის და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების ჩართუ-ლობის გაღრმავება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში;
- მაძიებელ მასწავლებელთა და განათლების მეცნიერების დოქტორანტთა ჩართვა სასწავლო პროცესის კვლევაში;
- მასწავლებელთა მიერ შემუშავებული აქტივობებისა და სასწავლო რესურსების პრეზენტაცია, გამოცდილების გაზიარება;
- სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების როლის ერთობლივი ჩართულობის აღდგენა სწავლებისა და აღზრდის პროცესში;

პედაგოგიური კლინიკის არსებობის სამი წლის მანძილზე „პედაგოგიურ კლინიკაში“ განხორციელებულმა აქტივობებმა საშუალება მისცა სტუდენტებსა და მასწავლებლებს აემაღლებინათ პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაწილეობა მიეღოთ სასწავლო-საგაკვეთილო პროცესის დაკვირვებასა და განხორციელებაში, ჩატარდა კვლევები საგანმანათლებლო პრობლემატიკაზე, ჩაატარდა ერთობლივი სამოდელო გაკვეთილები, დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდების და მათი პრაქტიკაში გამოყენების მეთოდოლოგია.

2016 წლიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე მოქმედებს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სამოცივე კრედიტი ეთმობა პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკის ციკლის საგნებს. პროგრამა 12 მიმართულებით ამზადებს მასწავლებლებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის.

2017–2018 სასწავლო წლის დასაწყისიდან დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესში. პარალელურად მონაწილეობას იღებდა განსახორცელებელი ახალი 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო - ინტეგრირებული პროგრამის შემუშავებაში. ამ კუთხით 2017 წლიდან პედაგოგიკის დეპარტამენტი ჩართული იყო საქართველოს უნივერსიტეტების განათლების დეპარტამენტებთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ესტონეთის მთავრობისა და იუნისეფის რეფორმაში, რათა ერთობლივად შემუშავებულიყო ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი პროგრამა. დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში პედაგოგიკის დეპარტამენტის წევრების მიერ მომზადა პედაგოგიკური (60კრ.) არჩევითი (10 კრ.), სასკოლო პრაქტიკის (10 კრ.) პედაგოგიური პრაქტიკის (10 კრ.) და პრაქტიკული კვლევის (20 კრ.). მოდულების სასწავლო კურსები. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და სწავლებისა და განათლების შინაარსში არსებული სიახლეები (პედაგოგიკის დეპარტამენტი 2018:ოქმი **№4).**

რაც შეეხება სასწავლო კურსს „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, ის ამჟამად უნივერსიტეტში ისწავლება მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე.

ამჟამად პედაგოგიურ ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა საბაკალავრო პროგრამაზე „სკოლამდელი განათლება“, ასევე - ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ინგლისურის მასწავლებლის მოსამზადებლად. ორივე პროგრამა მზადდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარსადგენად. მათ სასწავლო გეგმაში პედაგოგიკის დეპარტამენტმა მაქსიმალურად გაითვალისწინა პედაგოგიკის სასწავლო დისციპლინების სწავლება. 200 კრედიტი დათმობილი აქვს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის საგნებს. მათ შორის 30 კრედიტი ეთმობა სასწავლო - სააღმზრდელო პრაქტიკას და პრაქტიკის კვლევას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში აღმზრდელობითმა მუშაობამ უკან პლანზე გადაინაცვლა. თითქმის 20 წელზე მეტია ვაშენებთ ლიბერალურ სახელმწიფოს. თავისუფლება და დემოკრატია ამ პროცესების მთავარ დევიზად იქცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა და მიიღო „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“, სადაც მასწავლებლის მთავარ საქმიანობად

მხოლოდ სწავლებაა აღიარებული, რაც, ჩვენი აზრით, მიუტევებელი შეცდომაა. ამავე აზრის გამტარებელია 2018 წელს დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა.

ფორმალურად აღმზრდელობითი ნაწილი თანამედროვე სკოლაში მანდატურთა მონოპოლიად არის გადაქცეული, რის გამოც მოსწავლეთა შორის გაჩნდა შეხედულება, რომ აღზრდაში ხელმძღვანელი და პასუხისმგებელია მანდატური და არა მასწავლებელი. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არის მცდარი. ზოგჯერ ასეთი შეხედულება მასწავლებელთა შორისაც არის გაბატონებული. მიგვაჩნია, რომ მასწავლებლები პირდაპირ მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ მომავალი თაობის აღზრდაში. მასწავლებლობა ხომ თავისთავად გულისხმობს აღზრდას. იქ, სადაც მაწავლებლის ავტორიტეტი არის შელახული, მოსწავლეთა აღზრდაზე საუბარი ზედმეტია. პედაგოგიკური აზროვნების ისტორია ზემოთნათქვამის სამართლიანობას სავსებით ადასტურებს. მიგვაჩნია, რომ სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი უნდა მივანდოთ პედაგოგს პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების შუამავლობით. მასწავლებელს უნდა შევუქმნათ სკოლაში პირობები, რათა მას თავისუფლად შეეძლოს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ჰქონდეს არჩევანის საშუალება, შინაგანი და გარეგანი მოტივი.

მიგვაჩნია, რომ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე პედაგოგი აღსაზრდელის გონებას, ხასიათის და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას მცდარ მიმართულებას მისცემს. შესაძლებელია, ზოგჯერ ეს დაგვიანებით გახდეს შესაძლებელი, როცა მდგომარეობის გამოსწორება ვეღარ მოხერხდება. პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, ეხმარება მასწავლებელს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, უადვილებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში წარმოშობილი პრობლემების დაძლევას. ვფიქრობთ, რომ ყველა მომავალი მასწავლებლის აუცილებელი ვალდებულებაა აღზრდისა და სწავლა/სწავლების მეცნიერების სრულყოფილი დაუფლება, რათა მან შეძლოს სწავლა/სწავლების პროცესი დაგეგმოს და მიუსადაგოს ბავშვის სულიერ და გონებრივ განწყობას.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიკა, მასწავლებელი, აღზრდის თეორია, მანდატური, მონოპოლია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 97, საქმეები: № 157, № 158, № 156, № 150.
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის 2006 -2020 წლის სხდომის ოქმები №1, №2, №4, №5.
3. ასათიანი 2018: ასათიანი ა., ღირებულების პრობლემა აღზრდაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, № 17, თბილისი, 2018.
4. ბასილაძე 2014: ბასილაძე ი., ღავთაძე გ., უწყვეტი განათლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პედაგოგთა მომზადების თანამედროვე გამოწვევები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის(პედაგოგიური ფაკულტეტი) V საერთაშორისო კონფერენციის შრომები, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები,ISSN:2298-030X, ქუთაისი, 2014 წელი.

5. ბასილაძე 2013: ბასილაძე ი., პედაგოგიური ფაკულტეტი წარსული, აწმყო, მომავალი (1933-2013), ქუთაისი, 2013;
6. ბასილაძე 2003: ბასილაძე ი., ჩხარტიშვილი შ. მასწავლებელთა კადრების მომზადების ზოგიერთი პრობლემა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 2 (36), პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდიკათა სერია, 2003 წ.
7. ვასაძე 2000: ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბილისი, 2000.

Imeri Basiladze
Professor at Akaki Tsereteli State University

Tamar Gvinianidze
Associate Professor at Akaki Tsereteli State University

Issues of Teaching Pedagogical Disciplines at Kutaisi Akaki Tsereteli State University and Teacher Training Problems

Abstract

As soon as the Kutaisi Pedagogical Institute was transformed into the university, a permanent struggle began against the teaching of pedagogy as a teaching discipline on the university scale. The hourly schedule of the pedagogy training course was reduced. Only the pedagogical faculty allowed us to fully implement the pedagogical teaching courses.

Since 2010, on the recommendation of accreditation experts, the following teaching courses: Theory of Upbringing, History of Pedagogy, School Studies have been removed from the undergraduate programs of the Faculty of Pedagogy, as well as High School Pedagogy in addition to History and Environmental Protection from university courses.

Keywords: Pedagogy, teacher, upbringing theory, bailiff, monopoly.

გიგა ბასილაძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტერდისციპლინური სწავლება და ისტორია, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება

თანამედროვე სამყარო კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ ამოუცნობ ფენომენს წარმოადგენს. მასში მიმდინარე პროცესები გარკვეულ სისტემურ კანონზომიერებებს ემორჩილება, რომლის შესწავლას, აღწერასა და სისტემური სახით წარმოდგენას თანამედროვე მეცნიერები ესწრაფვიან. განათლების სისტემა ცდილობს აღნიშნული მეცნიერული მიღწევების გათავისებას და მათ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვას. ამგვარად, დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა ორიენტირებულია განსხვავებული სამეცნიერო დისციპლინების სასწავლო პროცესში ურთიერთთანამშრომლობის გაფართოებაზე, რათა სტუდენტებმა შეძლონ სამყაროში მიმდინარე მოვლენების სრულყოფილი აღქმა, მიზეზ –შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა. XXI საუკუნის მოთხოვნაა, რომ სტუდენტებმა შეძლონ სხვადასხვა თემების ერთმანეთთან დაკავშირება, მიიღონ რეალური ცოდნა და გამოცდილება, გამოიმუშავონ უნარ–ჩვევები, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ. თანამედროვე პედაგოგიკის ამოცანაა, რომ ბავშვს შეუქმნას ერთიანი ფართო წარმოდგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებასა და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში(დოჭვირი 2019:9).

ინტერდისციპლინურობა, როგორც ცნება, მეცნიერების ინტერესების სფეროში მოექცა მას შემდეგ, რაც სამეცნიერო–ტექნიკურმა პროგრესმა მანამდე არნახულ მაშტაბებს მიაღწია. პროგრესმა მოიტანა ასევე თანმდევი მოვლენებიც – მეცნიერების ცალკეული დარგების დიფერენციაცია, რაც ლოგიკურ მოვლენას წარმოადგენდა. მიუხედავათ ამისა, დადგა საჭიროება ამ ცალკეული სამეცნიერო დისციპლინების მახასიათებელი საერთო ნიშნების გამოვლენა შესწავლისა, რათა მომხდარიყო დიფერენციაციამდე არსებული ერთიანობის განსაზღვრა. XXI საუკუნემ დღის წესრიგში დააყენა ინტერდისციპლინური სწავლების აუცილებლობა.

ინტერდისციპლინური სწავლება ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გამოყენებას გულისხმობს. ეს კი ეფუძნება სამეცნიერო დისციპლინების სისტემურ, ფართო და ღრმა ცოდნას, კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო მეთოდების სრულყოფილ ფლობას. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში აუცილებელია კვლევით საქმიანობაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის სასწავლო პროცესთან ინტეგრირება და ორგანიზება. საკვლევად შერჩეული საკითხი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ გარკვეული ცოდნის ფლობით და კვლევითი უნარების საშუალებით პრობლემის გადაწყვეტას, საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. ინტერდისციპლინური სწავლების აქტუალურობა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: **1. საბაზრო ეკონომიკა ანუ შრომის ბაზრის მოთხოვნილება, რომელიც მომავალ სპეციალისტს უყენებს თანამედროვე ტენდენციებზე სწრაფი ადაპტირების პირობებს, მაღალ კონკურენტუნარიანობას და თავისი მოღვაწეობის ორიენტირებას**

საზოგადოების მოთხოვნილებებზე 2. მეორე ფაქტორი გამოწვეულია ეპოქალური ცვლილებებით და მომავალი სპეციალისტისაგან მოითხოვს ფართო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ცოდნის შეძენას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ცოდნის ისეთ მასშტაბებს, რომელიც განსაზღვრული არ იქნება ლოკალური ნიადაგისთვის, არამედ მათ ექნებათ გლობალურ სივრცეში მოქმედების შესაძლებლობა და კომპეტენციები 3. მესამე ფაქტორი გახლავთ ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება, რომელმაც მთლიანათ მოიცვა საგანმანათლებლო სისიტემის ყველა რგოლი, დაწყებული სწავლებიდან, დამთავრებული განათლების სისიტემაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მენეჯმენტით (ხარატიშვილი 2019:22–23).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე ტენდენციებს და საერთაშორისო მოთხოვნებს. ამ კუთხით გამოყოფენ შემდეგს: განათლების ჰუმანიზაცია, ფუნდამენტურობა, დიფერენციაცია, მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის ინტეგრირება, უპირველეს ყოვლისა, ინფორმატიკისა და განათლების მეცნიერებების ერთიან ინტერდისციპლინურ სივრცეში ასოცირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათემატიკის, ფიზიკის, ისტორიის და ბიოლოგიის მასწავლებლებმა სტუდენტს უნდა მისცენ არა მხოლოდ მეცნიერული ფაქტები, არამედ გამოუმუშაონ კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარჩვევები.

ინტერდისციპლინური სწავლების უმთავრესი ფორმა სამეცნიერო კვლევითი სამუშაოა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას. კვლევითი მუშაობა მიზნად ისახავს განავითაროს სტუდენტში შემოქმედებითი აზროვნება და გაუხსნას გზა ინოვაციური საქმიანობისაკენ. იგი სტუდენტს საშუალებას აძლევს გახდეს სპეციალიზაციაზე ორიენტირებული. როდესაც კვლევა სწორადაა დაგეგმილი, სტუდენტს მუშაობა უხდება ისეთ გარემოში, რომელიც სრულად ითვალისწინებს მის ინტერესებს და შესაძლებლობებს. სწავლების ასეთი ფორმა სინთეზს უკეთებს ყველა შუალედურ ცოდნას. განათლების ფარგლებში ინტერდისციპლინური ფორმების რეალიზაცია უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას (ხარატიშვილი 2019:47).

როგორც დავინახეთ, ინტერდისციპლინური სწავლება ერთი რომელიმე საგნის შედეგად მიღებული ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებას გულისხმობს. მის უმთავრეს ფორმას კი სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, ისტორია, როგორც მეცნიერება, აშკარად ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რადგან იგი ეფუძნება ცალკეულ **მონათესავე (სპეციალური)** თუ **არა მონათესავე (დამხმარე)** სამეცნიერო დისციპლინების სინთეზს. ისტორიული პროცესი რთული და მრავალფეროვანია. პიროვნება, რომელიც მას იკვლევს, იყენებს ყველა შესაძლო ინფორმაციას, რომელიც წარსულს ასახავს. ამ ინფორმაციას კი მრავალფეროვნებით გამორჩეული ისტორიული წყაროები იძლევა. გამომდინარე აქედან, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა დისციპლინები, რომლებიც სხვადასხვა სახის წყაროებს შეისწავლიან. მათი ჩასახვა–განვითარება ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან ცალკეულ შემთხვევაში არც იყო დაკავშირებული. ხშირად ზოგიერთი მათგანი განპირობებული იყო ქონებრივი და სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობით, ხოლო შემდგომში იგი ისტორიულმა მეცნიერებამ გამოიყენა. ამგვარად, XIX და XX საუკუნეებში ჩამოყალიბდა ისტორიის **დამხმარე (არა მონათესავე –გ. ბ)** და **სპეციალური (მონათესავე – გ. ბ)** დისციპლინები. ამ დისციპლინების მიმართ გამოყენებული ტერმინები „სპეციალური“ და „დამხმარე“, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სამეცნიერო ტერმინი,

პირობითია. თითოეული მათგანი დიდ როლს თამაშობს ისტორიული სურათის რეკონსტრუქციაში, მაგრამ მათი მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ დამხმარე როლით და გააჩნიათ თავისი დამოუკიდებელი სამეცნიერო – პრაქტიკული ამოცანები (ნიშნიანიძე 2018:205).

ასეთი დისციპლინები საკმაოდაა და ქვემოთ გვინდა შევეხოთ რამდენიმე მათგანს. ისტორიის მონათესავე სპეციალური დისციპლინებიდან აღსანიშნავია: ისტორიული წყაროთმცოდნეობა, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ისტორიული მეცნიერების ისტორია, ანუ ისტორიოგრაფია.

წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების ერთ–ერთი ძველი დარგია. იგი ხელს უწყობს უმთავრესი ისტორიული წყაროების ყოველმხრივ შესწავლას, ისტორიული წყარო-დან სანდო ინფორმაციის მიღებას და მისი ანალიზის მეთოდების დახვეწას, ამდიდრებს ისტორიული კვლევის წყაროთა ბაზას და განაპირობებს მთლიანად ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტი გავრცელება პოვა წყაროთა დაყოფამ გარეგანი ნიშნების მიხედვით შვიდ ტიპად: 1. ნივთიერი, 2. ეთნოგრაფიული, 3. ზეპირი, 4. ენობრივი, 5. წერილობითი, 6. კინო–ფოტო, 7. ფონო მასალა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წერილობითი წყაროები, რომელთა შორის გამოყოფენ დოკუმენტურ და თხრობით წყაროებს. დოკუმენტურ წყაროებში იგულისხმება მისი სამართლებრივი ფუნქცია და მასში შედის განმკარგულებელი, აღმასრულებელი, სასამართლო და სხვა სახის დადგენილებები, აგრეთვე სტატისტიკური, საქმის წარმოების, სააქტო და სხვა დოკუმენტები. თხრობით, ანუ ნარატიულ წყაროებს, შეიძლება მივაკუთ-ვნოთ ისტორიული, პირადი, სამეცნიერო, მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურა. წყაროთმცოდნეობაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წყაროთა კრიტიკას, რომ-ლის საშუალებით მკვლევარი უზრუნველყოფს წარსულზე რაც შეიძლება, მეტი სანდო და ობიექტური ცნობის მიღებას. წყაროდმცოდნეობამ, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ ცოდნასთან ერთად იწყო ჩასახვა, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა. მის სათავეებთან იდგნენ გერმანელი მეცნი-ერები: ფრიდრიხ ვოლფი, გეორგ ბერტოლდ ნიბური და სხვები.

ისტორიული სინამდვილის აღდგენის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ისეთ სპეციალურ მონათესავე დისციპლინას, როგორიცაა არქეოლოგია (ბერძნ; arxaios–ძველი, logos–სწავლება). იგი შეისწავლის ნივთიერი კულტურის ძეგლებს და დიდად უწყობს ხელს ისტორიული წარსულის სურათის აღდგენა–რეკონსტრუქციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგია წინარეისტორიული ხანის ანუ პრეისტორიის შესასწავლად, რადგან ამ ხანისათვის ნივთიერი ანუ არქეოლოგიური ძეგლები ერთადერთი ისტორიული წყაროა. რაც შეეხება მომდევნო ეპოქებს, აქ არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს და აზუსტებს წერილობითი და სხვა სახის წყაროების მონაცემებს. არქეოლოგიურ მეცნიერებას თავისი კვლევის საგანი და განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი კვლევის მეთოდები გააჩნია, ამიტომაც უწოდებენ მას სპეციალურს, ანდა დამოუკიდებელ ისტორიულ მეცნიერებას (ნიშნიანიძე 2018:209).

როგორც მეცნიერება, არქეოლოგია XIX საუკუნის მეორე ნახევრის პირმშოა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ბევრ ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან: ეთნოგრაფიასთან, ანთროპოლოგიასთან, პალეონტოლოგიასთან, ენათმეცნიერებასთან, გეოლოგიასთან, ფიზიკა–ქიმიასთან, ბოტანიკა–ზოოლოგიასთან და სხვა. ეს კავშირი

აუცილებელია არქეოლოგიის სწრაფი განვითარებისათვის, რადგანაც იგი იყენებს ამ მეცნიერებების უახლეს მიღწევებს კონკრეტული არქეოლოგიური ამოცანების გადაჭრის პროცესში.

ისტორიულ მეცნიერებათა შორის ისტორიოგრაფია ერთ–ერთი დამოუკიდებელი დისციპლინაა. მას თავისი კვლევის საგანი, წყაროები და მეთოდები გააჩნია. ისტორიოგრაფიის შესწავლის ობიექტი არის არა საკუთრივი ისტორიული განვითარების პროცესი, არამედ ისტორიული აზრის განვითარების, შემეცნების, ანუ თვით ისტორიის, როგორც მეცნიერების, განვითარების შესწავლა. ისტორიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ისტორიული მეცნიერებების–წყაროთმცოდნეობის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ტოპონიმიკის, ჰერალდიკის და სხვათა ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან. ისტორიოგრაფია, როგორც ისტორიული მეცნიერება, შედის საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემადგენლობაში და შეიცავს ამა თუ იმ ეპოქის იდეოლოგიის ანარეკლს, მონაწილეობს თავისი დროის იდეურ ბრძოლაში, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა და კლასების მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში. იგი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის შესწავლის ობიექტს.

სპეციალურ ისტორიულ დისციპლინათა რიგს მიაკუთვნებენ აგრეთვე ეთნოლოგიას. იგი შეისწავლის ცალკეული ჯგუფების, ანუ კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ჯგუფების ყოველდღიური ტრადიციულ–ყოფით კულტურის ნიშნებს. ეს ნიშნები ქმნიან ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ იერსახეს. კულტურის ტრადიციული ფორმების შესწავლასთან ერთად ეთნოლოგია იკვლევს მსოფლიო ხალხებში დამკვიდრებულ ზნე–ჩვეულებებს და ტრადიციებს, ქცევის ნორმების გამსაზღვრელ ფაქტორებს. ეთნოლოგია საკვლევი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მოითხოვს სხვა მომიჯნავე ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემების ფართოდ გამოყენებას. ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან ისტორიის გარდა, მას შეხების წერტილები აქვს არქეოლოგიასთან, ხელოვნებათმცოდნეობასთან, ფოლკლორისტიკასთან, ლინგვისტიკასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან კი _ გეოგრაფიასთან, ანთროპოლოგიასთან, ეკონომიკასთან, ბოტანიკასთან და სხვა.

რაც შეეხება ისტორიის დამხმარე (არა მონათესავე) დისციპლინებს, მათი რიცხვი საკმაოდ ფარათოა და აქ მხოლოდ ჩამოთვლით შემოვიფარგლებით. ესენია: პალეოგრაფია, ფილიგრანოლოგია, ტექსტოლოგია, ეპისტოლოგია, კოდიკოლოგია, დიპლომატიკა, არქივთმცოდნეობა, სფრაგისტიკა, ნუმიზმატიკა, ბონისტიკა, ვექსილოლოგია, ჰერალდიკა, გენეალოგია, ისტორიული დემოგრაფია და ისტორიული გეოგრაფია.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ სამეცნიერო დისციპლინათა საკმაოდ ვრცელ სპექტრს, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი ვალდებულია ჩაწვდეს თითეული სამეცნიერო დისციპლინის შინაარსსა და მეთოდოლოგიას, მიიღოს მათგან სასურველი ინფორმაცია და გამოიყენოს სასურველ კონტექსტში, რათა შეძლოს ისტორიული პროცესების სრული და სწორი ასახვა. ისტორია მჭიდრო კავშირშია არა მარტო ჰუმანიტარულ, არამედ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებთან, რაც გვაჩვენებს მისი, როგორც მეცნიერების ინტერდისციპლინურ ბუნებას.

საკვანძო სიტყვები: ინტერდისციპლინური, პედაგოგიკა, სფრაგისტიკა, ისტორია, მეთოდოლოგია.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ბასილაძე ი. ჭოხონელიძე ნ. კოსტავა ნ. ქობულაძე ნ. (2016). სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება–შეფასების საკითხები. ქუთაისი; აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბაკურაძე ბ. (2010).დისეტრაცია - სიმრავლეთა და ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურზე. ქუთაისი. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. დოჭვირი ი. (2019). სამაგისტრო ნაშრომი–ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
https://openscience.ge/bitstream/1/817/1/samagistro%20dochviri.pdf
4. ხარიტონაშვილი მ. (2019). სადოქტორო დისერტაცია–სწავლების ინტერდისციპლინარული პროცესების ობიექტ–ორიენტირებული მოდელირება. თბილისი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
http://217.147.235.82/bitstream/1234/311904/2/Avtoreferati.pdf
5. ნიშნიანიძე ო. (2018). შესავალი ისტორიულ მეცნიერებაში. ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Giga Basiladze
Academic Doctor of History
Akaki Tsereteli State University

Interdisciplinary Teaching and History as an Interdisciplinary Subject

Summary

Interdisciplinary teaching is one of the most important challenges of XXI century's educational system. Scientific-technical progress resulted in the change in attitude towards the representative of various professions. The reality is that contemporary specialist is required to have not only professional skills but also ability to adapt and react to modern trends. Acquiring such skills can only be the result on interdisciplinary teaching. These are the very problems that the above-given article is focused on, together with the topic - History as an Interdisciplinary Subject

Key words: interdisciplinary, pedagogy, sphragistics, history, methodology.

ლია მენთეშაშვილი
პედაგოგიკის დოქტორი

სტუდენტები და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა

ქვეყნის წინსვლა წარმოუდგენელია მეცნიერების, განათლების, ტექნიკისა და კულტურის განვითარების გარეშე. სახელმწიფოს სოციალურ–პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს განათლების სისტემის ყოველმხრივ განვითარებას.

უმაღლესი სკოლის განვითარების თვანამედროვე ეტაპზე პრობლემათა დიდ კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევით მუშაობას. მკვლევარ–მეცნიერთა ცვლის სათანადოდ მომზადება მნიშვნელოვნად წყვეტს განათლების მიმართ საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხს, მომავალი მეცნიერების მომზადება მრავალი ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა ქმნის ატმოსფეროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვამზადოთ მომავალი მკვლევარები თანამედროვე მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა დონეზე – კვლევის პროცესში მაქსიმალურად ჩავრთოთ ახალგაზრდული ძალები, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველოში უმაღლესი სკოლა.

ყოველ უმაღლეს სასწავლებელს აქვს სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის თავისი სპეციფიკა. უმაღლესი სასწავლებლებისა და მათი ახალგაზრდა მეცნიერ–მუშაკების საქმიანობის ეფექტი განისაზღვრება სამეცნიერო მუშაობის პროცესის თანამედროვე ტემპებთან შეხამებით.

ახალგაზრდა მეცნიერ–მუშაკთა თეორიული ცოდნისა და მეცნიერულ გამოკვლევათა ეფექტიანობის ამაღლება სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანასთან მჭიდრო კავშირში უნდა განხორციელდეს, ხოლო სპეციალისტის მეცნიერული მიმართულება შეესაბამებოდეს მისი მომზადების პროფილს. ამ პრობლემის ფაქტიური გადაჭრისათვის აუცილებელია სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში სტუდენტთა სისტემატური მონაწილეობა, რაც მეცნიერულ მონაცემთა აპრობაციის საუკეთესო პრაქტიკული ფორმაა. სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა უნდა იქცეს კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების ერთ–ერთ ცენტრალურ საკითხად, ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან საშუალებად.

აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ეფექტიანობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. კერძოდ: სტუდენტების სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელთა მეცნიერული კვალიფიკაცია, პროფესორ–მასწავლებელთა მიერ წაკითხული ლექციების ხარისხი, ახალგაზრდების ნიჭი, მიდრეკილება და ინტერესი არჩეული სპეციალობისადმი, საერთო ერუდიცია, პასუხისმგებლობა, შრომის უნარი და ა.შ.

შემეცნებითი ინტერესი ბავშვობიდან ახასიათებს ადამიანს. სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც კი ძალზე ცნობისმოყვარენი არიან. მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე უფროსებისაგან გაცემული პასუხებით კმაყოფილდებიან, მაგრამ ასაკობრივი განვითარების შემდეგ

საფეხურებზე იცვლება მოზარდების შემეცნებითი ინტერესი, ისინი მზა პასუხებს აღარ სჯერდებიან. სტუდენტობის პერიოდში ახალგაზრდებს გააჩნიათ ლოგიკური აზროვნება, მათი შეხედულებები უფრო კრიტიკული ხდება ამა თუ იმ მოვლენის, სიტუაციისა და ფაქტების მიმართ. ახალგაზრდებს სურვილი უჩნდებათ სხვების დახმარების გარეშე თვითონ ჩაერთონ შემეცნებით პროცესში, დამოუკიდებლად შეიმუშაონ საკუთარი აზრი ამა თუ იმ მოვლენასა და საკითხზე.

სასკოლო ასაკში აღძრული მრავალი შემეცნებითი ინტერესის დაკმაყოფილება შეუძლიათ ახალგაზრდებს სტუდენტურ ასაკში სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში აქტიური მონაწილეობით. ეს რომ შეძლონ ახალგაზრდებმა, ამისათვის აუცილებელია მუდმივად სრულყონ თავიანთი ცოდნა, გამოიმუშაონ სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის უნარ–ჩვევები. ყოველივე ამის გარეშე გაუძნელდებათ ორიენტირება მეცნიერული ინფორმაციის მზარდ ნაკადში.

სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის მეთოდების დაუფლება (ზოგადად მაინც) თანამედროვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადების აუცილებელი პირობაა. ამიტომ, საჭიროა სტუდენტის შრომა თანდათანობით, მათი შესაძლებლობის ფარგლებში, დაუახლოვდეს მეცნიერის შრომას თავისი შინაარსით.

ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტის სამეცნიერო მუშაობა საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა მეცნიერული მუშაობა უნდა ჩაატაროს პირველი ან მეორე კურსის სტუდენტმა? რა თქმა უნდა აქ არ იგულისხმება სერიოზული გამოკვლევების ჩატარება ან დიდი პრობლემის გადაწყვეტა. დაბალი კურსების სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ნავარაუდევია მეცნიერული მუშაობის უნარ–ჩვევების განვითარება ნებისმიერი საკითხის განხილვისას. ამიტომ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას, მათი შესაძლებლობების შეფასება–განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გასათვალისწინებელია, რომ ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან თეორია ფუნდამენტურ მეცნიერებებში შესრულებულია ახალგაზრდა მკვლევარ–მეცნიერთა მიერ. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა მათი სწავლა–აღზრდის, სპეციალისტად ჩამოყალიბების პროცესის ორგანულ ნაწილად უნდა იქცეს.

სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის მიზანმიმართულად წარმართვაში დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საგნების დეპარტამენტების (წარსულში კათედრები) მუშაობას. პროფესორ–მასწავლებლები უნდა აქტიურობდნენ მომავალ სპეციალისტთა სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში ჩართულობისათვის, მეცნიერული კვლევა–ძიების ინტერესის აღძვრისათვის, არჩევდნენ მათთვის საკვლევი პრობლემების თემატიკას. სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის პირველ საფეხურზე სტუდენტს შეიძლება მიეცეს რეფერატული ხასიათის თემები, რომელთა დამუშავებაც განავითარებს ახალგაზრდებში დამოუკიდებელი კვლევის უნარსა და კრიტიკულ აზროვნებას. ასევე სასურველია სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო ხასიათის დისკუსიებში. მაღალი კურსის სტუდენტები ორგანულად უნდა იყვნენ დაკავშირებული შესაბამისი დარგის დეპარტამენტების სამეცნიერო საქმიანობასთან. შესაძლებელია მათ მონაწილეობა მიიღონ პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო თემატიკის დამუშავებაში.

რადგან სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევით მუშაობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში, ამიტომ აუცილებელია უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობის

გაძლიერება. სამეცნიერო წრეებში სტუდენტთა მასობრივი ჩართულობა სასურველია, რათა მომავალში მათ ჰქონდეთ მოვლენების მეცნიერული ანალიზის, განზოგადებისა და მისი პრაქტიკაში რაციონალური გამოყენების უნარ–ჩვევები.

თუ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში, ასეთივე შემართებით გააგრძელებს ბევრი მათგანი მაგისტრატურაში სწავლისას აღნიშნული ტიპის მუშაობას. სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში აქტიური სტუდენტებით და მაგისტრანტებით უნდა დაკომპლექტდეს მომავალში დოქტურანტურა და ალბათ, აღარც პრობლემად გადაიქცევა დოქტორანტების მიერ დისერტაციის დაცვის მოსწრება–არმოსწრების საკითხი დადგენილ ვადაში, ბევრი სხვა პრობლემაც სათანადო დონეზე გადაიჭრება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დოქტურანტურაში ჩაბარების უფლება უნდა ჰქონოდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სტუდენტობიდან მაგისტრატურის ჩათვლით აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო–კვლევითი მუშაობაში (ეს ჩვენი სუბიექტური აზრია). ასეთი რეკომენდაცია გვაქვს იმიტომ, რომ ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებით ვნახეთ ბევრ ისეთ პიროვნებას უჩნდება დოქტურანტურაში სწავლისა და დისერტაციის დაცვის, ე.წ. „გამეცნიერების“ სურვილი, რომელსაც სათანადო ცოდნა და გამოცდილება არა აქვს სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისა. მეცნიერებაში „შემთხვევით მოხვედრილ“ პიროვნებებს არ შეუძლიათ ჭეშმარიტი მეცნიერული მუშაობა (მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოების დაწერა, კონფერენციებზე ღირებული მეცნიერული ნაშრომის წარდგენა, მეცნიერხელმძღვანელობა, ოპონენტობა და ა.შ.). გამოცდილი უფროსი თაობის, ღირსეული მეცნიერების მსგავსად უჩნდებათ სურვილი აკადემიური თანამდებობის დაკავებისა, თუმცა არ ფიქრობენ იმსახურებენ თუ არა ამას. ასეთი სავალალო, არამეცნიერული სიტუაციები ვფიქრობთ, ნებისმიერ დარგში ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარებას უქმნის სავალალო მდგომარეობას. ამიტომ, შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, სასურველია ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება.

სტუდენტურ ასაკში სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა რომ წარმატებით წარიმართოს, აუცილებელია სწორად მოხდეს საკვლევი პრობლემის (რაც ფრიად საპასუხისმგებლოა) შერჩევა და გეგმის შედგენა მეცნიერ–ხელმძღვანელი ლექტორის სათანადო დახმარებით. ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელია თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის შესწავლა–დამუშავება. სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა შეუძლებელია წიგნების კითხვის, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის მარაგის ათვისების გარეშე. მაგრამ, მეცნიერული მუშაობის თავისებურება ისაა, რომ წიგნის კითხვის დროს მკვლევარი კრიტიკულად აფასებს, აწონ–დაწონის ავტორის მიერ გამოთქმულ აზრებს და დაეთანხმება ან არ დაეთანხმება მას.

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგების რეალიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმებია მოხსენებით გამოსვლა სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, რეფერატის წაკითხვა, დისკუსიებში მონაწილეობა, აგრეთვე მოხსენების თეზისებისა და სტატიის სახით გამოქვეყნება.

სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა გულისხმობს როგორც სამეცნიერო წრეებში მუშაობას, ასევე სამეცნიერო–კვლევითი და შემოქმედებითი ელემენტების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში, რაც სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის. ამ ტიპის სამუშაოებში შედის კვლევითი ელემენტების გათვალისწინება საშინაო დავალებების

შესრულების, სამაგისტრო ნაშრომების (პროექტების) მომზადების, სასწავლო პრაქტიკის პერიოდში და სხვ.

სტუდენტთა მეცნიერული მუშაობის განვითარების თანამედროვე მასშტაბებისა და დონის ამოცანათა სირთულის, მისი ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნების გამო, არსებული შესაძლებლობების წარმატებით გამოყენების აუცილებელ პირობად გვევლინება უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის საქმისადმი კომპლექსური მიდგომა. სსკმ–ის კომპლექსური სისტემის შინაარსმა და სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ფორმების, მეთოდებისა და ღონის-ძიებების საფეხურებრივი თანმიმდევრობა სასწავლო პროცესის ლოგიკის, სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნისა და ჩვევების, მათ მიერ შესრულებულ შემოქმედებით და სამეცნიერო–კვლევით სამუშაოთა მოცულობა. სსკმ–ის სირთულე თანდათანობით უნდა იზრდებოდეს.

იმისათვის, რომ გაგვეგო, ჩართული არიან თუ არა სტუდენტები სამეცნიერო მუშა-ობაში, ჩავატარეთ გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი კითხვარის საშუალებით (გამოკითხულ იქნა 50 სტუდენტი), რომელიც შემდეგი შანაარსისა იყო:

1. ხართ თუ არა ჩართული სამეცნიერო მუშაობაში?
2. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო მუშაობას კვალიფიციური სპეციალისტის მომზადების საქმეში?
3. რომელი საგნის სამეცნიერო წრეში ხართ გაერთიანებული?
4. გამოსულხართ თუ არა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე?
5. სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში აქტიური მუშაობა გეხმარებათ თუ არა არჩეული პროფესიის უკეთ დაუფლებაში?
6. თუ არ მონაწილეობთ სტუდენტურ სამეცნიერო მუშაობაში, რა არის ამის მიზეზი?
7. გაქვთ თუ არა სათანადო პირობები სამეცნიერო მუშაობისათვის?

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტთა მცირე ნაწილია დაინტერესებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით, მაგრამ ვინც დაინტერესებულია, სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობა მნიშვნელოვნად ეხმარება ცოდნის შეძენაში, პროფესიულ დაოსტატებაში; ისიც გახდა ცნობილი, რომ ზოგს ნებისყოფა, სათანადო შესაძლებლობა და უნარი არა აქვს იმისათვის, რომ სერიოზულად იმუშაოს რომელიმე პრობლემაზე დამოუკიდებლად.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხებზე არსებულ ლიტერატურაში სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებით მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. სავსებით მისაღები და გასათვალისწინებელია ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შემო-ღებულ იქნეს სამეცნიერო-კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების შემსწავლელი სპეციალური კურსი (დღეს უმაღლეს სასწავლებლებში კრედიტების სისტემაა, როგორმე უნდა მოხერხდეს თუნდაც 3 კრედიტის გამოყოფა სამეცნიერო მუშაობასთან დაკავ-შირებული კურსის ზოგადად შესწავლისათვის), რომლის სწავლება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში და შემდგომშიც თავი-დან ავიცილებთ სამეცნიერო მუშაობისათვის სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდების „შემთხვევით“ მოსვლას მეცნიერებაში. ამ კურსის წაკითხვისას მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: 1) მეცნიერების როლი საზოგადოების განვითარებაში; 2) კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, სამეცნიერო მუშაობის, ეტაპები; 3) მეცნიერული კვლევის მეთოდები; 4) მეცნიერული კვლევის შედეგების გაფორმება; 5) კვლევის ორგა-ნიზაციული საკითხები და ჩატარების მეთოდიკა, და ა.შ. (ჩვენ მიერ დასახელებული

საკითხების გაღრმავებული შესწავლა უნდა მოხდეს მაგისტრატურაში და სხვა საკითხებიც კიდევ დაემატოს შესასწავლად, რათა სრულყოფილად მოხდეს სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის არსის, მიზნისა და ამოცანების შესწავლა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკითხები სარეკომენდაციოა, საგნის ლექტორს შეუძლია შემოქმედებითად შეიტანოს ცვლილება შესასწავლი საკითხების ნუსხაში.

უმაღლეს სასწავლებელში ხანგრძლივი მუშაობისა და ასევე სამეცნიერო–კვლევით მუშაობაში ხანგრძლივი ჩართულობის შედეგად დავასკვნით, რომ სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა უაღრესად ინდივიდუალური საქმეა. ამ მუშაობის თავისებურებებს განსაზღვრავს არა მარტო მკვლევარის ნიჭი და უნარი, არამედ, აგრეთვე, საკვლევი საკითხის ხასიათი, მისი მნიშვნელობა, დამუშავებულობის ხარისხი და ა.შ. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში შემდგომი სოციალური და მეცნიერული პროგრესი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ დღევანდელი სტუდენტი – ხვალინდელი სპეციალისტი, როგორ არის მომზადებული დამოუკიდებელი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისათვის. დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის უნარის განვითარებისათვის კი გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სწავლის პერიოდში სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩართულობას. გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტების სწავლა–აღზრდა და სამეცნიერო მუშაობა ერთიანი განუყოფელი პროცესია.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი სასწავლებელი, სტუდენტი, სამეცნიერო მუშაობა, სამეცნიერო კონფერენცია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ავთანდილი, 2016: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბილისი.
2. ბიბილეიშვილი იური, თავდგირიძე ლელა, 2011: სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები, თბილისი.
3. მენთეშაშვილი ლია, 2000: განათლების სისტემის რეფორმა და მომავალ პედაგოგთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის საკითხები, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი.
4. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები, 1981: თბილისი.

Lia Menteshashvili
Doctir of Pedagogics

Students and scientific – Research Work

Summary

Students scientific – research work takes important place in a big complex of high school modern in a big complex of high school modern problems. This kind of peculiarities define not only talent and ability of student, but, also, character of research question, its meaning and sort of processing.

Very important meaning has departments of corresponding branch in consecutive work of students' research work.

Professors and teachers must be active to include students in research work, to interest them with this.

It is desired to draw in students in scientific groups in high schools as in future the students should have abilities of scientific analysis, generalize and use it practically.

Students should acquaint scientific research methods from the first year, its content and character.

The most important form of results of student's research work are to make a report on the students scientific group, read a paper, take part in discussions, print theses and articles, take park in students' scientific conferences.

Keywords: High school, student, scientific work, scientific conference, research

ეკატერინე უკლება
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მენეჯერი, როგორც განათლების სპეციალისტი და მისი როლი გადაწყვეტილების მიღების საქმეში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაცილებით რთულია ორგანიზაციის მართვა, ვიდრე ცენტრალიზებული სოციალურ–ადმინისტრაციულ პირობებში. დღესდღეობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს სრული დამოუკიდებლობის ყველა თვისება, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო პირობებში მუშაობისათვის.

მენეჯმენტის მეცნიერების განვითარება თავის მხრივ აყენებს სერიოზულ მოთხოვნებს მმართველობითი პროცესების შეფასების ბაზის ცვლილებებისადმი. დროის მცირე მონაკვეთში ამ დარგის სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი კონკურენტუნარიანობა, ეფექტურობა და საკუთარი ორგანიზაციების სიმყარე ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთანავე, ახალი სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებისას მმართველობის და მმართველების როლი კიდევ უფრო გაიზრდება, რამეთუ მენეჯმენტი – ეს არის საზოგადოების განვითარების მძლავრი ძრავა და ამაჩქარებელი.

თანამედროვე ეტაპზე მენეჯმენტის მეცნიერების განვითარებისათვის დამახასიათებელია გადასვლა კვლევების ლოკალური მიმართულებებიდან იმ კვლევებზე, რომელთაც ახასიათებს ორგანიზაციის კონცეფციები, როგორც მენეჯმენტის თეორიის ძირითადი საფუძველი.

მენეჯმენტის მეცნიერებაში ჩამოყალიბებული პროცესებისა და შეხედულებების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი სამეცნიერო მიდგომები: პროცესული მიდგომა, სისტემური მიდგომა და სიტუაციური მიდგომა; და შემდეგი მენეჯმენტის სკოლები: მეცნიერული მართვის (მენეჯმენტის) სკოლა, ადმინისტრაციული (კლასიკური) მართვის სკოლა, ადამიანურ ურთიერთობათა სკოლა, მართვის მეცნიერების სკოლა.

კონცეფციების ერთობლიობა წარმოადგენს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიის საფუძველს, რომელიც გამოკვლევების სხვადასხვა მიმართულებების ინტეგრირებას ახდენს. მით უმეტეს, რომ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ინტენსიური ინფორმაციის ურთიერთგაცვლა განაპირობებს იდეების, კონცეფციებისა და სამეცნიერო სკოლების სხვადასხვა მეთოდების ორმხრივ დიფუზიას. თუმცა ნარჩუნდება განსაზღვრული რეგიონული სპეციფიკა სამეცნიერო მიდგომებისა და პრიორიტეტების ეფექტური მენეჯმენტის პრაქტიკის შესწავლისას, გამოკვლევების კონცენტრაციისას, რაც ნიშნავს სამეცნიერო შემუშავებებისა და რეკომენდაციების შესწავლასაც ტრადიციული და განსაზღვრული რეგიონებისათვის.

მენეჯმენტი მეცნიერებათა მრავალი მიმართულებით ვითარდებოდა. თითოეულ მიმართულებას თავისი მიზანი და ამოცანები გააჩნია. ასე ჩამოყალიბდა მართვის მეცნიერების განვითარების პროცესში ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელიც მენეჯმენტის თეორიაში მენეჯმენტის სკოლების სახელით არის ცნობილი. ეს სკოლებია: მეცნიერული მართვის (მენეჯმენტის) სკოლა, ადმინისტრაციული (კლასიკური) მართვის სკოლა, ადამიანურ ურთიერთობათა სკოლა, მეცნიერების მართვის სკოლა.

მეცნიერული მართვის სკოლის ჩამოყალიბების მთავარი მიზანი იყო მეცნიერების როლის ზრდა კომერციულ ორგანიზაციათა მართვის პროცესში, რომელსაც უნდა შეესრულებინა მთავარი როლი არა მარტო მოგების ზრდის, არამედ ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, კერძოდ, მეცნიერული კვლევები მიზნად ისახავდა მართვის ისეთი მეთოდების ძიებას, რომელიც დაეხმარებოდა ბიზნესმენებს არა მარტო მოგების მიღებაში, არამედ შრომის ორგანიზაციის და კოორდინაციის რაციონალური სისტემის ფორმირებაში.

მენეჯმენტის მეცნიერების განვითარება დღემდე მრავალი მიმართულებით ხორციელდება. ნაწილობრივ ბიჰევიორიზმის პრინციპებზე აიგო ორგანიზაციული განვითარების კონცეფცია, რომელიც 1970–იან წლებში ჩამოყალიბდა. ორგანიზაციული განვითარების კონცეპცია გულისხმობს ბიჰევიორისტული მეცნიერების გამოყენებას ორგანიზაციის შიდა კლიმატის გაუმჯობესებასა და მის შიგნით ადამიანურ ურთიერთობათა სრულყოფაში.

მენეჯმენტის განვითარებაში მართვის მეცნიერების გავლენა და როლი ნაკლებ მნიშვნელოვანია ქცევითი სკოლის გავლენასთან შედარებით. ეს იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, ხელმძღვანელთა უმეტესობას საქმე აქვს ადამიანური ურთიერთობის პრობლემებთან და არა პრობლემებთან, რომლებიც წარმოადგენს ოპერაციათა გამოკვლევის საგანს. მეორეც, მენეჯერთა დიდ ნაწილს უჭირს რაოდენობრივი მეთოდების მართვაში გამოყენება.

თანამედროვე გაგებით მენეჯერი პროფესიონალი მმართველი ან ხელმძღვანელია, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური მომზადება და აღჭურვილია საწარმოსა თუ ფირმის მართვის ყველა ფუნქციით, რომელთაგან განმსაზღვრელია მენეჯერის მოვალეობა_ შეიმუშაოს და განახორციელოს შემსრულებელთა სტიმულირების შესაბამისი სისტემა.

საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში თანამედროვე მენეჯერი გვევლინება როგორც მმართველი, პიროვნება, დიპლომატი, ლიდერი, აღმზრდელი, ნოვატორი. მენეჯერი–მმართველის ფუნქცია ტრადიციულია, იგი დასაბამიდან დამახასიათებელია მენეჯერისათვის. ამ ფუნქციით მენეჯერი ხდება ძალაუფლებით აღჭურვილი პირი. დღეისათვის ეს ძალაუფლება არ არის განუყოფელი, ამიტომაც ძალაუფლების მქონე პირისაგან მოსალოდნელია, როგორც სიმკაცრის, ასევე რბილი ხასიათის გამოვლინება.

მენეჯერი, როგორც მმართველი, უნდა იყოს პატიოსანი, სიტყვის და საქმის კაცი, მართალი და უანგარო. მას უნდა გააჩნდეს მაღალი პროფესიონალიზმი, ფლობდეს საქმიანი ურთიერთობების ჩვევებს, ორატორობის ოსტატობას, იყოს კარგი ორგანიზატორი, კონსულტანტი, პედაგოგი და ფსიქოლოგი.

მენეჯერი-დიპლომატი - მენეჯერულ უნარ–ჩვევებს შორის, რომელთაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ, უნდა გამოვყოთ ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკების პროცედურასთან.

დღესდღეობით, უმაღლესი და საშუალო რგოლის მენეჯერები თავისი სამუშაო დროის მეტ ნაწილს უთმობენ (ანდომებენ) ადამიანური კონტაქტების დამყარებასა და განვითარებას, საქმიანი კავშირების გაღრმავებას, გარიგებების დადებას, უთანხმოებათა აღმოფხვრას, ხელისუფლებასთან ურთიერთობების მოგვარებას. მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნა მენეჯერის მონაწილეობაზე სხვადასხვაგვარ საშუამავლო საქმიანობაში, ეს კი მოითხოვს დიპლომატიურ თვისებებს.

მენეჯერი-ლიდერი - ამერიკელი თეორეტიკოსები თვლიან, რომ ყოველი მენეჯერი უნდა იყოს ლიდერი. მენეჯერისა და ლიდერის ფუნქციები კი არაერთმნიშვნელოვანია.

მენეჯერული ფუნქციების ქვეშ იგულისხმება პროფესიული ქმედებების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის მატერიალური ქვესისტემების (რესურსები, საწარმოო პროცედურები, ტექნოლოგიური პროცესები) შესანარჩუნებლად. მაგრამ შეიძლება სუსტი იყოს ბიზნესის მეორე ადამიანური ქვესისტემა, ე.ი. მართვის მთავარი ობიექტი.

მენეჯერი-აღმზრდელი - რამდენადაც რთულდება საწარმოო პროცესები, იმდენად იზრდება მოთხოვნები პერსონალისადმი. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მუშაკთა ტექნოლოგიური ერუდიციის ამაღლება. საჭიროა აგრეთვე მათი ცხოვრებისეული ზნეობრივი მხარეების სრულყოფა.

მენეჯერი–ნოვატორი - ინფორმაციული ბუმის, მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგ-რესის მესამე ტალღის პირობებში (პირველი ტალღა დაკავშირებულია სასოფლო–სამეურნეო კულტურების შემოტანასთან; მეორე – სამრეწველო გადატრიალებასთან), დიდ როლს თამაშობს მენეჯერის დამოკიდებულება ინოვაციისადმი. მეცნიერულ–ტექნიკური პროგ-რესისას ის, ვინც იჩენს სიფრთხილეს ინოვაციისადმი, აღმოჩნდება „პროგრესის კუდში“.

მენეჯერი–პიროვნება - მენეჯერს, როგორც პიროვნებას, ჩვეულებრივ გააჩნია საკუთარი პიროვნული თვისებები – ქცევითი თვისებების ერთობლიობა, მაგრამ ამ თვისებებიდან ყველა როდი უწყობს ხელს მენეჯერული ფუნქციების განხორციელებას.

კაპიტალური შრომები მენეჯმენტის შესახებ მოიცავს ჩამონათვალს მენეჯერის პიროვ-ნული თვისებების შესახებ. მაგალითად, ფ.ტეილორი იდეალური მენეჯერისათვის გამოყოფს შემდეგ თვისებებს: ნიჭი, განათლება, ტექნიკური ცოდნა, ძალა, ტაქტიანობა, გამჭრიახობა, ენერგიულობა, გაბედულობა, პატიოსნება, გონივრულობა და ა.შ. ხოლო ფაიოლის აზრით, მენეჯერი უნდა ფლობდეს წინასწარმეტყველების, განჭვრეტის უნარს, იყოს კომპეტენტური, გამოირჩეოდეს ჯანმრთელობით, გააჩნდეს განვითარებული ინტელექტი, კულტურის მაღალი დონე და ზნეობა. თანამედროვე თეორეტიკოსები ასევე განიხილავენ იმ თვისებებსა და მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია იდეალური მენეჯერისათვის.

რადგან საწარმოს განვითარების პროცესში მუშაობის პირობები იცვლება და ბუნებრივია, რომ უნდა შეიცვალოს, ამიტომაც ცხადია, რომ მენეჯერს უნდა გააჩნდეს უნარი ცვალოს ხელმძღვანელობის მეთოდები და სტილი შექმნილი პირობების შესაბამისად. სწორედ ამაში მდგომარეობს მენეჯერის უნარი ნებისმიერ პირობებში წარმატებით მართოს საწარმო.

იმისათვის, რომ კვალიფიციურად მართოს, თანამედროვე მენეჯერს აუცილებლად უნდა გააჩნდეს დაკავებული თანამდებობისათვის შესატყვისი არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ცოდნა.

რეალობა ცხადყოფს, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან, რომლებიც ფლობენ შესაბამის ცოდნას, ყველას არ შეუძლია წარმატებით მართოს საწარმო. მენეჯერისათვის აუცილებელია გააჩნდეს ორგანიზატორული უნარი, რადგანაც საწარმოთა მართვა მდგო-მარეობს პირველ ყოვლისა ადამიანთა ჯგუფის, საწარმოს კოლექტივის ან მისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელობაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მენეჯერის უნარს, სწორად შეირჩიოს უახლოესი თანამოსაქმეები, ზუსტად გაანაწილოს თითოეულ მათგანზე ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, მისცეს მათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ წარმოების პროცესში წამოჭრილი საკითხები თავიანთი ქვედანაყოფის მუშაობაში ოპერატიული კონტროლის შენარჩუნებით.

მენეჯერისათვის მთავარს წარმოადგენს ადამიანთა შეცნობა და გაგება, მომუშავეთა შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური განსაკუთრებულობების სწორად შეფასების ცოდნა, კოლექტივის წევრთა აზრის, რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის ყურისგდება, მათი ინიციატივის მხარდაჭერა და პრაქტიკაში გამოყენება.

მიუხედავად იმისა მენეჯერი ქალია თუ მამაკაცი, ნებისმიერი მათგანი მოიაზრება არა მხოლოდ მენეჯერად, არამედ ლიდერადაც. ხშირად შეცდომით აიგივებენ და იდენტურად აღიქვამენ ტერმინებს „მენეჯერი“ და „ლიდერი“. კარგი მენეჯერი ყოველთვის არ გვევლინება კარგ ლიდერად, ან კიდევ პირიქით. თუმცა იდეალური არის, როდესაც მენეჯერს აქვს ლიდერის თვისებები. და რა ვიცით ჩვენ მენეჯერის და ლიდერის თვისებებზე? რა განსხვავებაა მათ შორის?

მენეჯერი – ეს ის ადამიანია, რომელიც სხვის საქმიანობას წარმართავს და პირადად აგებს პასუხს მისი შესრულების შედეგებზე. კარგი მენეჯერი აწესრიგებს და ხელმძღვანელობს შესასრულებელი სამუშაოს სწორი თანმიმდევრობითა და ხარისხიანად შესრულებას. თავის ურთიერთობას დაქვემდებარებულებთან დასახული მიზნების ფარგლებში ის აგებს ფაქტებზე დაყრდნობით.

მენეჯერისაგან განსხვავებით, ლიდერი ძალაუფლებას და სხვათა მიერ აღიარებას არ კარგავს არაფორმალურ და არასამუშაო გარემოში. ლიდერს თანამოაზრეები ჰყავს, მენეჯერს კი - ხელქვეითები. ლიდერი წარმატების ახალ გზებს ეძებს, მენეჯერისგან განსხვავებით, არ ეშინია არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღებისა. თუ მენეჯერი ცდილობს თავიდან აირიდოს ნებისმიერი კონფლიქტი, ლიდერი ცდილობს, ეს კონფლიქტი სათავისოდ გამოიყენოს, დასკვნები გამოიტანოს და მომავალში გაითვალისწინოს.

გადაწყვეტილება მმართველობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია. გადაწყვეტილების მიღების გარეშე არც ერთი საქმიანობა არ განხორციელდება. გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს ალტერნატივის არჩევას. გადაწყვეტილების მიღებისათვის განხორციელებული ქმედებები დაიყვანება მოქმედების მიმართულების შერჩევაზე. საერთოდ ძნელია კარგი გადაწყვეტილების მიღება. კონკრეტული ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოქმედებს პირველ რიგში მის პირად ცხოვრებაზე და ნაკლებად უკავშირდება სხვა ადამიანებს; მენეჯერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე კი დამოკიდებულია სხვა ადამიანების ბედი.

მენეჯერი ირჩევს მოქმედების მიმართულებას არა მხოლოდ თავისთვის, არამედ მთელი ორგანიზაციისთვისაც. ამიტომ ის დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს გადაწყვეტილების მიღების საკითხს;

მართვის პროცესში გამოყენებული გადაწყვეტილებათა მიღების ნებისმიერი მეთოდი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოდელირების სახესხვაობა. მათ მიეკუთვნება საგადასახადო მატრიცა და „გადაწყვეტილებათა ხე“.

საგადასახადო მატრიცა სტატისტიკის ერთ–ერთი მეთოდია, რომლის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური ვარიანტის არჩევის პროცესში.

„გადაწყვეტილებათა ხე“ გადაწყვეტილებათა მიღების პრობლემების სქემატური წარმოდგენაა. მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მოქმედების უკეთესი მიმართულების შერჩევა არსებული ვარიანტებიდან. „გადაწყვეტილებათა ხე“ შესაძლებლობას აძლევს მენეჯერს შეუდაროს ერთმანეთს სხვადასხვა მოქმედების შედეგი მოსალოდნელი ალბათობის

გათვალისწინებით. მოსალოდნელი მნიშვნელობის კონცეფცია განუყოფელი ნაწილია „გადაწყვეტილებათა ხის“ მეთოდისა. „გადაწყვეტილებათა ხის“ მეთოდი შეიძლება გამოიყენონ იმავე სიტუაციებში, რომლებშიც სარგებლობენ საგადასახადო მატრიცით. ამასთან ის შეიძლება აიგოს უფრო რთულ სიტუაციებში, როცა ერთი გადაწყვეტილების შედეგები მოქმედებს შემდგომ გადაწყვეტილებებზე. ამრიგად, «გადაწყვეტილებათა ხე» სასარგებლო ინსტრუმენტია თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მისაღებად.

მოდელირება დღეისათვის ერთადერთი სისტემატიზებული ხერხია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მომავლის ვარიანტების დანახვა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების პოტენციური შედეგების განსაზღვრა.

როგორც მოდელირების მეთოდი, იმიტაცია მოდელის შექმნისა და რეალური სიტუაციის ცვლილებების განსაზღვრისათვის მისი ექსპერიმენტული გამოყენების პროცესს აღნიშნავს. იმიტაცია გამოიყენება ძალიან რთულ სიტუაციაში, როცა ძნელდება წრფივი პროგრამირების ტიპის მათემატიკური მოდელების გამოყენება.

გადაწყვეტილების მიღების მეთოდები პრაქტიკაში წარმატებითაც რომ გამოიყენონ, საჭიროა მისი პერიოდულად განახლება ორგანიზაციის გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტის თეორიები, მეცნიერული მართვის სკოლა, მმართველი, დიპლომატი, ლიდერი, აღმზრდელი, ნოვატორი, გადაწყვეტილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე.,თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, 2010: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. თევდორაძე მ., ნასყიდაშვილი ნ.და სხვ. 2009: მენეჯმენტი. სტუ, თბილისი.
3. შენგელია თ., 2008: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები.თბილისი.
4. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., 2011: ბიზნესის საფუძვლები. უნივერსალი. თბილისი.
5. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., 2008: მენეჯმენტის საფუძვლები. უნივერსალი,თბილისი.

Ekaterine Ukleba
Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The Manager as an Education Specialist and His/Her Role in the Decision Making

Summary

The main purpose of this paper is to discuss modern concepts of management and to study the personal characteristics of the manager and decision-making methods based on it; Develop and implement an effective management strategy focused on market relations criteria. The paper discusses the business management process and the merits and demerits of the management style. The practical implementation of the recommendations proposed in the paper will enhance the role of the manager in the conduct of the activity.

Keywords: Management Theories, School of Scientific Management, Ruler, Diplomat, Leader, Educator, Innovator, Decision maker.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

იან ამოს კომენიუსის „მათეტიკის“ პრინციპები

„პრინციპი“ ლათინური წარმოშობის (Principium) სიტყვაა და ნიშნავს „საწყისს“ ან „საფუძველს“, საყრდენ დებულებას. მომავალი თაობის სწავლისა და აღზრდის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების იმ მიმართულებას, იმ ამოსავალ, საყრდენ დებულებას, რომლითაც წარიმართება მუშაობა.

დღემდე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ჩვენ ვიცნობდით მხოლოდ ზოგადპედაგოგიკურ (აღმზრდელობითი სწავლების, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების გათვალისწინება სწავლების პროცესში) და დიდაქტიკურ პრინციპებს (თვალსაჩინოების, შეგნებულობის და აქტიურობის, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, ცოდნის სისტემატურობისა და თანმიმდევრობის, ცოდნის მტკიცედ შეთვისებისა და განმეორების პრინციპი). ამჟამად ჩვენ გთავაზობთ იან ამოს კომენიუსის მიერ „მათეტიკაში“ ჩამოყალიბებულ სწავლის პრინციპებს: „1. **ინტენციონალიზმის (განზრახვის) პრინციპი; 2. შემეცნების (შეცნობის) პრინციპი; 3. სწავლებაში დამატებულობის პრინციპი; 4. შემსწავლელის აქტივობის პრინციპი; 5. ავტოფსიის-მგრძნობელობითი აღქმის პრინციპი; 6. სამთა კავშირის-გრძნობის, გონებისა და რწმენის პრინციპი; 7. მგრძნობელობითი შემეცნების სისრულის (სისავსის) პრინციპი; 8. მიზეზობრიობის პრინციპი; 9. ქიმერიზმის პრინციპი (უნაყოფო იმედი); 10. თავდაპირველობის პრინციპი“ (Меськов., Зискин.,. Сабанина 2018 : 74**), რომელთა გარეშე კომენიუსს შეუძლებლად მიაჩნია მოსწავლის განვითარება.

სწავლის „მათეტიკური“ პრინციპები არის სწავლის პროცესის ამოსავალი დებულება, რომელიც უკავშირდება შემეცნების პროცესის არსს და მას საქმე აქვს სინამდვილის ასახვასთან მოსწავლის ცნობიერებაში. ამდენად მათეტიკური პრინციპების მეთოდოლოგიურ საფუძველს შემეცნების თეორია წარმოადგენს.

მოკლედ განვიხილოთ ზემოთ დასახელებული მათეტიკური პრინციპები.

ინტენციონალიზმის (განზრახვის) პრინციპი. ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების პირველ წყაროს წარმოადგენს საგანი, რომელიც მოქმედებს მის გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებას. ბავშვმა რომ ისწავლოს, საგანმა უნდა იმოქმედოს მის გრძნობათა ორგანოებზე. **ინტენციონალიზმის (განზრახვის) პრინციპი** გულისხმობს, რომ ადამიანისთვის საკმარისი არ არის ის, რაც იცის, არამედ მან უნდა ეძებოს საგნის ცხადად გაგების გზები და საშუალებები და ამის შემდეგ გადავიდეს პრაქტიკულ ქმედებაზე; საგნების გაგება მდგომარეობს ყოველი საგნის (ნივთის) სტრუქტურის სწორ გახსნაში, გამომჟღავნებაში. საგნის გამოყენება ხდება ნათელი (ცხადი), თუ ვაჩვენებთ, რომ, ასეთი სახით აგებული საგანი, შესაძლებელია გამოყენებული იქნას ადრე დაწყებული მიზნის მისაღწევად, ხოლო საგნის გამართულობა (მოწესრიგებულობა) ჩნდება მაშინ, როდესაც დასასრული შეესაბამება დასაწყისს და ერთი გამოხატავს განზრახვას, ხოლო მეორე შედეგს **(ბასილაძე 2020:83).**

ზემოთქმულიდან გამომდინარე იან ამოს კომენისი იძლევა ასეთ შეგონებას **(Меськов., Зискин.,. Сабанина 2018 : 74):**

• არაფერი არ არის ისეთი, რომლის შემეცნება(შეცნობა) არ შეიძლება;

• არაფერი არ შეიძლება (შეიცნო) შეიმეცნო, თუ მისი გაგება არ შეიძლება;

• არ არის საკმარისი მხოლოდ გაიგო საგანი. აუცილებელია აჩვენო ის პრაქტიკაში (გამოყენებაში).

შემეცნების (შეცნობის) პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელებისას კომენიუსი ამოდის შემეცნების თეორიიდან. ბავშვმა რომ ცოდნა შეიძინოს, აუცილებელია ყველაფერი შეიმეცნოს თვითონ, ან სხვებისგან, მაგრამ ყველაზე საუკეთესო გზა ეს არის, გაიგოს თავად თვით საგნებისგან; თუ გინდათ, რომ ბავშვმა კარგად იცოდეს, მან უნდა შეისწავლოს (თუ სწრაფად _ მაშინ სწრაფად, თუ ბევრი _ მაშინ ბევრი), ხოლო თუ უნდა ზუსტად და სწორად იცოდეს საგანი, ისწავლოს სწორად, სერიოზულად, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არა მარტო სწავლობდა, არამედ შეისწავლა და სრულყოფილად დაეუფლა საგანს, რომ მან ეს საგანი იცის. უკეთესია ბავშვზე თქვან, რომ არის გამგებიანი, გამოცდილების მქონე, ვიდრე გაწვრთვნილი მცოდნე. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენხანს უსმენდა მასწავლებელს, ან რამდენად ხანგრძლივად შეუძლია იმსჯელოს საკუთარ შრომებზე, როგორია შრომის შედეგი **(ბასილაძე 2020:83-84).**

სწავლებაში დამატებულობის პრინციპი. ცნობილია, რომ ნებისმიერი საქმიანობის წარმატებას განაპირობებს ბავშვის კეთილსინდისერი დამოკიდებულება. ბავშვის სწავლება სრულდება მაშინ, როდესაც საგნები სწორადაა მიმართული გრძნობებისაკენ. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ სასწავლო მასალა ისე იქნას მიწოდებული, რომ მას მოსწავლე ადვილად ითვისებდეს. მაგრამ ამ პრინციპით კეთილსინდისიერად შესრულების პირობებშიც კი არ გამოდგებიან ისინი, ვისაც (**Меськов, Зискин, Сабанина 2018: 75)** :

• დაკარგული აქვთ რამდენიმე ან ერთი, რომელიმე მნიშვნელოვანი გრძნობა;
• არ შესწევთ უნარი, სათანადო სახით გამოიყენონ ჭკუა (გონება);
• განურჩევლად ადვილად იჯერებენ ყველაფერს;
• ან შეცდომის დაშვების შიშით არაფერს არ ახორციელებენ;
• არ შესწევთ უნარი შეარჩიონ საშუალო და დაიცვან ის.

შემსწავლელის აქტივობის პრინციპი. მოსწავლეთა აქტივობის გამოწვევის ერთ-ერთ ძირითად პირობას სწავლა/სწავლების პროცესში ინტერესის (მოტივაციის-ი.ბ.) გამოწვევა წარმოადგენს. ინტერესი (მოტივაცია-ი.ბ.) იწვევს მოსწავლის დადებით განწყობას სწავლისადმი. მასწავლებლის დამოკიდებულება ბავშვებისადმი არ უნდა იყოს უხამსი. მან მრავალფეროვანი უნდა გახადოს სწავლა/სწავლების პროცესი, დააინტერესოს მოსწავლე შესასწავლი მასალით და დაანახოს მათ ფაქტებისა და ცნებების პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობა.

კომენიუსის მათეტიკური კონცეფციის მიხევით სწავლის პროცესში წამყვანია შინაგანი მოტივაცია, რასაც საფუძვლად თავად ბავშვების ინტერესი უდევს სასწავლო საქმიანობისადმი. ბავშვებს მრავალფეროვანი აქტივობების პირობებში არჩევანის საშუალება ეძლევათ, ხოლო მასწავლებელს – ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომის განხორციელების. რადგან ბავშვები შინაგანად მოტივირებულები არიან, მათ მასწავლებლის ნაკლები დახმარება ესაჭიროებათ. ხშირად კვლევისას დამოუკიდელად იღებენ გადაწყვეტილებებს, უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის უნარი, ეხმარებიან ერთმანეთს და თანამშრომლობენ. ბავშვები დასახული მიზნისთვის ძალისხმევას არ იშურებენ, უწევთ სიძნელის გადალახვა და

ხშირად თავად ეს პროცესი უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია ბავშვების სწავლა-აღზრდისა და განვითარებისათვის, ვიდრე კონკრეტული შედეგი, რადგან გარკვეულწილად თავად უძღვებიან საკუთარ სწავლას **(ბასილაძე 2020:84).**

ავტოფსიის-მგრძნობელობითი აღქმის პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელებისას, როგორც ინტენციონალიზმის (განზრახვის) პრინციპისას, კომენიუსი ამოდის შემეცნების თეორიიდან. ბავშვმა რომ ცოდნა შეიძინოს, აუცილებელია, ყველაფერი შეიმეცნოს თვითონ, ან სხვებისგან, მაგრამ ყველაზე საუკეთესო გზა ეს არის, გაიგოს თავად თვით საგნებისგან, გრძნობების მეშვეობით. კომენიუსი თვლის, რომ გრძნობები _ ეს არის შემეცნების ყველაზე საიმედო და მთავარი საშუალება. რადგან ინტელექტში არ არის არაფერი, რაც მანამდე არ არსებობდა გრძნობით აღქმაში. გრძნობები უშუალოდ მიმართულია საგნებზე და აღიქვამენ მათ იმიტომ, რომ გონება-ეს მხოლოდ საგნების დამოწმება კი არ არის, ეს არის რწმენა, რომელიც მოწმობს საგნებს. ბავშვმა პირველ რიგში უნდა ისარგებლოს, ე.ი., შეიმეცნოს საგანი შეგრძნებების საშუალებით **(ბასილაძე 2020:85).**

სამთა კავშირის-გრძნობის, გონებისა და რწმენის პრინციპი. თუ გვინდა, რომ ბავშვმა საფუძვლიანად შეისწავლოს საგანი, აღიქვას ის და შეიმეცნოს გონებაში, აუცილებელია გონების, გრძნობისა და რწმენის პრინციპის ერთიანობა. ამ პრინციპის სწავლის პროცესში განხორციელებისათვის იან ამოს კომენიუსი ასეთ რჩევას აძლევს მოსწავლეს **(Меськов., Зискин.,. Сабанина 2018: 75-76):**

- იმ საგნების მიმართ, რომლებიც შეიძლება აღვიქვათ მხედველობით, სმენით ან ხელის შეხებით, დაუჯერე მხოლოდ შენს თვალებს, ყურებს და ხელებს;
- იმ საგნების მიმართ არ დაიჯერო არაფერი, რომელთა შესახებ შენ გესმის სხვებისგან, ყველა შემთხვევაში დარწმუნდი თვითონ მათ შესაძლებლობაში;
- საღმრთო საქმეებში მხოლოდ ღმერთს დაუჯერე, ე.ი., ეცადე იყო დარწმუნებული, რომ ეს არის ღმერთის სიტყვები, რომელსაც არასდროს არ ეშლება და არც შეიძლება შეეშალოს;
- აზრი, რომელსაც შენ აღიქვამ, სწორედ ღმერთს ეკუთვნის და არ წარმოადგენს ადამიანის მიერ გამოგონებულს;
- როდესაც მგრძნობელობითი აღქმა უძლურია, მას უნდა შეაშველოთ სხვა რაიმე;
- ყოველი შემთხვევისას, როდესაც ინტელექტი არ აღიქვამს საგნის არსს, მის დასახმარებლად უნდა მოვიზიდოთ სხვა რაიმე;

მგრძნობელობითი შემეცნების სისრულის (სისავსის) პრინციპი. ამ პრინციპად კომენიუსს ესმის ის სწავლება, რომელიც დამყარებულია გრძნობად აღქმაზე. მაშასადამე, ის საგნები, რომლებიც აღიქმება მხედველობით, შეხებით (შეგრძნებით), სმენით, ყნოსვით და ა.შ. უნდა იქცნენ გრძნობების ობიექტად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ან თავისთავად, ან მათი ჩანაცვლებებით. ბავშვის თვალებს ხომ არ შეუძლიათ თავისთავად ანათონ, არ წარმოისახონ თავისთვის ფერები ან მეორადი საგნები; ყველაფერი ეს უნდა ვეძებოთ გარეთ. ასევე ყურებსაც არ შეუძლია თვითონ ჟღერა, ან თავის თავს უმღეროს, რადგან ყველა მათგანი თავისთავად არის მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი საშუალებები. აღნიშნული პრინციპის გამოყენებისათვის სწავლა/სწავლების პროცესში კომენიუსი იძლევა ასეთ მითითებას **(Меськов., Зискин.,. Сабанина 2018: 76) :**

- ვერც ერთ საგანს ვერ შევიგრძნობთ და აღვიქვამთ, თუ ის არ იქნება გრძნობის ობიექტი;
- გრძნობები უნდა იყოს ადეკვატური;
- გრძნობები, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა იყოს მრავალრიცხოვანი;
- გრძნობები გამოყენებულ უნდა იქნას სათანადო სახით.

მიზეზობრიობის პრინციპი. კომენიუსის გაგებით ცოდნა - ეს არის საგნების მიზეზების ცოდნა; ხოლო შესწავლა - ეს არის ეძიო საგნების მიზეზები, რაც ნიშნავს, რომ შენ ყურადღებით და ზუსტად შეისწავლე საგანი. მაშინ, როდესაც ბავშვი დაეუფლება საგნების მიზეზებს ისე, რომ მან არა მარტო იცის რას წარმოადგენს ის და რა სახით არსებობს და როგორ შეიძლება არსებობდეს სხვაგვარად, ამ შემთხვევაში ბავშვს შეძულია გამოიყვანოს ერთი მეორესაგან.

კომენიუსის აზრით, მიზეზი არ არსებობს საფუძვლის გარეშე. თუ ბავშვს უნდა შეიმეცნოს საგნების მიზეზები, მაშინ უნდა ეცადოს და გაიგოს, გამოიკვლიოს მიზეზები **(Меськов., Зискин.,. Сабанина 2018: 77):**

- არსებობს თუ არა ის? ჩაწვდეს არარსებულს;
- რა არის ის? განსაზღვროს საგნის სახეობა და განმამსხვავებელი თავისებურებები;
- როგორია ის? გამოიკვლიოს მისი ყველა ნიშანთვისება;
- რა სახით არსებობს ის? და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმული შეიმეცნება (შეიცნობა) ანალოგიურისა და შედარების საშუალებით და გამოჩნდება განსხვავება და მსგავსება, საწინააღმდეგო და საპირისპირო, რომლებიც ყველაზე უკეთ ხსნის თავის თავს.

კომენიუსს მიაჩნია, რომ ბუნება გვაძლევს მსჯელობების მკაფიო ნორმებს, რომელთა საშუალებით ვიმსჯელოთ ჭეშმარიტებასა და სიცრუეზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ჯეროვანსა და არასათანადოზე; ნორმები წარმოადგენენ თავისთავად მაღალ ჭეშმარიტეტებს, ე.ი., მსჯელობები უცვლელი და მარადიული ჭეშმარიტებაა. ეს ჭეშმარიტებები გამომდინარეობს ფიქრის, განჭვრეტის, მსჯელობის მეშვეობით. რაციონალური შემეცნება კი ხორციელდება ძირითადად მიზეზთა გამოკვლევით. ჩვენი გონება ისეა მოწყობილი, რომ მანამ არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას, სანამ იგი არ მიაღწევს მიზეზების სიღრმეს, რაც აძლევს მას (გონებას-ი.ბ.) უფლებას მიეცეს დასვენებას.

ქიმერიზმის პრინციპი (უნაყოფო იმედი). ამ პრინციპის განხორციელებისას იან ამოს კომენიუსი ასეთ რჩევას იძლევა:

- საგნების შემეცნებისას არ უნდა შეგვეშინდეს სიძნელისა, სიძნელის განცდის, რადგან პროცესში უარვყოფთ გრძნობებს და მივმართავთ წიგნებს. ბავშვები ზედმეტად ენდობიან სხვის შეხედულებებს და მთლიანად არიან მათზე დამოკიდებული;
- შედეგად გამოდის, რომ ისინი გონს, ჭკუას გადასცემენ ცრურწმენის ძალას და თვითონვე გამოდიან დამაბრკოლებლად ჭეშმარიტების შეცნობაში;
- ვისაც არ ეშინია სიძნელის და ვინც არ უარყოფს გრძნობებს, იკვლევს და ეძიებს თანდათან, სათანადო წესით მიიწევს წინ და ადვილად აღწევს მწვერვალს.

თავდაპირველობის პრინციპი. იან ამოს კომენიუსი თავდაპირველობის პრინციპის ასეთ ინტერპრეტაციას იძლევა **(Меськов., Зискин.,. Сабанина 2018 : 78) :**

- არ არის ისეთი ენა, მეცნიერება, ხელოვნება და სიბრძნე, რომელთაც არ ჰქონდეთ თავისი მარტივი (უბრალო) შემადგენელი, ასე ვთქვათ საწყისები და ელემენტები, რომელთა შეკრებით და სხვადასხვაგვარი განლაგებით აღმოცენდება მრავალი სხვადასხვაფეროვნება;
- საწყისების სწორი ფორმულირებიდან დაწყება ხომ ყოველთვის ქმნის გასაოცარ ნათელ, მოხერხებულ, უფრო მეტიც, სწავლებისა და შემეცნების მცირე მეთოდს.

დიდი პედაგოგი მიიჩნევს, რომ თითოეული პრინციპის არასრულფასოვანი შეფასება იწვევს სწავლის პროცესის ეფექტურობის დაქვეითებას. მათი პრინციპულად და თანმიმ-

დევრულად განხორციელება არის საშუალება და საუკეთესო გზა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მაღალხარისხოვნად გადაწყვეტისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისა **(ბასილაძე 2020: 88).**

ამრიგად, ზოგადპედაგოგიკური, დიდაქტიკური და მათეტიკური პრინციპები დასაყ-რდენი და სახელმძღვანელო დებულებებია სწავლა/სწავლების პროცესში, რომლის გარეშე შეუძლებელია სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვა.

საკვანძო სიტყვები: მათეტიკა, ავტოფსია, ქიმერიზმი, შემსწავლელის აქტივობის პრინციპი, სისრულის პრინციპი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე 2020: ბასილაძე ი, ღვინერია ე., იან ამოს კომენიუსის „მათეტიკა“(სწავლის თეორია), ქუთაისი, 2020.

2. ბასილაძე 2020: ბასილაძე ი., ღვინერია ე., პარადიგმის ცვლილება - სწავლების პარადიგმიდან სწავლის პარადიგმამდე (დიდაქტიკიდან - მათეტიკამდე), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
ჟურნალი სკოლის მართვა, № 2, 2020, ISSN 1512-0279, www.tpdc.ge

3. Spicilegim Didacticum 1680: Spicilegim Didacticum., Artium Difcendi ac Docendi Summam brevibus Preceptis exhibens. e MSStis Cl.J. A.Comenni colleElum editium, a C.V.N. Amstelodami, Typis Christophori Cunradi, 1680., https://books.google.com

4. Mathetik 2017: Mathetik: die Wissenschaft vom Lernen – THM-Wiki, https: //wiki.thm.de/ProTWA:_Mathetik., 2017.

5. Меськов 2018: Меськов В.С., Зискин К.Е.,. СабанинаН.Р., ВВЕДЕНИЕ В МАТЕТИКУ, Книга 1, Научно-методологическое издание, Москва, 2018., УДК 16:1(091)ББК 74.03М53

Imeri Basiladze

Professor at Akaki Tsereteli State University

"Mathematics" Principles of Jan Amos Comenius

Summary

The paper deals with the principles of teaching established in mathematics by the great Czech teacher Jan Amos Komenius: The principle of intentionalism, the principle of cognition, the principle of complementarity in teaching, the principle of learner activity, the principle of autopsy sensory cognition, the principle of the union of the three - sense, mind and faith, the principle of completeness of sensory cognition, the principle of causality, the principle of chimerism (vain hope), the principle of originality.

Keywords: Mathematics, autopsy, chimerism, the principle of learner activity, the principle of completeness.

ნოდარ ბასილიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

„მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“

(ვასილ სუხომლინსკის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო)

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მუხლჩაუხრელი, ერისა და ქვეყნისადმი თავდადებული შრომით სიცოცხლეშივე იდგამენ უკვდავების ძეგლს და თავისებურ იდეალად, ეტალონად რჩებიან მომავალი თაობისათვის.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა მე-20 საუკუნის დიდი უკრაინელი პედაგოგი, კიროვოგრადის ოლქის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, უკრაინის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (მეცნიერების დარგში), ქალაქ კიროვოგრადის საპატიო მოქალაქე, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი ვასილ სუხომლინსკი.

დაიბადა იგი 1918 წლის 28 სექტემბერს უკრაინაში, ხერსონის გუბერნიის (ამჟამად კიროვოგრადის ოლქი) სოფელ ვასილევკაში, ღარიბი უკრაინელი გლეხის ალექსანდრე სუხომლინსკის ოჯახში. ალ. სუხომლინსკისა და მის მეუღლეს ოქსანას ოთხი შვილი ჰყავდათ – სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი და ოთხივემ თავიანთ მომავალ პროფესიად პედაგოგობა აირჩია.

ვ. სუხომლინსკი პატარაობისას ოცნებობდა ექიმობაზე და ვასილევკის არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამედიცინო ტექნიკუმში შეიტანა საბუთები, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და სწავლა განაგრძო მუშფაკში, რომელიც ვადამდე დაამთავრა და 1934 წელს კრემენჩუგის სამასწავლებლო ინსტიტუტის უკრაინული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. პირველი კურსის დანთავრების შემდეგ იგი ავადმყოფობის გამო გადადის პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე და მუშაობას იწყებს უკრაინული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ჯერ ზიბკოვოს, ხოლო შემდეგ ვასილევკის 7-წლიან სკოლაში, სადაც ადრე თვითონ სწავლობდა. 1939 წელს იგი ამთავრებს ინსტიტუტს და მუშაობას განაგრძობს ონუფრიევის რაიონული ცენტრის საშუალო სკოლაში. ცოტა ხნის შემდეგ მას აწინაურებენ სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 1939 წელს იგი ირთავს ცოლს. მისი მეუღლე ვერა პოვშაც პედაგოგი იყო – ინგლისური ენის მასწავლებელი. ისინი ფიქრობდნენ სკოლაში ერთად მუშაობას, მაგრამ მათი იმედები ომმა დაამსხვრია. ვასილი ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაეშურა, ვერა კი პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება. მალე ვერა ფაშისტებმა შეიპყრეს და დილეგში ჩასვეს. აქ ვერას ვაჟიშვილი შეეძინა. ფაშისტმა ოფიცერმა ვერას სთხოვა პარტიზანული რაზმის

ხელმძღვანელის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში შვილს მოუკლავდა, მაგრამ ვერამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. ამიტომ ფაშისტმა ჩვილ ბავშვს დედის თვალწინ ავტომატის კონდახით თავი გაუთქლიფა, ვერას კი თვალები დათხარა და ციხის ეზოში მეზობლების თანდასწრებით ჩამოახრჩო.

1942 წლის თებერვალში სუხომლინსკი მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და უდმურტეტის ქალაქ იჟევსკში ევაკუირებულ ჰოსპიტალში გაგზავნეს, სადაც ხუთი თვე დაჰყო. გამოჯანმრთელებულ, მაგრამ მკლავდაზიანებულ პედაგოგს (ჭრილობისა და ოპერაციის შემდეგ მარცხენა ხელი 6 სანტიმეტრით დაუმოკლდა) ნიშნავენ დაბა უვის საშუალო სკოლის დირექტორად, 1944 წელს კი ახლად შერთულ მეორე ცოლთან ერთად ბრუნდება გერმანელებისაგან უკვე განთავისუფლებულ უკრაინაში და ინიშნება ონუფრიევის რაიონის განთლების განყოფილების გამგედ, ხოლო 1948 წელს – კიროვოგრადის ოლქის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორად, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც იყო იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორობის პერიოდში ვ. სუხომლინსკიმ გადაწყვიტა, ემოღვაწა პედაგოგიკის თეორიაში. ადრე იგი გატაცებული იყო ლიტერატურით, წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებსა და ზღაპრებს.

პირველ პედაგოგიკურ სტატიებსა და წიგნებს ავტორისათვის დიდი წარმატებები არ მოუტანია, პირიქით, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. უწუნებდნენ უკომფლიქტობას, „ვარდისფერი სათვალით“ სინამდვილის ჭვრეტას, მაგრამ მალე ვ. სუხომლინსკის სახელი პოპულარული ხდება. 1955 წელს იგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ენიჭება პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1957 წელს მას ირჩევენ რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1968 წელს – სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავე წელს ვ. სუხომლინსკის ენიჭება სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

უკვე საქვეყნოდ ცნობილ პედაგოგს იწვევენ ოდესის, კიროვოგრადის, პოლტავისა და სხვა ქალაქების პედაგოგიური ინსტიტუტები, სთავაზობენ კათედრას, მაგრამ იგი ამჯობინებს სოფლად დარჩენას – წერს და აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს, წიგნებს. იგი ავტორია ორმოცდაათამდე წიგნისა და ექვსასამდე საგაზეთო და საჟურნალო სტატიისა, ასევე 1000-ზე მეტი მინიატურული საბავშვო მოთხრობისა.

მისი წიგნებიდან ყველაზე უფრო ცნობილია: „გულს ვუძღვნი ბავშვებს“,

„მოქალაქის დაბადება“, „წერილები ვაჟიშვილს“, „საუბარი სკოლის ახალბედა დირექტორთან“, „პავლიშის საშუალო სკოლა“, „ასი რჩევა მასწავლებელს“, „როგორ აღვზარდოთ ნამდვილი ადამიანი“, „ფიქრები ადამიანზე“, „გჯეროდეთ ადამიანისა“, „კოლექტივიზმის აღზრდა მოსწავლეებში“, „მშობელთა პედაგოგიკა“, „გულში რომ სამშობლო ცოცხლობდეს“, „როგორ აღვზარდოთ მამაცი თაობა“ და მრავალი სხვა.

დაუღალავმა და გადაჭარბებულმა შრომამ უდროოდ გატეხა ვ. სუხომლინსკის ჯანმრთელობა, რასაც ომისდროინდელმა ჭრილობებმაც შეუწყო ხელი. გარდაიცვალა იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში – 51 წლის ასაკში, საოპერაციო მაგიდაზე, 1970 წლის 2 სექტემბერს.

სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების იდეას. ამ პრობლემას მან მიუძღვნა თავისი სადოქტორო დისერტაცია, რომლის დაცვაც ვერ მოასწრო, ნაადრევმა სიკვდილმა

არ მისცა ამის შესაძლებლობა. ეს ნაშრომია „ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდის პრობლემები“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა კიევში, 1979 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ვ. სუხომლინსკის ნაშრომები გამსჭვალულია ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ინტერ-ნაციონალიზმის, კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობისა და სხვა მაღალზნეობრივი იდე-ებით. იგი მოითხოვდა ბავშვებში, უწინარეს ყოვლისა, კეთილი გრძნობების გაღვივებას, რამეთუ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ, „კეთილი გრძნობები სინდისის ერთგული დარაჯია“, სინდისი კი კაცობის, ადამიანობის უპირველესი ნიშანია. ყველაზე დიდ მანკიერებად სუხომლინსკის მიაჩნდა გულგრილობა. „საცა გულგრილობაა, იქ არ არის ნამდვილი პიროვნება“, – აღნიშნავდა იგი და მოუწოდებდა მასწავლებლებს, აღეზარდათ მოსწავლეები ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებად.

ვ. სუხომლინსკი, როგორც წესი, სწავლებასა და აღზრდას ერთ მთლიანობაში განიხილავდა, მაგრამ სწავლებასთან შედარებით წინა პლანზე მუდამ აღზრდას აყენებდა. ყველა ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და პედაგოგი ვერ გახდება, მაგრამ ნამდვილ ადამიანად ყველა უნდა იქცესო, ამბობდა იგი. ადამიანს, რომელსაც განათლება აქვს მიღებული, მაგრამ არაა აღზრდილი, სუხომლინსკი განათლებულ ველურს უწოდებს; განათლებული ველური კი, მისი აზრით, ასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე გაუნათლებელი. ეს ისეთივე შედარებაა, როგორც დავით გურამიშვილის „უწვრთნელი ძაღლი სჯობია, უწვრთლელი შვილის ყოლასო“.

ბავშვმა განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული უნდა გამოხატოს დედის მიმართ, მაგრამ არა ლიტონი სიტყვებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქმით და მხოლოდ საქმით. ეს იდეა კარგად აქვს გამოხატული სუხომლინსკის იგავში „მეშვიდე ქალიშვილი“. მისი შინაარსი ასეთია: ექვსი გოგონა შორი გზიდან დაბრუნებულ დედას უყვება იმის შესახებ, თუ როგორ მძიმედ განიცდიდნენ უმისობას. გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზსიტყვაობაში და აზრადაც არ მოსდით, რომ დაღლილ-დაქანცულ დედას ყურადღება და დასვენება სჭირდება. „მეშვიდემ არაფერი უთხრა, – ამბობს მწერალი, – თუმცა სათქმელი მასაც ბევრი ჰქონდა. მან დედას ფეხსაცმელები გახადა და ტაშტით წყალი მოუტანა ფეხების დასაბანად“ (სუხომლინსკი, 2020: 7).

მოსწავლეთა სულის გაფაქიზების, მათში ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვი-ვების მიზნით სუხომლინსკი თავის აღსაზრდელებს ახვედრებდა პარტიზანებს, რომელთა ოჯახები ცეცხლს მისცეს ფაშისტებმა, დამწუხრებულ დედებს, რომელთა შვილები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, მარტოდმარტო დარჩენილ მოხუცებს და ა.შ.

გულკეთილობა, სიბრალული და თანაგრძნობა ბავშვმა უნდა ისწავლოს ასევე შინაური ცხოველებისადმი მზრუნველობით, ფრინველებისა და ყვავილების მოვლა-პატრონობით. რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა, თორემ, ზოგი-ერთის აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში უარყოფით ქცევაში გადაიზრდება და მსხვილ-მანად იქცევა.

ვ. სუხომლინსკიმ ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა აიმაღლა ხმა ჩვენი ფლორისა და ფაუნისადმი ბრაკონიერული დამოკიდებულების წინააღმდეგ და გაბედულად განაცხადა, რომ „ბუნებრივი ფასეულობანი ამოუწურავი და უსასრულო არ არის“, რომ საჭიროა ბუნებისადმი სათუთი და მზრუნველი დამოკიდებულება.

ვ. სუხომლინსკის ჰუმანიზმი, ადამიანების უსაზღვრო სიყვარული, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაშიც ვლინდება. იგი სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე ზრუნავდა პატარების ჯანმრთელობაზე, რადგან ღმად იყო დარწმუნებული, რომ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მათი სუსტი ჯანმრთელობა. აღსაზრდელთა ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით იგი დაწყებით კლასებში გაკვეთილების დიდ ნაწილს გარეთ, სუფთა ჰაერზე ატარებდა, მშობლებს კი ურჩევდა, რომ ზაფხულისა და შემოდგომის თბილ ამინდებში ბავშვები დაეწვინათ ფანჩატურში ან სპეციალურად მათთვის მოწყობილ საძილე „ოთახებში“.

მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებაში ვ. სუხომლინსკი დიდ ადგილს უთმობს გონებრივ აღზრდას, რომლის ძირითად საშუალებად მიაჩნდა შეგნებული, გააზრებული სწავლება. ამ საქმეში იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა დაწყებით კლასებს. დიდ პედაგოგს გული წყდებოდა იმის გამო, რომ ბევრმა მასწავლებელმა კარგად იცის, როგორ გამოუტენოს ბავშვს თავი თეორიული ცოდნით, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს, ასწავლოს მას ფიქრი, აზროვნება, გამართული, სწრაფი კითხვა, რაც უარყოფითად მოქმედებს მის არა მარტო აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ გონებრივ აღზრდაზეც.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ვ. სუხომლინსკი სასტიკად ილაშქრებდა ცალკეული წესებისა და კანონების უაზრო ზეპირობის წინააღმდეგ, სათანადო პრაქტიკული მაგალითების ანალიზის გარეშე. ზეპირობა მას მიაჩნდა „ერთ-ერთ საშინელ უბედურებად“. ის იზიარებდა ლევ ტოლსტოის ცნობილ გამოთქმას, რომ „ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, როცა იგი მოპოვებულია გონების დაძაბვით და არა მეხსიერების წყალობით“.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უპირველეს მოვალეობად სუხომლინსკის მიაჩნდა მოსწავლეთათვის სწავლის სწავლება, მათში სწავლისადმი ინტერესის, „ცოდნის წყურვილის ცეცხლის“ გაღვივება. ეს სურვილი კი სწავლაში წარმატებას მოსდევს – „არის წარმატება, არის სწავლის სურვილიც“. სხვა გზა გულგრილობის „კედლის“ გასარღვევად არ არსებობს.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს სუხომლინსკი ხშირად ავარჯიშებდა ასევე ზღაპრებისა და პატარ-პატარა მოთხრობების წერაში. ვ. სუხომლინსკის მემორიალურ-პედაგოგიურ მუზეუმში ინახება მოსწავლეთა მიერ დაწერილი ზღაპრების ორმოცდა-ათამდე ტომი, გარკვეული ნაწილი ცალკე წიგნებადაა გამოცემული, ნაწილი კი შესულია უმცროსკლასელთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე საკითხავ ლიტერატურაში.

ვ. სუხომლინსკის აზრით, ცოდნის დონის შემოწმებისას მოსწავლეებს არასოდეს არ უნდა დავუსვათ ისეთი კითხვები, რომელთა მზამზარეული პასუხები სახელმძღვა-ნელოშია. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლემ უნდა იფიქროს, იმსჯელოს, იაზროვნოს და დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ვ. სუხომლინსკი მოსწავლეებს არასოდეს უკრძალავდა სახელმძღვანელოების გამოყენებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთ კითხვებს უსვამდა, რომლებზეც პასუხის გაცემა ფიქრის, მსჯელობისა და განვლილი მასალის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო, რადგან წიგნში პირდაპირ, მზამზარეულ პასუხს ვერსად იპოვიდით.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში ვ. სუხომლინსკი დიდ როლს ანიჭებდა ბუნებას. ბუნების სილამაზის აღქმისა და მისდამი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდის მიზნით პედაგოგს ხშირად გაჰყავდა მოსწავლეები ტყეში, მინდორში, მდინარის პირას,

სადაც ისინი უსმენდნენ „ბუნების მუსიკას“ – ხეთა შრიალს, ჩიტების ჩიკჭიკს, კალიების ჭრიჭინს, ფუტკრების ზუზუნს, ჭიანჭველების ფუსფუსს, ვარსკვლავების ციმციმს, მზის ამოსვლასა და ჩასვლას, შემდეგ კი თავიანთი შთაბეჭდილებები გადაჰქონდათ სახატავ რვეულებში ან პატარ-პატარა, მინიატურილ ზღაპრებსა და მოთხრობებში.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ კომპონენტად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდა. შრომითი აღზრდა, სუხომლინსკის აზრით, უნდა დაიწყოს ოჯახში თვით-მომსახურებით, იმ დღიდან, როცა ბავშვი ისწავლის კოვზის ხელში დაჭერას და თეფშიდან დამოუკიდებლად საჭმლის მიღებას, მაგრამ შრომა ადვილი არ უნდა იყოს, რადგან ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა ისწავლოს წინააღმდეგობის დაძლევა, დაბრკოლების გადალახვა.

შრომის სიყვარული მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ, უწინარეს ყოვლისა, სწავლების პროცესში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს სუხომლინსკი, სკოლაში ხშირად სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე – სიყვარულის ნაცვლად ბავშვებს ვაძულებთ შრომას, ვაჩვევთ უსაქმურობას, დაუმსახურებული ნიშნების მიღებას, რაც მორალურად ხრწნის, ამახინჯებს მათ სულს, რომლის აღმოფხვრა შემდგომში შეუძლებელი ხდება.

ეს პრობლემა ჩვენს დღევანდელ სკოლასაც აწუხებს, დღევანდელი სკოლის სატკივარიც არის. ამ მიმართულებით სუხომლინსკის შემდეგ ჩვენს სკოლებში თითქმის არაფერი შეცვლილა, შეიძლება ითქვას, მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

ვ. სუხომლინსკის მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, აღზრდის თეორიის საკითხებთან ერთად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დიდაქტიკის საკითხებს, თუმცა ამ საკითხებსაც იგი აღზრდის თვალსაზრისით განიხილავდა, სწავლების მთელ პროცესს მოსწავლეთა აღზრდას, ჰარმონიულ განვითარებას უკავშირებდა.

საყურადღებოა სუხომლინსკის მოსაზრებებები გაკვეთილისა და მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შემოწმება-შეფასების საკითხზე. გამოცდილი პედაგოგის აზრით, კარგი გაკვე-თილი ის კი არ არის, რომელიც ზუსტად ისე ტარდება, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი, არამედ ის, რომელსაც მასწავლებელი მისი ჩატარების პროცესში ქმნის. კარგმა მასწავლებელმა ხშირად წინასწარ არც კი იცის, როგორ წარიმართება მისი გაკვეთილი, მაგრამ მან სამაგიეროდ ძალზე კარგად იცის, როგორ მოიქცეს შექმნილი სიტუაციის დროს.

ამრიგად, მასწავლებელი უნდა იყოს გაკვეთილის შემოქმედი, ნოვატორი. მან განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება უნდა გამოიჩინოს მოსწავლეთა ცოდ-ნის შემოწმება-შეფასებისას. იგი ურჩევს პედაგოგებს, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, არ გამოიძახონ გაკვეთილზე საპასუხოდ ის მოსწავლეები, რომლებმაც განიცადეს რაიმე მწუხარება, ახლობლის გარდაცვალება. არ შეიძლება მათ მოვთხოვოთ გულმოდგინება და ბეჯითობა, ყოველ შემთხვევაში, მცირე ხნით მაინც, სანამ ბავშვი გონს მოვა, დამშვიდდება.

ვ. სუხომლინსკი კატერგორიულად ილაშქრებდა დაწყებით კლასებში, განსაკუთრებით პირველ კლასში, ორიანების დაწერის წინააღმდეგ. იგი პირველკლასელებს მანამ არ უწერდა ნიშანს, სანამ ისინი დადებით შეფასებას არ დაიმსახურებდნენ.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით, ვ. სუხომლინსკი დაწყებით კლასებში გაკვეთილების უმრავლესობას ღია ცის ქვეშ ატარებდა. სექტემბერში პატარები კლასში რჩებოდნენ არა უმეტეს 40 წუთისა დღეში, ოქტომბერში – დაახლოებით 2 საათს. ეს დრო ეთმობოდა წერასა და არითმეტიკაში ვარჯიშს, დანარჩენ 2 საათს ისინი სუფთა ჰაერზე ატარებდნენ.

საყურადღებოა ვ. სუხომლინსკის მოსაზრებები მასწავლებლის შესახებ. ი. ა. კომენსკის მსგავსად, იგი მასწავლებლის პროფესიას თვლიდა ყველაზე საპატიო, კეთილშობილურ პროფესიად, ამასთან, მისი აზრით, "არ არის ქვეყნად უფრო მძიმე, მომქანცველი სამუშაო, ვიდრე პედაგოგის შრომა" (ბასილაძე, 2000: 246).Сухомл

მასწავლებელზე მსჯელობისას ვ. სუხომლინსკი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს მის მორალურ სახეზე, ადამიანობაზე. პედაგოგმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, გვასწავლის სუხომლინსკი, რომ იგი უნდა იყოს აღსაზრდელთათვის სამაგალითო, მისაბაძი, ადამიანის საუკეთესო თვისებების მატარებელი.

მასწავლებლის ერთ-ერთ ძვირფას თვისებად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა ბავშვების სიყვარული, რაც წითელ ზოლად გასდევს მის მთელ პედაგოგიურ მოღვაწეობას. „რა იყო უმთავრესი ჩემს ცხოვრებაში? – ეკითხებოდა იგი საკუთარ თავს და უყოყმანოდ პასუხობდა – ბავშვების სიყვარული". ამ სიტყვებით იწყებს იგი თავის ყველაზე პოპულარულ წიგნს „გულს ვუძღვნი ბავშვებს".

ბედნიერი ბავშვობა რომ დაებრუნებინა, ვ. სუხომლინსკი მათთან ერთად დადიოდა ექსკურსიებზე და მიირთმევდა მოლზე გაშლილ საერთო სუფრაზე შინიდან წამოღებულ საუზმესა და სადილს, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ „არ შეიძლება იცხოვრო მშვიდად, როცა შენს გვერდით პატარა ბავშვი იტანჯება".

მასწავლებლის სხვა თვისებებიდან სუხომლინსკი ყურადღებას ამახვილებს სამართლიანობაზე, პედაგოგიურ ტაქტზე, საგნის საფუძვლიან ცოდნაზე და სხვა. მისი აზრით, „მასწავლებელმა ათჯერ, ოცჯერ მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე გაკვეთილის გადაცემისათვისაა საჭირო".

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები უნდა ახასიათებდეს სკოლის დირექტორსაც, როგორც მასწავლებელთა მასწავლებელს. მისი აზრით, „დირექტორი იგივე მასწავლებელია, მაგრამ ისეთი, რომელსაც ძალუძს, იყოს მასწავლებელთა მასწავლებელი" (ბასილაძე, 2000: 260).

პიროვნების ფორმირებაში ვ. სუხომლინსკი, სკოლასთან ერთად, უდიდეს როლს ანიჭებს ოჯახს. მამობა და დედობა მას მიაჩნდა ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის უპირველეს მოვალეობად, ყველაზე კეთილშობილურ მისიად. ბავშვს ოჯახში, პირველ ყოვლისა, უნდა ვასწავლოთ სიკეთე, ადამიანებისადმი ზრუნვა და პატივისცემა, რამეთუ სხვის სატკივარს კაცი მაშინ გრძნობს, როცა იგი რაიმეს აკეთებს ადამიანთა საკეთილდღეოდ. ვ. სუხომლინსკიმ პედაგოგიკაში დაამკვიდრა მოვალეობის კატეგორია. მას სიკეთე ვერ წარმოეგგინა მოვალეობის გარეშე. „მოვალეობა და კიდევ მოვალეობა – აი, ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, – წერდა იგი, – რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი" (სუხომლინსკი, 1981: 11). იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბავშვის განებივრების, მისი ყველა მოთხოვნის შესრულების. მისი აზრით, ბავშვმა ოჯახში უნდა ისწავლოს 3 რამ: შეიძლება, არ შეიძლება და საჭიროა.

ვ. სუხომლინსკი დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშრირ-ურთიერთობას. მთელ თავის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას იგი წარმართავდა მშობლებთან ერთად, უზიარებდა მათ თავის გეგმებსა და მოსაზრებებს. „პედაგოგიკა ყველას მეცნიერება უნდა გახდეს – მასწავლებლებისაც და მშობლებისაც“, – ამბობდა იგი და ამას საქმით ამტკიცებდა. ამიტომაც იყო, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა ყოფილ საბჭოთა კავშირში გახსნა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც იგი „მშობელთა სკოლას“ უწოდებდა და დედებსა და მამებს არკვევდა აღზრდის საიდუმლოებაში.

ვ. სუხომლინსკის მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ასევე ქალ-ვაჟთა სიყვარულის, ქორწინებისა და ოჯახის საკითხს. დიდ პედაგოგს გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმ დროს არც სკოლა და არც ოჯახი არ აცნობდა მოზარდს ოჯახის შექმნის საიდუმლოებას. საამისო საგანი სკოლაში არ ისწავლებოდა, მშობლები კი გაურბოდნენ შვილებთან ამ თემაზე საუბარს, რადგან ასეთი საუბრისთვის ხშირად თავადაც არ იყვნენ მომზადებული. ყოველივე ამას კი მოსდევდა ოჯახების დაშლა და ახალგაზრდების ცხოვრების გაუკუღმართება.

ვ. სუხომლინსკიმ ათი წლის განმავლობაში შეისწავლა 200 ოჯახის დაშლის საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქედან 189 ოჯახის დაშლის მიზეზი იყო ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მოუმზადებლობა ერთობლივი, შეთანხმებული ოჯახური ცხოვრებისათვის. ამიტომ იყო, რომ მან ჯერ კიდევ 60-იან წლებში თავისი სკოლის უფროს კლასებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველმა, ფაკულტატიური წესით შემოიღო საგანი „ოჯახური ურთიერთდამოკიდებულების კულტურა“. მისი სწავლებისას პედაგოგები ყურადღებას ამახვილებვდნენ ახალგაზრდების სიყვარულის, ქორწინების, ქალ-ვაჟთა ურთიერთდამოკიდებულების, სურვილის კულტურის, ბავშვთა ოჯახური აღზრდისა და სხვა საკითხებზე.

ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკური იდეები ძვირფასი და ახლობელია არა მარტო უკრაინელი ხალხისთვის, რომლის ღირსეული წარმომადგენელიც იგი იყო, არამედ სხვებისთვისაც. სუხომლინსკი უყვართ მთელ მსოფლიოში. ამის ნათელი დადასტურებაა მისი წიგნები, რომლებიც ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხთა ენებზე. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს.

ქართველი პედაგოგები ვ. სუხომლინსკის პედაგოგიკურ იდეებს პირველად გაეცნენ საკავშირო პედაგოგიური პრესის ფურცლებზე, ვ. სუხომლინსკის გარდაცვალების შემდეგ კი მისმა სტატიებმა და წიგნებმა ქართულ ენაზეც იწყო გამოსვლა. 1970 წელს ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ (№9) გამოქვეყნდა სუხომლინსკის სტატია „ქედუხრელთა ოჯახი“, რომელმაც მკითხველთა ფართო წრის მოწონება დაიმსახურა. მას სხვა წერილებიც მოჰყვა, 1980 წელს კი გამომცემლობა „განათლებამ“ ქართველ მკითხველს მიაწოდა სუხომლინსკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი „გულს ვუძღვნი ბავშვებს“, რომელიც, შესანიშნავად თარგმნა უკრაინაში მოღვაწე ქართველმა პოეტმა რაულ ჩილაჩავამ, მომდევნო წელს კი ქართულ ენაზე გამოვიდა ვ. სუხომლინსკის მეორე წიგნი „მშობელთა პედაგოგიკა“, ხოლო 1982 წელს – მწერალ ბორის ტარტაკოვსკის დოკუმენტური ქრონიკა „ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა“ (თარგმანი ვ. ბაიაძისა). 1996 წელს გამოვიდა ჩვენ მიერ თარგმნილი სუხომლინსკის კიდევ ერთი პოპულარული წიგნი „წერილები ვაჟიშვილს“, 2019 წელს – „ძნელად აღსაზრდელი ბავშვები“, ხოლო

მიმდინარე წელს – სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და უმცროსკლასელ მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისადმი მიძღვნილი მინიატურული მოთხრობების კრებული, სათაურით: „ეთიკის ქრესტომათია“.

ქართველ საზოგადოებას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ვ. სუხომლინსკის

როგორც ზემოთ დასახელებული წიგნები, ისე მისი საიუბილეო თარიღები. გარდა ამისა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ვ. სუხომლინსკის პედა-გოგიკური მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი წერილები. ამ საქმეში განსაკუთრებით გამო-ირჩეოდნენ პროფესორები: შ. ამონაშვილი, ზ. ცუცქირიძე, ი. ბიბილეიშვილი, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები.

ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას ჩვენ მივუძღვენით 5 წიგნი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 100-მდე საგაზეთო წერილი, ასევე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

გაივლის ათეული და ასეული წლები, თაობები შეცვლიან თაობებს, მაგრამ ვასილ სუხომლინსკის სახელი არასოდეს ამოიშლება ყოველი ჭეშმარიტი პედაგოგის მესხიერებიდან, რამეთუ თავისი პიროვნული თვისებებით, მრავალმხრიობითა და ნათელი გონებით მან გაუსწრო თავის დროსა და ეპოქას, გაუსწრო მომავალსაც და დღევანდელი პედაგოგებისათვის ისეთივე შეუვალ ავტორიტეტად იქვა, როგორიც თანამედროვეთათვის იყო. ამ თვალსაზრისით ვ. სუხომლინსკი ერთი ეპოქის შვილი არ არის – იგი ეკუთვნის წარსულს, აწმყოსაც და მომავალსაც – თავისებურ იდეალად და ეტალონად რჩება ნებისმიერი თაობის პედაგოგთათვის.

ასე იყო აქამდე და ასე იქნება მომავალშიც. ტრადიცია გრძელდება.

საკვანძო სიტყვები: ზნეობა, პატრიოტული აღზრდა, შრომითი აღზრდა, აღზრდა ოჯახში, ოჯახური ურთიერთობის კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ნ., 2000: ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა (მონოგრაფია), ბათუმი.
2. ბასილაძე ნ., 1990: ვ. ა. სუხომლინსკი, ჩვენი თანამედროვე, ბათუმი,
3.ბასილაძე ნ., 1998: ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში (მონოგრაფია), ,,ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.
4. სუხომლინსკი ვ.ა.,1980: გულს ვუძღვნი ბავშვებს, ,,განათლება“,თბილისი.
5. სუხომლინსკი ვ.ა., 2020: ეთიკის სახელმძღვანელო, ბათუმი.
6. სუხომლინსკი ვ.ა., 1981: მშობელთა პედაგოგიკა, ,,ცოდნა“,თბილისი.
7. სუხომლინსკი ვ.ა., 1996: წერილები ვაჟიშვილს, ,,ალიონი“,ბათუმი.

Nodar Basiladze
Professor of St. Tbel Abuseridze
University of the Patriarchate of Georgia,
Doctor of Pedagogical Sciences

„Sun remains bright even after sunset“

Summary

There is the 50th anniversary of the death of the great Ukrainian teacher Vasil Sukhomlinsky in September this year (He died on September 2, 1970).

In connection with this date, I introduce the reader to the life-work and pedagogical views of the famous teacher.

Keywords: morality, patriotic upbringing, labor upbringing, family upbringing, family culture.

ავთანდილ ასათიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქრისტიანული პედაგოგიკის საწყისები ახალ აღთქმაში

როცა ახალი აღთქმის ტექსტებში პედაგოგიკის საწყისებს ვეძებთ, აუცილებელია წინაქრისტიანული ეპოქის პერიპეტიების გათვალისწინება. ამის თაობაზე მოკლედ იმის თქმა შეიძლება, რომ წარმართობის პერიოდში პიროვნება იმის მიხედვით ფასდებოდა, თუ რამდენად სარგებლობის მომტანი იყო იგი საზოგადოებისა და სახელმწიფოს-თვის. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნად საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახური მიიჩნეოდა. სწორედ ასეთი აღზრდის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აღზრდის სისტემა ძველ სპარტაში. აღზრდის მიმართ ამგვარი დამოკი-დებულების უმთავრესი ნაკლოვანება იყო ადამიანის ღირსებისა და პიროვნული თავისებურებების გაუთვალისწინებლობა.

წარმათი ხალხებისგან განსხვავებით, ძველი ებრაელი ხალხის გამორჩეული ნიშანი იყო რელიგიური გულწრფელობა და ამ გრძნობათა სიღრმე, მაღალი ზნეობრი-ვი თვითშეგნება, ადამიანური ღირსებისა და მისი დანიშნულების აღიარება. ამის შესაბამისად, ებრაელებში მიღებული იყო მკაცრი რელიგიური აღზრდა. ღვთიური კანონები განსაზღვრავდა ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას, ამიტომ პედაგოგიურ საწყისს უფლისმიერი კანონები ედო საფუძვლად. როგორც ღმერთმა აღზარდა თავისი რჩეული ხალხი, ისე მამას უნდა აღეზარდა თავისი შვილები ღვთის სიყვარულით, მორჩილე-ბითა და თავდადების შეგნებით.

ბიბლიური იუდაიზმის აღზრდის სისტემამ არსებითი გავლენა მოახდინა ქრისტიანული პედაგოგიკაზე, რასაც აქტიურად იკვლევდნენ ევროპელი მეცნიერები ჯერ კიდეც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან (2.16-81). თუმცა, იესო ქრისტეს მოვლი-ნებით კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა იწყება. რაც, ამავე დროს, ქრიტიანული პედაგოგიკის აღმოცენების უმთავრესი პირობა გახდა.

ქრისტიანული მრწამსის თანახმად, ადამიანის აბსოლუტური ღირსება, პირ-ველ რიგში, თვით ადამიანში მდგომარეობს, რადგან იგი, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი, ყოველთვის უფლის ყურადღებით არის მოცული, ამიტომ ადამიანის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ღმერთის მიმართ შეგნებული ლტოლვა. ღმერთთან გაერთიანება ადამიანის მთავარი დანიშნულებაა. მასში გამოიხატება ყველა ხალხის თანასწორობა და სიყვარული უფლისადმი, შესაბამისი ქრისტიანული პრინ-ციპების საფუძველზე მოიაზრება აღზრდაც.

ჩვენს უფალს და ღმერთს იესო ქრისტეს მის ყველა წოდებაზე უფრო მოს-წონდა მასწავლებლის სახელი. ახალი აღთქმის თანახმად, პირველი მასწავლებელი სწორედ იესო ქრისტე არის, რადგან იგი უწოდებს თავის მიმდევრებს მოწაფეებს, რაც შემდეგ უფრო ფართო ხასიათს იღებს. ქრისტიანულ სამყაროში იესო ქრისტე იყო პირველი მასწავლებელი და ქრისტიანული აღზრდის ფუძემდებელი. აღმზრდელისა და მასწავლებლის მნიშვნელობას თვით მაცხოვარმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა, რადგან

იესო ქრისტე დიდი სიყვარულით ატარებდა მასწავლებლისა და აღმზრდელის მაღალ წოდებას.

იესო ქრისტე ჭეშმარიტად არის კაცობრიობის აღმზრდელი და მასწავლებელი. მან, როგორც ღმერთმა და ამასთანავე სრულყოფილმა ადამიანმა, სამყაროს უჩვენა აღზრდის მარადიული იდეალები: ყოველი ქრისტიანი მთელი შესაძლებლობით უნდა ეცადოს დაემსგავსოს ქრისტეს, რასაც მიაღწევს საკუთარ ცოდვებზე გამარჯვების შემთხვევაში. ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ის, რომ იესო ქრისტემ, როგორც ნამდვილმა მასწავლებელმა, ნათლად დაგვანახა თავისი სამაგალითო საქციელი. ახალ აღთქმაში იქადაგა საყოველთაო ძმობა და სიყვარული, სწორედ ქრისტემ გააერთიანა კაცობრიობა ერთ ოჯახად. სწორედ მან უჩვენა კაცობრიობას ზნეობრივი სრულყოფილების იდეალი თვით განკაცებული ღმერთის სახით. იესო მიმართავდა ხალხს, როგორც ღვთის შვილებს და მოუწოდებდა მათ, რომ ისინიც ყოფილიყვნენ ისეთივე სრულყოფილები, როგორც მათი ღვთიური მამა. ამაზე უფრო ამაღლებული და სრულყოფილი აღზრდის იდეალი წარმოუდგენელიც იყო. ,,კაცთა მოდგმის ისტორია წარმოუდგენელია იესო ქრისტეს - სრული ღვთისა და სრული კაცის გარეშე, - წერს საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი ილია II, - მის გარეშე წარმოუდგენელია კავშირი სამყაროსა და ღმერთს, ადამიანური ყოფის რეალურობასა და აბსოლუტურს შორის. იგია ზეციურის და მიწიერის გადაკვეთის ცენტრი'' (3.4-5).

იესო ქრისტეს პედაგოგიური საქმიანობის შინაარსი და ხერხები ისეთ სრულყოფილებას აღწევს, რომ იგი თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებისათვის ზღვარდაუდებელია. ყველაზე გამოჩენილი პედაგოგებიც კი მხოლოდ იმეორებენ და განმარტავენ იესოს უკვდავ პედაგოგიურ მოძღვრებას, რომლის დამახასათებელი თვისებებია: ჭეშმარიტება, სიცხადე და უბრალოება, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება, თვითშემოქმედება და თანმიმდევრობა, სწავლების შესაბამისობა ადამიანის ბუნებასთან, ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ პიროვნებასთან, პიროვნების სიყვარული და პატივისცემა, მსმენელებზე ყოველმხრივი და წარუშლელი აღმზრდელობითი ზემოქმედება.

თვით ყველაზე რთულ და ღრმააზროვან ჭეშმარიტებას იესო გადმოსცემდა გასაგებად და მისაწდომად. თავისი მოძღვრების ადვილად გასაგებად იესო ხშირად იყენებდა მაგალითებს ბუნებიდან და უშუალოდ ცხოვრებიდან, ამის გამო, მისი სწავლება ყოველთვის გამოირჩეოდა სიბრძნით, მისაწვდომობითა და დამაჯერებლობით.

იესო ქრისტეს ქადაგება თვალსაჩინოებაზეა აგებული: იგავებით, ქადაგებებით, მსგავსებით და განმასხვავებელი თვისებებით აღწევს იგი ადამიანების ჭეშმარიტებასთან ზიარებას. მაცხოვრის იგავები იმდენად მიმზიდველად არის აგებული, რომ იგი მისაწვდომია მცირეწლოვანი ბავშვებისათვისაც.

სწორედ სახეებითა და შედარებებით მოქმედებს ქრისტე ადამიანთა გულებსა და მსოფლმხედველობაზე, ამავე მეთოდებით იპყრობს იგი მოსწავლეთა ინტერესებსა და მისწრაფებებს. ადამიანთა გონების დაკმაყოფილებისათვის მის არსენალში ყოველთვის არსებობს ცხოვრებისეული ჭეშმარიტებანი. ამიტომაც არის საფუძვლიანი მისი მოწოდებები: ,,მე კი არა, ჩემს საქმეებს დაუჯერეთ''. - ასე მიმართავდა მაცხოვარი მოწაფეებს, რასაც ღვთიური ქმედებებით ჰფენდა ნათელს.

სწავლებისას იესო ყოველთვის ითვალისწინებს მოწაფეთა ინდივიდუალურ თვისებებს, იგი განსხვავებულად ასწავლის მათ, ყოველი განსხვავებული ინდივიდის-

თვის შესაბამისი მეთოდი და ხერხი აქვს მომარჯვებული. ხალხს იგი ელაპარაკება იგავებით, ხოლო მოსწავლეთა ჯგუფს - უშუალოდ მიმართავს; ქადაგებისას ყოველთვის ითვალისწინებს ახლობლიდან შორეულზე, ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე გადასვლის პრინციპს. მან კარგად იცოდა, რომ ამგვარი მიდგომით მოწაფეებს უფრო ადვილად აზიარებდა ჭეშმარიტებას. მიუხედავად იმისა, რომ იესოს ქადაგებები არასდროს იყო მოსაწყენი, მან კარგად უწყოდა, თუ რა შესაძლებლობა ჰქონდა თითოეულ მოწაფეს, რამდენის ათვისებას შეძლებდნენ ისინი. ამიტომ მოძღვარს, მასწავლებელს ზუსტად უნდა განესაზღვრა კონკრეტული ცოდნის გადაცემა დროსა და სივრცეში შემოფარგვლის პირობებშიც. ამიტომ იესო სათანადო ყურადღებას აქცევს იმ პირობებს და მდგომარეობას, სადაც უშუალოდ სწავლება მიმდინარეობს: ,,დაინახა ხალხი და ავიდა მთაზე, როცა დაჯდა, მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები. მან გახსნა ბაგე, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა'' (მათ. 5:1-2), მაცხოვარი მთაზე ადის, რითაც გვასწავლის, რომ მოსაჩვენებლად არაფერი არ უნდა გავაკეთოთ. სურს გვასწავლოს და ამავე დროს გვიჩვენებს, რომ, როცა ვასწავლით, ქვეყნის ყაყანს უნდა გავშორდეთ.

მაცხოვრის ყველა იგავი აღსავსეა ღრმააზროვანი პედაგოგიური იდეებით. იგავი მრავალ პედაგოგიურ პრობლემას ჰფენს ნათელს, მაგალითად: რა განაპირობებს მოსწავლეთა არათანაბარ წარმატებებს ერთსა და იმავე სკოლაში, ერთი და იმავე მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ერთსა და იმავე საგანში? იგავი კეთილ მოძღვარზე ნათლად დაგვანახებს განსხვავებას არა მარტო ცოდნის გადამცემებზე, არამედ ცოდნის მიმღებებებს შორის. იგავი მთესველზე ამის ნათელი ილუსტრაციაა (მათ. 13:3_17). აქვე გვაჩვენებს აღზრდის იმ მეტად ეფექტურ საშუალებას, როცა მასწავლებელი ახლოს იცნობს თავის აღსაზრდელებს და მათ სახელებით მიმართავს (ინდივიდუალობა აღზრდაში). ვისაც არ უყვარს ბავშვები, იგი უგუნურ ცხოვრებას ეწევა, რასაც თან ახლავს ადამიანის საცდური და ბიწიერება: ,,...კაცისაგან გამომავალი შებილწავს კაცს'' (მარკ. 7:20). ვისაც არ სწამს უფალი იესო ქრისტე, მან თავი შორს უნდა დაიჭიროს ისეთი წმინდა საქმიანობისაგან, როგორიც ახალგაზრდების აღზრდაა. ვინც გადაწყვიტა მასწავლებლის მაღალი წოდების ტარება, იგი მთელი არსებით უნდა მიეცეს ამ საქმეს, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სწავლება მჭიდროდაა დაკავშირებული აღზრდასთან, ხოლო სიტყვა - საქმესთან, ისე როგორც მეცნიერება განუყოფელი უნდა იყოს ცხოვრებისაგან. მხოლოდ მას ექნება წარმატება, ვინც სწავლასთან ერთად პრაქტიკულად იღვაწებს, სიტყვით გადაცემულს, პირად მოძღვრებას, საკუთარი მაგალითით დაასაბუთებს, ცხოვრებით ცხადყოფს პედაგოგიური მოძღვრების ჭეშმარიტებას. პედაგოგიკაში ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნაღვაწის პირუთვნელ შეფასებას, რომლის თაობაზე არაერთ მინიშნებას იძლევიან მახარებლები.

თავისი ცხოვრების მაგალითით იესო ქრისტემ გვაჩვენა ბავშვთა ჭეშმარიტი სიყვარულით აღზრდის ნიმუში. იესო ჯერ კიდევ 12 წლის ყრმა იყო, როცა ეკლესიაში დადიოდა, ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ უფლის მიმართ ვალდებულება ყველაზე მნიშვნელოვანია: ,,ყველა მის მსმენელს აოცებდა მისი გონება და პასუხი'' (ლუკ. 2:47). ეკლესიაში ყოფნისას იესო ყურადღებას ამახვილებს აღზრდის მნიშვნელოვან მხარეებზე; იესო ხშირად ჩამოჯდებოდა მოძღვრებთან და გულდასმით უსმენდა მათ, რაც ცოდნის შეძენის და მასწავლებელთა პატივისცემის მაგალითს წარმოადგენდა. რაც შეეხება შესწავლას, იესო ჯერ ისმენდა და შემდეგ ეკითხებოდა. ეს იყო სამაგალითო

გზა ჭეშმარიტი რელიგიისა და ყოველგვარი ცოდნის დასაუფლებლად. პირადი მაგალითით ასხივოსნებდა იესო ქრისტე ბავშვებისა და მათი მშობლების ყოფა-ცხოვრებას. ასევე იგი ყოველთვის ემორჩილებოდა მის მშობლებს, ანგარიშს უწევდა მათ მოსაზრებებსა და ნება-სურვილს.

მთაზე ქადაგებისას ქრისტე ამბობს: „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ. ვინაიდან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი" (მათ. 7:12).

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მაცხოვარი გულწრფელობას, პირფერობა და სიცრუე დასაგმობია: „თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? " და კიდევ: „ვისაც ამქვეყნიური ქონება აქვს, ძმას კი გაჭირვებაში ხედავს და მისგან კეტავს თავის გულს, როგორ დარჩება მასში ღვთის სიყვარული? " (იოან. 4:10; 3:17).

დაგმობა-გაკიცხვით რომ სიკეთე არ გამრავლდება, ეს კარგადაა ცნობილი ქრისტიანული სწავლებისათვის, ამიტომ ცოდვილთა მიმართ მიმტევებლობის მაგალითებს თვით იესო ქრისტე იძლევა, მან დიდსრულოვნად მიუტევა სიმონის სახლში ცოდვილ დედაკაცს, როგორც მახარებელი გადმოგვცემს, იესო ეუბნება სიმონს: „....მაგას მიეტევება მრავალი თავისი ცოდვა, რადგან ძლიერ შემიყვარა, ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა ცოტათი უყვარს" (ლუკ. 8,47). ამდენად, ადამიანს ქრისტიანული ზნეობა ყოველთვის აძლევს ცოდვათა მონანიების შანსს, ოღონდ ეს უნდა მომდინარეობდეს თვით ადამიანის გულწრფელი სინანულისგან.

ქრისტანული ზნეობა საყოველთაო ხასიათს ანიჭებს მიტევებას და შემწყნარებლობას. ახალი აღთქმის თანახმად, სიკეთის მიმდევარი მხოლოდ ერთეულები არ უნდა იყვნენ, მას ყველა უნდა მისდევდეს და სწორედ ასეთი გზით გამრავლდება ღვთიური მადლი დედამიწაზე. მათე მახერებელს ამის მაგალითად მოჰყავს იგავი ტალანტებზე (მათ. 18:21-35).

ძალიან ხშირად ახალი აღთქმა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის მიერ ღვთიური ნორმების დაცვაზე, მათგან ერთ-ერთია სიმართლით ცხოვრება, რადგან მართალ გზაზე სიარული გაცილებით ადვილია, ვიდრე ინტრიგებით არსებობა: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ, შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ" (იოან. 8:31-32). ქრისტიანული სწავლების თანახმად, ჭეშმარიტება ანუ სიმართლე არის ის საშუალება, რომელიც სრულყოფილებას ანიჭებს ადამიანს. სრულყოფილი კი მხოლოდ ღვთიური მადლით აღსავსე ადამიანი შეიძლება იყოს, ამისათვის, პირველ რიგში, ღმერთთან მიახლებაა საჭირო, რომელიც მართალი ცხოვრებით მოიპოვება. ამდენად, მართალი გზა-ჭეშმარიტებისკენ სავალი გზაა, ხოლო ჭეშმარიტება იგივე ღმერთია, ამიტომ მაცხოვრის მოწოდებას ჭეშმარიტებისაკენ მუდმივი სწრაფვისათვის, არა მარტო სულიერი დატვირთვა გააჩნია, არამედ უაღრესად დიდი აღმზრდელობითი მუხტის მატარებელია. განსაკუთრებულ აქტუალობას აღნიშნული თეზისი მოზარდებთან მიმართებაში იძენს, რადგან სიცრუე ყველაზე უფრო ბავშვის სულიერ სამყაროს ამახინჯებს.

ქრისტიანული მოძღვრება ადამიანს, როგორც უფლის მსგავსსა და ხატს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ იესო ქრისტე

გამოყოფდა ცალკეულ ინდივიდებს ადამიანთა ჯგუფიდან, იგი სათანადოდ იცნობდა თითოეულ პიროვნებას, პირადად მიმართავდა მათ: „ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ: მე ვიცნობ მათ და ისინი მე მომყვებიან" (იოან. 10,27) - ასე მიუგო იესო ქრისტემ სოლომონის სტოაში შეკრებილ იუდეველებს, რომლებმაც არ იწამეს მაცხოვრის სიტყვა.

თითოელი ადამიანი ძვირფასია ღმერთისათვის, ამიტომ მაცხოვარი ცნობს მათ და აინტერესებს მათი საქმეები ცალ-ცალკე. ღმერთს მთელი კაცობრიობა ერთად კი არ უყვარს, არამედ თითოეული ადამიანი ცალ-ცალკე. ამიტომ თანამედროვე პედაგოგიკაში დამკვიდრებული უმნიშვნელოვანესი პრინციპი-აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების შესახებ, ქრისტიანულ მოძღვრებაში იღებს სათავეს.

ახალი აღთქმა გვაუწყებს იმის თაობაზე, რომ იესოს ყრმები მოუყვანეს, რათა შეხებოდა მათ. ეს რომ მოწაფეებმა დაინახეს დაუწყეს საყვედური, მაგრამ იესომ მოიხმო ისინი თავისთან და თქვა: „გამოუშვით ბავშვები და ხელს ნუ უშლით მოვიდნენ ჩემთან, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი" (ლუკ. 18:15-16). რაკი თავად მაცხოვარი ზრუნავს ბავშვებზე, ეს მრავლისმეტყველი მოვლენაა, ამიტომ ქრისტიანული მოძღვრება მას უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს. ბავშვს ერთგვარი მაგალითის როლსაც კი ანიჭებს, რადგან იგი ყველაზე სუფთა და მისაღებია ღმერთისათვის: „..ვინც ისე არ მიიღებს ღვთის სასუფეველს, როგორც ბავშვი, ვერ შევა შიგ." (ლუკ. 18, 17).

იესო ქრისტე ადამიანის სულის გადარჩენისთვის ეკლესიურ ცხოვრებას ამკვიდრებს. ეკლესიას კი სარწმუნოების მასწავლებელთა კრებითი ცნობიერება აქვს. (4.14). კრებითი ცნობიერება ადამიანზე სულიერი ზემოქმედების ქმედითი საშუალებაა. ამიტომ გახდა ქრისტიანული პედაგოგიკა ეკლესიური პედაგოგიკა.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ახალი აღთქმის პედაგოგიკაზე, მხედველობაში გვაქვს აღზრდა-განათლების ის სისტემა, რომელიც მაცხოვარმა დაამკვიდრა და არა ტერმინი - პედაგოგიკა, რაც ფრენსის ბეკონს და მის მიერ მეცნიერების ახალ კლასიფიკაციას უკავშირდება. თუმცა პრობლემა მარტო ტერმინებში როდია, აღზრდა – განათლების ქრისტიანულმა სისტემამ შესაბისი დარგი შექმნა, რომელსაც თანამედროვეობა პედაგოგიკას უწოდებს. რაც შეეხება ქრისტიანული პედაგოგიკას, მისი თეორიული საფუძველი ახალი აღთქმაა. აქედან გამომდინარე, სწორედ ახალი აღთქმის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი, ძირითად ცნებები და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული პედაგოგიკის მიზანს მორწმუნე ადამიანის აღზრდა-განათლება შეადგენს. მაგრამ მთავარია, ამ მიზნის მისაღწევად რა უნდა გაკეთდეს? როგორ გახდეს ადამიანი მორწმუნე. სწორედ ეს არის უპირველესი და უმთავრესი პედაგოგიური პრობლემა და არა მარტო პედაგოგიური.

სულის უკვდავების რწმენა ქრისტიანული აღზრდის ქვაკუთხედია. თუ ადამიანი არ ცნობს სულის უკვდავებას, მაშინ მარადიულ საუფლოზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება და აქედან გამომდინარე, საიქიო ცხოვრებისათვის აღზრდას აზრი ეკარგება. ასეთ შემთხვევაში პირველადი ხდება ყოფითი ინტერესები.

ქრისტიანულ პედაგოგიკაში აღზრდის ამოცანა ორ-განზომილებიანია: რაც იმას ნიშნავს, რომ საერო პედაგოგიკისგან განსხვავებით, იგი შემოზღუდული არ არის მხოლოდ ადამიანის ფიზიკური არსებობით, მისი მიზანია აღზარდოს ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება, როგორც ამსოფლიური ცხოვრებისათვის, ისე სამუდამო

სულიერი არსებობისათვის. აღნიშნული ამოცანები კი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, პირიქით ერთი ამოცანის შესრულება, განაპირობებს მეორის დაძლევას. ამდენად, პიროვნების ქრისტიანული აღზრდა, მისი ამქვეყნიური ზნეობრივი ცხოვრება, მარადიული სულიერი არსებობის საფუძველია. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული პედაგოგიკა უფრო ტევადი ცნებაა, იგი საერო პედაგოგიკის ინტერესების სფეროსაც მოიცავს. რადგან მისი მიზანი „ორთავ სოფლისთვის'' ადამიანის მომზადებაა, ხოლო საერო პედაგოგიკის ამოცანები ადამიანის ფიზიკური არსებობით შემოიფარგლება.

ადამიანის ცხოვრების ეკლესიურობა არათუ გამორიცხავს, არამედ ხელს უწყობს თანამედროვე პედაგოგიკაში დამკვიდრებულ პიროვნების მრავალმხრივი, ჰარმონიული განვითარების თეორია, რაც ძირითადად გამოიხატება ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდით.

აღზრდის ამ კომპონენტთა ღვთიური საწყისზე მიუთითებს ძველი და ახალი აღთქმა. მაგალითად, გონებრივი აზრდის ღვთიური საფუძველი ძველ აღთქმაში არის გაცხადებული (ძველი აღთქმის სიბრძნე), ფიზიკური აღზრდა და ჯანმრთელობა სულიერი სრულყოფილების საფუძველია, რაც ღვთის ხატება-მსგავსებაში გამოიხატება და მომავალ თაობას აღზრდით უნდა შთავაგონოთ; ზნეობა კი ადამიანის სულიერების გამოხატულებაა, რაც ღმერთან სიახლოვით და მისი მცნებების შესრულებით მიიღწევა; ადამიანის ესთეტიკური უნარი რომ ღვთიური ბუნებისაა, ამას ედემის ბაღში ღმერთის მიერ გაშენებული უნაყოფო, მაგრამ საამო გარეგნობის მცენარეების არსებობაც ადასტურებს, რაც ხაზს უსვამს ღმერთის ნებას იმის თაობაზე, რომ ადამიანს ესთეტიკური აღქმის უნარი მიმადლებოდა; რაც შეეხება შრომით აღზრდას, ძველი აღთქმის წიგნებში უხვადაა შრომის შექების და სიზარმაცის დაგმობის ამბები.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა ღვთიური საწყისებითაა ნასაზრდოები, ისინი უპირობოდ მაინც არ შეიძლება ჩაითვალონ სრულყოფილი აღზრდისა და სრული ჰარმონიის მიღწევისათვის თვითკმარად. საფუძველს მოწყვეტილი აღზრდის შემადგენელი ნაწილები ეკლექტიკურ ერთობად იქცევა და დავემსგავსებით ისეთ მებაღეს, რომელიც ხის გაზრდას ფესვების გარეშე ცდილობს.

აღზრდაში, ისე როგორც ყველა საქმეში, მთავარი მიზნის სწორად დასახვაა. თუ ჩვენ არ გვეცოდინება ადამიანის მისია, მაშინ რა მიზანზე და შესაბამისად აღზრდის როგორ სისტემაზე შეიძლება ლაპარაკი?

ამ კითხვაზე ყველაზე მართებულ პასუხს სწორედ ძველი აღთქმა იძლევა: „და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად (დაბ. 1:27). მოჰმადლა ყველა უნარი და სიკეთე, თუმცა იგი ბევრჯერ დაეცა და მრავალი ცოდვით დამძიმდა. ღმერთი დროდადრო სჯიდა ამისთვის მას, მაგრამ მზრუნველობასაც არ აკლებდა. შემდეგ ყველა ცოდვის გამოსყიდვისათვის თვისი ძე მოუვლინა, რომელიც ეწამა კაცთა ცოდვებისათვის. ამიერიდან ადამიანის მისია ღვთისკენ სწრაფვაა. მან უნდა გააცნობიეროს ღმერთის მიერ მისი შექმნის აქტი და მარად ილტვოდეს ღვთისკენ. სწორედ ესაა ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძველი და ცენტრალური იდეა. თუკი ადამიანი ამ მაღალი მისიის არსს გააცნობიერებს, ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მის ჰარმონიულ განვითარებაზე (აღზრდაზე) ლაპარაკიც და

ქმედებაც. სწორედ ამის შემდეგაა შესაძლებელი სრულფასოვანი აღზრდა, რომელიც გულისხმობს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას.

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანული პედაგოგიკა. ახალი აღთქმის პედაგოგიკა. აღზრდის მიზანი. აღზრდის შემადგენელი ნაწილები. თვალსაჩინოება, მისაწვდომობა და დასაძლევობა სწავლებაში.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. 1991: გადამუშავებული გამოცემა. ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი.
2. Hengel M., 1968: Nachfolge und Charisma: Eine exegetisch-religionsgeschichtliche Studie zu Mt 8:21f. und Jesus Ruef in die Nachfolge // Beiheft zur Zeitschrift fuer die neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der aelteren Kirche, XXXIV. Berlin.
3. ილია II, საახალწლო ეპისტოლე (1987 წ.), 1988: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი.
4. პროტოპრესვიტერი მიქაელ პოზამანსკი, 2004: დოგმატური ღვთისმეტყველება, თბილისი.

Avtandil Asatiani
Professor of Georgian Technical University

The beginnings of Christian pedagogy in the New Testament

Summary

The analysis of the New Testament texts confirms the beginnings of Christian pedagogy, which later became the basis for the formation of true Christian pedagogy. It is Jesus Christ who truly is the first educator and teacher of mankind, who showed the world the purpose and eternal ideals of upbringing. Jesus Christ himself gives examples of exemplary pedagogical activity, which are characterized by: truth, clarity and simplicity, accessibility and visibility, self-creation and consistency, the relevance of teaching to human nature, individual approach to each person, love and respect for the individual.

Keywords: Christian pedagogy. New Testament pedagogy. The purpose of upbringing. Components of upbringing. Visibility, accessibility and overcoming.

ფსიქოლოგია

ლია ქურხული
ფსიქოლოგიის დოქტორი, სეუს პროფესორი

ნათია არჩვაძე
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

განქორწინების ფსიქო-სოციალური ფაქტორები კორონა ვირუსის კონტექსტში

განქორწინება სქესთაშორისი ურთიერთობების ისეთივე თანმდევი მოვლენაა, როგორც ქორწინება, თუმცა შედარებით ნაკლები ინტენსივობით. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქალთა სულ უფრო მზარდი ნაწილის ემანსიპაციის, დასაქმებისა და შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროს გაჩენის კვალობაზე ქალთა მიერ ოჯახის შენარჩუნების ექსკლუზიურად ეკონომიკური საფუძველი თანდათან სუსტდება, რასაც მოჰყვება განქორწინებათა რაოდენობს ზრდა. ამას ადასტურებს საქართველოში განქორწინებათა შემთხვევების დინამიკა. - განქორწინებათა რაოდენობა საქართველოში ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე ხუთჯერ გაიზარდა (იხ.დიაგრამა).

დიაგრამა



იმავე პერიოდში, მართალია, ადგილი ჰქონდა ქორწინების ზოგადი კოეფიციენტის ზრდას, თუმცა იგი საკმაოდ ზომიერი იყო განქორწინებათა რაოდენობის ზრდის ფონზე - მხოლოდ 40 პროცენტით - მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე 4.5-დან 1994 წელს 6.3-მდე 2019 წელს. აღნიშნულის გამო ყოველ ერთ განქორწინებაზე ქორწინებათა რაოდენობა შემცირდა 3.6-ჯერ - 1994 წლის 7.5-დან 2019 წლის 2.1-მდე (მათ შორის თბილისში - 1.8-მდე). ამას ემატება ისიც, რომ ადგილი აქვს ქორწინების საშუალო ხანგრძლივობის შემცირებას. 2008 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი საგრძნობლად - 15.8 პროცენტით _შემცირდა 12-დან 10.1 წლამდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ 2020 წლის სტატისტიკა კიდევ უფრო ნეგატიური დატვირთვის იქნება.

აღნიშნული ცვლილებები განქორწინებათა დინამიკაში სცილდება წმინდა დემოგ-რაფიის და იგი სოციალურ, ფსიქოლოგიურ და კულტუროლოგიურ პრობლემასაც კი წარმოადგენს. იგი მტკივნეული თემაა ნებისმიერი ასაკის, კულტურისა თუ ეთნიკური წარმომავლობის წყვილებისთვის. ის უკავშირდება ისეთ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, როგორიცაა გაზრდილი სტრესი, დეპრესიული ფონი, ბრაზი, პარტნიორის მიმართ გაუცხოების განცდა და სხვა. თუმცა ეს ემოციები დამოუკიდებლად არ ჩნდება, მათ გაღვივებას გარკვეული წინაპირობები უწყობენ ხელს, შემდეგ ერთმა მოვლენამ ან გარემოებამ შეიძლება განაპირობოს დაგროვილი ემოციების ერთბაშად ამოფრქვევა, რაც შეიძლება განქორწინებითაც დასრულდეს.

შიდაოჯახური დაპირისპირებაა, აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტი შედარებით მინავლებულია (ან საერთოდ არ არსებობს) იმ გარემოში, სადაც წყვილები სარგებლობენ საკმაოდ მაღალი ავტონომიით თავიანთ ქმედებებსა და საქმიანობაში, არ უწევთ ყოველი მოქმედებისას მეუღლის საქმიანობის „ტრაექტორიის“ გადაკვეთა. შრომის შიდაოჯახური და სქესთაშორსი გა(და)ნაწილება საქმიანობის პროფილის, ობიექტის, ხანგრძლიობის და სხვ. ნიშნებით ხელს უწყობს შიდაოჯახურ ჰარმონიას და ურთიერთგაგებას.

აღნიშნულ ვითარებაში სერიოზული დისონანსი შეიტანა კოვიდ19-ის ვირუსით გამოწვეულმა მსოფლიო პანდემიამ და მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის სხვადასხვა ვადით სახლებში გამოკეტვამ, კარანტინმა და იზოლაციამ. შიდაოჯახურ უკმაყოფილებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური კრიზისის გამო შემოსავლების შემცირებას, დაუმატა ერთიან, შეზღუდულ, შემოსაზღვრულ სივრცეში ოჯახის წევრების ხანგრძლივი დროით იძულებითი ერთობლივი ყოფნა - თანაცხოვრებასა და თანაარსებობას, რაც ოჯახის წევრებისაგან, პირველ რიგში წყვილებისაგან, მოითხოვდა განსაკუთრებულ ურთიერთგაგებას, თანადგომას, ემპათიას და ელემენტარულ დიპლო-მატიას, რისი უნარიც და საამისო სურვილიც ყველას არ აღმოაჩნდა. ის ენერგია, რომელიც პანდემიამდე მიმართული იყო კონკრეტული საქმიანობის ფორმატში კონკრეტული შედეგის მისაღწევად, პანდემიის გამო ოჯახურ კედლებში გამოკეტილ პირებში სუბლიმაცია ჰპოვა ურთიერთქიშპობის, კამათის, უსაგნო კინკლაობასა და ღია კონფლიქტებში.

კორონავირუსმა მოიტანა საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიური შფოთვა, შიში ხვალინდელ დღეზე, პიროვნებათაშორისი ყოფითი და სოციალური კონფლიქტების ალბათობის ზრდა.

ზოგადად, **შიში** თავადაა პრობლემა და არა პრობლემის გადაჭრა. ადამიანი არა მარტო ეკონომიკური, არამედ არანაკლებ (შეიძლება უფრო მეტადაც კი) სოციალური არსებაა. ამიტომ მასზე უაღრესად დამთრგუნველად მოქმედებს თავისუფლების შეზღუდვა.

ზოგისთვის ეს მხოლოდ ჩაკეტილ სივრცეში მოხვედრით (ე.წ. კლაუსტროფობია) ვლინდება, უმრავლესობისათვის კი ეს სოციალური ურთიერთობების ხელოვნურ, ძალდატანებით შეზღუდვაში ვლინდება (სწორედ ამიტომ განიხილება ციხეში -შეზღუდულ სივრცეში - დამნაშავის იძულებით ყოფნა, სადაც მიღებული კალორიებისა და მოწინავე ქვეყნების საპყრობილეებით თუ ვიმსჯელებთ, აბსოლუტურად მისაღები საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად, სასჯელის - **თავისუფლების აღკვეთის** ფორმად). მობილურობისა და სოციალური კონტაქტების შეზღუდული ხასიათი პანდემიის პირობებში (სატელეფონო კავშირები და სოციალური ქსელების მეშვეობით კონტაქტები ცოცხალი, უშუალო ურთიერთობების მხოლოდ სუროგატია) უაღრესად დამთრგუნველად მოქმედებს ადმიანთა უმრავლესობაზე და აქედან „გამოსავალს“ ხშირად აგრესიაში ახდენენ, რომლის ობიექტი, როგორც წესი, სავსებით დაუმსახურებლად და უსამართლოდ ოჯახის სხვა წევრები და, როგორც წესი, საკუთარი მეუღლეები არიან. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ პანდემიის გამო გამოწვეულმა კარანტინმა და (თვით)იზოლაციის რეჟიმმა ბევრ ოჯახში გაამწვავა მანამდე უკვე ლატენტური ან მდორედ მიმდინარე კონფლიქტები. ბევრმა წყვილმა ხანგრძლივად კარანტინში ერთობლივად ყოფნას ვერ გაუძლო: მეტისმეტად ახლო და მეტისმეტად ხანგრძლივმა კონტაქტმა მისი რაიმე პერიოდით შეწყვეტის პერსპექტივის გარეშე, ადამიანებში მანამდე მინავლებული, დამალული თვისებები ამოატივტივა ზედაპირზე, გამაღიზიანებელი ყოფითი ჩვევებიდან დაწყებული და ძალადობისადმი მიდრეკილებით დამთავრებული.

აღსანიშნავია, რომ რაც უფრო პატარაა სივრცე, მით უფრო რთული ხდება დაძაბულობის შემთხვევაში კონფლიქტების თავიდან არიდება. ამ დროს მატულობს ასევე ოჯახური ძალადობის შემთხვევებიც. ზოგისთვის სწორედ საკარანტინო პერიოდი შეიძლება აღმოჩნდეს ის გარდამტეხი მომენტი, როდესაც განქორწინება გარდაუვალი ხდება. შემთხვევითი არაა, რომ მაგალითად, რუსეთში 2020 წლის აგვისტოში (როცა პანდემიის პირველი ტალღის დასრულებისას დაწესებული შეზღუდვები მოიხსნა) განქორწინებათა რაოდენობამ (45.8 ათასი) 2.5-ჯერ გადააჭარბა მაისის ანალოგიურ მაჩვენებელს (როდესაც ხსენებული შეზღუდვები მოქმედებდა).[10] ანალოგიური პროცესი დაფიქსირდა ჩინეთში. კერძოდ, “ბლუმბერგი“-ის მიხედვით, სიჩუანის პროვინციის ქალაქ დაჟოუში, 2020 წლის თებერვლის ბოლოდან მარტის დასაწყისამდე, სამ კვირაში საქორწინო რეესტრში განქორწინების 300 ახალი მოთხოვნა დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი კორონავირუსის გავრცელების პერიოდამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით ბევრად მაღალია.[11]

ჩაკეტილი სივრცე მეტ საშუალებას იძლევა, რომ რეალურად, კინემატოგრაფიულ ტერმინოლოგიას რომ დავესესხთ, 3D ფორმატში დაინახო და აღიქვა პარტნიორი, გაანალიზო მისი ქცევა. ჰარმონიული წყვილები ასეთი გამოცდიდან, როგორც წესი, უფრო კონსოლიდირებულნი და ერთგულები გამოდიან, ლატენტურად არამყარი და სუსტი ერთობის მქონე პირებში სწრაფად მიმდინარეობს ურთიერთგაუცხოებისა და დაშორების პროცესი.

1. იხ. В России после самоизоляции стали чаще разводиться. Газета.ru, 25.08.2020

[11]იხ. China’s Divorce Spike Is a Warning to Rest of Locked-Down World. – Bloomberg newsweek., 31.03.2020.

ფსიქოლოგები უკვე ღიად გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომ იზოლაციის პერიოდი გამოიწვევს როგორც შობადობის, ასევე ოჯახური ძალადობისა და განქორწინების მონაცემების ზრდას. ამას ჩვენ მალე ვნახავთ, როდესაც სტატისტიკური სამსახური 2020 წლის დემოგრაფიულ მონაცემებს გამოაქვყნებს.

ამასთან, წყვილებს შორის პანდემიის დროს ჩაკეტილ სივრცეში (და არა მარტო) წარმოშობილი კონფლიქტიდან ერთადერთი გამოსავალი განქორწინება ნამდვილად არ არის - თუ, რა თქმა უნდა, საქმე ოჯახურ ძალადობას არ ეხება. დახურულმა სივრცემ რამდენადაც შეიძლება უფრო გააღრმავოს წყვილებს შორის დაძაბულობა, ასევე კარანტინში ერთად გატარებული დრო, შეიძლება პარტნიორებმა მათ შორის არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელადაც გამოიყენონ. ამის გაკეთება კი განსხვავებული ტექნიკითაა შესაძლებელი. მათ შორისაა:

კომუნიკაცია. ის წყვილები, რომლებიც პრობლემების მოგვარებას კომუნიკაციის გზით ცდილობენ, ბევრი სირთულის გადალახვას მოახერხებენ ერთად. დაგროვილი ცუდი ემოციები, რომელთა გაჟღერებაც ვერ ხერხდება, პარტნიორების ურთიერთობაზე საბოლოო ჯამში დამანგრეველად მოქმედებს. კარანტინის პერიოდში, როდესაც წყვილები 24 საათს ერთად ატარებენ, საუკეთესო დროა, რომ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ფიქრები, განცდები და მოლოდინები ქორწინებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, „ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება“, ანუ ეს პროცესი ორმხრივი, რეციპროკული უნდა იყოს.

ემპათია. ზოგადად ემპათიის ქონა ძალიან მნიშვნელოვანია ყველა სახის ურთი-ერთობაში, ქორწინებაში კი ეს გრძნობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ადამიანები ხშირ შემთხვევაში ემოციას გამოხატავენ, მასთან ვინც მათ მიმართ ემპათიის გრძნობით არის გამსჭვალული. როცა პიროვნება ხედავს, რომ თანამოსაუბრეს მის მიმართ, მისი შეგრძნებების და ემოციების მიმართ თანაგანცდა აქვს, უფრო მეტად გულახდილად იწყებს საუბარს. ემპათია ადამიანს ეხმარება გახდეს უფრო თავდაჯერებული, ირწმუნოს საკუთარი ცოდნა, უნარი, შესაძლებლობები, დაძლიოს უარყოფითი შეფასების შიში, რომ მას ვერ გაუგებენ, მის ნათქვამს სხვანაირად გაიგებენ ან უბრალოდ გულთან ახლოს არ მიიტანენ. როდესაც პარტნიორები ეცდებიან, რომ ერთმანეთს უფრო მეტად ყურადღებით მოუსმინონ და მიღებული ინფორმაციის მიმართ ემპათია გამოხატონ, ამით ორივე მხარე უფრო მეტად ღირებულად იგრძნობს თავს და ქორწინებაშიც უფრო მეტი დაცულობის, გახსნილობისა და ნდობის განცდა ექმნებათ.

ერთობლივი საქმიანობა. საოჯახო საქმეების ერთობლივად კეთებამ, ფუნქციების, ამოცანების, პასუხისმგებლობისა და დატვირთვის სამართლიანი განაწილება უფრო მეტად აკავშირებს წყვილებს. დახურულ სივრცეში ადამიანებში მეტად მატულობს სტრესის დონე, შესაბამისად, თუ საოჯახო საქმეებთან გამკლავება მხოლოდ ერთ-ერთ პარტნიორს უწევს, ამან შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიოს და შესაბამისად ოჯახური კონფლიქტიც გამოიწვიოს.

თავისუფალი სივრცის ქონა. ყველა ადამიანს აქვს მოთხოვნილება, ჰქონდეს საკუთარი თავისუფალი სივრცე და გარკვეული დრო, რომელიც შეიძლება განმარტოებით გაატაროს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პიროვნება სტრესულ მდგომარეობაშია და სიტუაციასთან განმკლავებას ცდილობს. ასეთ დროს წყვილებმა ერთმანეთს უნდა მისცენ საშუალება, რომ საკუთარ თავთან განმარტოვდნენ, დაალაგონ ფიქრები და დამშვიდების შემდეგ განაგრძონ კომუნიკაცია. ამგვარი მარტივი ფსიქოლოგიური ავტოთერაპია

მეუღლეებს ეხმარება დაძლიან დაღლილობის, სტრესის მდგომარეობა და იმის განცდა, რომ ცოლი (ქმარი) ამას გაგებით და თანაგრძნობით ეკიდება, აძლიერებს მათ ურთიერთგაგებასა და პატივისცემას.

მიზნების დასახვა. ადამიანი ჩაკეტილ სივრცეშია თუ თავისუფალია, ყველგან სჭირდება მკაფიო მიზნების ქონა. უნდა დაფიქრდეს, რამდენად არის მისი მიზანი ოჯახის შენარჩუნება და დაიწყოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მის შესანარჩუნებლად.

მადლიერების გამოხატვა. უფრო მეტად მყარდება იმ წყვილის ურთიერთობა, რომელიც ხშირად გამოხატავს მადლიერებას. ყოველდღიურად ერთმანეთისთვის იმის თქმა, თუ რატომ არიან ისინი მადლიერები, პიროვნებას ეხმარება, რეალობა მიიღოს და გაითავისოს თავისი პოზიტიური მხარეებით და ეს პოზიტივი მის მეორე ნახევარსაც გაუზიაროს.

პოზიტიური აზროვნება. რთულია პოზიტიურად ფიქრი გლობალური გაურკვევ-ლობის პირობებში. გარდა ამისა, ზოგიერთი ადამიანი მშვიდ სიტუაციაშიც კი შფოთისკენ და მოვლენების ნეგატიურ კონტექსტში განხილვისკენაა მიდრეკილი. თუმცა, თუ პიროვნება მოინდომებს, პოზიტიურად აზროვნების სწავლაცაა შესაძლებელი. ყოველთვის არსებობს სინათლე გვირაბის ბოლოს და თუ სინათლე არ ჩანს, ესე იგი, ჯერ გვირაბის ბოლოც არაა. წყვილებს, რომლებიც ეცდებიან, რომ დღის განმავლობაში მათი ვერბალური თუ ქცევითი გამოხატულება პოზიტიური ელემენტების შემცველი იყოს, ქორწინების შენარჩუნებაც უფრო მეტად გაუადვილდებათ.

უნდა გვახსოვდეს, რომ პანდემიის პერიოდი ზოგადად სტრესულია ყველასთვის. ასეთ დროს ადამიანები, ხშირად საკუთარ თავში შეიძლება ჩაიკეტონ და მხოლოდ საკუთრი თავის გადარჩენაზე დაიწყონ ფიქრი. მნიშვნელოვანი, რომ წყვილებმა ერთმანეთისგან თანადგომა იგრძნონ, რომ ისინი უხილავ „მტერთან“ ბრძოლაში მარტონი არ არიან. მორალური მხარდაჭერა სწორედ ისაა, რაც ასეთ ვითარებაში ადამიანებს სჭირდებათ. ყველა ადამიანს განსხვავებული ფსიქიკა აქვს. შესაბამისად ყველას თავდაცვითი მექანიზმი არ არის ისეთი ძლიერი, რომ გაურკვევევლ მდგომარეობას უშიშრად შეხვდეს. თუ პიროვნებას შფოთვა და შიში პანდემიამდეც ჰქონდა, დიდი ალბათობით მასში ეს გრძნობები უფრო გამძაფრდება. რამაც ის ნერვიულ აშლილობამდეც შეიძლება მიიყვანოს. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი წყვილის ქორწინებაზე ნეგატიურად აისახება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა ერთმანეთის მოსმენა, თანაგრძნობა და თანადგომა ისწავლონ. და თუ წყვილი თავის ქორწინებას უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება, შესაძლებელია, საკარანტინო პერიოდი სწორედ იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად გამოიყენოს, რომელზე სასაუბროდ ადრე დროის უქონლობის გამო ვერ იცლიდა.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია, ემპათია, სტრესი, განქორწინება, ჩაკეტილი სივრცე.

LiaKurkhuli
Doctor of Psychology, Professor at SEU University

NatiaArchvadze
Assistant Professor at Tbilisi Humanitarian University

Psycho-Social Factors of Divorce in the Context of Corona Virus

Divorce is a painful topic for couples of any age, culture or ethnicity. It is related to psychological aspects such as increased stress, depressive background, anger, feelings of alienation towards the partner and more. Although these emotions do not arise independently they are triggered by certain preconditions, and then one event or circumstance can contribute to the sudden eruption of accumulated emotions, which can even end in divorce.

In this current situation the serious dissonanceoccurred by the global pandemic, which was caused by the Covid-19 virus and for various period of time quarantine and isolation of people living in different parts of the world. Domestic dissatisfaction, which is directly related to the reduction of income due to the economic crisis, was compounded by the long-term forced cohabitation of family members in a single, confined space - cohabitation and coexistence, required special understanding, support, empathy and diplomacy from family members, especially from couples themselves. This ability and desire did not happen to have everybody.

Coronavirus has brought psychological anxiety to members of the society, fears about tomorrow, increase in the likelihood of interpersonal everyday and social conflicts, all of which ultimately have a negative impact on couples' marriages.
Keywords: Coronavirus pandemic, empathy, stress, divorce, locked space

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იოსებ არჩვაძე. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები . - თბილისი, „მწიგნობარი“, 2020 2. China's Divorce Spike Is a Warning to Rest of Locked-Down World. – Bloomberg newsweek., 31.03.2020. - https://www.bloomberg.com/news/articles/2020-03-31/divorces-spike-in-china-after-coronavirus-quarantines
3. Ann Gold Buscho. A Better Divorce. Relationships in Quarantine: The Good, the Bad, and the UglyHow to survive lockdown with your spouse, whether divorcing or repairing. 6.04.2020. - https://www.psychologytoday.com/us/blog/better-divorce/202004/relationships-in-quarantine-the-good-the-bad-and-the-ugly
4. Tyler FoggattTo Have and to Hold, in Quarantine and in Health. - 16.03.2020 https://www.newyorker.com/magazine/2020/03/23/to-have-and-to-hold-in-quarantine-and-in-health
5. Meredith Goldstein. Will divorce rates spike after coronavirus? - Bostonglobe.com/13.04.2020 https://www.bostonglobe.com/2020/04/10/lifestyle/will-divorce-rates-spike-after-covid-19/
6. https://www.vox.com/culture/2020/3/20/21187296/coronavirus-quarantine-husband-wife-roommate-family-couples-therapy-cope

7. Quarantine can test any relationship. A couples therapist explains how to cope. - Vox.com. 20.03.2020,.https://www.theatlantic.com/family/archive/2020/03/how-maintain-your-relationship-quarantine/608830/
8. How to Survive a Coronavirus Quarantine – and Save Your Relationship. Haaretz.com. https://www.haaretz.com/world-news/.premium-how-to-survive-a-coronavirus-quarantine-and-save-your-relationship-1.8678974
9. В России после самоизоляции стали чаще разводиться. Газета.ru, 25.08.2020

მარინე სირბილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ეტიკეტი და განწყობა

ეტიკეტი, როგორც მოვლენა, კულტურული, ისტორიული, სოციალური და რასაკვირველია, ფსიქოლოგიური ბუნების მქონე ფენომენია, რომელიც შემდეგნაირად არის განსაზღვრული: ეტიკეტი არის ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ადამიანთა ყოფით ურთიერთობებში ფიქსირდება, არის უაღრესად დეტალიზებული, აქვს შესრულების სავალდებულო ხასიათი და შემადგენელ ელემენტებს ახასიათებთ ზუსტი თანმიმდევრულობა დროსა და სივრცეში.

ცნობილია, რომ ყოველ საზოგადოებაში მოქმედებს ორი სახის ნორმა: სამართლებრივი და მორალური. ეტიკეტის არეში შეიძლება მოვიაზროთ ადამიანის ყოფის თითქმის ყველა ელემენტი, რომელსაც ამ ყოფის არასამართლებრივად მარეგლამენტირებელი ფუნქცია გააჩნია. ასეთი სპექტრის დანახვისას იქნება შესაძლებელი ეთნოეტიკეტის (ეთნოსის, ერის ცხოვრების წესის) სრულფასოვანი აღწერა, რომელიც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ მისი ისტორიული ფესვები, ცვლილებების დინამიკა, ფუნქციონირების საფუძვლები და მისით გამოხატული ფასეულობები; ფასეულობები, რომლებიც ეფუძნება ერის ტრადიციებს. ამიტომაც ეტიკეტსა და ტრადიციებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ფაქტობრივად, ეტიკეტი ტრადიციის ის ნაწილია, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობაში ამ ტრადიციის ფუნქციონირების პროცესს ასახავს. ამიტომ ზემოთ მოტანილ განმარტებას ემატება შემდეგი პასაჟი: „წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ სავალდებულო, მაგრამ არა სამართლებრივ, არამედ ეთიკურ ნორმას, აღმოცენდება და მოქმედებს ჩვეულების (ტრადიციის) ან ოფიციალური ორგანოს საშუალებით“ (დ. სართანია, 2002).

ეტიკეტთან დაკავშირებულ საკითხებზე პირველი, ვინც ინტენსიური კვლევა–ძიება დაიწყო, იყო ივ. ჯავახიშვილი. როგორც მიუთითებენ, არც არავინ შეხებია საკითხს იმ მოცულობით და სიღრმით, როგორც ის. მეცნიერი იკვლევს ქართული ეტიკეტის ისტორიას, ყველაფერს, რაც ამ თემასთან იყო დაკავშირებული და რაც მთავარია, მეცნიერის აზრით, ქართული საზოგადოებრივი ყოფის დეტერმინანტად აღიარებულია ქრისტიანული რელიგია. ქრისტიანული ფასეულობებიდან გამომდინარეობდა ქცევის ის წესები, რომლებიც საქართველოში იყო გავრცელებული და დამკვიდრებული. ივ. ჯავახიშვილთან საუბარია სოციალურ და სამართლებრივ ფასეულობებზე, რომლებიც, მისი შეხედულებით, ესაზღვრება ქართული საზოგადოების სოციალ–ეთიკურ იდეალებს და თითოეული პიროვნების თავისუფალ მოქმედებას საზღვარს უდებდა. (დ. სართანია, 2002).

ეტიკეტი იმდენად არის მთავარი რომელიმე საზოგადოებისათვის, რამდენადაც ის გამოხატავს გარკვეულ ღირებულებას, ფასეულობას. ამდენად ეტიკეტს აქვს ამოსავალი საფუძველი, როგორიც ფასეულობა, რომელიც დროთა განმავლობაში შესაძლებელია იცვლებოდეს.

სპეციალისტები მიუთითებენ ეთნიკური (ეროვნული) ფასეულობის არსებობის დამადასტურებელი ფენომენების – ეთნონიმებისა და ეთნოსცენტრისტული ფსიქოლოგიის საყოველთაო არსებობის შესახებ. ეს სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია: ეთნიკურ საფუძველზე ყალიბდება ეთნიკური ფასეულობა, რაც სწორედ ამ ეთნოსისთვის არის დამახასიათებელი, ღირებული და სისხლხორცეული. თუმცა ზოგიერთი ავტორი უპირა-ტესობას ანიჭებს ცნებას „ეთნიკური ფასეულობა“, ვიდრე ცნებას „ტრადიცია“ (დ. სართანია); თვლის, რომ „ტრადიცია“ ყოველთვის არ გულისხმობს ეთნიკურს მაშინ, როცა „ეთთნიკური” გულისხმობს ტრადიციას. დ. სართანია ცდილობს, დაამკვიდროს ტერმინი „ეთნოაქსია“, რაც განისაზღვრება როგორც ტრადიციის მეშვეობით არსებული ეთნიკური სპეციფიკის მქონე ფასეულობათა სისტემა. იგი ფიქრობს, რომ სწორედ ეთნიკური ფასეულობების მატარებელია ეთნოსის თითოეული წარმომადგენელი, რომელიც ამ თვისების ქონის გამო იწოდება „ეთნოფორად“. ეს უკანასკნელი კი ამ ეთნიკურ ფასეულობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ ეტიკეტის (ეთნოეტიკეტის) საშუალებით ავლენს (დ. სართანია, 2002).

მოტანილი მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ლაპარაკია ეთნიკურ, გნებავთ, ეროვნულ ხასიათზე (როგორც ერის ქცევითი ემოციური და სხვა მახასიათებლების ერთობლიობა), მენტალობაზე, რომელიც აერთიანებს იმ საზოგადოების, სოციუმის მახასიათებლებს, რომელშიც ცხოვრობს ინდივიდი და იძენს მტკიცე ნიშნების ერთობლიობას. ეს ყველაფერი ყალიბდება და ვლინდება ურთიერთობებში, ქცევაში. ე. ი. გააჩნია სოციალურ–ფსიქოლოგიური ბუნება, დამოკიდებულია ადამიანის ბუნებაზე, აზროვნებაზე, პიროვნულ თვისებებზე, განწყობებზე.

ახლა იმის შესახებ, თუ რა კავშირშია და როგორ ეტიკეტი და განწყობა. ვითარება კი ასეთია: ეტიკეტად მოიაზრება როგორც ცალკეული ქმედებები, შეიძლება ითქვას, ავტომატიზირებული მოქმედებები ანუ ჩვევები, როგორც სტანდარტული ფორმები, ასევე ჩვეულებები, ტრადიციები, რომელთა რეალიზაცია ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ ფორმატში ჯდება, ვინაიდან გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების მიზანს ემსახურება. აქედან გამომდინარე, როცა ეტიკეტი ფუნქციონირებს, როგორც სტანდარტული ფორმა ჩვევა, იგი ქცევად არ მოიაზრება, არამედ ამა თუ იმ ქცევაში შემავალ მოქმედებად ან მოქმედებებად განიხილება, რომლებიც შესაძლებელია, სხვადასხვა ქცევაში განმეორდეს და ამ ქცევის განწყობა ჩართავს საქმეში, როგორც ფიქსირებულ ფორმას.

ხოლო, როცა ეტიკეტის ფუნქციონირება განიხილება, როგორც ტრადიცია, ჩვეულების რეალიზაცია, რომელსაც შესაბამისი მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, მაშინ საქმე გვაქვს ადეკვატური აქტუალური განწყობით განსაზღვრულ ქცევასთან, რომელშიც ისევეა მოცემუ-ლი ამ ქცევის ზოგადი მონახაზი, როგორც სხვა ნებისმიერში. დეტალურად ზუსტდება თანდათან იმის მიხედვით, თუ რა გარემოებები იჩენს თავს ქცევის შესრულების ამა თუ იმ მონაკვეთში. ასე რომ, თუ ეტიკეტის ფუნქციონირებას განვიხილავთ, როგორც ჩვეულებრივ ქცევას, ის გამოხატავს ისეთ რეალობას, სადაც ქცევის განწყობა აქტუალურად არის მოცემული. ხოლო ამ ქცევაში შემავალი, გამოყენებული სტანდარტული ფორმები, როგორც გარკვეული მოძრაობები თუ ოპერაციები, უკვე ჩვევები, ჩვენს ფსიქიკაში ფიქსირებული განწყობების სახით არსებობს, მაშინ, როცა განწყობის სტატიკური მოდელი აქტივაციის ცალკეულ გამოვლინებას ქცევებად განიხილავს. დინამიკური მოდელის მიხედვით, ქცევის განმეორება არ ხდება, მეორდება მხოლოდ მოქმედება, რომლის განხორციელების ფორმაც,

როგორც უკვე ვთქვით, ფიქსირებულია და ქცევის განწყობა მას საქმეში ჩართავს იმ უბანზე, სადაც გახდება საჭირო მისი გამოყენება (მ. მაღრაძე, 2016).

ბუნებრივია, რომ ეტიკეტს, როგორც ქცევას, ადამიანი, პიროვნება ახორციელებს. ეს ფაქტობრივად გამოხატავს პიროვნების დამოკიდებულებას ნაციონალური იდენტობისა და ხასიათისადმი, რაც პიროვნების ცნობიერებაში აქსიოლოგიური თვალსაზრისით უმთავ-რესია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენტალობა აერთიანებს იმ საზოგადოების მახასია-თებლებს, რომელშიც ცხოვრობს ინდივიდი. თუ რას შეიძენს, რაზე იტყვის უარს სოციუმში არსებულ ნიშანთა ერთობლიობიდან, დამოკიდებულია ადამიანის აზროვნებაზე, პიროვნულ თვისებებზე, განწყობებზე. პიროვნება გარკვეული მრწამსისა და პრინციპების მიხედვით საქმიანობისათვის მუდმივი მზაობაა და მათი არსებობის ფორმაც მხოლოდ მუდმივად აქტუალური განწყობა შეიძლება იყოს. პიროვნება-ესაა განწყობათა განწყობა,რომელიც თავს მხოლოდ ისეთი ქცევებისათვის შეცვლის საშუალებას მისცემს,რომელიც ეთანხმება მის ძირითად პრინციპებს. თუ დინამიკური მოდელის იმედაძისეულ ანალიზსაც გავითვალის-წინებთ, შეიძლება ითქვას, რომ აქტივობათა უწყვეტ ნაკადში ჩართული ადამიანი, როგორც პიროვნება, ამ ნაკადში მხოლოდ მისთვის მისაღებ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების აქტებს ჩართავს (ი. იმედაძე, 2013).

უკვე ნათქვამი იყო, რომ ეტიკეტის არსი და საფუძველი მის მიერ ასახული (გამოხა-ტული) ფასეულობაა. ფასეულობებისადმი დამოკიდებულება აყალიბებს ეტიკეტის თითო-ეულ ნორმას, რომლის გაგებაში ყოველთვის დევს შეფასებითი აზრი.

სწორედ აქ იჩენს თავს პრობლემა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სასურველი აქტუალური განწყობების ფორმირებას და რეალიზაციას უწყობს ხელს არსებული სიტუაცია, იცვლება ზოგადად სიტუაცია, ახალ ზნეობრივ შეხედულებათა მოდელები, რის საშუა-ლებითაც წარიმართება ადამიანთა ყოველდღიური ყოფა. თითოეული სოციუმის, ერის ეს მოდელები და, შესაბამისად, ეტიკეტი, დროსა და სივრცის კატეგორიებითაა დასაზღვრული. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ერის ყოფა, მით უფრო შთამბეჭდავია მისი სახეც. ასე, რომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, **ერი - ეს მისი ყოფაა - თუ რა წესით ცხოვრობს იგი და რა ფასეულობებს მიაგებს პატივს**. (დ. სართანია, 2002).

როგორ ვემორჩილებით საზოგადოებრივ ეტიკეტს? რატომ ვართ მისადმი კონფორ-მულები? ეს სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ კონფორმულობის, როგორც სოციალ-ფსიქიკური გავლენის შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნული ნიშნები (ხასიათი) კონფორმულობის პრედიქტორებად ვერ გამოდგება, ნორმები საზოგა-დოების მოლოდინებია, თუ როგორ უნდა იყოს ქცევა კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში. ამ მოლოდინებს თან ახლავს შეფასებები: პოზიტიური, როცა სრულდება და ნეგატიური, როცა ირღვევა. ვემორჩილებით იმიტომაც, რომ გვსურს, ავირიდოთ ნეგატიური სანქციები და მივიღოთ პოზიტიური. ტრადიციებში ზუსტად არის მითითებული, როგორ შესრულდეს ქცევა, რომელიც თაობებშია განმტკიცებული. ტრადიციებში იგივე ეტიკეტი, ფართო გაგე-ბით, კანონთან მორალური იმპერატივით არ არის გამაგრებული. ის წარსულში მნიშვ-ნელოვან მიზანს ემსახურებოდა, ახლა კი, უბრალოდ, ჩვეულებაში გადასული ქცევაა (მ. ბალიაშვილი, 2010). მათი დარღვევისათვის სრულად ტრივიალური ნეგატიური სანქციებიც კი ძალზე მტკივნეულად განიცდება, რაც არცერთ ნორმალურ ადამიანს არ სურს.

დღეს, სწრაფი კომუნიკაციებისა და ტექნიკური ცივილიზაციის ხანაში, ატომურ და ეკოლოგიურ საშიშროებასთან ერთად არსებობს თანამდეროვე ადამიანის Homofaber-ად

გადაქცევის საფრთხე, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ტექნიკის, რობოტის, კომპიუტერის ენაზე აზროვნება და დაწრეტილია მისთვის ზედმეტად ქცეული „უსარგებლო“ ემოციებისაგან, რითაც ასე მშვენიერია ადამიანი. ეს საფრთხე თანაბრად ემუქრება ყველა ერს, პირველ რიგში მცირერიცხოვან ერებს, რომ ეროვნული ფასეულობების ნიველირების პროცესმა დამანგრეველი ფორმატები შეიძინოს. ამასთან დაკავშირებით მრავლისმეტყველია ესოდენ განვითარებული იაპონიის მაგალითი - ამ ქვეყნიდან ხანგრძლივი დროით გასულისთვის ვარაუდობენ, დააწესონ რეიაპონიზაციის ანუ რეაბილიტაციის კურსები, სადაც თითოეულ იაპონელს აღუდგენენ იაპონელისთვის დამახასიათებელ თვისებებსა და თავისებურებებს. ძნელია იმის თქმა, რამდენად განხორციელებადია ასეთი პროექტები, მაგრამ ზრუნვა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად სულაც არ უნდა მივიჩნიოთ ფანტასტიკის სფეროდ.

ეტიკეტი (მათ შორის ქართული ეტიკეტი), მნიშვნელოვან ეროვნულ თუ ზოგად-საკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული ფასეულობაა, რომელშიც ასახულია საზოგა-დოებრივი ცნობიერების ფსიქოლოგიური, ეთნოლოგიური, ისტორიული, კულტურული და სოციალური განვითარების ასპექტები. ეტიკეტში შეიძლება მოვიაზროთ ადამიანის და საზოგადოების ყოფის ყველა ელემენტი, რომელსაც ამ ყოფის არასამართლებრივად მარეგლამენტირებელი ფუნქცია გააჩნია. ყოველდღიურ რეალობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გლობალური პროცესები გავლენას ახდენენ როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე თითოეული ერის ფასეულობებზე და ყოფაზე. ყოფა ცვლის განწყობებს, განწყობები კი - ყოფას. ასეთია განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერება. ამ უკანასკნელი დებულების საუკეთესო დადასტურებას შეიძლება წარმოადგენდეს ამჟამინდელი ვითარება (იგულისხმება კორონავირუსის პანდემია) და ის მოლოდინები განწყობების შეცვლასთან დაკავშირებით, რაც ამ მოვლენის დასასრულს მოჰყვება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი მ., 2010: სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი.
2. იმედაძე ი., 2013: გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში. თბილისი.
3. მაღრაძე მ., 2016: განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელი, როგორც ნეოუზნაძიზმი განწყობის ფსიქოლოგიაში, სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი.
4. ნორაკიძე ვლ., 1965: ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში. ჟურნ. „მაცნე“, №5,
5. სართანია დ.,2002: ივ. ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები. თბილისი.
6. Berry, Portinga Segall, Dosei. Cross-cuHural psychology. Cambridge University, 1992
7. Inkels, Lavinson, Human abilities in cultural context. Cambridge University, 1988

Marine Sirbiladze
Akaki Tsereteli State University,
Academic Doctor of Psychology,
Associate Professor

Etiquette and Set

Summary

Etiquette is the cultural, historical, social and surely psychological phenomenon, to be a regulator of social life, ethic standard, but not juridical.

Etiquette is considered to be as behavior and as an action or unity of actions. As behavior, it realises on the basis of the relevant set, and as an action or unity of actions it's included in any kind of behaviour with its own dynamic structure of set.

Observing the everyday reality shows, that current events (global and local), influence on the values of general humanity as well as on the values and life of every nation. Life changes the sets and sets – the standings. It follows from the general regularity of theory of set.

Keywords: Etiquette, Behavior, Set, Personality, Globalization, Being, Influence.

Jemal Jinjikhadze
Sokhumi State University

For the Issue of One Fundamental Concept of Linguistics in language teaching methodics

While studying language grammar in secondary schools and at higher educational institutions as well, we are faced with difficulties due to the fact, that in theoretical linguistics definition of some issues are not solved yet and remains still as a problem.

First of all, probably, it is important to find out what kind of practice of introducing the linguistics initial concepts exists in Georgian language (and not only in Georgian), what is the situation today.

Let's start with a Sound. - What is a Sound?

It's evident, sound is the first notion the Linguistics start.

According to the Georgian Soviet Encyclopedia ([1], volume 2, p. 258) – sound is subjectively perceived phenomena by humans and animals hearing body. Speech sound is defined as: the shortest sound unit which is selected by human's hearing body while fragmentating the words of any language ([1]. volume 8, p.718).

In the book "Georgian Language" [2] sound definition is as follows: "In broad sense, it is a vibrating movement of elastic environment particles; Speech sound – is an articulator-acoustic formation issued by human being and perceived by hearing. Sound is the shortest speech unit, which is participating in creation of sound shell of language units having a meaning. Each sound, as complicated psychophysical complex is characterized according to specific articulation, appropriate acoustic features and perception (p.76).

In Great Soviet Encyclopedia [3] is given the following definition of a sound: "Sound - In broad sense – is vibrating movement of elastic environment particles, which are spread as waves in air, liquid or solid environment. In a narrow sense – it's a phenomenon, which is perceived by special hearing organ of human beings or animals. A man can hear a sound from a frequency of 16 hertz to 2000 hertz. Physical essence of a sound includes as hearing, so non-hearing sounds. Less than 16 hertz are infra- sounds, and more than 2000 hertz are ultra- sounds. The highest frequency are hyper- sounds (in the range from 10^9 up to 10^{13} Hertz). A sound has its basic characterizing signs, sources, receivers". Here is also explained the "Speech sounds": "as sounds, which are formed for the purpose of lingual interrelation by human speech apparatus".

In Russian linguistic encyclopedic vocabulary [4] there is not any definition of the sound at all. Here is only determined the essence of "Speech sounds": as "Minimal units of speech chain, which are the result of human articulating actions and are characterized by definite acoustic and perceptional features".

In the Physical Encyclopedia [5] a sound is determined as follows: "It is a mechanical event, which is subjectively perceived by special hearing organs of human beings and animals. This term is often used in broad sense and it implies mechanical vibrations and waves of any frequency in an elastic environment. Ssound waves are studied by the sector of the science of Physics, which is called acoustics. The source of sound waves is any process, which causes local changes of pressure or mechanical directions in an environment".

At the same time, sound – is a physical phenomenon, which in the form of elastic waves propagates mechanical vibrations in a solid, liquid and gas environment. In a narrow sense, exactly these are the violations that are implied in the sound in accordance with how they will be perceived by the sense organs of animals and humans [6].

It is also explained in European and American literature [7]: „In human physiology and psychology, sound is the reception of such waves and their perception by the brain. Humans can only hear sound waves as distinct pitches when the frequency lies between about 20 Hz and 20 kHz. Sound above 20 kHz is ultrasound and is not perceptible by humans. Sound waves below 20 Hz are known as infrasound. Different animal species have varying hearing ranges ".

As it is quite evident, definition of a sound, which is given in linguistics is taken from Physics, the Encyclopedias of Physics. For a Physicist is not alien the concept of "Elastic environment", "Particles of Elastic environment", "Waves", "Violations", "Violating movements", "Violation frequency", "Sound pressure" and others. But for students of Georgian grammar, in the process of sound definition, it is practically absolutely impossible to understand it's definition, if he/she is not a Physicist or Mathematics. Moreover, general definition of a sound is violently/artificially dragged from acoustics sector into linguistics. Physical (acoustic) explanation of this notion in Linguistics does not give us any information, and its linguistic explanation is impossible at all, due to the fact that it does not belong to Linguistics.

A sound, as any wave, is characterized by the spectrum of amplitude and frequencies. An usual man can hear sound violations in a range of from 16-20 Hertz to 15-20 kilohertz (Khz). The sound which is of less range than human being's hearing is called Infra-sound, and the sound of more range: till 1 Giga-hertz(GHz) is called – ultrasound, more than Giga-hertz(GHz) is called – Hypersound. The volume of sound is depending on effective sound pressure, violations frequency and forms, but the pitch of sound is also depending not only on frequency, but also on the size of sound pressure.

The phenomenon, that the height of sound is determined by the frequency of vibrations was discovered by Robert Hook in the 17th century. And the fact that explanation of the concept of a sound is possible only using the notions of violations and waves was not known even in Physics till the 17th century. Though the process of studying the sounds has been started by people since the ancient epoch. The first observations in belong to the VI century. Then Pythagoras stated the relation to the length of string and height of tone. Ptolemy and Evklide knew, that the sound is conditioned by violating movement of body. Aristotle was the first who clearly imagined propagation of sound in air. Leonardo De Vinci made up the basic principle of sound waves propagation. Various Laws have been discovered by Newton as well. And after that scientific studies of sound had been started experimentally.

Accordingly, while defining sounds and/or words in linguistics we often meet the notions "Wave" and "Vibration", which mostly belong to poetic wave and vibration than physical wave and vibration. That's why, we should not speak about these notions as violently/artificially dragged fromanother science. We should seek the way out again in Linguistics.

Not any science starts by such complicated notion. Sound is the first and initial notion of Linguistics, the most fundamental one. But we should consider, that linguistics is only studying the speech sounds. It does not study those sounds, which are issued by harp, or the sounds birds are producing, or the sounds, which are issued as noise after bear is stepping over small dry woods in the forests. All these mean, that general notion of a sound for Linguistics is necessary, from the one point, because the notion "Speech sound" is its face, but from the other hand, the whole volume of semantic of this notion is unavailable for Linguistics, as this concept does not belong to it, it belongs to other science.

- Then, what shall we do? What is the way out of it?

- There is the way out, moreover, a brilliant way:

- We should follow the Mathematicians!

Scientific severity of Mathematics is to be desirable for other scientists. Mathematicians achieved this severity by creating a Support Point for themselves. Give me the Support Point and I shall be able turn the Earth over, said Archimedes – and these were really genius words. Such Support Point in science is introduction of the initial concepts.

In Geometry there are not questions: What is a point? What is a line? What is a plain? – These notions are received without any definitions. They are only described, are characterized by examples, imaginations. So the basis is created by this. All other Geometric notions are defined on the basis of them. That is why Geometry is created charmingly.

In Linguistics we should understand a sound (general concept) as initial notion and say: The sound is an initial concept of Linguistics and should be accepted without definition. We can only describe it showing examples, pronouncing, imitating and declaiming.

A sound may be speech, musical, singing and so on. Speech sounds are used in speech of human beings. In speech a sound could be pronounced in different ways, by various intonations.

Speech sounds always differ from musical, singing and many other sounds. Singing sounds are used in songs. Singing is not a speech, neither speech is like singing. There are sounds in birds' singing as well, but not any of them are speech sounds and nor singing sounds. Musical sounds are issued by musical tools. These sounds are neither speech nor singing.

Speech sounds are designed for speech, singing sounds – for songs, musical sounds – for music, but musical sound is quite different. Musical sounds have musical features; they create definite harmony. Poetry, painting, eloquence, birds' chanting, sculpture, painting - are also musical, but without musical sounds. This – figuratively, of course.

Human being can pronounce a lot of sounds. Some of them could be speech sounds in one language, but not in another one. Some of them cannot be speech sounds in any of the languages. Among Georgian sounds some speech sounds are not speech in other languages and vice versa. For example, all speech sounds of English, German, Persian and other languages are not considered as speech sounds in Georgian language.

This approach accordings to [8] existing descriptive explanation:

Sound– 1. Something that you can hear, a hingh/low sound. Clicking/buzzing/scratching sound. 2. Continuous rapid movemonts, that travels through air or water and can be heard when they reach a person's or an animal's ear. Sound travels more slowly than light. 3. What you can hear coming from a TV, radio, etc. 4. The effect that is produced by the singer or group of musicians.

Keywords: Linguistics, concept, definition, sound, speech sounds.

Literature:

1. Georgian Soviet Encyclopedia. Tbilisi, 1975-1987;
2. Georgian Language(Encyclopedia). Tbilisi, 2008;
3. BolshayaSovetskaia Encyclopedia. M., 1969-1978;
4. Linguistic Encyclopedic Vocabulary. M., 2002;
5. Encyclopedia of Physics. Five volumes. M., 1988-1999;
6. Encyclopedic Vocabulary of Physics. M., 1983.
7. *Fundamentals of Telephone Communication Systems. Western Electrical Company. 1969. p. 2.1.*
8. Advanced Learner's Dictionary. Oxford. 2000.

ჯემალ ჯინჯიხაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენათმეცნიერების ერთი ფუნდამენტური ცნების საკითხისათვის ენის სწავლების მეთოდიკაში

რეზიუმე

სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში **ბგერა** შემდეგნაირადაა განმარტებული: „დრეკადი გარემოს ნაწილაკთა რხევითი მოძრაობა; სამეტყველო ბგერა - ადამიანის მიერ გამოცემული და სმენით აღსაქმელი არტიკულაციურ-აკუსტიკური წარმონაქმნი. ბგერა არის მეტყველების უმოკლესი ერთეული, რომელიც მონაწილეობს მნიშვნელობის მქონე ენობრივ ერთეულთა ბგერითი გარსის შექმნაში. თითოეული ბგერა, როგორც რთული ფსიქოფიზიკური კომპლექსი, ხასიათდება სპეციფ. არტიკულაციის, შესაბამისი აკუსტიკური მახასიათებლებისა და აღქმის, პერცეფციის მიხედვით“.

ასეთი რთული ორგანიზაციის ცნებით არც ერთი მეცნიერება არ იწყება. ბგერა ლინგვისტიკის პირველი და საწყისი ცნებაა, ძირითადზე უძირითადესი. მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლინგვისტიკა მხოლოდ სამეტყველო ბგერებს სწავლობს. იგი არ სწავლობს იმ ბგერებს, რომლებსაც არფა გამოსცემს, ან ჩიტები გამოსცემენ ჭიკჭიკისას, ან კიდევ, - იმ ბგერებს, რომლებსაც ტყეში ხმელი ფიჩხები გამოსცემენ, როცა ამ ფიჩხებზე დათვი მიბაჯბაჯებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბგერის ზოგადი ცნება ლინგვისტიკისათვის, ერთის მხრივ, აუცილებელია, რადგანაც ცნება „სამეტყველო ბგერა“ მისი სახეა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ ცნების სემანტიკის სრული მოცულობა მისთვის მიუწვდომელია, რადგანაც ეს ცნება მას არ ეკუთვნის, იგი სხვა მეცნიერების კუთვნილებაა.

ჩვენ ვთავაზობთ, რომ ენათმეცნიერებაში **ბგერა** (ზოგადი ცნება) მივიღოთ საწყის ცნებად და ვთქვათ: **ბგერა** ენათმეცნიერების პირველდაწყებითი ანუ საწყისი ცნებაა და მიღებულია განსაზღვრის გარეშე. მისი მხოლოდ აღწერა შეიძლება მაგალითების ჩვენებით, წარმოთქმით, მიბაძვით, დეკლამირებით.

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, ცნება, დეფინიცია, ბგერა, სამეტყველო ბგერა.

გამოხმაურება წიგნზე

პროფესორ გია ქაჯაიას საყურადღებო ნაშრომი

2020 წლის ბოლოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომ-ცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით დაისტამბა ცნობილი მეცნიერის, საქარ-თველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ გია ქაჯაიას წიგნი „ეკოლოგიის თანამედროვე საკითხები“. წიგნი გათვალისწინებულია ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისათვის, სტუდენტებისათვის, ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემებით დაინტერესებული პირები-სათვის.

წიგნის რედაქტორები არიან: აკადემიკოსები გურამ ალექსიძე, თენგიზ ურუშაძე და გიორგი ნახუცრიშვილი.

წიგნის ხელნაწერი განხილული და რეკომენდებულია გამოსაცემად განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

წიგნი ორი ნაწილისაგან შესდგება. I ნაწილი ასახავს ტრადიციული ეკოლოგიის საფუძვლებს, ანუ ცოცხალი ორგანიზმების შეგუების მექანიზმებს გარემოს ცოცხალ და არაცოცხალ ელემენტებთან. II ნაწილში განხილულია ეკოლოგიის თანამედროვე პრობ-ლემები: საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების განვითარების ისტორია, თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისი, მისი პარამეტრები და შესაძლო შედეგები.

ავტორი აანალიზებს საერთაშორისო ორგანიზაცია „იუნეპის“ („გაეროს“ პროგრამა გარემოს დარგში) მოხსენებებს „გლობალური ეკოლოგიური პერსპექტივა“ (გეო-2000 და GEO_5), სადაც განხილულია 21-ე საუკუნეში მოსალოდნელი ატმოსფეროს და, მასთან დაკავშირებული, კლიმატის ცვლილება, მტკნარი წყლის პრობლემა, სტიქიური მოვლენების ზრდა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაქვეითება, ნიადაგის ეროზიის და გაუდაბნოების პროცესის გაძლიერება და სხვა მოვლენები. ეხება რა გარემოს უარყოფითი ცვლილებების გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ავტორი გამოსთქვამს ვარაუდს, რომ ჩვენს პლანეტაზე ვირუსის დღემდე უცნობი ფორმის აფეთქება 2020 წელს სწორედ გარემოში მიმდინარე ანომალიურ ანთროპოგენურ პროცესებთანაა დაკავშირებული.

სპეცალურ თავებში აღწერილია სოციალური პრობლემების გამწვავება 21-ე საუკუ-ნეში და მისი გავლენა სასიცოცხლო გარემოზე, საქართველოს დღევანდელი საჭირბოროტო ეკოლოგიური პრობლემები. ყურადღებას იმსახურებს მონაცემები ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული სიტუაციის შესახებ.

ერთ-ერთ თავში, ეხება რა ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობას, ავტორი მიუ-თითებს ჩვენს სკოლებში სპეციალური ეკოლოგიური საგნის შემოღების აუცილებლობაზე, რათა მოსწავლე ახალგაზრდებს ჰქონდეთ საშუალება სწორად შეაფასონ პლანეტაზე შექმნილი კრიზისული ვითარების მიზეზები და მათი შესაძლო შედეგები.

სპეციალურ თავში დახასიათებულია ეკოლოგიის შედარებით ახალგაზრდა დარგის - ეკოლოგიური ეთიკის არსი, პრინციპები, ჩამოყალიებების ისტორია. ხაზგასმულია „დიდი ჰუმანისტის“ (ა. ეინშტეინი) ალბერტ შვეიცერის როლი ამ დარგის განვითარებაში. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც ცოცხალ სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობა შეაფასა, როგორც

„ფილოსოფიური კონცეფცია, თანამედროვე მსოფლმხედველობის ნაწილი“. მოკლედაა განხილული მისი ფუნდამენტური შრომები „კულტურა და ეთიკა“, „სწავლება გარემოს-დაცვითი მორალის შესახებ“, „მოკრძალება სიცოცხლის მიმართ“ და სხვა.

წიგნის ბოლო თავი ასახავს საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევას ჩვენს პლანეტაზე შექმნილი ეკოლოგიური კრიზისის განმუხვტის მიზნით.

წიგნი კარგადაა ილუსტრირებული, შეიცავს მრავალ საინტერესო მონაცემს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, ამავე დროს არაა „გადატვირთული“ სპეციფიკური ტერმინებით.

P.S. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ამავე აკადემიის აკადემიკოსს და ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ბატონ გია ქაჯაის დაბადებიდან 85-წლის იუბილეს და ვუსურვებთ მხნეობას და წარმატებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართველი განმანათლებლები

აკაკი ზოიძე - ბურჯნი მამულისა---------- 7
ნინო ჩაჩანიძე - ჰუმანიზმის აღზრდის დიდოსტატი ---------- 18

ჩვენი იუბილარები

ნათელა ვასაძე ---------- 23
ოთარ ჟორდანია ---------- 49
არნოლდ გეგეჭკორი ---------- 52
ჯემალ ჯინჯიხაძე ---------- 69
თამაზ ტატიშვილი ---------- 71
ამირან ბუქსიანიძე ---------- 74
რობერტ გოლეთიანი ---------- 76
რეზო ძნელაძე ---------- 78

ზოგადი პედაგოგიკა

ირინე გოგიბერიძე - საგანთაშორისი კავშირების რეალიზების მეთოდოლოგიური პრინციპების ზოგიერთი ასპექტი ---------- 81
გელა ცაავა - აფხაზური განათლების სისტემის მრავალგანზომილებიანი პრობლემები ---------- 87
ნატო ქობულაძე, თეონა ნამიჭეიშვილი - მშობელთა თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში ---------- 92

დაწყებითი სკოლა

გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე - საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების აუცილებლობა დაწყებით კლასებში ---------- 98
თამარ დოგრაშვილი - კლასგარეშე ეკოლოგიური ღონისძებები უმცროსკლასელებთან ---------- 104
იაგორ ბალანჩივაძე - დიფერენცირებული სწავლების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში---------- 110

საგანთა სწავლების მეთოდიკა

ნათელა მაღლაკელიძე - სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემები საქართველოში ---------- 115
მამული ბუჭუხიშვილი, თეიმურაზ გიორგაძე - ასახვა და ასახვის ტიპები ----- 120

თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი - ტესტური დავალების ტიპები და ტესტის შედგენის პროცედურები ---------- 123
გიორგი ბერძულიშვილი, ბაკურ ბაკურაძე - ალბათობის თეორიის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნის მეთოდური თავისებურებები ---------- 127

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

იმერ ბასილაძე, თამარ ღვინიანიძე - პედაგოგიკური დისციპლინების სწავლების საკითხისათვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასწავლებელის მომზადების პრობლემები ---------- 133
გიგა ბასილაძე - ინტერდისციპლინური სწავლება და ისტორია, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება ---------- 141
ლია მენთეშაშვილი - სტუდენტები და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა ------- 146
ეკატერინე უკლება - მენეჯერი, როგორც განათლების სპეციალისტი და მისი როლი გადაწყვეტილების მიღების საქმეში ---------- 152

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

იმერ ბასილაძე - იან ამოს კომენიუსის „მათეტიკის“ პრინციპები ---------- 157
ნოდარ ბასილაძე - „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“ (ვასილ სუხომლინსკის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო) ---------- 162

რელიგიური პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი - ქრისტიანული პედაგოგიკის საწყისები ახალ აღთქმაში ---------- 171

ფსიქოლოგია

ლია ქურხული, ნათია არჩვაძე - განქორწინების ფსიქო-სოციალური ფაქტორები კორონა ვირუსის კონტექსტში ---------- 178
მარინე სირბილაძე - ეტიკეტი და განწყობა---------- 185

ენათმეცნიერება

ჯემალ ჯინჯიხაძე - ენათმეცნიერების ერთი ფუნდამენტური ცნების საკითხისათვის ენის სწავლების მეთოდიკაში ---------- 193

გამოხმაურება წიგნზე

პროფესორ გია ქაჯაიას საყურადღებო ნაშრომი ---------- 194

Contents

GEORGIAN EDUCATORS

Akaki Zoidze - Bless the Creator of the "Mother Language"---------- 7
Nino Chachanidze - Master of Humanistic Education ---------- 18
Akaki Zoidze - Fulcrums of the motherland ---------- 17

JUBILEES

Natela Vasadze ---------- 23
Otar Jordania ---------- 49
Arnold Gegechkori ---------- 52
Jemal Jinjikhadze ---------- 69
Tamaz Tatishvili ---------- 71
Amiran Buksianidze ---------- 74
Robert Goletiani ---------- 76
Rezo Dzneladze ---------- 78

GENERAL PEDAGOGY

Irine Gogiberidze - Some aspects of the methodological principles for the implementation of connections between subjects ---------- 81
GELA TSAAVA - Multidimensional Problems of the Abkhazian Education System -- 87
Nato Kobuladze, Teona Namicheishvili - Research on Parental Participation in School Life ---------- 92

ELEMENTARY SCHOOL

Giorgi Berdzulishvili, Giorgi Bregadze - The need for teaching solving search mathermatical problems in the early grades ---------- 98
Tamar Dograshvili - Extracurricular activities for primary school pupils ---------- 104
Iagor Balanchivadze - Using of Differentiated Teaching In the lesson process--------- 110

METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Natela Maglakelidze - Issues of Official Language Teaching in Georgia ---------- 115
Mamuli Butchukhishvili, Teimuraz Giorgadze- Reflection and Types of Reflection --- 120
Giorgi Berdzulishvilli, Bakur Bakuradze - Methodological features of probability theory in solving some tasks ---------- 127

HIGHER EDUCATION PEDAGOGY

Imeri Basiladze, Tamar Gvinianidze - Issues of Teaching Pedagogical Disciplines at Kutaisi Akaki Tsereteli State University and Teacher Training Problems ---------- 133

Giga Basiladze - Interdisciplinary Teaching and History as an Interdisciplinary Subject ---- 141

Lia Menteshashvili - Students and scientific – Research Work ---------- 146

Ekaterine Ukleba - The manager as an education specialist and his role in decision making ---------- 152

HISTORY OF PEDAGOGY ND EDUCATION

Imeri Basiladze - "Mathematics" Principles of Jan Amos Comenius ---------- 157

Nodar Basiladze - „Sun remains bright even after sunset“ ---------- 162

RELIGIOUS PEDAGOGY

Avtandil Asatiani - The beginnings of Christian pedagogy in the New Testament------ 171

Psychology

Lia Kurkhuli, Natia Archvadze -Psycho-Social Factors of Divorce in the Context of Corona Virus ---------- 178

Marine Sirbiladze - Etiquette and Set ---------- 185

Linguistics

Jemal Jinjikhadze - For the Issue of One Fundamental Conceptof Linguistics in language teaching methodics ---------- 193

Book reviews

Interesting work of Professor Gia Kadjaia ---------- 194

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე" არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

რეფერირებულია საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИРАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში.

შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

• სამეცნიერო სტატიაშეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;

• ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიეროხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.

• ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA-ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.

• ნაშრომი უნდაიყოს აწყობილი Microsoft Word-ში;

• ქართული ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით;

• რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;

• შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.

• ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

• ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები:

მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა;

• ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;

• ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისგებელია ავტორი;

• სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91 21

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №61
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
ელ-ფოსტა: ganatlebisakademia@gmail.com
ვებ-გვერდი: www.sgma.ge

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
Politkovskaya Str.61, 0186, Tbilisi, Georgia
Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-page: www.sgma.ge

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA